ნიკოლო მაკიაველი

ომის ხელოვნება

თბილისი
2023

თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო
განათლების სარდლობა

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

დოქტრინების განვითარების ცენტრი

ნიკოლო მაკიაველი

ომის ხელოვნება

თარგმანი, წინასიტყვაობა, „მაკიაველი და მისი ეპოქა“,
კომენტარები, სქემები, ილუსტრაციების ჩამონათვალი
და სახელთა საძიებელი ისტორიის დოქტორის, პროფ.

არსენ გვიმრაძის

თბილისი
2023

ტრაქტატი „ომის ხელოვნება“ აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი მოაზროვნის ნიკოლო მაკიაველის ერთადერთი პოლიტიკური თხზულებაა, რომელიც მის სიცოცხლეშივე გამოიცა (1521). „ტრაქტატი“ წარმოადგენს სამხედრო-თეორიული აზროვნების თვალსაზრისით ერთ-ერთ საუკეთესო და მრავალმხრივ ნაშრომს გამოჩენილი სამხედრო თეორეტიკოსების (სუნ ძი, ვეგეციუსი, იულიუს კეისარი, ფრონტინუსი, კლაუზევიცი) ნაშრომებთან ერთად. მაკიაველი, სამხედრო საქმის ძველი ეპოქის ღრმა ანალიზზე დაყრდნობითა და მისი თანამედროვე ეპოქის რეალობიდან გამომდინარე, აყალიბებს და გვთავაზობს სამხედრო სფეროს შესახებ უმნიშვნელოვანეს დასკვნებს, რომლებიც ეხება არმიის ბრძოლისუნარიანობას, ორგანი-ზებას, მომარაგებას, წვრთნებსა და სწავლებას, გაწვევის სისტემასა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მიუხე-დავად ავტორის ტენდენციურობისა, ნაშრომი შეიძლება რეკომენდებული იყოს სამხედრო სასწავლებლებისთვის, როგორც დამხმარე ლიტერატურა.

ქართული გამოცემის რედაქტორი: **ისტორიის დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი არჩილ ჩაჩხიანი**

სამხედრო კონსულტანტი: **პოლკოვნიკი კახაბერ ჭაფოძე**

რედაქტორი: **ქეთევან ოსეფაიშვილი**

სტილისტი: **თინათინ პავლიაშვილი**

დამკაბადონებელი: **მარინა კაზარიანი**

ტექნიკური რედაქტორი: **სოციალური მეცნიერებების დოქტორი, პოლკოვნიკი ნოდარ ხორბალაძე**

ISBN 978-9941-8-5181-0

სარჩევი

წინასიტყვაობა.....3

მაკიაველი და მისი ეპოქა.....9

ტრაქტატი „ომის ხელოვნება“.....61

შესავალი.....61

თავი I.....64

თავი II.....103

თავი III.....149

თავი IV.....180

თავი V.....203

თავი VI.....225

თავი VII.....259

კომენტარები.....294

სქემები და ილუსტრაციები.....357

სახელთა საძიებელი.....406

წინასიტყვაობა

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ისტორიული კანონზომიერება, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (იქნება ეს ეკონომიკური, კულტურული თუ სოციალური) და ასევე განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო და საშინაო ვექტორებს. უახლესი ისტორიის გამოცდილებამ ცხადად აჩვენა ისიც, რომ პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში ერთ-ერთ მთავარ აქტორად კვლავ მოიაზრება და რჩება სამხედრო ძალა. კაცობრიობის წინაშე აშკარად იკვეთება იმის საშიშროება, რომ ბირთვულ-კოსმოსურ ეპოქაში სამხედრო-ძალისმიერმა კონფრონტაციამ და საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეების არნახულმა ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული შედეგები. ყოველივე ეს კი აიძულებს მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს, გადასინჯონ სამხედრო-პოლიტიკური თეორიების კონცეპტუალური საფუძვლები და მოახდინონ რეალობასთან მისი ადაპტაცია.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე სამხედრო-პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხედრო პოლიტიკის სფეროში თავმოყრილი მსოფლიო ისტორიის გამოცდილება. ამ მხრივ ჩვენ ვეყრდნობით იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას, რომელიც შექმნეს სხვადასხვა ეპოქის გამოჩენილმა მოაზროვნეებმა სამხედრო ისტორიისა და სამხედრო

ხელოვნების მიმართულებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულია იტალიური რენესანსის კორიფე, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნე, სამხედრო თეორეტიკოსი ნიკოლო მაკიაველი (1469-1527).

მისი სამხედრო-პოლიტიკური შეხედულებების კვლევა და შესწავლა უაღრესად აქტუალურია დღესაც, ვინაიდან ის არის ცოდნის წყარო, რომლის გათვალისწინებაც და გამოყენებაც ხელს შეუწყობს როგორც გლობალურ, ასევე ლოკალურ, რთულ და წინააღმდეგობრივ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში რეალური სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

მიუხედავად იმისა, რომ მაკიაველის მოღვაწეობიდან 5 საუკუნე გავიდა, მისი შემოქმედებისადმი ინტერესი კიდევ უფრო ძლიერდება, მაკიაველისტიკა სულ უფრო დინამიკური ხდება. XX –XXI საუკუნეებში მაკიაველის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა სხვადასხვა ქვეყნის ავტორთა დაახლოებით 30 ათასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მაკიაველის მდიდარი სამხედრო-პოლიტიკური შემოქმედებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი თეზისები:

სახელმწიფოს სიძლიერეს განაპირობებს სამხედრო ძალა;

პოლიტიკა განსაზღვრავს სამხედრო ძალის გამოყენებას, როგორც პოლიტიკური მიზნის მიღწევის საშუალებას;

სახელმწიფოს გადარჩენისთვის გამართლებულია ყველა საშუალება, მათ შორის, ომი, თუ ის აუცილებლობას წარმოადგენს;

ომი არის პოლიტიკის ინსტრუმენტი და მას გააჩნია თავისი კლასიფიკაცია;

ომის გამოცხადებისა და მისი წარმოების უფლება აქვს მხოლოდ სახელმწიფოს;

სამხედრო პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ: სახელმწიფოთა მეთაურები, დიდი მხედართმთავრები და გმირები;

სამხედრო პოლიტიკის სუბიექტებს მხრებზე აწევთ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის ბედის წინაშე; მათ მაქსიმალური სიფრთხილითა და სიფხიზლით უნდა შეარჩიონ სამხედრო მრჩევლები და მოკავშირეები;

სამხედრო ძალა ხორცშესხმულია სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაში ჯარში, რომლის დაკომპლექტებაც უნდა ხდებოდეს ქვეყნის მოქალაქეთა სავალდებულო გაწვევის გზით და იმყოფებოდეს მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში.

მაკიაველის სამხედრო-პოლიტიკურ აზროვნებაში საეტაპო მიშვნელობის ნაშრომია ტრაქტატი „ომის ხელოვნება“, რომელსაც დღესაც ძალიან სერიოზული დატვირთვა გააჩნია და არ კარგავს თავის აქტუალობას. ტრაქტატი თარგმნილია სხვადასხვა ენებზე. ქართულ ენაზე ამ ვაკუუმის შესავსებად ვეცადეთ, წარმოგვედგინა მისი ქართული ვერსია. აღსანიშნავია, რომ „დიდი ფლორენციელი“ გამოირჩევა ანტიკური სამყაროს, კერძოდ, ძველი რომისადმი განსაკუთრებული სიმპათიით, რომელიც მას მიაჩნდა ყველაზე

უფრო სრულყოფილ და დახვეწილ სამყაროდ, განსაკუთრებით კი მისი მდიდარი სამხედრო-პოლიტიკური ისტორია და სამხედრო ხელოვნება.

მაკიაველიმ ეს თხზულება შექმნა 1519-1520 წლებში ანუ ფლორენციის რესპუბლიკის დაშლიდან 7 წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში სამხედრო ფორტუნამ რამდენჯერმე შეცვალა სიტუაცია იტალიაში, რამაც ასახვა ჰპოვა ფლორენციის რესპუბლიკაში, სადაც ჰეგემონობისთვის იბრძოდნენ: საფრანგეთი, ესპანეთი და რომის საღვთო იმპერია. ამ პერიოდში მოხდა რამდენიმე გრანდიოზული ბრძოლა (ნოვარასთან, ლა-მოტასთან, მარინიანოსთან), სადაც სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით განსაკუთრებულად წარმოჩნდნენ შვეიცარიელი დაქირავებული მეომრები და გერმანელი ლანდსკნეხტები (1).

მაკიაველი თავის ტრაქტატში არ აპირებდა შვეიცარიელ მებრძოლთა მხოლოდ შექებას. მისი ჩანაფიქრი უფრო სიღრმისეული იყო: ნიკოლოს სურდა ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა შეიქმნას არმია, მსგავსი ოდესღაც ძლევამოსილი რომაული ლეგიონებისა. აქ გაანალიზებული უნდა ყოფილიყო ყველა ძირითადი მიმართულება ჯარის დაკომპლექტების, წვრთნისა და შეიარაღების ჩათვლით. მართალია, მაკიაველის წინამორბედნი იყენებდნენ ანტიკურ ავტორთა შრომებს, მაგრამ მათ არ ჰქონდათ შეხება შუა საუკუნეების ეპოქის სამხედრო მოქმედებათა რეალობასთან. იმდროინდელი სამხედრო ტრაქტატები წარმოადგენდა ერთ-ერთ სასწავლო-რიტორიკულ სასკოლო პროგრამას და მათ ქმნიდნენ არა პრაქტიკოსი სამხედროები, არამედ ადამიანები, რომლებსაც ცხოვრებაში არანაირი შეხება არ ჰქონიათ სამხედრო საქმესთან.

მაკიაველის სურვილი იყო ამ მიმართულებით პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა. მან ტრაქტატის მთავარ პერსონაჟად შემოიყვანა ცნობილი კონდოტიერი (2) და მხედართმთავარი ფაბრიციო კოლონა, რომლის პირითაც წარმოთქმულ აზრებში ასახული უნდა ყოფილიყო პროფესიონალი სამხედროს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები. ეს იყო ნაწარმოების შექმნის მნიშვნელოვანი იდეა.

საბოლოო ჯამში, მაკიაველიმ წარმოსახვაში შექმნა ერთგვარი სინთეზი რომაული ლეგიონებისა და შუა საუკუნეების შვეიცარიელი დაქირავებული მებრძოლებისა. აქედან გამომდინარე, მან მოახერხა იდეაში ჩამოეყალიბებინა იმ დროის შესატყვისი შედარებით სრულყოფილი არმია და შეძლო სამხედრო თვალსაზრისით მის თანამედროვე ეპოქასთან ანტიკური სამყაროს დაახლოება.

„ტრაქტატმა“, რომელიც გამოიცა 1521 წელს, თანდათანობით მოიხვეჭა პოპულარობა. მაკიაველის ეპოქისა და ახალი ისტორიის განმავლობაში ყველა ძირითად სამხედრო-პოლიტიკურ საკითხზე ნებისმიერი დაინტერესებული პირი ამ ნაშრომიდან იღებდა კონკრეტულ რეკომენდაციებს. ნაწარმოებში წარმოდგენილ თვალსაზრისს ხშირად მიმართავდნენ როგორც მკვლევრები, ასევე ხელისუფალნიც. მაგალითად, 1533 წელს, საფრანგეთის მეფე ფრანსუა I (3) „ტრაქტატზე“ დაყრდნობით ცდილობდა, შეექმნა ეროვნული ქვეითი ჯარი, რომლის ორგანიზებაც იქნებოდა მსგავსი რომაული ლეგიონებისა. მაკიაველი პოლიტიკოსი იყო და არა მხედართმთავარი, მაგრამ სამხედრო საქმის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის მხრივ მის ტრაქტატს ბადალი არ მოეძებნება არც

ანტიკური მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და არც შუა საუკუნეებისა თუ რენესანსის ეპოქაში. ამ თვალსაზრისით ის აშკარად ჩრდილავს თვით რომაელი მწერლის პუბლიუს ფლავიუს რენატუს ვეგეციუსის (ახ.წ.IVს.) (4) ტრაქტატს „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, რომელიც რომაელთა სამხედრო ხელოვნების შესწავლის ძირითად წყაროდ ითვლება.

ერთი მხრივ, ანტიკური ეპოქის ისტორიკოსთა თხზულებების გულმოდგინე შესწავლის შედეგად, ხოლო მეორე მხრივ, თავის უმდიდრეს პირად ცოდნაზე დაყრდნობით, მაკიაველიმ შეძლო, წარმოედგინა იტალიასა და საერთოდ, ევროპაში სამხედრო საქმის განვითარების ამომწურავი ანალიზი, გამოავლინა შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის ხარვეზები, დასახა თვისობრივად ახალ საფუძველზე მათი ძირეული გარდაქმნისა და სრულყოფის გზები და თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის კარდინალური პრობლემები, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და აქტუალობა.

„ტრაქტატში“ დაწვრილებითაა განხილული არმიის პირადი შემადგენლობის შერჩევისა და ახალწვეულთა შევსების პრინციპები. ნაჩვენებია მოლაშქრეთა სამხედრო მომზადების, ფიზიკური წრთობისა და მკაცრი დისციპლინის როლი („ბუნება იშვიათად ბადებს მამაცებს: ისინი მეტწილად წვრთნისა და განსწავლულობის შვილები არიან“). „ტრაქტატში“ ასევე გაანალიზებულია არმიის აღჭურვის, შეიარაღებულ ძალთა ინფრასტრუქტურის, საომარი წყობის, გარემოცვის გარღვევის, ალყის, იერიშისა თუ უკან დახევის დეტალები, ბრძოლის ველზე გაუთვალისწი-

ნებელი გარემოებების, მოულოდნელობისა თუ შემთ-ხვევითობის შედეგების თავიდან აცილების გზები; ხაზგასმითაა აღნიშნული მხედართმთავრის პირადი ღირსებების, ნიჭიერების, სიმამაცისა და გამჭრიახო-ბის მნიშვნელობა, საომარ მოქმედებათა პროცესში გამოვლენილი ეკონომიკურ ფაქტორთა მთელი კომპ-ლექსის, ზურგისა და ფრონტის მჭიდრო კავშირის არსებითი როლი („ვინც ჯარის მომარაგებაზე არ ზრუ-ნავს, მანამდე დამარცხდება, სანამ ხმალს იშიშვლებდეს“).

აქვე შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ მაკიაველის „ტრაქტატში“ ყველაფერი უნაკლო როდია. გვხვდება ცალკეული ლაფსუსები. ავტორი ცდილობს, ფაქტები ზოგჯერ თავის თეორიულ ჩანაფიქრს მიუსადაგოს. გარდა ამისა, მან ვერ შეძლო, შეეფასებინა არტილე-რიის მზარდი როლი, თუმცა ყოველივე ეს ვერ ჩრდილავს ამ უდიდესი მოაზროვნის ნაშრომს.

მაკიაველის პოლიტიკური აზროვნება და, შესა-ბამისად, მისი ტრაქტატებიც, მიზნად ისახავდა იტა-ლიაში პოლიტიკური კრიზისის დაძლევას, ცენტრა-ლიზებულ, სუვერენულ სახელმწიფოდ მის გაერ-თიანებასა და უცხოელ დამპყრობელთა განდევნას. აქედან გამომდინარეობდა მისი ცნობილი თეზა – „მიზანი ამართლებს საშუალებას“, რომელიც სახელმ-წიფოს ინტერესებზე იყო მორგებული.

მაკიაველი და მისი ეპოქა

ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი, წარმოშობით ფლორენციელი, პოლიტიკური მოღვაწე და მოაზ-როვნე, მეცნიერი-ანალიტიკოსი, ჰუმანისტი, ისტო-რიკოსი, მწერალი, სამხედრო თეორეტიკოსი და დიპლომატი, უშუალო, აქტიური მონაწილე იყო იმ

მშფოთვარე ეკონომიკური, პოლიტიკური და სამ-ხედრო მოვლენებისა, რომლებიც ფლორენციაში მიმდინარეობდა მისი ცხოვრების წლებში (1469-1527), როდესაც იქ რამდენჯერმე შეიცვალა პოლიტიკური რეჟიმი: 1494, 1498, 1502, 1512 და 1527 წლებში.

ეს იყო ეპოქა ცბიერი და მოქნილი დიპლომატის ლორენცო ბრწყინვალისა (1469-1492) მდიდრული დღესასწაულებითა და მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბებით; პიერო მედიჩის უდღეური მმართვე-ლობისა (1492-1494), სამარცხვინოდ რომ გაიქცა საფ-რანგეთის მეფე შარლ VIII-თან, პირქუში ბერისა და ბრწყინვალე ორატორის – ჯიროლამო სავონაროლას ფაქტიური მმართველობისა (1494-1498), მმართველო-ბის დემოკრატიული ფორმის აღდგენისა (1502-1512), როდესაც პიერო სოდერინიმ ფლორენციის დამოუკი-დებლობის შესანარჩუნებლად დიპლომატიური ურ-თიერთობების დამყარება სცადა ვენეციასთან, საფრან-გეთთან, რომის საღვთო იმპერიასა და რომის პაპთან; ეს იყო ეპოქა ფლორენციის რესპუბლიკის კატასტ-როფული დაცემისა და მედიჩების მმართველობის რესტავრაციისა, ათთა საბჭოს ლიკვიდაციისა (1512) და რესპუბლიკის მოკლე დროით აღდგენისა 1527 წელს, როცა მაკიაველი გარდაიცვალა.

XV-XVI საუკუნეები – ეს არის ეპოქა, როდესაც იტალია ევროპული კულტურის მედროშე ხდება. ეს არის ეპოქა, როდესაც ჰუმანისტი ერუდიტების მთელი პლეადის გრანდიოზულმა ინტელექტუა-ლურმა საქმიანობამ მოკლე ხანში შეძლო შუასაუკუ-ნეობრივ ფასეულობათა მთელი სისტემის გადაფასება და ახალი მიმართულება მისცა იტალიური და არა

მარტო იტალიური ცივილიზაციის შემდგომ განვითარებას.

მაკიაველისთან ერთად ამ ეპოქაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი ფლორენციელები, როგორებიც იყვნენ: ამერიგო ვესპუჩი, სანდრო ბოტიჩელი, გალილეო გალილეი, ფრანჩესკო გვიჩარდინი, დონატელო (დონატო დი ნიკოლო დი ბეტობარდი), ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო ბუონაროტი, რაფაელ სანტი, ევანჯელისტა ტორიჩელი, ფილიპო ბრუნელესკი, ჯორჯო ვაზარი, მაზაჩო (ტომაზო დი სერ ჯოვანი დი გვიდი), პიკო დელა მირანდოლა...

ყოველი მათგანი გამოხატავდა თავისი ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური და ზნეობრივი ტენდენციების წინააღმდეგობრიობას. მათ, დროის ერთსა და იმავე პერიოდში მცხოვრებმა, მაგრამ ტალანტით, ხასიათითა და შემოქმედებით სრულიად განსხვავებულებმა, შექმნეს მდიდარი და მრავალფეროვანი ჰუმანისტური სამყარო, რითაც განსაკუთრებული ბიძგი მისცეს მეცნიერების, ხელოვნებისა და საერთოდ, კაცობრიობის განვითარებას.

მაკიაველის ცხოვრების წლები დაემთხვა პერიოდს, როდესაც იტალიაში აღორძინებამ თავის ზენიტს მიაღწია, როცა ადამიანი გონების, ხასიათისა და ტალანტის ჭეშმარიტად მაღალი ღირებულებების მატარებელი გახდა. ბიოგრაფიული ცნობები მაკიაველის შესახებ მეტად ძუნწია. მისი თანამედროვეები თითქმის არაფერს წერდნენ მასზე, მისი სიკვდილის შემდეგაც არავის უფიქრია მისი ბიოგრაფიის შედგენაზე. თვითონ კი არაფერს წერდა თავის თავზე და არ დაუტოვებია ავტობიოგრაფიული

ხასიათის რაიმე ღირებული და მნიშვნელოვანი ცნობა, გარდა მეგობრებისადმი მიწერილი მრავალრიცხოვანი წერილისა და ანგარიშისა, რომელსაც ის სინიორიას წარუდგენდა თავისი სამსახურებრივი ან დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მაკიაველიმ დატოვა თავისი შესანიშნავი თხზულებები, რომლებშიც სრულად და გამომსახველად არის იგი წარმოჩენილი, როგორც სამხედრო თეორეტიკოსი, მოაზროვნე, პოლიტიკოსი, დიპლომატი და ანალიტიკოსი. მაკიაველის ცხოვრება არის მისი შემოქმედებითი ქმნილებები, რომლებმაც გაუძლეს დროს და ყველა ეპოქისთვის სახელმძღვანელოდ იქცნენ.

ამავე დროს გასათვალისწინებელი და აღსანიშნავია ისიც, რომ ისტორიაში არცთუ ისე ხშირად გვხვდება ისეთი გამორჩეული პიროვნება, რომლის უნიჭიერეს თხზულებებს ქებასთან ერთად ხშირად შეურაცხყოფაც მიუღია.

მაკიაველის გვარი მიეკუთვნებოდა ტოსკანას ძველ, პატრიციულ მოდგმას. მათ საგვარეულო გერბზე გამოსახული იყო ცისფერი ჯვარი ვერცხლისფერ ფონზე, ჯვრის თითოეულ კუთხეში ცისფერი ლურსმნით. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მაკიაველის გვარის წარჩინებულობის სიმბოლოს. აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვისაგან წარმოსდგა მათი გვარი. იტალიურად chiavello ნიშნავს „ლურსმანს“ და malchiavello ან machalvello კი – „მავნე ლურსმანს“. ამ ტერმინის სიმბოლური გაგება გულისხმობდა იმას, რომ ლურსმანს შეეძლო როგორც ზიანის მოტანა, ისე თავდაცვაც.

მაკიაველი თავის გვარს სხვადასხვანაირად წერდა, მსგავსად მისი თანამედროვეებისა და გვიანდელი პერიოდის მკვლევრებისა. მაგ: Malchavellus, Machavellus, Machiavegli, Machiavello, Machiavelli, Machavello, Macciavello, Malchavelli. ზოგიერთი ახლობელი მას მოფერებით მაკიას ეძახდა.

მაკიაველის ოჯახი წარმოშობით იყო ფლორენციის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ციხესიმაგრე მონტესპერტოლიდან, საიდანაც XIII საუკუნის დასაწყისში მაკიაველის გვარი ფლორენციაში გადავიდა. ეს იყო ის დრო, როდესაც თავადაზნაურობამ გადაწყვიტა ქალაქში დასახლება. რაც იქცა არა მარტო მაკიაველის ოჯახის დამახასიათებელ თავისებურებად, არამედ მთელი ფლორენციის სოციალურ გზად XIII-XV საუკუნეებში.

ფლორენციაში მაკიაველის ოჯახი ხალხის მხარეზე დადგა და იწოდებოდა „კეთილ მოქალაქეებად“. ისინი მიეკუთვნებოდნენ მხურვალე რესპუბლიკელებს, მათ სახელებს ხშირად იხსენიებდნენ ფლორენციის რესპუბლიკის ისტორიაში, როდესაც ქალაქის თვითმმართველობებს სათავეში ედგნენ მდიდარი ვაჭრები და მაუდის მწარმოებლები (ე. წ. „მსუქანი ხალხი“). მაკიაველის გვარის წარმომადგენლები შედიოდნენ მთავრობაში, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ 13 გონფალონიერი (იტალ. „მედროშე“) და 53 პრიორი (ლათ. „წინამძღოლი“). დაწყებული XIII საუკუნიდან, მაკიაველის მემკვიდრეობითი სამფლობელოები თანდათანობით კარგავდა ფასს და XV საუკუნის ბოლოს პრაქტიკულად ძალზე შემცირდა. დარჩა მხოლოდ შეზღუდული უფლება ციხესიმაგრეზე, რომელიც მას ფაქტობრივად აღარ აძლევდა

არანაირ შემოსავალს. მას დარჩა მხოლოდ პატრონატი ზოგიერთ ეკლესიაზე, მონოპოლია საყოველთაო ზომა-წონის ერთეულის დაწესებაზე, პატივისცემის ნიშნად ყოველწლიური შემოსავალი ცვილის სანთლის წარმოებიდან და თავისი საგვარეულო გერბის მიმაგრების უფლება საზოგადოებრივ ჭასთან არსებულ დაფაზე, რომელიც მდებარეობდა ქალაქის სავაჭრო მოედანზე.

მაკიაველის ცხოვრება და მოღვაწეობა შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: პირველი, ეს არის მისი დაბადებიდან სახელმწიფო სამსახურის დაწყებამდე (1469-1498), როდესაც ხდება მაკიაველის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება; მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეორე ეტაპი ფლორენციის რესპუბლიკის სინიორიის მდივნის თანამდებობაზე ყოფნისა (1498-1512), როდესაც იგი წარმოჩინდა, როგორც სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; მესამე ეტაპი ეს არის მაკიაველის გაძევების წლები (1512-1527), რომელიც მან მთლიანად შემოქმედებით მოღვაწეობას მიუძღვნა და შექმნა თავისი უკვდავი შედევრები.

მაკიაველის მოღვაწეობის პირველი პერიოდის შესახებ იმდენად მწირი ცნობები მოიპოვება, რომ თითქმის შეუძლებელია სრული წარმოდგენის შექმნა მისი მშობლების, დაბადების, აღზრდისა და განათლების შესახებ 1498 წლამდე, სახელმწიფო სამსახურის დაწყებამდე. ამ დროიდან შემორჩენილია მაკიაველის მიერ დაწერილი რამდენიმე საკარნავალო წერილი და სამი წერილი, რომელთაგან ორი მეგობრისადმი იყო გაგზავნილი.

გარეგნულად მაკიაველი იყო საშუალო სიმაღლის, გამხდარი, ძალზე ცოცხალი შავი თვალებით,

მუქი ფერის თმითა და თხელი, მუდამ მოკუმული ტუჩებით.

მას ბაგეებზე თითქმის ყოველთვის დასთამაშებდა სარკასტული დამცინავი ღიმილი. და ეს მის მზერაშიც აშკარად იგრძნობოდა. დაახლოებით ასეთი შტრიხებით იყო იგი გამოსახული გარდაცვალების შემდეგი დროის პორტრეტებზე, რომლებიც შექმნეს მხატვრებმა ანჯელო ბრონზინომ (1503-1572) და სანტი დი ტიტომ (1536-1603).

ნიკოლო მაკიაველი დაიბადა ფლორენციაში 1469 წლის 3 მაისს უბრალო, ორსართულიან ქვის სახლში, რომელიც ძველი კოშკისაგან იყო გადაკეთებული. მთელი ცხოვრება გაატარა ამ დიდ ქალაქში და მასთან ახლოს მდებარე პატარა მამულში. ნიკოლოს ოჯახი საშუალო ფენას განეკუთვნებოდა. მამამისი ბერნარდო დი ნიკოლო მაკიაველი არც ღარიბი იყო და არც მდიდარი. იგი მკაცრად აკონტროლებდა ოჯახის ბიუჯეტს, რომელიც შედგებოდა ფლორენციის გარშემო მდებარე მიწის ნაკვეთებიდან მიღებული შემოსავლებისგან. იქ მომუშავენი მას უხდიდნენ მარცვლეულის მოსავლის ნახევარს, ასევე ყურძნისა და ზეთისხილის მოსავლის ნაწილს. ეს პროდუქცია ოჯახის მოთხოვნილებებსაც აკმაყოფილებდა და ნაწილიც იყიდებოდა. მაგრამ ეს არ იყო მათი ძირითადი შემოსავალი;

მაკიაველის მამა კერძო იურიდიულ პრაქტიკას ეწეოდა. გარდა ამისა, მათი ოჯახი ფლობდა რამდენიმე სახლს ფლორენციაში. შემოსავლებიდან და ოჯახის საქმიანობიდან გამომდინარე, მაკიაველი ხალხის ფენას წარმოადგენდა, ხოლო აღზრდისა და განათლების მხრივ აღორძინების კულტურის პირმშო

იყო. ცნობილია, რომ მაკიაველის მამა – ბერნარდო ფართო განათლების ადამიანი იყო. მომავალი იურისტი, მუდმივად ყიდულობდა იურიდიულ ლიტერატურას, მათ შორის, ძვირად ღირებულსაც. იგი ასევე ხშირად სარგებლობდა კერძო და საეკლესიო-სამონასტრო ბიბლიოთეკების წიგნებით. მამამისს უყვარდა ანტიკური ლიტერატურა და მის ბიბლიოთეკაში ციცერონის, ლივიუსის, არისტოტელეს, პლინიუსისა და სხვათა თხზულებებთან ერთად ინახებოდა XV საუკუნის იტალიელ ისტორიკოსთა შრომებიც. ყოველივე ამის გამო მაკიაველი ადრეული წლებიდანვე გაეცნო ანტიკურ ავტორთა თხზულებებს და იზრდებოდა ჰუმანისტური ტრადიციების გავლენით.

საყურადღებოა, რომ ბერნარდოს ბიბლიოთეკაში თითქმის არ ჩანდა საეკლესიო წიგნები; იგი მაინცა და მაინც არ ყოფილა რელიგიური. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ნიკოლოს, ბავშვობის ასაკიდან გულგრილად ყოფილიყო განწყობილი ეკლესიის მიმართ. მოგვიანებით მან დაგმო სავონაროლას რელიგიური ფანატიზმი და რომის პაპის ალექსანდრე VI-ის (წარმოშობით ესპანელი პაპი როდრიგო დე ბორჯა (ბორხა) უზნეო ქმედებები (იგი ამორალური პიროვნება იყო, ჰყავდა არაერთი საყვარელი და ცხოვრობდა თავის უკანონო ასულთან, ლუკრეციასთან. მისი პონტიფაკატი შეფასებულია, როგორც „საეკლესიო უბედურება“).

ნიკოლოს დედის – ბართოლომეას შესახებ ცნობილია, რომ ის იყო განათლებული, პოეტური სულის ქალბატონი. ქმრისგან განსხვავებით, იგი მორწმუნე ადამიანი იყო. მან შექმნა რამდენიმე სასულიერო ხასიათის ლექსი და ჰიმნი. ნიკოლოს გარდა, ოჯახში

კიდევ სამი ბავშვი ჰყავდათ: უფროსი ძმა ოტო და ორი უმცროსი და: პრიმავერა და მარგარიტა, რომ-ლებიც არაფრით ყოფილან გამორჩეულნი. ნიკოლო ოჯახში ავტორიტეტით სარგებლობდა. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოს, მამისგან განსხვავებით, იური-დიული განათლება არ მიუღია, მას დაევალა მოხუცი მამის საქმის წარმოება საქმიანი მიმოწერის წარ-მართვა, ოჯახის იურიდიული ინტერესების დაცვა და საგვარეულო უფლებების აღდგენა. ამის შესახებ გვაუწყებს ჩვენამდე მოღწეული ორი იურიდიული ხასიათის წერილი. ისინი ნიკოლოს მიერ იყო შედგენილი და გულისხმობდა ოჯახის საკუთრების უფლებასა და მუჯელოში არსებული სანტა მარია დელა ფანიას ეკლესიისადმი დამოკიდებულებას.

ნიკოლოს ჯერ დედა გარდაეცვალა (1496წ.), შემდეგ კი მამა (1500 წ.). შვიდი წლის ასაკიდან მაკიაველიმ დაიწყო სკოლაში სწავლა, თუმცა იგი ხშირად იცვლიდა მათ, რათა მიეღო აღორძინების ეპოქის შესატყვისი სათანადო განათლება. ეს სკოლები გამოირჩეოდა ჰუმანისტური მიმართულე-ბით. მან შეისწავლა გრამატიკა, ლათინური ენა, მათემატიკა და მუსიკა, რომელიც მას განსაკუთ-რებით უყვარდა.

ჭაბუკობას მიღწეულ ნიკოლოს მამამ იური-დიული განათლება მიაღებინა და სამართლებრივი პრაქტიკა გაატარა. ამასთან ერთად ნიკოლომ მიიღო საფუძვლიანი ლიტერატურული განათლება, ბრწყინ-ვალედ შეითვისა ლათინური ენა და თავისუფლად კითხულობდა ანტიკურ მწერალთა ნაშრომებს.

„მაკიაველის განათლების ჰუმანისტური მიმარ-თულებისთვის დამახასიათებელი იყო იმ დროის,

განსაკუთრებით, ლორენცო ბრწყინვალის ეპოქის გავლენა, როდესაც ფლორენციიდან დაიწყო იმ სინათლის გამობრწყინება, რომელმაც შემდგომში მთელი მსოფლიო გაასხივოსნა“ – წერდა პასკუალე ვილარი. ეს იყო ლიტერატურისა და ხელოვნების არნახული აყვავების ხანა, რომელსაც ლორენცო ყველანაირად უწყობდა ხელს. ის არა მარტო მეცენატი იყო, არამედ იმ დროის გამოჩენილ ადამიანებს შორის გამორჩეული ადგილიც ეკავა, როგორც ცნობილ მწერალს. ლორენცო ნამდვილი ტალანტი იყო, ღრმად განსწავლული პიროვნება გამოირჩეოდა ერთ-გულების გრძნობითა და ფუფუნების უსაზღვრო სიყვარულით.

ლორენცო ბრწყინვალისა და მის მიერ მოწყობილი გასართობი ღონისძიებების გავლენით მაკიაველიმ შექმნა რამდენიმე საკარნავალო სიმღერა. მაგრამ ანტიკურ ტრადიციებზე აღზრდილი მაკიაველი, რომელიც განსაკუთრებით აფასებდა ტიტუს ლივიუსის აზრებს მისი „ისტორიიდან“ რესპუბლიკური მმართველობის უპირატესობის შესახებ, თვითონაც აშკარა რესპუბლიკელი იყო. ამიტომაც არ იზიდავდა ნიკოლოს ხელისუფალთა სიმდიდრე და არც ცდილობდა მათ წრეში მოხვედრას. შეიძლება მაკიაველის ამ სადღესასწაულო ცხოვრებისგან ასეთ იზოლირებაზე გავლენა მოახდინა ბავშვობის მოგონებებმა, როცა 9 წლის ასაკში (1478 წ.) ძლიერი ემოციური დარტყმა მიიღო მედიჩების სასტიკი ანგარიშსწორებისგან; როგორც ყველა ფლორენციელი, ისიც მოწმე გახდა პაცის უშედეგო შეთქმულების მონაწილეთა სიკვდილით დასჯისა, რომლებიც ჩამოახრჩვეს მოქა-

ლაქეთა დასაშინებლად. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ეკიდნენ პალაცო ვეკიოს ფანჯრებზე.

1494 წელს შარლ VIII-ის მეთაურობით საფრანგეთის ჯარების იტალიაში შეჭრამ მაკიაველიზე ძალზე მძიმედ იმოქმედა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგთა მეფეს დინასტიური პრეტენზიები ჰქონდა ნეაპოლის სამეფო ტახტზე. ფრანგებმა მთელი იტალია ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე ისე გაიარეს, რომ პრაქტიკულად არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. მილანის ჰერცოგს ლოდოვიკო მოროს, რომის პაპს ალექსანდრე VI-სა და ვენეციას საერთოდ არ უცდიათ ნეაპოლისთვის დახმარების გაწევა. საქმე იმაში იყო, რომ თითოეული მათგანი ამ სამეფოს კონკურენტებს წარმოადგენდნენ.

შარლ VIII-სთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა იმდროინდელი ფლორენციის მმართველი, ლორენცო ბრწყინვალეს ვაჟი პიერო მედიჩი. მისი ლავირების ორაზროვანმა პოლიტიკამ საგონებელში ჩააგდო მაკიაველი. ნიკოლო გრძნობდა, რომ მის მშობლიურ ქალაქს დაღუპვა ელოდა.

1494 წელს პიერო მედიჩის წინააღმდეგ ფლორენციაში ამბოხებამ იფეთქა, რის შედეგადაც მმართველი გაიქცა. ამან შეამცირა ფრანგების მხრიდან ქალაქის აღების საფრთხე და მაკიაველის რესპუბლიკური მმართველობის განმტკიცების იმედი მიეცა. ძალაუფლება ხელთ იგდო დომინიკელმა ბერმა ჯიროლამო სავონაროლამ. მაკიაველის არ სჯეროდა მისი გულწრფელობის, ამიტომ მის მიმართ სიმპათია არ გააჩნდა. მართალია, ნიკოლოს მოსწონდა ბერის გაბედული გამოსვლები ალექსანდრე VI-ის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს მასში აღშფოთებას იწვევდა

ის ფაქტი, რომ რესპუბლიკას სან მარკოს მონასტრის კელიიდან მართავდა ბერი. მაკიაველის არც სავონაროლას ფანატიზმი მოსწონდა, რაც ფაქტობრივად გულისხმობდა ფლორენციის გადაქცევას დომინიკელთა ორდენის მონასტრად.

1494 წელს ფლორენციაში სამთავრობო ცვლილებები განხორციელდა: ზოგი დაითხოვეს, ზოგიც თვითონ გადადგა თანამდებობიდან. მაკიაველიმ, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა სკეპტიციზმით სავონაროლას ხელისუფლებისადმი, გადაწყვიტა, მონაწილეობა მიეღო ქალაქის მართვაში. 1498 წლის 18 თებერვალს მან კენჭი იყარა სენიორიის მეორე კანცელარიის მდივნის ვაკანსიაზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. უპირატესობა სავონაროლას პარტიის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. თუმცა სავონაროლას ბედი მალევე გადაწყდა, რომელშიც განსაკუთრებული როლი ალექსანდრე VI ბორჯამ ითამაშა. მან სავონაროლა ოსმალების ჯაშუშობაში დაადანაშაულა და ხალხი, რომელიც მანამდე სავონაროლას წინასწარმეტყველურ ქადაგებებს ოხვრაკვნესით ისმენდა და მის ნაკვალევს ჰკოცნიდა, 23 მაისს ბერის წინააღმდეგ გამოვიდა, რასაც მხურვალედ დაუჭირა მხარი მაკიაველიმ. ფლორენციაში, პალაცო ვეკიოზე სავონაროლა ჯერ ჩამოახრჩვეს, შემდეგ მისი გვამი დაწვეს, ფერფლი კი მდინარე არნოში გადაყარეს.

ფლორენციაში მიმდინარე ბობოქარმა მოვლენებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა მაკიაველის შეხედულებები. იგი შეუფარავად გამოხატავდა თავის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას როგორც მედიჩების ტირანიის, ისე ბერის ხელისუფლების წინააღმ-

დეგ. პოლიტიკური შეფასებებიდან გამომდინარე, მაკიაველი სულ უფრო მეტს ფიქრობდა ზოგადად იტალიისა და კონკრეტულად ფლორენციის პრობლემებზე და ცდილობდა, მოეძებნა გამოსავალი. იგი სერიოზულად და ღრმად იწყებს ფიქრს ადამიანის ბუნების, მმართველისადმი წასაყენებელი მოთხოვნებისა და მისი პიროვნების მორალური ღირებულებების შესახებ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ფსიქოლოგიის შესწავლის ინტერესი, რაც დამახასიათებელი იყო აღორძინების ეპოქისთვის, მაკიაველის შემოქმედების ძირითად მოტივად იქცა.

სავონაროლას დასჯის შემდეგ მთავრობაში კვლავ განხორციელდა ცვლილებები. ფლორენციის რესპუბლიკის სახელისუფლებო სტრუქტურაში შედიოდა ორი სახელმწიფო კანცელარია: სინიორიის კანცელარიის სათავეში იდგა პირველი მდივანი ანუ ფლორენციის რესპუბლიკის კანცლერი, მეორე კანცელარიის ანუ სამდივნოს სათავეში კი სინიორიის მდივანი. მეორე კანცელარიას (სამდივნოს) გააჩნდა გარკვეული დამოუკიდებლობა პირველისგან, მაგრამ გაცილებით უფრო დატვირთული იყო. მისი სფერო მოიცავდა სახელმწიფოს საშინაო საქმეებს. არსებობდა კიდევ ერთი სამდივნო თავისუფლებისა და მშვიდობის კომისიასთან, ე.წ. „ათთა საბჭო“, რომელიც ათი წევრისგან შედგებოდა. მათ ევალებოდათ სამხედრო საქმიანობის წარმართვა, მათ შორის, ჯარის დაქირავება, სხვადასხვა ჩინოვნიკთა დანიშვნები, ქვეყნის ყველა ციხესიმაგრის კონტროლი, მათი დაცვა არტილერიით, იარაღით, სურსათით მომარაგება.

საბჭო მოლაპარაკებებს აწარმოებდა იტალიის ქალაქების მმართველებთან, რომის პაპთან და უც-

ხოეთის ქვეყნებთან, გზავნიდა ელჩებს, აკონტ-როლებდა მათ საქმიანობას. გარდა ამისა, ათთა საბჭო მონაწილეობას იღებდა ომის გამოცხადებასა და ზავის დადებაში.

სინიორიის ორი მდივანი სხვადასხვა მოვალეო-ბას ასრულებდა. მათ ხშირად საგანგებო დავალებით აგზავნიდნენ ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ. ზოგჯერ ერთ-ერთ მათგანს ანდობდნენ მეორე კან-ცელარიის გამგებლობას, ხოლო ზოგჯერ ათთა საბ-ჭოს შემადგენლობაშიც კი ხედავდნენ მათ. ფლო-რენციის რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფ-ლების ორგანოები ძალიან ხშირად იცვლებოდა: სინიორია ოთხ თვეში ერთხელ, ათთა საბჭო – ექვს თვეში ერთხელ.

1498 წლის 15 ივნისს ოთხი კანდიდატი იყო წარდგენილი ჯერ ოთხმოცის საბჭოში, ოთხი დღის შემდეგ კი დიდ საბჭოში. მათ შორის იყო ნიკოლო დი ბერნარდო მაკიაველი, რომელმაც დაამარცხა მედიჩე-ბის კანდიდატი და მიიღო ხმების უმრავლესობა. 18 ივნისს იგი დაამტკიცეს მეორე კანცელარიის მდივნად. 14 ივლისს მას დაევალა ათთა საბჭოს მომსახურება და დაენიშნა ხელფასი წელიწადში 100 ფლორინის ოდენობით. რესპუბლიკაში მიიღეს გადაწყვეტილება, ანაზღაურებად თანამდებობაზე, განსაკუთრებით, სამდივნოში, მიეწვიათ ლიტერატურული განათლე-ბის მქონე ადამიანები, რასაც სრულად შეეფერებოდა მაკიაველი.

მოგვიანებით მაკიაველის მოვალეობები კიდევ უფრო გაფართოვდა. 1506 წლის დეკემბერში მაკიავე-ლის ინიციატივით დიდ საბჭოში მოიწონეს ახალი სამდივნოს ე.წ. „ცხრის საბჭოს“ შექმნის დეკრეტი.

ცხრავე წევრის არჩევა უნდა მომხდარიყო დიდ საბჭოზე. 10 იანვარს შედგა ეს არჩევნები, 12 იანვარს კი მათ მთავრობის წინაშე დადეს ფიცი და მეორე დღესვე შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას. „ცხრის საბჭოს“ მდივნად აირჩიეს მაკიაველი, რომელიც ფაქტობრივად მისი ხელმძღვანელი გახდა. ამ კოლეგიის ძირითადი ფუნქცია იყო სახალხო ლაშქრის ფუნქციონირების საკითხი.

ფლორენციის რესპუბლიკის ოფიციალურ დოკუმენტებში მაკიაველი მოხსენიებულია, როგორც სინიორიის მდივანი, მეორე კანცლერი ან „ათთა კანცლერი“. იგი 1 წლით იყო არჩეული, მაგრამ მისმა წარმატებულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო იმას, რომ იგი მოგვიანებით ამ თანამდებობაზე არა ერთგზის აირჩიეს. მაკიაველი 29 წლისა იყო, როდესაც ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნა. იგი 14 წლის განმავლობაში, 1512 წლამდე იყო სამდივნოს სათავეში.

ამრიგად, 1498 წლიდან დაიწყო ნიკოლო მაკიაველის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, რომელიც სამუდამოდ დაუკავშირდა ფლორენციის რესპუბლიკის პოლიტიკურ ბედს. 1512 წელს, როდესაც ფლორენციის რესპუბლიკა დაიპყრეს ესპანელებმა და ხელისუფლებაში მედიჩები მოვიდნენ, მაკიაველი იმავე თანამდებობაზე იმყოფებოდა. სინიორიის სამსახურში შესვლამდე, მაკიაველი მხოლოდ დამკვირვებელი იყო ფლორენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა, 1498-1512 წლებში კი იგი რესპუბლიკის ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური მოვლენის უშუალო მონაწილე გახდა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ფლორენციის რეს-

პუბლიკის შენარჩუნება და განმტკიცება. ამ პერიოდის განმავლობაში იგი სახელმწიფოს მმართველობის ეპიცენტრში იმყოფებოდა. საქმიანობის მრავალმხრივი ხასიათი წარმოაჩენდა მას, როგორც დიდი ენერგიის მქონე, მუდამ ყურადღებიან, მოქმედებაში ზუსტ, სწრაფ და ინიციატივიან მოღვაწეს.

მაკიაველის უფლებამოსილება იურიდიულად სინიორიის მიერ შეზღუდული იყო, მას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მათგან უნდა მიეღო სანქცია ან რჩევა. მაგრამ ფაქტობრივად მაკიაველის ხელთ აღმოჩნდა ფლორენციის მართვის ყველა სადავე.

მაკიაველიმ ოცდასამზე მეტი დიპლომატიური და სამხედრო-პოლიტიკური მისია განახორციელა ფლორენციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალებებით. მან საქმიანი ვიზიტებით მოიარა მთელი იტალია, იმყოფებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, მოლაპარაკებებს აწარმოებდა ევროპის გავლენიან მმართველებთან, საფრანგეთის მეფე ლუი XII-თან და მის გავლენიან მინისტრ ლამბუაზთან, რუანის არქიეპისკოპოსთან, რომის საღვთო იმპერატორ მაქსიმილიანთან. ის ყურადღებით აკვირდებოდა, თუ როგორ იზრდებოდა დღითიდღე რომანიის ჰერცოგის ჩეზარე ბორჯას ძლიერება, შემდეგ კი თვითმხილველი გახდა მისი ღირსებაშელახული პოლიტიკის აღსასრულისა, რომელსაც წერტილი დაუსვა პაპობის ისტორიის უაღრესად გამორჩეულმა პონტიფექსმა, „მეომარმა პაპმა," იულიუს II-მ, რომელიც 1503 წელს აირჩია კონკლავმა. მაკიაველი ამ დროს რომში იმყოფებოდა, როგორც კონკლავში განვითარებული პროცესების მოწმე. მან ასევე მონაწილეობა მიიღო 1511 წელს პიზის საეკლესიო კრების მუშაობაში.

როგორც მდივანი „ცხრის“ კომისიისა, მაკიაველი იყო ორგანიზატორი და მონაწილე ორი სამხედრო კამპანიისა და ინიციატორი ფლორენციის რესპუბლიკის სახალხო ლაშქრის შექმნისა. შემორჩენილია ასეულობით წერილი, ინფორმაცია, სამთავრობო განკარგულება, სამხედრო ბრძანება, სახელმწიფო კანონების პროექტები, მაკიაველის მიერ დაწერილი ან მისგან ნაკარნახევი და მის მიერ ხელმოწერილი. სამწუხაროდ, წერილების მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, აშკარაა, თუ რა მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა მაკიაველი ამ პერიოდში.

ნიკოლოს ანდობდნენ ყველაზე დახლართული მოლაპარაკებების წარმართვას, აგზავნიდნენ იმ ქვეყნებში, რომლებთანაც გარკვეული დროით გართულებული იყო დიპლომატიური ურთიერთობები. სინიორია აფასებდა მაკიაველის უნარს, შეეკრიბა ინფორმაციები, მოეხდინა დაკვირვებები, გაეკეთებინა დასკვნები, ეწარმოებინა მოლაპარაკებები, მიეღწია ინსტრუქციით დადგენილი პირობების შესრულებისთვის. ყოველივე მომხდარის შესახებ იგი დაწვრილებით ატყობინებდა სინიორიას და აძლევდა მას დროული რეაგირების საშუალებას. ამის შესახებ გვაუწყებს მისი მრავალრიცხოვანი წერილები. მიუხედავად იმისა, რომ მაკიაველის არც საპატიო ტიტულებს აძლევდნენ და არც მაღალ თანამდებობებზე აწინაურებდნენ, სინიორია ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო მისიებში მხოლოდ მის გონებასა და უნარს ეყრდნობოდა. თუმცა ამავე დროს სინიორია მკაცრად ზღუდავდა მის საქმიანობას წინასწარ შედგენილი ინსტრუქციის საფუძველზე. მას არასდროს ნიშნავდ-

ნენ ე.წ. „ორატორად“, ამ საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტზე ყოველთვის იყვნენ პრეტენდენტებად უფრო სოლიდური და გავლენიანი ჩინოვნიკები. მაკიაველის უფრო ხშირად გზავნიდნენ მეორე ელჩად ანდა საელჩოს რიგით წევრად, თუმცა ფაქტობრივად მას ერთადერთს, უხდებოდა მოლაპარაკებებისა და სინიორიასთან მიწერ-მოწერის წარმართვა.

ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ელჩობას მხოლოდ მაკიაველი წარმოადგენდა, მოქმედი ინსტრუქციის თანახმად, სინიორია მას ავალებდა, შეეთანხმებინა თავისი მოქმედებები იმ ნდობით აღჭურვილ პირებთან, რომლებიც იმყოფებოდნენ შესაბამისი ქვეყნების ხელისუფლებაში. აქედან გამომდინარე, მაკიაველის თავისი დიპლომატიური მისიების შესრულებისას არ ჰქონდა ხელშეკრულების დადების უფლება. მისი როლი ასეთ შემთხვევაში განისაზღვრებოდა მხოლოდ იმით, რომ ჩამოეყალიბებინა გარკვეული აზრი უცხოეთის ქვეყნების მთავრობებზე ან საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების მიღების მომზადებაზე, ანდა მომხდარის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე. ამის გამო თავისი ვიზიტების დროს მაკიაველი ხშირად მიმართავდა თხოვნით სინიორიას, დაეჩქარებინათ იმ პირთა გამგზავრება, რომლებსაც უფრო ფართო უფლებამოსილება გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, იგი უფრო შეზღუდული იყო თავის დიპლომატიურ საქმიანობაში, ვიდრე ფლორენციის რესპუბლიკის სხვა ელჩები.

ფლორენციის რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც მაქსიმალურად იყენებდა მაკიაველის შესაძლებლობებს, მის გონიერებას, ენერგიასა და ცოდნას, თვითონ მას ძალზე ძუნწად ექცეოდა. თავის

წერილებში მაკიაველი არა ერთგზის გამოთქვამდა საყვედურს თავის ფინანსურ გაჭირვებაზე, ითხოვდა ფულის გაგზავნის დაჩქარებას, წინასწარ ხელფასის გადახდას, რადგანაც მას ყოველთვის ჰქონდა ფინანსური პრობლემები იმის გამო, რომ სინიორია მისადმი გულუხვობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. მაკიაველის ფული არც არსებობისთვის ჰყოფნიდა და არც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის. ამის გამო მაკიაველი ხშირად უჩიოდა სინიორიას, მაგრამ, მიხედავად ყველაფრისა, საქმიანობას მაინც არ წყვეტდა, რომელიც, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ძალზე რთულ პირობებში მიმდინარეობდა. დიპლომატიური საქმიანობის მოთხოვნები ხელს უწყობდა გარშემომყოფთა მიმართ კრიტიკული განწყობის შექმნას. ჭკვიანი პოლიტიკოსი და გამოცდილი დიპლომატი მაკიაველი თავის აქტიურ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას კალმით ხელში წარმართავდა. ელჩობის დამთავრებისთანავე ხშირად იწერდა შთაბეჭდილებებს, რომელთა დახმარებითაც იგი მიზნად ისახავდა, პრაქტიკული მოღვაწეობის მაგალითზე ლოგიკურად დაესაბუთებინა თავისი თეორიული დასკვნები. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ იმ ეპოქის მოვლენები განსაკუთრებულ გამოძახილს პოულობდა მაკიაველის თხზულებებში. იგი ყოველთვის ახდენდა რეაგირებას მიმდინარე მოვლენებზე ტრაქტატების, განხილვების, აღწერილობების სახით.

მაკიაველის ყოველი ნაწარმოები პასუხობს იმ დროის ყველა კითხვას, მათ შორის ყველაზე ღირებული კი წინ უსწრებს ხსენებულ ეპოქას. 14 წელი იმსახურა მაკიაველიმ რესპუბლიკას მეორე

კანცლერის პოსტზე. ამ ხნის განმავლობაში მან დაწერა ოთხი ათასზე მეტი წერილი და მოხსენებითი ბარათი, უამრავი კანონპროექტი, ადმინისტრაციული განკარგულება, სამხედრო ბრძანება; კიდით-კიდემდე შემოიარა სრულიად იტალია, ოცდასამჯერ იყო საზღვარგარეთ: ფლორენციის რესპუბლიკა საგანგებო დიპლომატიური მისიით გზავნიდა მას სხვა იტალიური სახელმწიფოების მეთაურების, რომის პაპის, საფრანგეთის მეფის, რომის საღვთო იმპერატორის კარზე. ფლორენციის კანცლერ და მოქალაქე მაკიაველის წინაშე გადაშლილი იყო ქაოსურად ჭრელი სამყარო, რომელიც მისი ანალიტიკური გონების, გამჭრიახი მზერისა და მკაცრი ლოგიკისთვის ერთადერთ საინტერესო ობიექტს წარმოადგენდა.

მაკიაველი შეუნელებელი ყურადღებით აკვირდებოდა, სწავლობდა, იკვლევდა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებს, მათ არსებით ნიშან-თვისებებს, სახელმწიფოების ეკონომიკურ საფუძვლებს, კანონმდებლობას, ხელისუფლების ორგანოებს, სასახლის კარის ინტრიგებს, დიპლომატიურ ხრიკებს, მხედართმთავრების სტრატეგიასა დატაქტიკას, არმიების ბრძოლისუნარიანობას, სამხედრო ტექნიკას, ხალხისა და სახელმწიფო მოღვაწეთა ქცევას ომისა და მშვიდობის დროს, ისტორიული კატაკლიზმების ბუნებას. ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერს, რასაც ესოდენ უხვად სთავაზობდა მას მაშინდელი ევროპის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

პრაქტიკული პოლიტიკის პრობლემების კვლევისას მაკიაველის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იდგა მისი მშობლიური ქალაქი ფლორენცია, რომლის

ინტერესების დაცვასა და განმტკიცებასაც ემსახურებოდა მაკიაველის მიერ დაწერილი მრავალრიცხოვანი, შინაარსისა და მოცულობის მხრივ განსხვავებული თხზულება, რომლებიც ერთიანი იდეური მიმართულებით გამოირჩეოდნენ. მათ შორის იყო: „ნარკვევი პიზას საქმიანობის შესახებ“ (1499), „ფლორენციის რესპუბლიკის მიერ მიღებული ღონისძიებები პისტოიის პარტიის შერიგებასთან დაკავშირებით“ (1502), „იმ საქმეების აღწერა, თუ როგორ იხსნა ვალენტინოს ჰერცოგმა თავი ვიტელო ცოვიტელის, ოლივერტო დე ფერმოს, სენიორ პაოლოსა და ჰერცოგ გრავინა ორსინისაგან“ (1502-1503), „ლეგაცია რომის კარზე“ (1503), პოემა „ათწლეული“ (1504), „მსჯელობა ფლორენციის რესპუბლიკის სამხედრო ძალების ორგანიზაციის შესახებ“ (1506), „საფრანგეთის მოვლენათა აღწერა“ (1510), „გერმანიაში მომხდარ მოვლენათა აღწერა“ (1512), პოემა „მეორე ათწლეული“(1509).

გერმანიასა და საფრანგეთზე დაწერილ შრომებში მაკიაველიმ აღწერა ორივე სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, მათი კულტურა, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მოგვცა ხალხის ზნე-ჩვეულებების ზუსტი და ობიექტური ანალიზი.

გამოჩენილი შვეიცარიელი ისტორიკოსი იაკობ ბურკჰარდტი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „იტალიის კულტურა აღორძინების ეპოქაში“ (1860), წერდა: „მაკიაველი რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწარმოებში გვთავაზობს გერმანიისა და საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობისა და ხელოვნების ისეთ ზუსტ ასახვას, რომ ამ ქვეყნების მკვიდრი, რაგინდ კარგა-

დაც უნდა იცნობდეს თავისი სამშობლოს ისტორიას, ბრძენი ფლორენციელის მადლობელი უნდა იყოს მისი ნათელი აზრებისათვის“.

მაკიაველისთვის პოლიტიკა იყო თვითდამკვიდრების საშუალება. ეს კარგად იგრძნობა მისი პოლიტიკური ტრაქტატების კითხვისას, რომლებიც გვანცვიფრებენ მკაცრი ლოგიკით, მოვლენების ამომწურავი ანალიზით, ობიექტურობით, გულწრფელობითა და მიუკერძოებლობით.

მაკიაველის ნაწარმოებების უმრავლესობა გამოირჩეოდა ნახევრად პოლიტიკური და ნახევრად ისტორიული ხასიათით. მათგან წმინდა პოეტური ხასიათის ნაწარმოებებშიც კი აშკარად იგრძნობა მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური აზროვნება, მაგალითად, პოემა „ათწლეული“, რომელშიც აღწერილია 1494-1504 წლებში მიმდინარე მოვლენები და პოემა „მეორე ათწლეული“, რომელშიც განზრახული ჰქონდა მომდევნო პერიოდის მოვლენების გაგრძელება.

ამგვარად, 1494-1512 წლებში მაკიაველი უმეტესწილად ქმნიდა ისეთი ხასიათის ნაწარმოებებს, რომელსაც თვით ცხოვრება კარნახობდა და წარმოადგენდა მისი პოლიტიკური აზროვნების თეორიულ ფორმირებას. მაკიაველი ისე იყო ჩართული შემოქმედებით საქმიანობაში, რომ პრაქტიკულად მას აღარ რჩებოდა თავისუფალი დრო. და თუ მაინცდამაინც რაღაცნაირად გამონახავდა დროს, იგი მას ძირითადად უთმობდა ანტიკურ ავტორთა ნაწარმოებების კითხვას ან მეგობრებთან გულითად საუბრებს. უნდა აღინიშნოს, რომ მაკიაველი გამოირჩეოდა კომუნიკაბელური ხასიათით, იყო მხიარული და გონებამახ-

ვილი მოსაუბრე, უყვარდა იუმორი და მხიარულება; იყო საღამოს წვეულებების ტრფიალი, რომლებსაც ხშირად აწყობდა ათთა საბჭო. მას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ორივე კანცელარიის თანამშრომლებთან, რომელთა შორისაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. აღსანიშნავია, რომ ისინი გარკვეული სახით ბაძავდნენ კიდეც მისი მუშაობის სტილს. ამასთანავე მაკიაველი გამოირჩეოდა წესრიგითა და აკურატულობით მუშაობაში. სამსახურებრივი მოგზაურობების დროს იგი მეგობრებს თავშესაქცევი ხასიათის ბარათებს უგზავნიდა, რომლებშიც დეტალურად გადმოსცემდა თავის შთაბეჭდილებებს. ამ წერილების გაცნობისას მისი მეგობრები გულიანად იცინოდნენ. თავის მხრივ, ისინი მას ატყობინებდნენ კანცელარიის ამბებს, სხვადასხვა ჭორებსა და კონფლიქტურ თავგადასავლებს, საქეიფო და სასიყვარულო ინტრიგებს. მაკიაველის უყვარდა კარგად ჩაცმა, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როცა ოფიციალურად წარმოადგენდა თავის ქვეყანას უცხოეთში (ეს პროტოკოლიდან გამომდინარე, ისედაც აუცილებელი იყო).

ოცდაცამეტი წლის ასაკში მაკიაველი დაქორწინდა მარიეტა დი ლოდოვიკო კორსინიზე, ერთი წლის შემდეგ კი პირველი ბავშვის მამა გახდა. ნიკოლოსა და მარიეტას ხუთი შვილი ჰყავდათ: ოთხი ვაჟი (ბერნარდო, ლოდოვიკო, პიერო და გვიდო) და ერთი გოგონა (ბართოლომეა). ოჯახს მაკიაველი „თავის გუნდს“ ეძახდა. მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებში სთხოვდა მათ, დახმარებოდნენ მის ოჯახს, პირველ რიგში კი – ფინანსურად.

თავისი სამსახურის პირველივე დღეებიდან მაკიაველი სინიორიის პირველი კანცელარიის პირ-

ველ მდივანს მარჩელო ვირჯილიო ადრიანოს დაუახ-ლოვდა, რომელიც მასზე ხუთი წლით უფროსი იყო. ორივე მათგანი 1498 წელს სინიორიის მდივანი გახდა. მარჩელო იყო ლიტერატურის პროფესორი, შესანიშ-ნავად ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს, კარგად ერკვეოდა მედიცინასა და საბუნებისმეტყველო მეც-ნიერებებში, ფლობდა ორატორულ ხელოვნებას და შეეძლო, ექსპრომტად წარმოეთქვა ფილოსოფიური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის სიტყ-ვები. ამავე დროს მარჩელო წარმატებით უთავსებდა სახელმწიფო მდივნობას უნივერსიტეტის პედაგოგობას.

მარჩელო ვირჯილიო იყო მაკიაველის სწავლუ-ლი მეგობარი. ორივე მათგანს ჰქონდა საერთო ინტე-რესები და თანაბრად იყვნენ გატაცებულნი ანტიკური ავტორებით. 1506 წელს მაკიაველიმ მისი წახალისე-ბით დაწერა „ნიღბები“, რომელიც გარკვეულწილად წარმოადგენს არისტოფანეს „ღრუბლების“ მიბაძვას. ნიკოლოს და მარჩელოს მეგობრული ურთიერთობა სიკვდილამდე, 1527 წლამდე გაგრძელდა.

მაკიაველისთან მეგობრობდა აგრეთვე მეორე კანცელარიიდან მისი უმცროსი კოლეგა ბიანჯო ბუონაკორსი. იგი მაკიაველისათვის ძალზე სანდო და კარგი ადამიანი იყო. ნიკოლოსადმი მიწერილი წე-რილები გულისხმიერებითა და დეტალურობით გამოირჩეოდა, მათში ბიანჯო აღფრთოვანებას გამო-ხატავდა მაკიაველისადმი. ნიკოლო საზღვარგარეთ ყოფნისას პირველ რიგში ბიანჯოს მიმართავდა თხოვ-ნით, გაეგზავნა მისთვის წიგნები, ფული და გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება მისი ცოლ-შვილისთვის. ასე მაგალითად, 1502 წელს დიპლომატიური მისიით იმოლაში, ჩეზარე ბორჯას კარზე მყოფმა მაკიაველიმ

თხოვნით მიმართა ბიანჯოს, ეშოვა და გაეგზავნა მისთვის პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიები“. მაკიაველის ყველა თხოვნას ბიანჯო გულისხმიერად ასრულებდა და მუდმივად არწმუნებდა მას თავის ერთგულებაში. იგი მის ერთგულ მეგობრად დარჩა გაძევების პერიოდშიც.

მაკიაველის მეგობარი იყო მისი უმცროსი კოლეგა ბართოლომეო რუფინიც, რომელიც ნიკოლოს საქმიანობის თვითმხილველი იყო.

1502 წლის ივნისიდან მაკიაველი დაუმეგობრდა ვოლტერას ეპისკოპოსს ფრანჩესკო სოდერინის, როდესაც მათ ერთად მოუწიათ დიპლომატიური მისიის შესრულება ურბინოში ჩეზარე ბორჯასთან. ამ დროს იგი ეპისკოპოსის თანაშემწის როლს ასრულებდა. ფრანჩესკო სოდერინი მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა მაკიაველის. ნიკოლო ასევე მეგობრობდა ფრანჩესკოს ძმასთან პიეროსთან, რომელიც 1502 წლის სექტემბერში რესპუბლიკის პირველი მუდმივი გონფალონიერი გახდა. სოდერინის ოჯახის დიდი ხნის მეგობარი ნიკოლო მაკიაველი ათთა საბჭოს სახელით ესტუმრა პიეროს და დაწინაურება მიულოცა. რბილი ხასიათის, ჰუმანური პიერო სოდერინი კარგი ორატორი იყო, თუმცა არ გამოირჩეოდა დიდი ტალანტითა და ენერგიით. იგი დიდად აფასებდა მაკიაველის ნათელ გონებას, დაკვირვების უნარს, დაუღლელობას და მუდმივად სარგებლობდა მისი სამსახურითა და რჩევებით.

მაკიაველი დიდი გულისხმიერებით ეხმარებოდა სოდერინის და ყოველნაირად ცდილობდა მისი მმართველობის განმტკიცებას. ის კარგად იცნობდა და იზიარებდა მის ადმინისტრაციულ გეგმებს. 1503

წელს მაკიაველიმ სოდერინისთვის დაწერა სიტყვა „ფულადი შემოსავლების შესახებ“, რომელშიც მხარს უჭერდა ახალი გადასახადების შემოღებას და იმ აზრის განმტკიცების ფორმულირებას ახდენდა, რომ ყველა სახელმწიფოსთვის აუცილებელი იყო ძალების გონივრული გაერთიანება. იმისათვის, რომ ფლორენციელები დაერწმუნებინა, რესპუბლიკის მმართველთათვის მხარი დაეჭირათ, ის აქებდა მათ, ვინაიდან მათ შეძლეს, ერთსულოვნებისთვის მიეღწიათ სახელმწიფო აპარატში. 1504 წელს დაწერილ თავის პოემაში „მეორე ათწლეული“ ფლორენციელებს მოუწოდებდა, არ დაეკარგათ საკუთარი ხელისუფლების რწმენა, რომელსაც შეეძლო, განეჭვრიტა და აეცილებინა მოსალოდნელი საფრთხე.

1512 წელს მედიჩების მომხრეებმა ხელთ იგდეს ფლორენციის სინიორიის სასახლე პალაცო ვეკიო. მაკიაველი და პიერო სოდერინი ქალაქიდან გააძევეს. ემიგრაციაში ყოფნისას მათ ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ, ერთმანეთს ხშირად უგზავნიდნენ ბარათებს.

მაკიაველი მეგობრობდა აგრეთვე ფრანჩესკო ვეტორისთან, რომელიც ფლორენციის რესპუბლიკის სინიორიის პირველი კანცელარიის მდივანი გახლდათ. 1512 წლის გადატრიალების შემდეგ მან თანამდებობა შეინარჩუნა, ვინაიდან მედიჩები პირველ ხანებში ცდილობდნენ, ფლორენციისთვის არ დაეკარგვინებინათ რესპუბლიკის გარეგნული ფორმა. პოლიტიკური შეხედულებების ერთიანობამ, სახელმწიფო აპარატში ერთობლივმა საქმიანობამ, ორივესთვის მისაღებმა სახელმწიფო ინტერესებმა და მუდმივმა სამსახურებრივმა ურთიერთობებმა იმდენად დააახლოვა ვეტორი მაკიაველისთან, რომ ამ უკანასკნელის

გაძევების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ურთიერთობა და მიმოწერა; ცნობილია, რომ 1513 წლის დეკემ-ბერში, როდესაც ფრანჩესკო ვეტორი რომში საპასუ-ხისმგებლო მისიას ასრულებდა, მაკიაველი წერილე-ბით გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებდა რომის პაპის პოლიტიკის შეფასებაში. ამასთან ერთად მაკია-ველი მას თავის ტრაგიკულ ბედზე შესჩიოდა. მაკიავე-ლი იმდენად აფასებდა ვეტორის, რომ 1513 წელს, როდესაც თავისი ცნობილი ნაშრომი „IL Principe“ დაასრულა, მას გაუგზავნა სათანადო შეფასებისთვის.

1512 წლის დრამატული მოვლენების შემდეგ, რომლებმაც ფლორენციის რესპუბლიკის დაღუპვა გამოიწვია, მაკიაველიმ აქტიური პოლიტიკური მოღ-ვაწეობა შეწყვიტა. ფლორენციიდან გაძევებული მედიჩები ესპანურ-გერმანული ძალების მეშვეობით 1512 წლის 16 სექტემბერს ქალაქში დაბრუნდნენ (ისინი 1494 წელს განდევნეს). ხელისუფლების სათა-ვეში აღმოჩნდა უნიჭო ლორენცო მედიჩი, ლორენცო ბრწყინვალის შვილიშვილი, პიეროს ვაჟი (ეს უკა-ნასკნელი ფლორენციიდან გაიქცა 1494 წელს და 1502 წელს დაიღუპა). ფაქტობრივად ქალაქის მმართველი გახდა ლორენცოს ბიძა, კარდინალი ჯოვანი მედიჩი, შემდგომში პაპი ლეო X. საერთოდ კი, უნდა აღინიშ-ნოს, რომ მედიჩების ოჯახის წევრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ხელისუფლების სათავეში, მაგრამ ამავე დროს წამყვან როლს არ კარგავდნენ.

პოლიტიკური შემწყნარებლობა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო მედიჩების ტირანიის დასაწყი-სისთვის, მაკიაველიზე არ გავრცელებულა. კარდი-ნალმა ჯოვანიმ და ფლორენციის ტირანმა ლორენცო მედიჩიმ არ ისურვეს, მაკიაველისთვის ეპატიებინათ

რესპუბლიკური იდეების მხარდაჭერა და საქმიანობა. 1512 წლის 7 ნოემბერს მას ყველა თანამდებობა დაატოვებინეს, უფლებები აჰყარეს და ქალაქიდან ერთწლიანი გაძევება მიუსაჯეს. მედიჩების ბრძანების თანახმად, ერთ-ერთი პირველი გააუქმეს „ცხრათა საბჭო“, რომელიც სახალხო ლაშქარს განაგებდა და წინააღმდეგობას უწევდა ახალი ტირანიის პოლიტიკას. ამგვარად, პოლიტიკიდან გარიყული აღმოჩნდა კაცი, რომელიც პოლიტიკით არსებობდა და ცხოვრობდა.

1514 წლიდან დაიწყო მესამე, მაკიაველის ცხოვრების ყველაზე რთული პერიოდი გაძევებისა, უმოქმედობისა, ყველა თანამდებობიდან გადაყენებისა. მას შეეძლო, მხოლოდ წერილები მიეწერა ფლორენციაში მეგობრებისთვის და მოკლე ხნით ჩასულიყო ქალაქში. მეგობრებისადმი მიწერილ მრავალრიცხოვან წერილებს მაკიაველი ირონიულად წააწერდა ხოლმე: „ოდესღაც მდივანი“.

მაკიაველი, ენერგიით სავსე და დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსი და დიპლომატი, მთლიანად გადავიდა თავისი დაკვირვებების განზოგადებასა და გააანალიზებაზე, იტალიის ხსნის გზების ძიებაზე, რათა აეცილებინა ქვეყნის სრული დაპყრობის მოსალოდნელი საფრთხე. ამის პასუხს ის ანტიკურ ავტორებში ეძებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე მაკიაველი რჩებოდა მგზნებარე რესპუბლიკელად და თავისი პოლიტიკური მრწამსი არ შეუცვლია. ეს პერიოდი, რომელიც ყველაზე ტრაგიკული იყო მის ცხოვრებაში, ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის, რამაც მას სახელი და დიდება მოუტანა და რითაც იგი ცნობილი გახდა, როგორც

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნე.

1513 წლის დასაწყისში გაიხსნა მედიჩების საწინააღმდეგო შეთქმულება, რომლის სათავეშიც იმყოფებოდნენ ბასკოლი და ლუკა კაპონი. მათთან თანამონაწილეობის ეჭვის საბაბით მაკიაველი დააპატიმრეს, ციხეში სასტიკად აწამეს, ექვსჯერ გაამათრახეს, მაგრამ დანაშაული ვერ დაუმტკიცეს.

1513 წლის მარტში, ლეო X-მ რომის პაპის ტახტზე ასვლის შემდეგ გამოსცა ამნისტია. იგი შეეხო მაკიაველისაც, რომელიც საპყრობილიდან გაათავისუფლეს. მას ნება დართეს, ეცხოვრა ფლორენციიდან სამხრეთით 15 კმ-ზე მდებარე პერკუსინოს სანტ-ანდრეას მამულში, სანტ-კაშანოს მახლობლად. სწორედ ამ პერიოდში შექმნა მან თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. მაკიაველისთვის ეს იყო მძიმე სულიერი ტრავმა, მისი მიზნების საბოლოო კრახი. ოჯახთან ერთად თავის მამულში დამკვიდრებულს სულს უხუთავდა სოფლური ცხოვრება: „დიდხანს არ შეიძლება ასე გაგრძელდეს, წერდა იგი 1514 წლის 10 ივლისს – ეს უსაქმობა ბოლოს უღებს ჩემს არსებობას, და თუ ღმერთი წყალობის თვალით არ გადმომხედავს, ერთ მშვენიერ დღეს მივატოვებ ჩემს სახლ-კარს და აღმზრდელად ან მწერლად დავდგები რომელიმე დიდებულის ოჯახში“. ამაოდ ევედრებოდა იგი მეგობრებს, ეშუამდგომლათ მედიჩების წინაშე და თუნდაც სულ უმნიშვნელო თანამდებობა გამოეთხოვათ მისთვის: „ბედნიერი ვიქნებოდი, თუკი მედიჩები ისარგებლებდნენ ჩემი სამსახურით და რაიმე დავალებას მომანდობდნენ ფლორენციაში ან ქალაქგარეთ“.

ამაოდ მიუძღვნა ნიკოლომ თავისი სახელგანთქმული ნაწარმოები „მთავარი“ ლორენცო მედიჩის, პიეროს ძეს და ქედმოდრეკილი შეწყნარებას სთხოვდა მას: „...მიიღეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ეს მოკრძალებული ძღვენი იმავე გრძნობით, რომლითაც მე მას გწირავთ: თუკი ინებებთ და გულდასმით განიხილავთ, შიგ ჰპოვებთ ჩემს მხურვალე სურვილს, მიაღწიოთ იმ სიდიადეს, რასაც ფორტუნა და ბევრი თქვენი სხვა სიკეთე გიქადით. და თუ თქვენი უდიდებულესობა თავისი სიმაღლის მწვერვალიდან ერთხელ მაინც გადმომხედავს მოწყალედ, დარწმუნდება, თუ რაოდენ დაუმსახურებლად ვითმენ ბედისწერის სისასტიკესა და დაუსრულებელ უკუღმართობას“. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მთავარი“, რომელიც მაკიაველიმ თითქმის ერთი ამოსუნთქვით დაწერა, უნდოდა მიეძღვნა ჯულიანო მედიჩისთვის, ფლორენციის ახალი მმართველისათვის, მაგრამ 1516 წელს ჯულიანო გარდაიცვალა და მიძღვნის ადრესატად იქცა ლორენცო მედიჩი უმცროსი. მაგრამ არც ლორენცოსა და არც მის თანამოსაყდრეს ჯულიანოს (1523 წლიდან პაპი კლემენტიუს VII), არც მათ გერებსა და მემკვიდრეებს, ალესანდროსა და იპოლიტოს არ შეეძლოთ დიდი პოლიტიკოსის „რესპუბლიკური წარსულის“ დავიწყება. ძნელი იყო იმ აზრთან შეგუება, რომ აღარავის სჭირდებოდა, მაგრამ ნიკოლო თანდათანობით მიეჩვია განდევნილის ცხოვრებას. კაცი, რომელიც პირადად ესაუბრებოდა მეფეებსა და იმპერატორებს, კარდინალებსა და პაპებს, ,ახლა სოფლის მედუქნესა და ყასაბთან ბანქოს თამაშით იქცევდა თავს: „დილაადრიანად ვდგები და მივდივარ ტყეში, რათა დავხედო შეშის მჭრელებს,

რომლებიც ჩემს ტყეს ჭრიან; იქიდან ნაკადულისკენ მივეშურები, შემდეგ კი ჩიტების მახისკენ. ჯიბეში წიგნი მიდევს: ეს ან დანტეა და პეტრარკა, ანტიბუ-ლუსი და ოვიდიუსი. მე ვკითხულობ მათ სასიყვარუ-ლო ინტრიგებსა და თავგადასავლებს, ვიგონებ ჩემსას და ერთხანს ამ ფიქრებით ვტკბები. შემდეგ შევდივარ გზისპირას მდგარ დუქანში, ვესაუბრები გამვლელ-გამომვლელს, ვგებულობ ქვეყნის ამბებს, ყურს ვუგდებ ხალხის ყბედობას. ამასობაში სადილობაც მოატანს და ჩემს ოჯახთან ერთად ღარიბულ სუფ-რასთან ვჯდები... სადილის შემდეგ კვლავ მივდივარ დუქანში, სადაც ჩვეულებისამებრ უკვე სხედან მედუქნე, ყასაბი, მეწისქვილე და ორი მეფუნთუშე. მათთან ბანქოს თამაშში ვატარებ დანარჩენ დროს; თამაშში ხშირად მოგვდის ჩხუბი, ვაგინებთ და ვლანძღავთ ერთმანეთს, გამწარებულები ვიბრძვით თითოეული კუატრინოსთვის (იტალიური ხურდა ფული – ა.გ.) და ისე ვღრიალებთ, რომ ჩვენი ხმა თვით სან-კაშანომდე აღწევს. შებინდებისას შინ ვბრუნდები და ჩემი სამუშაო ოთახისაკენ მივდივარ, ზღურბლზე ვიხდი გატალახიანებულ და მტვერში ამოგანგლულ ჩემს გლეხურ სამოსს და სამეფო და საზეიმო ტანსაცმლით ვიმოსები. ასე მორთულ-მოკაზმული შევდივარ ანტიკური დროის ბრძენკაცთა საკრებულოში. ისინი ალერსით მიღებენ და აი, მე ვტკბები საზრდოთი, რომელიც მხოლოდ ჩემთვისაა გამზადებული. აქ მე დაუმორცხვებლად ვესაუბრები მათ, ვეკითხები მათი ქცევის მიზეზებს და ისინიც მოწყალედ მაძლევენ პასუხს. ოთხი საათის განმავლო-ბაში არ ვიცი, რა არის დაღლილობა და მოწყენილობა. მე მავიწყდება ყოველგვარი გასაჭირი, აღარ მაშინებს

სიღარიბე, არ ვუფრთხი სიკვდილს და მთელი არსებით ვინთქმები ამ გარდასულ სამყაროში“.

ნიკოლო მაკიაველი, ტოსკანური ღამის სიმშვიდეში თავის სამუშაო მაგიდაზე თავდახრილი, ზოგადად ადამიანის ყოფნა-არყოფნაზე, სახელმწიფოების ბედ-იღბალზე ესაუბრებოდა ანტიკურ ავტორებს. პლატონისა და არისტოტელეს პოლიტიკური დოქტრინები, ტაციტუსისა და ტიტუს ლივიუსის „ანალები“ და ქრონიკები, პოლიბიოსის „ისტორიულ ციკლთა“ თეორია, ციცერონისეული კონცეფცია და ა.შ. ზღვა მასალა ფიქრის, განსჯის, მსჯელობის, გარდასულ საუკუნეებთან შინაგანი დიალოგისთვის.

საფუძვლიანი ისტორიული ერუდიცია და იმდროინდელი ვითარების ღრმა, ამომწურავი ცოდნა და ანალიზი; აი, მაკიაველის მოძღვრების ორი ქვაკუთხედი. მაგრამ ისტორია მისთვის მხოლოდ საშუალება იყო, რომელიც ერთადერთ მიზანს – თანამედროვეობის უფრო სრულყოფილ წვდომასა და გააზრებას ემსახურებოდა.

1513 წელს მან დაიწყო წერა თავისი ერთ-ერთი შედევრისა – „მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ“. ამ ნაშრომზე მუშაობა მან „მთავარზე“ ადრე დაიწყო, მაგრამ შემდეგ მასზე მუშაობა შეწყვიტა და მხოლოდ 1519 წელს დაასრულა იგი. მაკიაველი „მსჯელობათა“ ცალკეულ თავებს ტიტუს ლივიუსის ქრონიკის ამა თუ იმ ეპიზოდის გადმოცემით იწყებს, მაგრამ ავტორს ძველი რომის ცხოვრება იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ყოველივე ეს საშუალებას მისცემს, უფრო ზუსტად უპასუხოს მისი თანამედროვე იტალიური სინამდვილის ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს: რას ემყარება სა-

ხელმწიფოს ძლიერება, რა განაპირობებს მის დაცემას და შეიძლება თუ არა კატასტროფების თავიდან აცილება. ამრიგად, ისტორია, მაკიაველის აზრით, სხვა არა არის რა, თუ არა ამქვეყნად ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ძალთა გადაადგილება – გადანაცვლება.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც მაკიაველიმ 1513 წელს გაძევების პერიოდში დაწერა, იყო „მთავარი“. ეს ნაშრომი აღმოჩნდა გვიანდელი აღორძინების ეპოქის ყველაზე შთამბეჭდავი ნაწარმოები, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თანამედროვეთა შორის, მოგვიანებით კი სახელმწიფოს მართვასა და მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ შეიქმნა მდიდარი კრიტიკული ლიტერატურა. ნიკოლოს გამოუჩნდა მრავალი თაყვანისმცემელი და მომხრე, ისევე როგორც მტერი და მოწინააღმდეგე.

„მთავარი“ ერთგვარი გვირგვინია მაკიაველის მთელი მოღვაწეობისა. მასში მან უმაღლეს ოსტატობას მიაღწია. საკუთარი დასკვნების გამომსახველობით ეს თხზულება წარმოადგენს დაღვინებული პოლიტიკოსისა და გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწის ფიქრისა და განსჯის ნაყოფს, რომელმაც საკუთარი პოლიტიკური თეორიებით ბევრად გაუსწრო თავის ეპოქას. „მთავარს“ ყოველთვის თან სდევდა უმაგალითო და სკანდალური დიდება, უშუალოდ დაკავშირებული თვით „მაკიაველიზმის“ გაგებასთან, რომელმაც თავისთავად მომავალი თაობებისთვის შექმნა პოლიტიკოსის, სახელმწიფოს მმართველის ორი, განსხვავებული სახე. ერთი მხრივ, ვერაგი, უპრინციპო,

მკაცრი და, მეორე მხრივ, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული პოლიტიკოსისა.

მაკიაველის „მთავარს“ აღორძინების ეპოქის სხვა ნაწარმოებებისგან ისიც განასხვავებს, რომ მას დღემდე დიდი ინტერესით კითხულობენ ისინიც კი, ვისაც საერთოდ არ აინტერესებთ პოლიტიკა. „მთავარში“ ნათლად იგრძნობა რენესანსის ეპოქის პოლიტიკური მორალი.

მაკიაველი მიიჩნევდა, რომ იტალიის უბედურება გამოწვეული იყო ძირითადად პოლიტიკური დაქუცმაცებულობით. აქედან გამომდინარე, მან შექმნა თეორია სახელმწიფოს შესახებ, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი იქნებოდა ამ დანაწევრებულობის გადალახვა. იგი ცდილობდა, გაერკვია ნაციონალური კატასტროფის მიზეზები, რომელიც თავს დაატყდა როგორც მის მშობლიურ ქალაქს, ისე მთლიანად იტალიას. მისი თანამედროვე ისტორიკოსებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს პრობლემას ის განიხილავდა საერო და არა თეოლოგიური პოზიციიდან და ცდილობდა, აეხსნა საზოგადოებრივი განვითარების კანონები, რომლებიც ეყრდნობოდა ისტორიულ მოვლენებს, ადამიანის ფსიქიკას, რეალური ფაქტებისა და ვითარების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, იგი მივიდა დასკვნამდე, რომ დამოუკიდებელი იტალიური სახელმწიფოს შექმნა შეეძლო მხოლოდ ძლიერ ხელისუფალს. მაკიაველის კონცეფციის თანახმად, ძლიერი პიროვნება მზადაა იმისთვის, რომ წინ აღუდგეს შემთხვევით გარემოებათა დამთხვევას, დაუპირისპიროს მას საკუთარი ენერგია, შორსმჭვრეტელობა, შეძლოს პოლიტიკის შეცვლა სიტუაციის შესაბამისად.

იდეალური მმართველის მაგალითად მაკიაველის მიაჩნდა რომანიის ჰერცოგი ჩეზარე ბორჯა, რომელმაც კანონიერებისა და ზნეობრიობის იგნორირებით შეძლო, განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც ემსახურება პოლიტიკას, უნდა ჩაითვალოს დადებითად, ხოლო რაც მას ეწინააღმდეგება, უარყოფითად. მიზნის მისაღწევად ხელისუფალი სიმკაცრესაც არ უნდა მოერიდოს. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და მისი ერთიანობის სიმტკიცის შესანარჩუნებლად, მაკიაველი ნებისმიერ საშუალებას დასაშვებად მიიჩნევდა, იქნებოდა ეს ძალადობა, სიცრუე, მკვლელობა, ღალატი, ვერაგობა თუ გამცემლობა.

აღორძინების პოლიტიკური იდეების ისტორიაში მნიშვნელოვანი შენაძენი იყო მაკიაველის მიერ ჩამოყალიბებული იტალიის პოლიტიკური გაერთიანების თანმიმდევრული თეორია, რომელიც ეფუძნებოდა რეალური ვითარების ანალიზს და ნაკარნახევი იყო ღრმად გააზრებული პატრიოტიზმით.

სახელმწიფოს შესახებ არსებულმა პოლიტიკურმა თეორიამ მისი შემქმნელის პატივსაცემად შეიძინა სახელი „მაკიაველიზმი“. მასში მოიაზრებოდა პოლიტიკა, რომელიც უგულებელყოფდა მორალის ნორმებს, ქადაგებდა ცინიზმს და ყოველივე ეს მკვეთრად და ლაკონურად იყო გამოსახული ცნობილ თეზისში: „მიზანი ამართლებს საშუალებას“, რომლის ლოგიკური ფინალი კი იყო ის, რომ „გამარჯვებულს არ ასამართლებენ“. მაკიაველის „მთავარის“ შეფასებაში მრავლისმეტყველია წარმოშობით ფლორენციელის, საფრანგეთის პირველი იმპერატორის ნაპოლეონ I ბონაპარტის ცნობილი სიტყვები: „მთავარი“

ის ერთადერთი წიგნია, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა იკითხო“.

მაკიაველის პოლიტიკური შემოქმედების მნიშვნელოვანი ტრაქტატია ასევე „მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ“. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მასში მაკიაველიმ აღწერა რომის სახელმწიფოს მმართველობის პოლიტიკური სისტემა, დანახული რესპუბლიკისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის მომხრის პოზიციიდან. სახელმწიფოს მართვის საუკეთესო ფორმად მას რესპუბლიკა მიაჩნდა. იგი უპირატესობას ანიჭებდა რესპუბლიკური მმართველობის ფორმას, განსხვავებით არისტოკრატული ხელისუფლებისა, სადაც ხალხს უფრო მეტი ნდობა უნდა გამოცხადებოდა. მაგრამ იგი დარწმუნებული იყო, რომ იტალიური რეალობა მოითხოვდა ერთმმართველობის დამყარებას. მაკიაველი შორეული წარსულის მოვლენების გაანალიზებისას და ამ მიზნით ანტიკურ ავტორთა თხზულებების გამოყენებისას პარალელებს ავლებდა მის თანამედროვე ეპოქასთან და ზოგჯერ იტალიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მომავალსაც პროგნოზირებდა. ამ თხზულებაში მაკიაველიმ უფრო ღრმად, ვიდრე სხვა ნაწარმოებებში, დაიწყო ძებნა იტალიის ხსნის მაგალითებისა ძველი რომის ისტორიიდან. იგი ბაძავდა ანტიკურ კლასიკოსებს არა მხოლოდ წერის მანერაში, არამედ მოვლენათა გაანალიზებასა და განსჯაშიც. დანტეს, პეტრარკასა და კოლა დი რიენცოს მსგავსად, მაკიაველი ოცნებობდა გაერთიანებულ, დიად იტალიაზე, მაგრამ, მათგან განსხვავებით, მან შექმნა თავისი პოლიტიკური ოცნებების ზუსტი თეორიული დასაბუთება. თუმცა მისი მწყობრი თეორია ზუსტი

და გასაგები იყო მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა უშუალოდ მოქმედების პროგრამას. ისტორიიდან ამოღებული წარსულის მაგალითები, რომლებიც გადატანილი იყო სხვა განზომილებაში, კარგავდა თავის დამაჯერებლობას და მომავალი საზოგადოების აღწერა ბუნდოვანი და გაურკვეველი ხდებოდა.

მიუხედავად მაკიაველის შინაგანი ძალებისა და დარწმუნებისა, მგზნებარებისა და ლოგიკური მტკიცებულებებისა, იტალიის ეროვნული გაერთიანების შესაბამისი იდეა განუხორციელებელი იყო იმიტომ, რომ ამ იდეამ რამდენიმე საუკუნით გაუსწრო იტალიის განვითარებას. მაკიაველის დასკვნებმა ზღვაში ჩაძირეს ის წინააღმდეგობები და სირთულეები, რომლებიც გადაიტანა მისმა სამშობლომ XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ დროს იტალიური სახელმწიფოები ისე ღრმად შევიდნენ თავის ინტერესთა დაშლა – დაქუცმაცებაში, რომ უკვე აღარ ჩანდა მათი სეპარატიზმის დაძლევის არანაირი პერსპექტივა. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იტალიურ ომებს, როდესაც თითოეული სახელმწიფო მოქმედებდა სხვებისგან დამოუკიდებლად.

იტალიური ომების თანამედროვე, მაკიაველი თვითმხილველი იყო იტალიის პოლიტიკური კრიზისისა და სამხედრო სისუსტისა, ამიტომაც იგი ეძებდა მიზეზებს სხვა სახელმწიფოთა ძლიერი და სუსტი მხარეების მაგალითზე, სწავლობდა მათ შეიარაღებულ ძალებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით იგი ეძებდა თავისი ქვეყნის ხსნის გზებს. ცნობილი იტალიელი მკვლევარი ფრანჩესკო დე სანკტისი ამასთან დაკავშირებით წერდა: „მაკიაველი მაღალი ზნეობის მომხრეა; ის ქებას ასხამს დიდსულოვნებას, გულ-

მოწყალებას, ღვთისმოსაობას, გულწრფელობას და სხვა სიქველეთ, მაგრამ იმ პირობით, რომ მათ შეიძლება რაიმე არგონ სამშობლოს, ხოლო თუ ისინი ხელშეწყობის მაგიერ, პირიქით, აფერხებენ მის წინსვლას, მაკიაველი უარყოფს და თავიდან იშორებს მათ“.

„მთავარის“ ავტორს პოლიტიკურ ამორალობაში სდებდნენ ბრალს. პოლიტიკისა და მორალის ურთიერთმიმართების საკითხი კი მეტად დელიკატური პრობლემაა, რომელიც არსებითად ძალისა და სამართლიანობის თანაფარდობამდე დაიყვანება. ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ,ალბათ იშვიათად თუ გამოუთქვამს ვინმეს უფრო ზუსტად და ლაკონურად ამ თანაფარდობის აზრი, ვიდრე ეს მოახერხა ბლეზ პასკალმა: „მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია; ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ რომ ამქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი; უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებთ კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა; ამიტომ ან სამართლიანობაუნდა გახდეს ძლიერი, ანდა ძალა – სამართლიანი“.

ძლიერი სამართლიანობა – სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ზნეობის მარადიული იდეალი – ეს იყო მაკიაველის მთელი მოღვაწეობისა და მისი ოცნების ქვაკუთხედი. მიუხედავად მაკიაველის იდეების შემოქმედებითი აქტივობისა, მიეღო პოლიტიკური თანამდებობა, არ გამართლდა. უფრო მეტიც: როცა რომის პაპმა ლეო X-მ გაიგო, რომ მედიჩები აპი-

რებდნენ მაკიაველისთვის სამსახურის შეთავაზებას, დაავალა თავის მდივანს, პიერო არდინჩელის, ამისთვის მკაცრად მოეთხოვა პასუხი ფლორენციის მმართველისთვის.

მაკიაველის მხარდაჭერა გამოუცხადა არა ფლორენციის ხელისუფლების მმართველმა ელიტამ, არამედ მედიჩების მიმართ ოპოზიციურად განწყობილმა საზოგადოებამ. 1516 წელს იგი დაუახლოვდა კოზიმო რუჩელაის და ძანობი ბუონდელმონტს. რუჩელაის ბაღში იმართებოდა მათი შეკრებები ახალგაზრდა პარტნიორებთან ერთად. ისინი საუბრობდნენ შემოქმედებით იდეებზე, ლიტერატურის ახალ პრინციპებზე. ეს შემოქმედებითი შეხვედრები დაედო საფუძვლად „მსჯელობებს ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ“. მაკიაველიმ ეს ნაწარმოები კონკრეტულად უძღვნა ძანობი ბუონდელმონტს 1519 წელს, რითაც მისდამი განსაკუთრებული სითბო და პატივისცემა გამოხატა. აღნიშნული ნაწარმოები 1513-1517 წლებში დაიწერა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ XVII-XVIII თავებზე მუშაობისას მაკიაველიმ რამდენიმე თვით შეწყვიტა მუშაობა (1513 წლის ივლისი-დეკემბერი), როდესაც მან შექმნა „მთავარი“.

„მსჯელობანი“ შედგება სამი წიგნისგან, რომელთაგან პირველში გაანალიზებულია რომის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა, მეორეში – მისი საგარეო პოლიტიკა, მესამეში კი – რომის ისტორიის შეფასება. ნაშრომის ასეთი კომპოზიცია თითქმის ზუსტად შეესაბამება მაკიაველის იდეების დინამიკას, მის მიზნებსა და მითითებებს, დროის მსვლელობის ცვლილებებთან ერთად, ისტორიას, მის იმედებსა და გაცრუებებს. შეიძლება ითქვას, რომ მაკიაველის

ცხოვრების ბოლო პერიოდში შექმნილი პოლიტიკური ტრაქტატები და ისტორიული შრომები „თავისი სიღრმითა და დრამატიზმით ახლოს იყო მიქელანჯელოს „საშინელ სამსჯავროსთან“.

რუჩელაის ბაღების ატმოსფერომ ასევე ნაყოფიერი გავლენა მოახდინა მაკიაველის იმ შრომებზე, რომლებიც შეიქმნა 1516-1520 წლებში, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისი ცნობილი ტრაქტატი „ომის ხელოვნება“ (1519-1520), სადაც მის მიერ სამხედრო-თეორიული მეცნიერების სრულყოფამ განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია. ამ ნაშრომის გაცნობისას მაკიაველი ჩვენს თვალწინ წარმოჩნდება, როგორც სამხედრო თეორეტიკოსი და სტრატეგი. საილუსტრაციოდ მოგვყავს მისი რამდენიმე შესანიშნავი გამონათქვამი: „მოლაშქრეთა სიმამაცე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი სიმრავლე, მაგრამ ხელსაყრელი პოზიცია ზოგჯერ სიმამაცეზე უფრო სასარგებლოა და მომგებიანი“... „ხალხი, იარაღი, ფული და პური, აი, ომის სასიცოცხლო ძალა, მაგრამ ამ ოთხიდან უმთავრესია პირველი ორი, ვინაიდან ხალხითა და იარაღით ყოველთვის შეიძლება ფულისა და პურის შოვნა მაშინ, როდესაც მარტოოდენ ფულით და პურით ვერც ხალხს იშოვნი და ვერც იარაღს“.

მაკიაველის თხზულებები გამოირჩევიან მკვეთრი გამომსახველობით, გამოკვეთილი სახეების შექმნითა და სიტყვაკაზმულობით. მისი ლიტერატურული შემოქმედება წარმოადგენს შესანიშნავი და მკაცრი იტალიური პროზის ნიმუშს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „დიალოგი ჩვენი ენის შესახებ“ (1514-1516). დაუმთავრებელ პოემაში „ოქროს

სახედარი“ (1516-1517) მთავარი გმირი გამოხატავს თავად მაკიაველის პესიმისტურ შეხედულებებს საზოგადოებაზე.

„ზღაპრები ბელთაგორის შესახებ“ (1518) იტალიური აღორძინების ხანის ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა. მისი სათავე ხალხური ზღაპრებია, რომლებიც გლეხური საზოგადოების წიაღში იშვა. მასში გადმოცემულია მძაფრი სატირა მაკიაველის დროინდელი ეპოქის ყოფასა და ადათ-წესებზე.

მკვეთრად სატირული და ამავე დროს გასართობი კომედიები „მანდრაგორა“ (1518) და „კლიცია“ (1525) ძირითადად ადათ-წესების თემას ეხება.

ფლორენციული პოეზიის სულისკვეთებითაა გამსჭვალული მაკიაველის ლიტერატურული ნაწარმოებები: „უმადურობაზე“, „ფორტუნაზე“, „პატივმოყვარეობაზე“, „შემთხვევაზე“, „თხზულება ბარბარეზე“ და სხვა ლირიკული ქმნილებები. უმეტეს მათგანში გარკვეულწილად წამოწეულია პოლიტიკური და ფილოსოფიური საკითხები.

1519 წელს მაკიაველიმ მეგობრების, განსაკუთრებით კი ვეტორის გააქტიურების შედეგად მოიპოვა ფლორენციაში დაბრუნების უფლება. მაკიაველიმ სცადა, თავი შეეხსენებინა ფლორენციის იმდროინდელი მმართველებისთვის. ამ მიზნით დაწერა ლირიკული ხასიათის ნაწარმოები „ჯულიანო და ლორენცო მედიჩებისთვის“. რომის პაპს ლეო X-ს, რომელიც ფლორენციის რესპუბლიკასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, მაკიაველიმ მიუძღვნა ნაშრომი „მსჯელობანი ფლორენციის საქმეთა გაუმჯობესების შესახებ“ (1519), რომელშიც ის თამამად სთავაზობდა მმართველობის სისტემაში ცვლილებების შეტანას. ეს თხზუ-

ლება იქცა იტალიის წარსული და მაკიაველის თანა-მედროვე სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმე-ბის შესწავლის ანალიზად. მასში ავტორმა მოგვცა ახალი სახელმწიფოებრივი წყობის თეორიული დასა-ბუთება. ამ წყობას უნდა შეეცვალა მედიჩების ტირა-ნია ფლორენციაში. მაგრამ ვერც ამჯერად მიიპყრო მაკიაველის თხზულებამ ფლორენციის ხელისუფალ-თა ყურადღება. მათ არ მოიწონეს მისი ოცნება სა-ხელმწიფოებრივი მმართველობის გარდაქმნის შესახებ.

დროდადრო მაკიაველი წერდა სხვადასხვა გა-სართობი ხასიათის ნაწარმოებებსაც („მეუდაბნოე“, „ციდან განდევნილი ეშმაკები“, „მწუხარებით შეპყრო-ბილი შეყვარებულები და ქალბატონები“).

1520 წლის შემოდგომაზე მაკიაველიმ სცადა ფლორენციის უნივერსიტეტის ყურადღების მიპყრობა და ამ მიზნით მან მეგობრებს დაუგზავნა ჯერ კიდევ მელანშეუმშრალი თავისი ახალი ნაწარმოები „ლუკე-ლი კასტრუჩო კასტრაკანის ცხოვრება“. ეს ნაწარმოები დაიწერა მას შემდეგ, რაც მაკიაველი ლუკაში გაემგზავრა უმნიშვნელო დავალებით – მოეგვარებინა კერძო პირების სავაჭრო საქმეები. ლუკაში ის გაეცნო ქალაქის ისტორიულ წარსულსა და სახელმწიფო წყო-ბას, აგრეთვე ცნობილი კონდოტიერისა და ტირანის კასტრუჩო კასტრაკანის ბიოგრაფიას. თავისი შთაბეჭ-დილებები მან იმავე წელს გადმოსცა წიგნში „ქალაქ ლუკას აღწერა“. მასში იდეალიზებული იყო კასტრუ-ჩო კასტრაკანის ცხოვრება. ამ თხზულებით მას უნდოდა, თავისი მეგობრებისთვის ეჩვენებინა ისტო-რიული ფაქტების დალაგების მეთოდი.

იმავე წლის ნოემბერში მაკიაველი სახელმწიფო სამსახურს დაუბრუნდა, სადაც მან ისტორიოგრაფის თანამდებობა დაიკავა.

მაკიაველის იმედები რეალობად აქცია ფლორენციის უნივერსიტეტის მეპატრონემ კარდინალმა ჯულიო მედიჩიმ. ნიკოლომ მისგან მიიღო დავალება, დაეწერა „ფლორენციის ისტორია“.

ფლორენციის ხელისუფლებამ აღიარა მაკიაველის ლიტერატურული დამსახურება. რაც შეეხება მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, მედიჩები მას უმნიშვნელოდ სწყალობდნენ. ამ მხრივ ძალზე იშვიათად და ისიც მეორეხარისხოვანი დავალებების შესასრულებლად იყენებდნენ მის დიპლომატიურ ტალანტს. ასე მაგალითად, 1521 წელს იგი გაგზავნეს კარპის ფრანცისკელთა ორდენის მონასტერში, სადაც კარდინალ ჯულიო მედიჩის სახელით შუამდგომლობდა ფლორენციის მონასტრების საგანგებო პროვინციად გამოყოფის საკითხს. გარდა ამისა, მატყლის საამქროს კონსულებმა დაავალეს მას, კარპიდან ფლორენციაში ჩაეყვანა გამორჩეული მოძღვარი.

1525 წელს მაკიაველი გაემგზავრა ვენეციაში, რათა იქ დაეცვა ფლორენციელ ვაჭართა ინტერესები. იგი ენერგიულად ასრულებდა თავისი სახელმწიფოს, თუნდაც უმნიშვნელო დავალებებს, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოთა ლიდერების სარფიან წინადადებებზე უარს აცხადებდა. მაგალითად, 1521 წელს მან უარი განუცხადა კარდინალ პროსპერო კოლონას მდივნობაზე, ასევე უარი განაცხადა საფრანგეთში სამსახურზეც.

1522 წელს მაკიაველი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გაიხსნა შეთქმულება, რომლის მიზა-

ნი იყო ფლორენციის მმართველის კარდინალ ჯულიო მედიჩის მკვლელობა. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ხელმძღვანელობდნენ ძანობი ბუონდელმონტი და ლუიჯი ალამანი. შეთქმულები დაკავშირებული იყვნენ რუჩელაის ბაღის მსმენელებთან. ჯულიო მედიჩიმ იცოდა, რომ მაკიაველი პირადად ახლოს იცნობდა შეთქმულებს, თუმცა მან იგი ვერ გაიმეტა დასაპატიმრებლად.

პოლიტიკური პრობლემების კვლევისას მაკიაველის ყურადღების ცენტრში ყოველთვის იმყოფებოდნენ სახელმწიფოთა მეთაურები და სხვა მაღალი რანგის პოლიტიკოსები და დიპლომატები. აქედან გამომდინარე, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ელჩების საქმიანობას, რომლებსაც უშუალოდ ევალებოდათ მათთან ურთიერთობების დარეგულირება. იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა ისეთ წმინდა პრაქტიკულ საკითხებსაც, როგორებიც იყო: ელჩის ქცევის ნორმები უცხო ქვეყანაში ვიზიტის დროს, მოლაპარაკების წარმართვის, დიპლომატიური მისიის წარმომადგენელთა დაკვირვების, მოხსენებითი ბარათის შედგენის უნარი და ა.შ. ამ მხრივ ნიშანდობლივია 1522 წელს მაკიაველის მიერ შედგენილი ინსტრუქცია, რომელიც მან მისცა რომის საღვთო იმპერატორის კარლ V-ის კარზე გაგზავნილ ფლორენციის ელჩს – რაფაელო ჯიროლამოს: „...უწინარეს ყოვლისა, თქვენ უნდა შეისწავლოთ იმპერატორის ხასიათი: თვითონ მართავს სახელმწიფოს, თუ სხვებს ანდობს მის მართვას, ძუნწია თუ უხვი, ომის მოსურნეა თუ მშვიდობისმოყვარე, რა უფრო ძლიერია მასში: პატივმოყვარეობა თუ რაიმე სხვა ვნება, პატივისცემით სარგებლობს თუ არა თავის ქვეშევრდომთა

შორის, რანაირი მრჩევლები ახვევია გარს, რა სურთ ამ მრჩევლებს: ახალ – ახალი ომებისთვის აქეზებენ, თუ ურჩევენ, ისარგებლოს თავისი ახლანდელი მდგომარეობით, რაც ესოდენ ხელსაყრელია მისთვის? თქვენ უნდა დაუკვირდეთ აგრეთვე იმპერატორისგან განკერძოებით მცხოვრები ბარონებისა და დიდებულების განწყობილებას, გაიგოთ, დიდია თუ არა მათი გავლენა და ძლიერება, კმაყოფილი არიან თუ არა იმპერატორით ,ანდა თუ უკმაყოფილონი არიან, რა გზით შეუძლიათ ავნონ მას, და შეუძლია თუ არა საფრანგეთს მათი მოსყიდვა და თავის მხარეზე გადაბირება?“.

თავის დიპლომატიურ მოღვაწეობაში მაკიაველი პირადად იყენებდა იმ წესებს, რომლებსაც სახელმძღვანელო პრინციპად უსახავდა ჯიროლამოს. ამის შესანიშნავი ნიმუშია იმპერატორ მაქსიმილიან პირველისა თუ ჩეზარე ბორჯას მისეული დახასიათებანი, რომლებშიც აზრის სიცხადე და გამჭრიახობა უშუალოდ ერწყმის მოვლენების არსში უებრო წვდომის უნარსა და ადამიანის ფსიქიკის ღრმა ცოდნას.

მოგვიანებით მაკიაველი მთელი არსებით იყო დაკავებული „მანდრაგორას“ თეატრის დადგმით, რომელიც 1524 წელს წარმოადგინეს ბერნარდო დი ჯორდანოს სახლის სცენაზე. მაგრამ მისთვის მთავარ მიზანს მაინც „ფლორენციის ისტორიაზე“ მუშაობა წარმოადგენდა, რომელიც 8 წიგნად დაიწერა. მასში ძირითადად გადმოცემული იყო მთელი იტალიის პოლიტიკური ისტორია. მაკიაველი ცდილობდა, აეხსნა იტალიის ისტორიული განვითარების სოციალური მიზეზები. ამავე დროს, მისი აზრით, ისტორიის განვითარების მამოძრავებელ ძალას პოლიტი-

კური ბრძოლა წარმოადგენდა. ნაშრომის ყურადღების ცენტრში იდგნენ კონკრეტული ინდივიდები, ხალხი, ქვეყანა. მაკიაველის აშკარა სიმპათიები ვაჭარ-ხელოსანთა ფენის მხარეზე იხრებოდა. ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე დაწერილი ეს თხზულება მაკიაველიმ 1525 წელს დაასრულა. იმავე წელს იგი ჩავიდა რომში და იქ ეს ნაშრომი გადასცა რომის პაპს კლემენტიუს VII-ს, რომელმაც იგი დაუკ-ვეთა ჯერ კიდევ 1520 წელს, კარდინალ ჯულიო მედიჩად ყოფნის დროს.

„ფლორენციის ისტორიის“ გადაცემისას მაკიავე-ლიმ პაპს სთხოვა არა ჰონორარის გაზრდა, არამედ რომანიაში პაპის საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა სახალხო ლაშქრის სახით. მაკიაველი შეშფო-თებული იყო იმით, რომ იტალიის დამოუკიდებ-ლობას ემუქრებოდა ესპანეთი, რომელსაც სათავეში ედგა მეფე, 1519 წლიდან რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი კარლ V, რომლის უზარმაზარ იმპე-რიაში, როგორც ამბობდნენ, მზე არასოდეს ჩადიოდა (იმპერიის სივრცე ამერიკის კონტინენტზეც იყო გადა-ჭიმული).

მაკიაველიმ კლემენტიუს VII-ს წარუდგინა თა-ვისი მოსაზრებანი იტალიის შესაძლო ხსნის შესახებ. ფაენცაში მასთან ერთად ამავე საკითხზე მიწვეული იყო ფრანჩესკო გვიჩარდინი, რომელსაც პაპი ძალიან ენდობოდა.

ფრანჩესკო გვიჩარდინიმ (1483-1540), ცნობილმა იტალიელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და შესანიშნავმა დიპლომატმა მოგვიანებით თავი გამოიჩინა, როგორც ისტორიკოსმა თავისი თხზულებით „იტალიის ისტო-რია“. იგი მიეკუთვნებოდა ფლორენციელი მაგნატე-

ბის წრეს. მედიჩების რესტავრაციის პერიოდში გვიჩარდინი ერთგულად ემსახურებოდა მათ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მედიჩების გვარის ორი პაპის კარზე მაღალი თანამდებობები ეჭირა: 1516-1524 წლებში გვიჩარდინი იყო პაპ ლეო X-ის წარმომადგენელი მოდენაში; კლემენტიუს VII-ის დროს, 1524-1526 წლებში მისი წარმომადგენელი იყო ჯერ რომანიაში, 1531-1534 წლებში კი ბოლონიაში.

გვიჩარდინის დიპლომატიური აფორიზმებიდან ძალზე შთამბეჭდავად ჟღერს მისი ცნობილი ფრაზა: „გააკეთეთ ყველაფერი, რათა აღმოჩნდეთ გამარჯვებულის მხარეზე“. როგორც პოლიტიკოსი, იგი სკეპტიკურად იყო განწყობილი რომის პონტიფექსებისადმი და საერთოდ, ეკლესიისადმი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ ორი პაპის სამსახურში მყოფს პოლიტიკური კარიერა გაეკეთებინა.

ფრანჩესკო გვიჩარდინი, მაკიაველის უმცროსი თანამედროვე, კეთილგანწყობილი იყო ნიკოლოსადმი და დიდად აფასებდა მის გონებასა და ენერგიას. იგი მზად იყო, გაეთვალისწინებინა მაკიაველის რჩევები. როდესაც მაკიაველიმ წინადადება მიიღო, ჩასულიყო ფაენცაში და მონაწილეობა მიეღო იტალიის დაცვის სასწრაფო ღონისძიებათა განხილვაში, ამ ფაქტმა გვიჩარდინის საშუალება მისცა, ჩართულიყო აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაკიაველიმ გვიჩარდინის შესთავაზა, დაეწყოთ ბრძოლა გარეშე მტრის წინააღმდეგ სახალხო ლაშქრის (მილიცია) ძალებით, რომელიც ჩაანაცვლებდა კონდოტიერთა დაქირავებულ ჯარს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გვიჩარდინი აფასებდა მაკიაველის ლავირების უნარს რთულ სიტუაციებში, უარი თქვა მის

წინადადებაზე; ფლორენციელი მდიდარი არისტოკ-რატიის იდეოლოგი და წარმომადგენელი ფრანჩესკო გვიჩარდინი ზიზღით უყურებდა დემოკრატიულ მმართველობას და ვერ იტანდა ხალხს. მაკიაველის თავდაცვითი პროექტი მას ძალზე სახიფათოდ ეჩვენებოდა.

გვიჩარდინის პანიკურად ეშინოდა ხალხის მასე-ბის აქტივობისა და დემონსტრაციებისა, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაკიაველისეული პროექ-ტი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს ემსახურებოდა, მან თავი შეიკავა ხალხისთვის იარაღის გადაცემაზე.

1526 წლის მაისში რომის პაპ კლემენტიუს VII-ის ინიციატივით საფრანგეთის ქალაქ კონიაკში შეიქმნა ანტიესპანური ლიგა, რომელშიც გაერთიანდნენ: საფ-რანგეთი, ვენეცია, გენუა, ფლორენცია და მილანის ჰერცოგი. იტალია ომის სამზადისს შეუდგა, მაგრამ კარლ V-მ მოვლენებს დაასწრო. მან 12 ათასი გერ-მანელი მეომრით მილანი აიღო. უშუალო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა ფლორენცია. ნიკოლომ გადაწყვიტა, დახმარებოდა მშობლიურ ქალაქს. მან ანტიესპანურ ლიგას წარუდგინა ქალაქის დაცვის პროექტი, რომე-ლიც მოიწონეს.

ფლორენციაში შეიქმნა ახალი მაგისტრატურა, ე.წ. „ხუთთა კომისია“, რომელსაც დაევალა ქალაქის თავდაცვითი ზღუდეების გამაგრება. კომისიის მდივ-ნად დაინიშნა მაკიაველი. ეს იყო პირველი თანამდე-ბობა, რომელიც მან მიიღო მედიჩების მმართველობის დროს. სამწუხაროდ, მისთვის ეს უკანასკნელი სამსა-ხური აღმოჩნდა.

მაკიაველის ესმოდა, რომ ომი გარდაუვალი იყო, ამიტომაც მისთვის დამახასიათებელი შემართებით

შეუდგა აქტიურ საქმიანობას. მას ყველგან ხედავდნენ: საფორტიფიკაციო ნაგებობებზე, ჯარისკაცებს შორის თუ ბრძოლის ეპიცენტრში. ამ პერიოდში მაკიაველი განასახიერებდა იტალიურ „virtu“-ს (ზნეობრიობასა და სათნოებას). 1526-1527 წლებში ნიკოლო მაქსიმალურად იყო დატვირთული და ყველანაირად ცდილობდა, მუდამ მერყევ პაპ კლემენტიუს VII-ში საკუთარი ძალების რწმენა განემტკიცებინა.

1527 წლის გაზაფხულზე ფლორენციამ, მაკიაველის ენერგიული საქმიანობის წყალობით, შეძლო თავდაცვითი ბრძოლისთვის მომზადება. კარლ V-ის გერმანულ-ესპანურმა ჯარებმა მოძრაობა დაიწყეს მილანიდან სამხრეთის მიმართულებით. გზაზე ისინი ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. საიმედოდ გამაგრებულ ფლორენციას მათ გვერდი აუარეს და თანდათანობით რომს მიუახლოვდნენ. ამ ფაქტმა იტალიის მდიდარ ქალაქებში საშინელი პანიკა გამოიწვია. 1527 წლის მაისის დასაწყისში დამპყრობელთა მოწინავე რაზმები „მარადიულ ქალაქში“ შეიჭრნენ. უმდიდრესი და დაუცველი რომი პირწმინდად გაძარცვეს. იტალიის ისტორიაში ეს ფაქტი ცნობილია, როგორც Sacco di Roma. კლემენტიუს VII სანტ-ანჯელოს ციხესიმაგრეში ჩაიკეტა. დამპყრობლებმა არ დაინდეს არც უძველესი წმინდა ადგილები, არც ხელოვნების ძეგლები და ეროვნული სიწმინდეები.

ფლორენციაში ხალხის მასებმა ისარგებლეს კარლ V-ის რომზე შეტევით, მედიჩების ოჯახის წევრებს შორის ურთიერთდაპირისპირებით, შავი ჭირის ეპიდემიით გამოწვეული სრული უწესრიგობით და მათთვის საძულველი მედიჩები კვლავ განდევნეს ფლორენციიდან.

1527 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ფლორენციაში აღდგა რესპუბლიკური მმართველობა. ხელისუფლებაში მოვიდნენ სავონაროლას მომხრეებიდან გადარჩენილი და რადიკალურად განწყობილი ხელოსნები და ვაჭრები. კვლავ ამოქმედდა დიდი საბჭო, აღდგა სავონაროლას დროინდელი კონსტიტუცია, მუშაობას შეუდგა ათთა საბჭოც.

60 წელს მიტანებულმა მაკიაველიმ ხელისუფლებაში მუშაობის სურვილი გამოთქვა და თავისი კანდიდატურა წარადგინა ფლორენციის რესპუბლიკის მეორე კანცელარიის მდივნის თანამდებობაზე. მაგრამ მისი დიპლომატიური წარმატებები და პოლიტიკური მოღვაწეობა აღარავის ახსოვდა. სამაგიეროდ, ფლორენციელ დიდებულებში ერთსულოვან აღშფოთებას იწვევდა ნიკოლოს ლიტერატურული მოღვაწეობა. „სამშობლოს საიმედო ხალხი სჭირდება და არა სწავლულები. მაკიაველი ისტორიკოსია.. ის დაგვცინის და ზემოდან გვიყურებს!... ერთთავად დუქანში ეგდო, მეტიც, ბიბლიოთეკაში ძველისძველი წიგნების ქექვით იქცევდა თავს. არ გვინდა ფილოსოფოსები. ძირს ფილოსოფოსები!“ ასეთი იყო მაკიაველის მოწინააღმდეგეთა მოწოდებები.

1527 წლის 10 მაისს მაკიაველის საკითხი გადაწყდა. რესპუბლიკის დიდი საბჭოს არჩევნებზე მან მხოლოდ 12 ხმა მიიღო 555 ხმის წინააღმდეგ. ღირსეულის ადგილი უღირსმა დაიკავა. მეორე კანცელარიის მდივნად აირჩიეს მედიჩების ყოფილი მსხვილი სახელმწიფო ჩინოვნიკი ფრანჩესკო ტარუგი. სამწუხაროდ, ასეთი იყო პროგრესულ და რეაქციულ ძალთა განლაგება დიდ საბჭოში.

1527 წლის 21 ივნისს მაკიაველი გარდაიცვალა. სხვა ვერსიით, იგი ნელა მოქმედი საწამლავის მსხ-

ვერპლი შეიქმნა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე იგი წერდა: „მე უფრო მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო, ვიდრე ჩემი სული“. მაკიაველი დაკრძალეს ფლორენციის სანტა-კროჩეს ეკლესიაში (მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური ფრანცისკანული ეკლესია), რომელიც იქცა ფლორენციის პანთეონად. ნიკოლო მაკიაველის გვერდით განისვენებენ: იტალიური რენესანსის ეპოქის უდიდესი მოქანდაკე, მხატვარი და არქიტექტორი მიქელანჯელო ბუონაროტი; ფიზიკოსი და ასტრონომი, სამეცნიერო რევოლუციის შემოქმედი გალილეო გალილეი; კომპოზიტორი ჯოაკინო როსინი და სხვები. აქვეა დანტეს მდიდრულად შემკული, მაგრამ ცარიელი საფლავი.

მაკიაველი გარდაიცვალა ფაქტობრივად მომაკვდავ რესპუბლიკურ ფლორენციაში. საქმე იმაში იყო, რომ კლემენტიუს VII-მ ამბოხებულ ქალაქში ოჯახის დასაბრუნებლად ფლორენციაში მოიხმო რომის გამანადგურებელი ესპანელები და გერმანელები. რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ პერიოდში ფლორენციის მოქალაქეები გმირული შემართებით ებრძოდნენ მედიჩების, კლემენტიუს VII-ისა და კარლ V-ის გაერთიანებულ ძალებს. მოქალაქეებს შეუერთდა 10 ათასამდე ადგილობრივი გლეხი. მათი გმირული თავდაცვა თერთმეტი თვე გაგრძელდა. მტრის ალყამ, ქალაქში დაწყებულმა შიმშილმა და საუკეთესო მეომრების დაღუპვამ აიძულა ქალაქი, დანებებულიყო.

1530 წლის 12 აგვისტოს ფლორენციაში შევიდნენ კარლ V-ის ჯარები, რის შედეგადაც აღდგა დემოკრატიული და რესპუბლიკური მმართველობის ყველა ნიშანი.

1532 წელს ფლორენცია სასტიკ ალესანდრო მედიჩის მეთაურობით ტოსკანას დიდ საჰერცოგოდ

გამოცხადდა. ფაქტობრივად ამით წერტილი დაესვა ტოსკანას პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ფლორენციის რესპუბლიკის გმირულ ეპოქას. ყოველივე ამით კი არსებითად დასრულდა იტალიური აღორძინების კულტურა. ტოსკანას დიდ საჰერცოგოს მედიჩების დინასტია მართავდა კიდევ 200 წლის განმავლობაში, 1737 წლამდე. საერთოდ კი საჰერცოგომ (ბურბონების დინასტიით სათავეში) 1860 წლამდე იარსება.

1532 წელს გამოიცა მაკიაველის ძირითადი თხზულებები, მაგრამ ამ პერიოდში დაწყებულმა კონტრრეფორმაციამ ვითარება შეცვალა. რომის პაპის, პიუს IV მედიჩის (1559-1565) ბრძანებით, 1559 წელს მაკიაველის წიგნები შეიტანეს „აკრძალული წიგნების ნუსხაში“. რენესანსის ეპოქის არც ერთ მოაზროვნეს არ დასტეხია თავს ასეთი დევნა ფეოდალური კათოლიკობისგან, როგორც ნიკოლო მაკიაველის. სამაგიეროდ, მომდევნო ხუთასი წლის მანძილზე იტალიური რენესანსის არც ერთ პოლიტიკურ მოაზროვნეს არ მოუპოვებია ისეთი მსოფლიო აღიარება, როგორიც მან მოიპოვა. XVII საუკუნის უდიდესი ინგლისელი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ფრენსის ბეკონი ასე აფასებდა მას: „ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ მაკიაველის, რომელმაც აშკარად და შეუფარავად გამოხატა, თუ როგორ იქცევიან ადამიანები ჩვეულებრივად და არა ის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ“ (ზ. ჩიმაკაძე, ა. გვიმრაძე, ნიკოლო მაკიაველი და მისი ეპოქა. თბ. 2005. გვ. 31-74).

ტრაქტატი „ომის ხელოვნება“

„იტალიის დამხობა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ამდენი წლის განმავლობაში მისი სამხედრო ძლიერება მარტოოდენ დაქირავებულთა რაზმებს ემყარებოდა"

ნიკოლო მაკიაველი

ნიკოლო მაკიაველი – „ომის ხელოვნება“ ანუ ფლორენციის რესპუბლიკის მდივნისა და მოქალაქის ნიკოლო მაკიაველის წიგნი სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელიც ეძღვნება ფლორენციელი წარჩინებულის ფილიპო სტროციის ვაჟს – ლორენცოს.

შესავალი

საზოგადოებაში არსებობდა და დღესაც მყარად არის ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ ქვეყნად არ არსებობს ერთმანეთთან უფრო მეტად დაკავშირებული და ამავე დროს ერთმანეთისთვის უფრო გაუცხოებული სფეროები, როგორც სამოქალაქო და სამხედრო საზოგადოებები. ჩვენ კარგად ვამჩნევთ, რომ ადამიანი, რომელიც სამხედრო ცხოვრებას ირჩევს, არა მარტო ტანსაცმელს იცვლის, არამედ ქცევის მანერასაც, უნარ-ჩვევებსაც. იგი ხმის ტემბრითა და წარმოსადეგობითაც გამოირჩევა ნებისმიერი ჩვეულებრივი მოქალაქისგან. ის, ვინც ყოველთვის მზადაა სამხედრო საქმიანობისთვის, ნაკლებად მიმზიდველად

მიიჩნევს სამოქალაქო ტანსაცმლის ტარებას. მათთვის სამოქალაქო ადათ-წესებიც ნაკლებად მისაღებია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათი აზრით, ისინი ზედმეტად რბილია და მეორეც, მიზნის მისაღწევად გამოუსადეგარია. ჩვეულებრივი იერსახე და სიტყვა უადგილოდ ეჩვენებათ იმათ, ვისაც უნდა ვინმეს შეშინება მოშვებული წვერითა და უშვერი სიტყვებით. ამიტომაც ჩვენს დროში აზრი, რომელიც მე ზევით მოგახსენეთ, ნამდვილი ჭეშმარიტებაა. თუმცა თუ გადავხედავთ უძველეს ისტორიას, იმ ეპოქებში, პირიქით, ერთიანი, შერწყმული და განუყოფელი იყო მოქალაქისა და მეომრის თანაცხოვრება.

სამხედრო სფეროს განსაკუთრებული, სპეციფიკური მისიის გამო, ხელისუფალნი, კანონმდებელნი და მხედართმთავრები ყოველთვის მიიჩნევდნენ, რომ სამხედრო საზოგადოებას განსაკუთრებული მხარდაჭერა და მზრუნველობა ესაჭიროებოდა. სამხედრო პირთა ცხოვრება ყოველთვის სამაგალითო იყო საზოგადოების სამოქალაქო პირთათვის, რომლებსაც მათთვის უნდა მიებაძათ.

ამჟამად, ამ მხრივ ყველაფერი გაუკუღმართებულია და სამხედრო ფენა სრულად იგნორირებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ. ჩემი დაკვირვებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, სამხედრო ფენას დაუბრუნდეს ძველი სიდიადე, თუმცა მისი ღირსება აუცილებლად უნდა აღდგეს.

აქედან გამომდინარე, მე გადავწყვიტე, ჩამომეყალიბებინა ჩემი შეხედულებები სამხედრო ხელოვნებაზე. რა თქმა უნდა, რთულია, განიხილო ის საგანი, რომელშიც არ გაქვს გამოცდილება. ამიტომაც ასეთი გადაწყვეტილება მოითხოვს გაბედულებას. მიუხედა-

ვად ამისა, ყველაფერი შედარებითია და დიდ ცოდვას არ ჩავიდენ, თუ ამ მხრივ ბედს ვცდი.

ბუნებრივია, წიგნის წერისას მექნება შეცდომები, რომელთა გამოსწორებასაც მოგვიანებით შევეცდები.

თქვენ, ლორენცო (4), იქნებით ჩემი შრომის შემფასებელი და შესაბამისად გამომიტანთ განაჩენს, ან შემაქებთ, ან განმსჯით იმის მიხედვით, თუ რას დავიმსახურებ. წინასწარ გიხდით მადლობას ყურადღებისთვის და გიგზავნით ჩემს ნაშრომს, რომელშიც მე თქვენი რჩევები გავითვალისწინე, თუმცა შეიძლება ზოგიერთ საკითხში ალბათ არ დამეთანხმებით.

მსგავსი ხასიათის ნაწარმოებებით პატივს მიაგებენ ადამიანებს, რომლებიც გამორჩეულნი არიან წარმომავლობით, სიმდიდრით, ჭკუითა და ქველმოქმედებით, მაგრამ მე ვიცი, რომ ძალზე ცოტაა ადამიანი, რომელსაც შეუძლია გაგეჯიბროთ თქვენ სიმდიდრითა და წარმომავლობით, ჭკუით კიდევ უფრო ცოტა შეძლებს თქვენთან კონკურენციას, რაც შეეხება ქველმოქმედებას, ამ მხრივ თქვენ ბადალი ნამდვილად არ გყავთ.

თავი I

მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ შესაძლებელია მისი პირუთვნელად ქება, რადგანაც გამორიცხულია უკვე ყველანაირი საბაბი მასში ეჭვის შეტანისა. მაგალითისთვის უყოყმანოდ მოვიყვან ჩვენს კოზიმო რუჩელაის (5), რომლის უცრემლოდ გახსენებაც მიჭირს, რადგან მასში ყველა ის თვისება იყო თავმოყრილი, რომელიც მოეთხოვება მეგობარს მეგობრისგან და სამშობლოს – თავისი მოქალაქისგან. ის იყო ქვეყნისთვის გულანთებული ადამიანი, რომელიც ყველაფერს სამშობლოს გადმოსახედიდან უმზერდა. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ იმ მრავალრიცხოვან ადამიანებს შორის, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობა ან უბრალოდ ნაცნობობა მქონია, არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ასეთი ამაღლებული და სპეტაკი სული ჰქონოდა.

ცხოვრების უკანასკნელ წუთებში ის მეგობრებთან წუხდა იმაზე, რომ საწოლში კვდებოდა ახალგაზრდა და უსახელო, რომელმაც ვერ მოასწრო ყველასთვის სიკეთის გაკეთება. მან იცოდა, რომ ერთადერთი, რაც შეიძლებოდა მასზე თქმულიყო, იყო ის, რომ გარდაიცვალა მათი ერთგული მეგობარი. მიუხედავად იმისა, რომ საქმეები დაუმთავრებელი დარჩა, ჩვენც და სხვებიც, ვინც მას კარგად ვიცნობდით, მოწმე ვართ მისი კეთილშობილებისა.

კოზიმომ მოახერხა, დაეტოვებინა შესანიშნავი სატრფიალო ლექსები. მას შეეძლო, პოეზიაში მიეღწია

სრულყოფილებისთვის, თავისი ნიჭი ამ მიმართულებით სრულად რომ წარემართა.

ახლა კი, მას მერე, რაც ბედისწერამ წამართვა ასეთი მეგობარი, ერთადერთი ნუგეშიღა დამრჩა, თბილად გავიხსენო კოზიმო და მისი ზუსტი შეფასებები და სიღრმისეული მოსაზრებები. ყველაზე ცხადად მახსენდება საუბრები მის ბაღში სინიორ ფაბრიციო კოლონასთან (6), რომლის დროსაც ეს პატივცემული სინიორი დაწვრილებით საუბრობდა ომის შესახებ და პასუხობდა კოზიმოს მწვავე და გონებამახვილურ შეკითხვებს.

მე ჩემს რამდენიმე საერთო მეგობართან ერთად ვესწრებოდი ამ საუბრებს და გადავწყვიტე, შეძლებისდაგვარად აღმედგინა ისინი ჩემს მეხსიერებაში. როდესაც ამის შესახებ კოზიმოს მეგობრებს ვკითხე, რომლებიც ამ საუბრის მონაწილენი იყვნენ, მათ ნათლად გაიხსენეს მისი ტალანტის შესახებ, ზოგიერთებს კი გული დაწყდათ, რომ არ იმყოფებოდნენ მაშინ იქ და არ ესწრებოდნენ ამ საუბრებს. თუმცა მოგვიანებით მოახერხეს ჩვენი დროის ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანის ღრმააზროვანი სიტყვებიდან ბევრი რამის გახსენება, რომელიც სასარგებლოა არა მარტო ომისთვის. ამ საუბრების შემდეგ ჩვენ გვრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ვიყავით თანამედროვენი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ადამიანისა, რომელთა მსგავსნი ძალზე საჭირონი იყვნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ცხოვრებისათვის.

ლომბარდიიდან დაბრუნებული ფაბრიციო კოლონა, რომელიც დიდხანს და საკუთარი სახელის სადიდებლად იბრძოდა კათოლიკე მეფისთვის (7), გზად შეჩერდა ფლორენციაში, სადაც რამდენიმე

დღით დასვენება გადაწყვიტა. ფაბრიციო აპირებდა, შეხვედროდა მის ბრწყინვალებას, ჰერცოგს (8) და რამდენიმე ნაცნობ წარჩინებულს. კოზიმომ საჭიროდ ჩათვალა მისი დაპატიჟება თავის ბაღში არა იმ მიზნით, რომ სიმდიდრით მოეწონებინა მისთვის თავი, არამედ იმისთვის, რომ ფაბრიციოსთან გულახდილი და ხანგრძლივი საუბრებიდან მიეღო სულიერი საზრდო.

კოზიმომ ფაბრიციო დიდი პატივით მიიღო თავის საუკეთესო მეგობრებთან ერთად, რომელთა შორისაც გამორჩეულნი იყვნენ: ზენობი ბუონდელმონტი, ბატისტა დელა პალა და ლუიჯი ალამანი. მიუხედავად ძლიერი სიცხისა, გაიმართა ბრწყინვალე ნადიმი. განტვირთვისა და სიამოვნების მისაღებად კოზიმომ სტუმრები წაიყვანა თავისი ბაღის ყველაზე დაბურულ ადგილას. როდესაც სტუმრები განთავსდნენ, ზოგი სკამზე და ზოგიც აბიბინებულ ბალახზე, ფაბრიციომ დაიწყო კოზიმოს ბაღის ქება, ამავე დროს აკვირდებოდა იქ დარგულ ხეებს და თან ასახელებდა, თუ რომელ ჯიშს განეკუთვნებოდნენ ისინი. ჩანდა, რომ ზოგიერთი მათგანი მისთვის უცნობი იყო და შესაბამისად უჭირდა მათი დასახელება. კოზიმომ ეს რომ შენიშნა, სტუმარს უთხრა: „ზოგიერთი ხის ჯიში თქვენთვის შეიძლება უცნობია, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, რადგანაც იშვიათ ჯიშებს განეკუთვნებიან და განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო მათი მოვლა-შენარჩუნებისთვის“. შემდეგ კოზიმომ ბაღში არსებული ყველა ჯიშის მცენარის სახელი ჩამოთვალა და ისაუბრა იმაზე, თუ როგორ შეინარჩუნა ეს იშვიათი ჯიშის მცენარეები ბაბუამისმა ბერნარდომ. „მეც ასე ვიფიქრე, – უპასუხა ფაბრიციომ – ეს ადგილი და

თქვენი წინაპრის შრომა მე მაგონებს ნეაპოლის სამეფოს ზოგიერთ წარჩინებულს, რომლებმაც ასეთივე სიყვარულით დარგეს მსგავსი ჯიშის ხეები და მათ ჩრდილქვეშ „ეძლეოდნენ განცხრომას“. ამის შემდეგ ფაბრიციომ შეწყვიტა საუბარი და გარკვეული ხნით ჩაფიქრებული იჯდა, შემდეგ კი ისევ განაგრძო: „რომ არ მეშინოდეს თქვენი წყენინებისა, ჩემს აზრს ვიტყოდი, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ შემდეგი: უკეთესი იქნებოდა, ჩვენი წინაპრებისთვის მიგვებაძა სიმამაცეში და სამხედრო საქმიანობაში, ვიდრე მცენარეების მოვლაში. ნურავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ უმჯობესია, ადამიანებმა ძველებს სიმამაცეში და საქმეში მიბაძონ, ვიდრე ნებივრობაში, იმაში, რასაც ძველები მზის შუქზე აკეთებდნენ და არა ჩრდილში, და ძველების ადათ-წესებიდანაც ის მიიღონ, რაც მათში ჭეშმარიტი და მშვენიერი იყო და არა ცრუ და გარყვნილი, რადგან როცა თანამემამულე რომაელებმა დაიწყეს მსგავსი რამეები, ჩემი სამშობლო მაშინ დაიღუპა (9). კოზიმომ მას ასე უპასუხა... მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, თქვენ რომ აგარიდოთ ისეთი დამღლელი სიტყვების გამეორება, როგორიცაა: „ასეთი რამ თქვა“, „მან შემდეგნაირად უპასუხა“ და სხვა მსგავსი სიტყვები, მე გავამარტივებ გადმოცემის ფორმას. და ამის შემდეგ მხოლოდ დავასახელებ მოსაუბრეთა სახელებს და ასე გავაგრძელებ დიალოგის ფორმით, ვიდრე წიგნის დასასრულამდე. მაშ ასე, კოზიმომ თქვა:

კოზიმო: თქვენ დაიწყეთ საუბარი იმ თემაზე, რომელსაც დიდხანს ველოდი. გთხოვთ, ისაუბროთ მორიდების გარეშე, რათა თავისუფლად დავუსვათ ერთმანეთს კითხვები. ჩვენს კითხვა-პასუხებში და

ზოგადად საუბრის დროს ჩვენი მიზანი ვინმეს განსჯა ან დადანაშაულება კი არ უნდა იყოს, არამედ რეალობისა და სიმართლის მოსმენა.

ფაბრიციო: მე კი სიამოვნებით მოგიყვებით ყველაფერს, რაც ვიცი, რა თქმა უნდა, თქვენი კითხვების შესაბამისად; და მისაღები იქნება თუ არა, ეს თქვენ თვითონ უნდა განსაჯოთ. თქვენი კითხვები ჩემთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საინტერესოდ დასმული კითხვა მოპასუხეს უფრო ჩააფიქრებს და იმაზე აუხელს თვალს, რაზედაც მას ადრე შეიძლება არც უფიქრია.

კოზიმო: მინდა, დავუბრუნდეთ იმ თემას, რაზეც საუბრის დასაწყისში ვისაუბრეთ. როგორც თქვენ ბრძანეთ, ჩვენი წინაპრები უფრო დაფასდებოდნენ, თუ ისინი ძველ რომაელებს მიბაძავდნენ სიმამაცესა და სამხედრო საქმეში და არა ნებივრობაში. გეთანხმებით, თუმცა ამავე დროს ვისურვებდი, გამემართლებინა ჩემი პაპა და თქვენთვის მომენდო თქვენი წინაპრების დაცვა. ამ შემთხვევაში, არა მგონია, რომ იმ დროს ვინმე გამოჩენილიყო, რომელიც უფრო მეტად ვერ აიტანდა ფუფუნებას და უფრო მეტად ეყვარებოდა თავშეკავებული ცხოვრება, რომელსაც თქვენ ასე აქებთ; მიუხედავად ამისა, ის აცნობიერებდა, რომ ვერც ის, ვერც მისი შვილები ასე ვერ იცხოვრებდნენ, რადგან ის დაიბადა იმ გარყვნილ საუკუნეში, როცა ადამიანი, რომელიც არ დაემორჩილებოდა საერთო წესებს, გახდებოდა საყოველთაო გმობისა და ზიზღის საგანი. თუ დღეს ადამიანი, დიოგენეს მსგავსად (10), ღია ცისქვეშ დაიძინებდა ზაფხულში მიწაზე და ზამთარში – თოვლში, მას ალბათ გიჟად ჩათვლიდნენ. თუ დღევანდელ დროში

ვინმე, ძველ სპარტელთა მსგავსად, თავის შვილებს აღზრდიდა სოფლად, აიძულებდა მათ ძილს ღია ცისქვეშ, უქუდოდ ყოფნას, ფეხშიშველა სიარულსა და ბანაობას თითქმის გაყინულ წყალში, რათა დაეძლიათ ტკივილი და სიკვდილის შიში, ასეთი კატეგორიის ადამიანებს მიიღებდნენ, როგორც ველურებს. თუ ჩვენს შორის გამოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც იკვებებოდა ბოსტნეულით და რომელსაც სძულდა ოქრო, მსგავსად ფაბრიციოსი, მას ცოტა ვინმე თუ შეასხამდა ხოტბას, მაგრამ არავინ მიბაძავდა. ამიტომაც პაპაჩემმა გადაუხვია წინაპართა გზას და მიბაძა მათ იმაში, რისი გაკეთებაც შეეძლო და რითაც ნაკლებ ყურადღებას მიიქცევდა.

ფაბრიციო: ამ ნაწილში შესანიშნავად დაიცავით თქვენი უშუალო წინაპარი და, რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით. თუმცა მე მხედველობაში მქონდა არა იმდენად ის მკაცრი, ე. წ. სპარტანული ცხოვრება, არამედ სხვა, შედარებით მსუბუქი წესები, მსგავსი ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისა. ძველ რომაელთა ცხოვრებიდან შეიძლება ბევრი ისეთი რამის აღება, რაც ჩვენს საზოგადოებას დაეხმარებოდა თავდაცვისუნარიანობის სრულყოფაში.

კოზიმო: თქვენ რომელ, სხვა ძველ წესებს გულისხმობთ?

ფაბრიციო: ამ წესებში მე ვგულისხმობ: კეთილშობილებისა და ღირსების დაფასებას, ღარიბებისა და უძლურთა მიმართ თანაგრძნობას, წესრიგისა და სამხედრო დისციპლინისადმი პატივისცემას, მოქალაქეების ურთიერთსიყვარულს, პირად ცხოვრებაზე წინ სახელმწიფო ინტერესების დაყენებას. ყოველივე ამის

აღქმა კი ჩემი აზრით არც ისე დიდ სიძნელეს უნდა წარმოადგენდეს.

კოზიმო: მე მხარს ვუჭერ თქვენს პოზიციას. ვფიქრობ, ჩვენ ურთიერთშეთანხმებით უფრო ახლოს მივალთ ჩვენი საუბრის ძირითად თემასთან.

ფაბრიციო: ზუსტად ასეთ განწყობას ველოდი თქვენგან. ვფიქრობ, ჩვენი ძირითადი თემა სიამოვნებას მოგანიჭებთ, რისთვისაც ამ თემაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდები. თუ ადამიანებს რაიმეს დაუფლების სურვილი უჩნდებათ, ისინი ამისთვის მზადყოფნაში უნდა იყონ, რათა სრულყოფილ შედეგს მიაღწიონ. როდესაც მზადების პროცესი ფრთხილად მიმდინარეობს, ის საიდუმლოდ რჩება გარკვეული ხნის განმავლობაში. და თუ ამ დროს ადამიანი უმოქმედობას გამოიჩენს, ის არ იქნება მზად და არც სურვილი ექნება საკითხის გადაჭრისა. თქვენ მოთმინებით უნდა მოისმინოთ ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი სახის სამზადისია საჭირო.

კოზიმო: ჩემი აზრით, თქვენი სიტყვა ალბათ ხანგრძლივი იქნება და არ გაგიკვირდეთ, თუ თქვენი მონოლოგის დროს მე ან ჩემს მეგობრებს შეკითხვები გაგვიჩნდება და დაგისვამთ თქვენ, მიუხედავად იმისა, თქვენ ეს მისაღებად მიგაჩნიათ თუ არა.

ფაბრიციო: კოზიმო, თქვენი და თქვენი მეგობრების მიერ კითხვების დასმა გამიხარდება, რადგანაც თქვენმა ახალგაზრდობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს სამხედრო საქმისადმი და ამ მხრივ თქვენ კიდევ უფრო მეტად დაგაინტერესებთ ჩემი სიტყვები. ამიტომაც თქვენ გაბედულად, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე დამისვით ნებისმიერი კითხვა ამ მიმართულებით. ჯერ ერთი, ეს

პროცედურა მე ამოსუნთქვის საშუალებას მომცემს და ჩემი პასუხები ყოველგვარ ეჭვებს გაგიფანტავთ. საუბარს გავაგრძელებ ჩემი უშუალო ანუ სამხედრო საქმიანობის ირგვლივ. მე ვეცდები, ჩემი საკუთარი თვალსაზრისი ჩამოვაყალიბო და არანაირად არ მივბაძო ამ მხრივ ძველი სამყაროს ადათ-წესებს. ჩემი შეხედულებით, სამხედრო საქმიანობა არის ადამიანთა ისეთი სფერო, რომლის წარმართვა ცალკე აღებულ კერძო პირს არანაირად არ შეუძლია; მისი ორგანიზება შეუძლია მხოლოდ რესპუბლიკას ან მონარქიას.

ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, სამხედრო სფერო ხელობად აქციონ, სულელებად უნდა ჩავთვალო, რადგანაც მშვიდობიანობის დროს ამ საქმით ისინი თავის გამოკვებასაც ვერ შეძლებენ. ამიტომაც ისინი ყოველთვის შეეცდებიან, ქვეყანაში არ იყოს მშვიდობა და ომის შემთხვევაში მოახერხონ ისე ცხოვრება, რომ როდესაც ომი შეწყდება, მშვიდობიანობის დროსაც მაძღარნი იყვნენ. ასეთი აზრები კი ღირსეული ადამიანის სულში არ გაჩნდება, რადგანაც ის უპირისპირდება ამგვარ უკეთურ ადამიანებს. მშვიდობიანობის დროს სამხედრო წესებით ცხოვრების შემთხვევაში უნდა გაძარცვონ მშვიდობიანი მოსახლეობა, გამოიყენონ მათ მიმართ ძალა, განურჩევლად დახოცონ როგორც მტრები, ისე მეგობრები, რადგანაც მათ სხვაგვარად არ ძალუძთ. მათ არ აწყობთ მშვიდობიანი პერიოდი, რადგანაც თუ ისინი ვერ ახერხებენ ბრძოლაში ყოფნას, ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება მხედართმთავრების მხრიდან ძალისხმევა ერთადერთი მიზნით – ნებისმიერი საშუალებით ომის გაგრძელებისა. თუ ბოლოს და ბოლოს იდება საზავო

ხელშეკრულება მეომარ მხარეებს შორის და შედეგად სამხედრო პირი უხელფასოდ რჩება, მაშინ ისინი იწყებენ თავგადასავალთა მაძიებელი ჯგუფების შექმნას, რომლებიც ხელს მიჰყოფენ ქვეყნის ძარცვასა და გაპარტახებას.

განა თქვენ არ გახსოვთ, თუ რა მოხდა იტალიაში, როდესაც ომის დამთავრების შემდეგ უამრავი ჯარისკაცი დარჩა უფუნქციოდ; მათ ჩამოაყალიბეს რაზმები, ე.წ. „კომპანიები“ და ავაზაკობითა და ძარცვით გააპარტახეს ქვეყანა (11). განა თქვენ არ გსმენიათ კართაგენელი დაქირავებული მეომრების შესახებ, რომლებიც I პუნიკური ომის დასრულების შემდეგ, მატონისა და სპენდიონის მეთაურობით აჯანყდნენ კართაგენის ანუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელმაც მათ სამსახური და არსებობის წყარო მისცა. მათ ომი წამოიწყეს მარჩენალი ქვეყნის წინააღმდეგ და ამით რომაელების წინააღმდეგ ომში მოპოვებული წარმატებები გააქარწყლეს (12). ჩვენი მამების დროს ფრანჩესკო სფორცამ (13) არა მხოლოდ მოატყუა მილანელები, რომლებსაც ის უნდა მომსახურებოდა, არამედ წაართვა მათ თავისუფლება და იქცა არა მხსნელად, არამედ მილანელთა მჩაგვრელად. მან ეს ყველაფერი გააკეთა იმიტომ, რომ მშვიდობიანობის დროს განცხრომაში ეცხოვრა.

ასე იქცეოდნენ სხვა იტალიელი ჯარისკაცებიც, რომლებისთვისაც სამხედრო საქმე კერძო ხელობას წარმოადგენდა. ფრანჩესკოს მამამ, რომელიც დედოფალ ჯოვანას ემსახურებოდა, გადაწყვიტა მისთვის ტახტის წართმევა (14). იგი ასევე აპირებდა ნეაპოლის სამეფოს ხელში ჩაგდებას, მაგრამ მას ხელი შეუშალა აკვილასთან ბრძოლაში მარცხმა და სიკვდილმა (15).

ერთადერთი მიზეზი ამ უმსგავსობისა გახლდათ არსებობა იმ ადამიანებისა, რომელთათვისაც სამხედრო საქმე მხოლოდ ვიწრო ხელობად არის ქცეული. ჩემს ამ მოსაზრებას განამტკიცებს თქვენი ცნობილი ფრაზა: „ომი შობს ქურდებს, მშვიდობა კი სჯის მათ“. ეს ხდება იმიტომ, რომ მათ სხვა საქმე არ იციან. ისინი თანდათანობით ყალიბდებიან „შარაგზის მძარცველებად“, მართლმსაჯულება კი იწყებს მათ განადგურებას.

კოზიმო: თქვენმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, დაამცირა სამხედროები ჩემს თვალში, თუმცაღა მე ისინი ყოველთვის მიმაჩნდა ყველაზე ძვირფას და საპატიო ადამიანებად. თუ თქვენ ყველაფერი არ ამიხსენით, გულდაწყვეტილი დავრჩები და თუ საქმე მართლაც ასეა, როგორც თქვენ წარმოაჩინეთ, მაშინ სადღაა იულიუს კეისრის, გნეუს პომპეუსის, სციპიონ აფრიკელის, გაიუს მარიუსისა და სხვა გამოჩენილ რომაელ მხედარმთავართა სამხედრო დიდება, რომელნიც რომაელ ხალხს თითქმის ღვთაების რანგში ჰყავდა აყვანილი?

ფაბრიციო: მე ჩემი აზრი ჯერ კიდევ არ მქონდა ბოლომდე ჩამოყალიბებული; თავდაპირველად მხოლოდ ორ საკითხზე ვაპირებდი საუბარს: პირველი, ის, რომ ღირსეულ ადამიანს სამხედრო სფერო ვიწრო საქმიანობად არ უნდა მიაჩნდეს, და მეორე, არც ერთი სრულფასოვანი სახელმწიფო, როგორც რესპუბლიკა, ასევე მონარქია თავის მოქალაქეებს არასდროს არ უნდა აძლევდეს იმის ნებას, რომ სამხედრო საქმე კერძო საქმიანობად გადააქციონ.

პირველ საკითხზე მე ვეცადე, ჩამომეყალიბებინა ჩემი პოზიცია. რაც შეეხება მეორეს, თქვენი შეკითხ-

ვიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, კეისრის, პომპეუ-სისა და სხვა რომაელ მხედართმთავართა პოპულა-რობა, რომელიც განსაკუთრებით III პუნიკური ომის შემდეგ გამოიკვეთა, მათმა ღირსებამ და პოპულა-რობამ განაპირობა.

სანამ ძველ რომში რესპუბლიკური მმართვე-ლობა მტკიცე იყო, იმ ეპოქის არც ერთი ღირსეული რომაელი მოქალაქე არც კი გაივლებდა გულში, რომ სამხედრო ძალის გამოყენებით მშვიდობიან დროს გაეძარცვა თავისი ქვეყანა, ხელში ჩაეგდო ძალაუფ-ლება და გამხდარიყო ტირანი. მეორე მხრივ, ყველაზე ბნელ პლებეისაც არ მოუვიდოდა თავში აზრი, დაერღვია ქვეყნის წინაშე დადებული მეომრის ფიცი და უკანონო ქმედება ჩაედინა. მხედართმთავრები გამარჯვების შემდეგ კმაყოფილდებოდნენ ტრიუმ-ფით და ხალისით უბრუნდებოდნენ ყოველდღიურ, ოჯახურ ცხოვრებას. ასევე იქცეოდნენ ჯარისკაცებიც. ამ მხრივ დიდი მაგალითი დაგვიტოვა ატილიუს რეგულუსმა. ის იყო რომაელთა მთავარსარდალი აფრიკაში; როდესაც მან საბოლოოდ გაანადგურა კართაგენელები, რომის სენატს სთხოვა, ნება დაერთო, სახლში დაბრუნებულიყო და დაემუშავებინა თავისი მიწები (16). ეს მაგალითი ნათელჰყოფს, რომ ძველი რომის მოქალაქენი იყვნენ ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანები, რომლებიც სამხედრო საქმიანობაში ჩართულნი იყვნენ მხოლოდ შრომისთვის, განსაცდე-ლისთვის, თავდადებისა და დიდებისთვის. ამიტომაც ისინი, მათ შორის, თანამდებობის უმაღლეს საფეხურ-ზე მყოფნი, ხალისით უბრუნდებოდნენ თავიანთ ოჯახებს, სადაც აგრძელებდნენ შრომით საქმიანობას. ამავე დროს ისინი მზად იყვნენ საჭიროების შემთხ-

ვევაში საბრძოლო მწყობრს დაბრუნებოდნენ. მოგეხსენებათ, რომ რომაელ მოქალაქეებს მინიჭებული ჰქონდათ თავისუფალი არჩევანის უფლება – ნებაყოფლობით და არა ძალდატანებით ემსახურათ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში.

სანამ ძველი რომის რესპუბლიკა ფეხზე მყარად იდგა, ყველა ჯარისკაცი მხოლოდ საქვეყნო ინტერესებზე ფიქრობდა; თუ ვინმე ამ პრინციპს დაარღვევდა, მას მკაცრად სჯიდნენ (17). ანტიკურ ეპოქაში ყველა ქვეყნის ხელისუფალი ვალდებული იყო, სამხედრო საქმე მშვიდობიანობის დროს ვარჯიშებისა და წვრთნების საშუალებით წარემართა, ომის დროს კი ღირსებისა და დიდების წყაროდ ექცია.

კოზიმო: მე დამაკმაყოფილა თქვენმა სიტყვებმა, განსაკუთრებით, მისმა დასკვნითმა ნაწილმა. რესპუბლიკისადმი ასეთი, თქვენეული მიდგომა გასაგებია, მაგრამ მე მაინტერესებს თქვენი აზრი ამ კუთხით მონარქიის შესახებაც. ჩემი აზრით, მონარქი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი პროფესიონალი სამხედრო იყოლიოს თავის გვერდით.

ფაბრიციო: რაც შეეხება მონარქიებს, ამ მხრივ მათ მეტი სიფრთხილე მართებთ, რადგანაც უმართავ პროფესიონალ სამხედროებს შეუძლიათ მეფის დაღუპვა და ტირანიის დამყარება. თანამედროვე მონარქიები მე არ მიმაჩნია სრულყოფილ სახელმწიფოებად, ამიტომ მათი მაგალითი მე არ გამომადგება. სამეფოში სამხედრო ძალის მართვას სჭირდება პოლიტიკური ნება და სწრაფი, ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება. სხვა ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას მეფეები ითვალისწინებენ საბჭოს რჩევებს, მრჩეველნი კი ყოველთვის ცდილობენ მეფის

ირგვლივ არ აღმოჩნდნენ ომის მსურველი სამხედროები, რათა არ არსებობდეს საშიშროება მათ მიერ სამხედრო გადატრიალების მოწყობისა და ძალაუფლების უზურპაციისა. მეფე განსაკუთრებით უნდა აკონტროლებდეს პროფესიულ ქვეით ჯარს, რომელიც თითქმის მუდმივად იმყოფება ბრძოლებში და შესაბამისად ამისთვის იღებს ხელფასს; მშვიდობიანობის დროს კი ყოველთვის იმის შიში უნდა ქონდეს მეფეს, რომ ჯარმა არ ჩამოაგდოს ტახტიდან. მეომრების მუდმივად ბრძოლებში ყოფნა პრაქტიკულად შეუძლებელია, შესაბამისად მათთვის მუდმივად ხელფასის გადახდაც იწვევს ქვეყნის ფინანსების გამოფიტვას და აქედან მომდინარეობს მუდმივად შიშქვეშ ცხოვრებაც.

სანამ რომაელებში ჯერ კიდევ ცოცხლობდა სიბრძნე და სამოქალაქო კეთილშობილება, ამგვარი საფრთხე ნაკლებად არსებობდა. შემდეგ რომაულ ჯარში თანდათანობით დაიწყო თაობათა ცვლის პროცესი. რომაული ლეგიონის სრულად განახლებისთვის შემოიღეს 17-წლიანი ვადა. რომის შეიარაღებული ძალების რიგებში მამაკაცს უნდა ემსახურა 18-დან 35 წლამდე. ეს მონაკვეთი არის ის წლები, როდესაც მებრძოლის ხელები, ფეხები და მხედველობა ერთნაირად ძლიერია. ზღვრული ასაკის დადგომისთანავე მათ ათავისუფლებდნენ სამსახურიდან. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ რომაელებში ზნეობრივი დეგრადაცია დაიწყებოდა. ამ პროცესებს გარკვეულწილად ხელი შეუწყო რომის იმპერიის შექმნამ. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რომის იმპერატორები ოქტავიანე და ტიბერიუსი, რომლებიც უფრო მეტად ფიქრობდნენ საკუთარ კეთილდღეობასა და უსაფრთ-

ხოებაზე, ვიდრე ქვეყნის ძლიერებაზე. მათ მოახდინეს რომაელი ხალხის განიარაღება და ერთი და იგივე ლეგიონები განთავსებული ჰყავდათ იმპერიის საზღვრებზე (18). მათ მიაჩნდათ, რომ რომაელი ხალხისა და სენატის სამართავად დამატებითი ძალა იყო საჭირო. ამ მიზნით შეიქმნა ახალი სამხედრო ძალა, რომელთაც პრეტორიანელები ეწოდათ (19). ისინი რომის კედლებთან მდგარნი იცავდნენ ქალაქს. პრეტორიანელები თანდათანობით ჩამოყალიბდნენ პრივილეგირებულ კასტად და იქცნენ იმპერატორისა და სენატისთვის სახიფათო ძალად. მათ შეეძლოთ ნებისმიერი იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდება. იყო შემთხვევები, როდესაც ქვეყნის სათავეში ერთდროულად რამდენიმე იმპერატორი იმყოფებოდა, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო ძალას ეყრდნობოდნენ.

ასეთმა ვითარებამ ხელი შეუწყო ჯერ ქვეყნის რღვევის დაწყებას, შემდეგ კი იმპერიის დაღუპვას. ამიტომაც, თუ მეფეს სურდა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მას ქვეითი ჯარი ისეთი ადამიანებისგან უნდა ჩამოეყალიბებინა, ვინც ომის გამოცხადებისას საომრად მეფის სიყვარულით წავიდოდნენ და ომის დამთავრების შემდეგაც, ასეთივე შემართებით დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ოჯახებს. ხელისუფალი ამას ყოველთვის მიაღწევს, თუ ჯარისკაცებად ისეთ ადამიანებს შეარჩევს, რომლებსაც შეეძლებათ თავის გამოკვება არა სამხედრო საქმით, არამედ სხვადასხვა საქმიანობით. აქედან გამომდინარე, როგორც კი დაისადგურებს მშვიდობა ქვეყანაში, ხელისუფალმა უნდა იზრუნოს, რომ არისტოკრატია დაუბრუნდეს საკუთარი ვასალების მართვის პროცე-

სებს, ჯარისკაცები კი თავიანთ ყოველდღიურ საქ-მიანობას.

კოზიმო: თქვენი განსჯა საკმაოდ ღრმაა, მაგრამ ჩემში მაინც ორჭოფობას იწვევს თქვენი სიტყვები, რადგანაც ისინი წინააღმდეგობაში მოდიან ჩემს ნააზ-რევთან. ჩემს ირგვლივ მე ვხედავ ბევრ სენიორს, რომლებსაც სამხედრო გამოცდილება მშვიდობიან დროს არ უქმნით არანაირ უხერხულობას; მაგა-ლითად, ასეთად მიმაჩნიხართ თქვენც, ქვეყნის სამსა-ხურში მყოფი ღირსეული პიროვნება და მხედარ-თმთავარი. მე აგრეთვე ვიცი ისიც, რომ მთელი მძიმე კავალერია მშვიდობიანობის დროსაც იღებს ხელფასს და ამავე დროს მისი ფუნქციაა ქალაქებისა და ციხესიმაგრეების დაცვა იმავე მშვიდობიანობის დროს. ასე რომ არასაომარ პერიოდშიც შეიძლება მათთვის სათანადო სამსახურის გამონახვა.

ფაბრიციო: მე მგონი, თქვენ თვითონაც არ ხართ დარწმუნებული იმაში, რომ ნებისმიერი ჯარისკაცი მშვიდობიანობის დროს მოახერხებდა და შეძლებდა თავისი ადგილის შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, მე მაინტერესებს, არსებობს თუ არა შესაბამისობა ქვეითი ჯარის პირადი შემადგენლობის რაოდენობაში ომისა და მშვიდობიანობის პერიოდებში? ჩემი აზრით, ციხესიმაგრეში და ქალაქში მყოფი გარნიზონების რაოდენობა ომის დროს მინიმუმ 2-ჯერ მაინც უნდა გაიზარდოს; ამ დროს მათ ემატებათ მშვიდობიანობის დროს დათხოვილი ქვეითი მებრძოლები. რაც შეეხება იმ მეომრებს, რომლებიც უშუალოდ მთავრობას იცა-ვენ, რომის პაპის იულიუს II-ისა და თქვენი რესპუბლიკის მაგალითი აშკარად გვიჩვენებს, თუ რა სახიფათონი არიან ისეთი ჯარისკაცები, რომლებსაც

არა აქვთ სურვილი სხვა ხელობის შესწავლისა. მათმა თავხედობამ გაიძულათ თქვენ, უარი გეთქვათ მათ სამსახურზე და შემდეგ თქვენ ისინი ჩაანაცვლეთ შვეიცარიელებით, ადამიანებით, რომლებიც დაიბადნენ და აღიზარდნენ კანონებისადმი პატივისცემით (20). აქედან გამომდინარე, დარწმუნებით ნუ იტყვით, რომ ყველა ჯარისკაცს ექნება სამუშაო ადგილი მშვიდობიანობის დროს. რაც შეეხება მძიმე კავალერიასთან დაკავშირებით თქვენს შეხედულებებს, აქ უფრო ვახერხებთ ჩვენი პოზიციების თანხვედრას, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი (კავალერია – ა. გ.) ზავის დადების შემდეგაც ახერხებენ ხელფასის მიღებას. თუმცა მე სისულელედ მიმაჩნია კავალერიის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება. ეს არის საკმაოდ სერიოზული სამხედრო ძალა, რომელსაც შეუძლია, პრობლემები შეუქმნას ხელისუფლებას. ამიტომაც მე არა ვარ მომხრე იმისა, რომ კავალერიას ჰქონდეს მუდმივი სამსახური მშვიდობიანობის დროს.

კოზიმო: თქვენ გინდათ, საერთოდ გამორიცხოთ კავალერიის არსებობა ამ ვითარებაში? ამის გარეშე როგორ შეიძლება? და თუ მაინც მოხერხდება შეზღუდული კონტინგენტის არსებობა, რაოდენობრივად როგორ დააბალანსებდით?

ფაბრიციო: საკითხი უნდა გადაწყდეს გაწვევის ფორმით, ოღონდ არა ისე, როგორც ამას აკეთებს საფრანგეთის მეფე (21). ამ საკითხზე მე მხარს დავუჭერდი ძველ რომაელებს, რომლებიც კავალერიას ქვეშევრდომებისგან აკომპლექტებდნენ. ომის დამთავრების შემდეგ კავალერიას დაითხოვდნენ. ამის შესახებ დეტალურად მოგვიანებით მოგახსენებთ. რაც შეეხება იმ თანხას, რასაც მე და სხვა მხედართმ-

თავრები ვუხდით მეომრებს, პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს არის მავნებლური მოქმედება: ნორმალური რეს-პუბლიკა მშვიდობიანობის დროს ასეთ ხელფასს არ გადაუხდიდა არავის და ომის შემთხვევაში სამხედრო მეთაურებად დანიშნავდა თავის მოქალაქეებს, რომ-ლებიც ომის შემდეგ დაუბრუნდებოდნენ თავიანთ ძირითად საქმიანობას. ასევე მოიქცეოდა ჭკვიანი მეფეც და მისი მხრიდან ხელფასის გაცემა გამართ-ლებული უნდა იყოს, როგორც წახალისების ფორმა გმირობისთვის ანდა სათანადო დამსახურების საფა-სური, რომელსაც მხედართმთავარი გასცემდა, რო-გორც ომის, ასევე მშვიდობიანობის დროს.

რადგანაც თქვენ ჩემს სიტყვებს ეყრდნობით, მოვიყვან საკუთარ მაგალითს და ვიტყვი, რომ სამ-ხედრო საქმე ჩემთვის არასდროს ყოფილა ვიწრო საქმიანობა; იმიტომ, რომ ჩემი საქმეა ხელქვეითების მართვა და მათი უსაფრთხოების დაცვა. ისინი რომ დავიცვა, უნდა მიყვარდეს მშვიდობა და შემეძლოს ომის დროს მისი ღირსეული წარმართვა (22). ჩემი მეფე მაფასებს და პატივს მცემს არა იმის გამო, რომ მესმის სამხედრო საქმე, არამედ უფრო იმიტომ, რომ მშვიდობიანობის დროს მისი მრჩეველი ვარ. თუ მეფე ბრძენია, მან უნდა დაიახლოვოს ისეთი ადამიანები, რომლებიც ზომიერებით გამოირჩევიან, რადგანაც ომის თავგამოდებული მომხრე და შესაბამისად ომის მოწინააღმდეგე არასწორი მიმართულებით წაიყვანენ თავიანთი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

ამ საკითხზე მეტის თქმა არ შემიძლია. და თუ ეს ყოველივე გეცოტავებათ, მაშინ მიმართეთ სხვა თანა-მოსაუბრეს, რომელიც ჩემზე უკეთესად გაგცემთ პასუხს. მე მგონი თქვენ ამჯერად შეძლებთ იმის

გაგებას, თუ როგორ უნდა მოემზადოს ომისთვის წინდახედული ხელისუფალი და რა ვითარებას უნდა დაეყრდნოს მიზნის მისაღწევად. თუ ჩემი საუბარი არ გადაგღლით, ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდებით რეალობას და, ჩემი აზრით, ამ კუთხით წარსული და თანამედროვეობა თანხვედრაში აღმოჩნდება.

კოზიმო: ჩვენ გვინდოდა, გაგვეგო თქვენი აზრი აქ დასმულ კითხვებზე, თუმცა იმის შემდეგ, რაც თქვენ დაიწყეთ საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სურვილი უფრო გამძაფრდა. ჩვენ მადლობელი ვართ იმის გამო, რაც მოგვახსენეთ და ამჯერად გთხოვთ, გვიამბოთ სამხედრო საქმის ირგვლივ შემდეგი თემების შესახებ.

ფაბრიციო: თუ ასეთია თქვენი სურვილი, თავიდანვე დავიწყებ მომდევნო თემის განხილვას. ყველას, ვისაც სურს ომის დაწყება, განსაზღვრული აქვს ძირითადი სამხედრო მიზანი, შეებრძოლოს ნებისმიერ მტერს ბრძოლის ველზე და მიაღწიოს გამარჯვებას გადამწყვეტ (გენერალურ – ა.გ.) ბრძოლაში. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია კარგად მომზადებული შეიარაღებული ძალები. ამისთვის კი საჭიროა: მოქალაქეთა სამხედრო სამსახურში გაწვევა, მათი შეიარაღება, გაწვრთნა, სწავლება, მათი სამხედრო ბანაკებში განთავსება, ბანაკებიდან გადაადგილება და მტერთან უშუალოდ შეხვედრა ბრძოლის ველზე. ამაშია სახმელეთო ოპერაციის მთელი ხელოვნება. ვინც შეძლებს, მტერს ბრძოლა შესთავაზოს მისთვის მისაღებ ვითარებაში, ეს მას მოწინააღმდეგესთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. ვისაც ეს საკითხი არ აინტერესებს, ის ომს ღირსეულად ვერ დაამთავრებს. გასათვალისწინებელია, რომ მოგებული

ბრძოლა აქარწყლებს ყველა მანამდე არსებულ შეცდომას და პირიქით, დამარცხებამ შეძლება ხაზი გადაუსვას ყველა მანამდე მიღწეულ წარმატებას. თუ გინდა არმიის შექმნა, პირველ ყოვლისა, ამისთვის ღირსეული ხალხი უნდა იპოვო. უნდა მოხდეს მათი შეკრება, უფრო სწორედ, მათი „შერჩევა“.

სამხედრო ისტორიკოსები, რომლებიც ომის წესებს ადგენენ, უპირატესობას ანიჭებენ მეომართა შერჩევას იმ ქვეყნებიდან, სადაც ზომიერი კლიმატური პირობებია, რადგანაც, მათი აზრით, იმ ქვეყნის ჯარისკაცებში თანაბრად არის განაწილებული სიმამაცე და გონიერება. ცხელი ქვეყნების წარმომადგენლებში კი გონიერნი და ნაკლებად მამაცნი გვხვდებიან, ცივი კლიმატის ქვეყნებში კი მამაცნი, მაგრამ ნაკლებად გონიერნი (23). ასეთი მიდგომა მისაღებია იმ ხელისუფლისთვის, რომელიც განაგებს დიდ იმპერიას და შეუძლია, ნებისმიერი კლიმატური რეგიონიდან აიყვანოს მეომრები. თუ შემოვიღებთ შერჩევის ისეთ წესებს, რომელიც მისაღები იქნება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, ამ შემთხვევაში მათ მეომრები უნდა შეარჩიონ თავიანთი ქვეყნებიდან მიუხედავად იმისა, თუ როგორი კლიმატური პირობებია იქ – ცივი, ცხელი თუ ზომიერი.

ანტიკური ისტორიის მაგალითები აჩვენებს, რომ ნებისმიერ ქვეყანაში კარგი ჯარისკაცი გაწვრთნის შედეგად ყალიბდება. უცხო ქვეყნის წარმომადგენელთა გაწვევა არ შეიძლება ჩაითვალოს შერჩევის საუკეთესო ვარიანტად. გაწვევის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს მოხალისეებს.

კოზიმო: ალბათ მოხალისეებიდან ზოგიერთებს ავიყვანთ სამხედრო სამსახურში, ნაწილს კი უკან გავაბრუნებთ და ამას დავარქმევთ შერჩევას?

ფაბრიციო: გარკვეული კუთხით მართალი ბრძანდებით, მაგრამ თქვენ ყურადღება მაინც უნდა გაამახვილოთ მის უარყოფით მხარეებზე და დარწმუნდებით, რომ აქ ფაქტიურად არანაირ შერჩევას არა აქვს ადგილი. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ უცხოტომელი მოხალისენი არ განეკუთვნებიან საუკეთესო ჯარისკაცებს, პირიქით, ისინი არიან ნაძირლები თავიანთი ქვეყნისა, შფოთისთავნი, ზარმაცნი, აღვირახსნილნი, ურწმუნონი, სახლიდან გაქცეულნი, აზარტული თამაშების მიმდევარნი; აი, როგორია სინამდვილეში მათი სახე. ჭეშმარიტი მებრძოლისთვის ყველა ეს თვისება კატეგორიულად მიუღებელია.

ასეთი უარყოფითი მასისგან ძნელია დადებითი პროდუქციის მიღება და, ბუნებრივია, მათი შერჩევაც უაზრობა იქნება. რაც შეეხება ქვეყნის შიდა რესურსებს, ზოგჯერ ხდება, რომ ასეთი კატეგორიის ადამიანები ძალზე მცირე რაოდენობითაა და არჩევანიც თითქოს აღარ არსებობს. ამ შემთხვევაში ხდება ყველა ფიზიკურად მეტნაკლებად ვარგისი პირის ჯარში აყვანა. თუმცა ეს უკვე აღარ არის შერჩევა. ასე უწესრიგოდ ხდება შეიარაღებული ძალების ფორმირება იტალიასა და სხვა ქვეყნებში, გარდა გერმანიისა (24). მაპატიეთ, გაწვევისა და შერჩევის ასეთი წესები მისაღებია თქვენთვის?

კოზიმო: მაშ როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

ფაბრიციო: ჩემი აზრით, გამოსავალია ის, რომ შეიარაღებული ძალები ჩამოვაყალიბოთ მხოლოდ

საკუთარი მოქალაქეებისგან, ხელისუფლების შესაბამისი განკარგულებით.

კოზიმო: შეიძლება ამ მხრივ ძველი გამოცდილების გამოყენება?

ფაბრიციო: რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ სამეფოს შეიარაღებულ ძალებს სათავეში ჩაუდგება ქვეყნის ხელისუფალი ან ის პიროვნება, რომელსაც კანონი აძლევს შესაბამის უფლებამოსილებას, რესპუბლიკაში კი – მხედართმთავრად არჩეული მოქალაქე. სხვა შემთხვევაში წარმატების მიღწევა გაძნელდება.

კოზიმო: რატომ?

ფაბრიციო: ამაზე ცოტა მოგვიანებით გიპასუხებთ. ჯერჯერობით დაკმაყოფილდით იმით, რაც მოგახსენეთ.

კოზიმო: თუ ჯარისკაცებს შევარჩევთ ჩვენს ქვეყანაში, თქვენი აზრით, უკეთესი შერჩევა სად იქნება შესაძლებელი, სოფლად თუ ქალაქად?

ფაბრიციო: ამ საკითხში თითქოს ყველა სამხედრო ისტორიკოსის აზრი ემთხვევა ერთმანეთს, რაშიც იგულისხმება შემდეგი: ჯარისკაცების შერჩევა სოფლის მცხოვრებთაგან უფრო გამართლებულია, რადგანაც ისინი არიან გამოწრთობილნი, შრომისმოყვარენი, მზეს შეჩვეულნი და ჩრდილის არმძებნელნი, იარაღს შეჩვეულნი, სირთულეების გადამტანნი; ამავე დროს მათი უმრავლესობა უბრალო და უეშმაკოა (25). მე პირადად მიმაჩნია, რომ ქვეითი ჯარი უნდა შეივსოს გლეხებისგან, კავალერია კი – ქალაქის მცხოვრებლებისგან.

კოზიმო: როგორ უნდა განისაზღვროს ჯარისკაცის ასაკი?

ფაბრიციო: ახალი ჯარის შესაქმნელად მე გავიწ-ვევდი 17-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცებს. თუ ქვეყანას უკვე ჰყავს ჯარი და მხოლოდ მისი შევსებაა საჭირო, მაშინ სავალდებულო გასაწვევი ასაკი 17 წლით უნდა განისაზღვროს.

კოზიმო: ეს ასაკობრივი სხვაობა ჩემთვის ცოტა გაუგებარია.

ფაბრიციო: ახლავე აგიხსნით. თუ მე მჭირდება ჯარის შექმნა იქ, სადაც იგი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, მაშინ სწავლებისთვის, რაზეც მე მოგვიანებით მექნება საუბარი, აუცილებლად საჭირო იქნება სამხედრო სამსახურში ყველა მათგანის მიღება, ვისაც შეუძლია იარაღის ტარება და არიან გასაწვევი ასაკის მქონენი. ხოლო თუ დამჭირდებოდა ჯარის სრულყოფა იქ, სადაც უკვე შექმნილია შეიარაღებული ძალები, მაშინ მათი რიგების შესავსებად მე გამო-ვიყენებდი 17 წლის ახალგაზრდებს, რადგანაც ასაკით უფროსნი უკვე დიდი ხანია სამხედრო სამსახურში იქნებოდნენ ჩართულნი.

კოზიმო: გამოდის, რომ თქვენ სურვილი გაგიჩნ-დათ, შეგექმნათ ამ მხრივ ჩვენი წესების მსგავსი სისტემა?

ფაბრიციო: ამ შემთხვევაში თქვენ მართალი ხართ, მაგრამ არ ვიცი, თქვენ ეს მართლა გახსენებთ თუ არა თქვენს სამხედრო წესებს, შეიარაღებას, მე-თაურობის დონეს, სწავლებას, წვრთნასა და საბრძო-ლო მზადყოფნას.

კოზიმო: გამოდის, რომ თქვენ მხარს უჭერთ ჩვენი სამხედრო მოწყობის პრინციპებს.

ფაბრიციო: მე ის რატომ უნდა უარვყო?

კოზიმო: იმიტომ, რომ ბევრი მცოდნე ადამიანი მას ყოველთვის გმობდა.

ფაბრიციო: თქვენს თავს ეწინააღმდეგებით, როდესაც ამბობთ, რომ მცოდნე ადამიანი იმ სამხედრო მოწყობას აკრიტიკებს; მაშინ მე მიჩნდება კითხვა, რატომ ითვლება ის ადამიანი მცოდნედ?

კოზიმო: ჩვენ იძულებული ვართ, ასე ვიფიქროთ, იმიტომ რომ ამგვარი მოწყობის გამოცდილება უმეტეს შემთხვევაში უარყოფითი იყო.

ფაბრიციო: როგორც არ უნდა იყოს, დამნაშავე თქვენ გამოდიხართ და არა თქვენი სამხედრო სისტემა. ამაში კიდევ არაერთხელ დარწმუნდებით, ვიდრე საუბარს დავასრულებდეთ (26).

კოზიმო: ამ სიტყვების შემდეგ, ვფიქრობ, თქვენ ხდებით ჩვენი სამხედრო ორგანიზაციის დამცველი. ასეთი სამხედრო სისტემა ან გამოუსადეგარია, ანაც, უარეს შემთხვევაში, შეიძლება დაღუპოს სახელმწიფო ანდა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობამ მოახდინოს პოლიტიკური ხელისუფლების უზურპაცია. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ რომაელებს, რომელთა ჯარებმაც დაამხეს რესპუბლიკური თავისუფლება. რაც შეეხება ვენეციას, მათი ხელისუფლება რომ არ აღმოჩნდეს თავიანთი მოქალაქეების კონტროლის ქვეშ, იყენებენ დაქირავებულ მეომრებს; საფრანგეთის მეფემ კი განაიარაღა თავისი ქვეშევრდომები, რათა ამის შემდეგ მშვიდად წარემართა თავისი ხელმწიფობა (27). აღსანიშნავია, რომ ისინი უმეტესად სიფრთხილეს იჩენენ თავიანთი გამოუსადეგარი მეომრების მიმართ და ამის მტკიცებულებად მოჰყავთ ორი ძირითადი მოსაზრება: პირველი, თავიანთი ჯარისკაცების გამოუცდელობა და მეორე, მათი ძალდატანე-

ბითი სამსახური; გარკვეული ასაკის შემდეგ კი, როგორც ისინი ამბობენ, სწავლა უკვე თითქმის შეუძ-ლებელია, ძალდატანებას კი კარგი არაფერი მოაქვს.

ფაბრიციო: ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია ასეთია: საუკეთესო არმიაა ის, რომელიც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისგან შედგება. და მხოლოდ ამ გზით უნდა შეიქმნას ამგვარი არმია. ჩემი აზრით, აქ საკამათო თითქმის არაფერია, რადგანაც ამაზე მეტყველებენ ძველი ისტორიის მაგალითები.

ამგვარი არმიის მოწინააღმდეგეების არგუმენტია ჯარისკაცთა გამოუცდელობა და მათი ძალდატანე-ბითი სამსახური. ჩემი აზრით, ჯარისკაცთა გამოუც-დელობა ზეგავლენას ახდენს მათ გაბედულებაზე, იძულებითი სამსახური კი მათში უკმაყოფილებას იწვევს, მაშინ როდესაც სიმამაცე და გამოცდილება, როცა მოგვიანებით ამ საკითხს გაეცნობით, ჯარის-კაცში მიიღწევა მისი აღჭურვილობით, წვრთნებითა და სრულყოფილი სწავლების შედეგად. იძულებასთან დაკავშირებით უნდა იცოდეთ, რომ ადამიანები, რომ-ლებიც ხელისუფლების გადაწყვეტილებით იმყოფე-ბიან ჯარში, უნდა მსახურობდნენ არც მთლად იძუ-ლებით და არც ნებაყოფლობით, რადგანაც სრული ნებაყოფლობა და ძალდატანება მიიყვანდა საქმეს იმ უხერხულობებამდე, რომლებზედაც მე მოგახსენებ-დით. ამიტომ უმჯობესია შუალედური გზის პოვნა: სამხედრო სამსახურს მოქალაქეები უნდა შეუდგნენ სამსახურს არც მთლად ნებაყოფლობით და არც იძუ-ლებით, ეს მათ უნდა გააკეთონ ხელისუფლებისადმი პატივისცემით, რომლის რისხვის უფრო უნდა ეშინო-დეთ, ვიდრე კონკრეტული სასჯელისა.

ამრიგად, ჩემი აზრით, სამხედრო სამსახურში უნდა მოხდეს შერწყმა იძულებისა და თავისუფალი ნებისა, რომლებიც არ გაზრდიან უკმაყოფილებას და, შესაბამისად, სახიფათო არ იქნებოდა გაგრძელება. მე არ ვამტკიცებ, რომ ასეთი არმია დაუმარცხებელია რომაული ლეგიონების მსგავსად, რომლებმაც, მიუხედავად თავიანთი სიძლიერისა, არაერთგზის იწვნიეს მძიმე დამარცხება; ასევე შეიძლება ჰანიბალის ჯარების მაგალითის მოყვანაც – რომაელებზე გამარჯვებულებისა და ასევე რომაელებთან დამარცხებულებისა. თქვენმა ყოვლისმცოდნე ადამიანებმა მკაცრად არ უნდა განსაჯონ ჯარის უარყოფითი მხარეები მხოლოდ ერთი წარუმატებელი მიზეზის გამო: ბრძოლა შეიძლება მოიგო ან წააგო, მაგრამ მთავარია, შეისწავლო და გაითვალისწინო დამარცხების მიზეზები.

თუ დავიწყებთ ამ მიზეზების ძიებას, რთული არ იქნება, დავრწმუნდეთ, რომ, როგორც მე მითხარით, წარუმატებლობის გამო არ უნდა განვსაჯოთ ჯარი, არამედ შევძლოთ შეცდომების გამოსწორება. თუ რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, ამას მე ეტაპობრივად მოგახსენებთ.

კიდევ ერთი არგუმენტი ოპონენტებისა არის ის, რომ არსებობს საფრთხე სამხედრო გადატრიალებისა. გპასუხობთ, რომ იარაღი საკუთარი მოქალაქეების ან მეომრების ხელში, რომელიც მათ კანონიერ მფლობელობაში აქვთ, არასდროს არ წარმოადგენს ქვეყნისათვის საფრთხეს. პირიქით, ის ყოველთვის სასარგებლო იყო და ამ გზით უფრო გამჭვირვალედ შეიძლება დავიცვათ სახელმწიფოებრივი სისტემა, ვიდრე სხვა საშუალებებით. რომი 400 წელი არსებობდა, როგორც თავისუფალი სახელმწიფო და

ჰყავდა საკუთარი მოქალაქეებისგან დაკომპლექტებული შეიარაღებული ძალები; სპარტას თავისუფლება 800 წელი გაგრძელდა. სხვა ქვეყნებში კი, სადაც არ ჰყავდათ საკუთარი შეიარაღებული ძალები, სახელმწიფოებრიობამ 40 წელი თუ იარსება.

შეიარაღებული ძალები აუცილებელია სახელმწიფოსთვის და თუ მას საკუთარი სამხედრო ძალა არ გააჩნია, მაშინ ის ამ მიზნით იწყებს უცხოტომელთა მოწვევას. დაქირავებული, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისაგან შემდგარი ჯარი კი სახიფათოა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, რადგანაც შედარებით ადვილია მტრული ძალების მიერ მათი მოსყიდვა და შესაბამისად მათი გამოყენება ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამ ჩანაფიქრის განხორციელება მათთვის უფრო ადვილია, ვიდრე ამ მიზნით ჩაგრული, შეუიარაღებელი ადამიანების გამოყენება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყნის მოსახლეობას არ შეეძლება, იარაღით დაიცვას თავისი სახელმწიფო, არც ერთ ხელისუფალს არასდროს მოსვლია თავში. მაგალითად, ვენეციელები შეძლებდნენ მსოფლიო იმპერიის შექმნას, სახელმწიფოებრივი სიბრძნე რომ გამოეჩინათ სამხედრო სისტემის მიმართ ისეთივე მონდომებით, როგორიც მათ სჩვეოდათ სხვა სახელმწიფო სისტემების სრულყოფის მიმართულებით საქმიანობისას (28). ხმელეთზე მათ სამფლობელოები არ ჰქონდათ, ამიტომაც ვენეციელთა სამხედრო ძალა თავმოყრილი იყო მხოლოდ ზღვაზე და, შესაბამისად, ისინი საზღვაო ბრძოლებს ეფექტურად და წარმატებულად წარმართავდნენ, სამხედრო-საზღვაო ძალების საშუალებით აფართოებდნენ თავიანთ საზღვრებს.

როდესაც დღის წესრიგში დადგა ვიჩენცას დასაცავად სახმელეთო ოპერაციების ჩატარება, მათ საკუთარი მოქალაქეების ნაცვლად მანტუას მარკიზის ძალები გამოიყენეს (29). ამ საბედისწერო გადაწყვეტილებამ ბზარი გაუჩინა ვენეციელების სიძლიერეს.

ძველმა რომაელებმა, რომლებსაც სამხედრო წარმატებები ძირითადად ხმელეთზე ჰქონდათ მოპოვებული და არა ზღვაზე და, მით უმეტეს, კართაგენთან ომის დაწყებისას (პუნიკური ომები – ა.გ.), უცხო ქვეყნის მეზღვაურები (ბერძნები, ესპანელები) კი არ მიიწვიეს, არამედ ეს საქმე დაავალეს თავიანთ მოქალაქეებს, რომლებმაც, მიუხედავად საზღვაო ბრძოლებში ნაკლები გამოცდილების ფლობისა, საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანეს (30).

რაც შეეხება ვენეციის რესპუბლიკას, ისინი რატომღაც მიიჩნევდნენ, რომ სახმელეთო ძალების შექმნა ტირანიის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს. მაგრამ აქვე მინდა, განვმარტო, რომ ტირანიის შექმნას ხელს უწყობს არა საკუთარი შეიარაღებული ძალების ყოლა, რომელიც ემორჩილება და უზრუნველყოფს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის თავდაცვისუნარიანობას, არამედ სულელური კანონები და მმართველობის უვარგისი სისტემა. კარგი მმართველობის პირობებში მოსახლეობას არ უნდა ჰქონდეს შიში საკუთარი ჯარისა. ამ მხრივ ვენეციის ხელისუფლება წინდაუხედავად მოიქცა, რასაც შედეგად მოჰყვა მისი დიდებისა და ბედნიერების დაკარგვა.

საფრანგეთის მეფის მთავარი შეცდომა იყო ის, რომ მან არ შეაჩვია თავისი ხალხი სამხედრო საქმეს და რასაც თქვენი მოაზროვნეები მაგალითად იშვე-

ლიებენ, მე მივიჩნევდი და ვთვლი, რომ ეს იყო საფრანგეთის მონარქიის მთავარი სისუსტე.

მინდოდა, თქვენთვის პასუხი გამეცა და დამემტკიცებინა, რომ არამც და არამც არ უნდა დაეყრდნო სხვებს, მხოლოდ საკუთარი ძალის იმედი უნდა გქონდეს და ამყარებდე იქ სამხედრო დისციპლინას. თუ თქვენ ამ კუთხით შეისწავლით პირველი რომაელი მეფეების საქმიანობას და, განსაკუთრებით, სერვიუს ტულიუსისას, დარწმუნდებით, რომ საკუთარი ხალხის საყოველთაო შეიარაღება იძლეოდა ქალაქის დაცვის ორგანიზების ოპერატიულად განხორციელების საშუალებას (31).

მოდით, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ჯარისკაცთა გაწვევა-შერჩევის საკითხს. მე ისევ ვრჩები ჩემს აზრზე – რომ დამჭირდეს არსებული ჯარების შევსება, მხოლოდ 17 წლის ახალგაზრდებს ავიყვანდი და თუ ახალ ჯარს შევქმნიდი, მაშინ მე გავიწვევდი 17-დან 40 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცს.

კოზიმო: შერჩევისას ყურადღებას თუ მიაქცევთ მათ ძირითად საქმიანობას?

ფაბრიციო: ძველ ისტორიკოსთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ჯარში არ უნდა გაეწვიათ მეთევზეები, მზარეულები, ჯამბაზები, აგრეთვე ის ადამიანები, რომლებსაც ევალებოდათ სხვების გართობა და მომსახურება და, პირიქით, მათი აზრით, ჯარში სამსახურის დროს უპირატესობა უნდა მინიჭებოდათ მიწათმოქმედებს, მჭედლებს, ხუროებს, კალატოზებს, ყასბებს, მონადირეებს… მე ამ განსხვავებას ნაკლებ ყურადღებას მივაქცევდი, თუმცა გარკვეულწილად მაინც გავითვალისწინებდი მათ საქმიანობას, რომე-

ლიც შესაძლებლობას მომცემდა, სარგებელი მიმეღო მათი უნარ-თვისებებიდან სამხედრო საქმისთვის.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მიწის დამმუშავებელი გლეხი იქნებოდა საუკეთესო ჯარისკაცი; ასევე კარგი ჯარისკაცები იქნებოდნენ ხუროები, მჭედლები, კალატოზები... მათი ხელობა ძალზე საჭირო და გამოსადეგია სამხედრო საქმისთვის და ფაქტიურად ასეთი ჯარისკაცებისგან ორმაგ მოგებას მიიღებდა სახელმწიფო.

კოზიმო: როგორ უნდა გამოვიცნოთ სამხედრო საქმისთვის ვარგისი და გამოუსადეგარი ადამიანები?

ფაბრიციო: მე ჯერ ვისაუბრებ ამ მიმართულებით ახალი ჯარისთვის საჭირო ჯარისკაცების შერჩევაზე, მოგვიანებით, რა თქმა უნდა, შევეხები ჯარის შევსებისთვის საჭირო პირთა საკითხს. ჯარისკაცის არჩევისას არკვევ მის ვარგისობას ან გამოცდილებას, ანდა საკუთარ შეხედულებას ეყრდნობი.

თუ გასაწვევი პირის გამოუცდელობის გამო ვერ ვიმსჯელებთ, მაშინ, პირველ ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ მისი ასაკი, საქმიანობა და ფიზიკური მონაცემები. პირველ ორ ნიშანზე მე უკვე მქონდა საუბარი, ახლა კი გავარკვიოთ ფიზიკური მონაცემების საკითხი. ზოგიერთი მხედართმთავარი, მაგალითად, როგორიც იყო პიროსი, მოითხოვდა, რომ ჯარისკაცი ყოფილიყო ტანმაღალი, იულიუს კეისარი კი უპირატესობას ანიჭებდა ჯარისკაცის ფიზიკურ ძალას (32).

მოგეხსენებათ, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია და სხეულისა და სულის ერთიანობა შესაბამისად აისახებოდა მებრძოლის აღნაგობასა და ზნეობრივ სახეზე. ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ჯარისკაცს უნდა ჰქონოდა ცოცხალი და მეტყველი

თვალები, ძლიერი კისერი, ფართო მკერდი, დაკუნ-თული ხელები, გრძელი თითები, შეწეული მუცელი და გამხდარი ფეხები. მათი აზრით, ასეთი მონაცემე-ბის მქონე ადამიანი უნდა ყოფილიყო მოხერხებული და ძლიერი – ეს იყო ის ორი ძირითადი თვისება, რომელიც ყველაზე მეტად ფასობს ჯარისკაცში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მებრძოლთა ზნეობრივ მხარეს: ჯარისკაცი უნდა იყოს წესიერი და პატიოსანი. ამის გარეშე იგი იქცევა უწესრიგობისა და გარყვნილების იარაღად, რადგანაც უნამუსო ჯარისკაცი მამაცი ვერ იქნება (33).

ჯარისკაცთა ამგვარი შერჩევის დანიშნულება განსაკუთრებულია; უფრო გასაგები რომ იყოს, მე ვთვლი, რომ საჭიროა მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ ლეგიონერთა შერჩევის რომელ წესებს ანიჭებდნენ უპირატესობას რომის კონსულები. ძველ რომში განუწყვეტელი ომიანობის პერიოდში ჯარისკაცების შერჩევის დროს ერთად იყრიდნენ თავს ვეტერანი და ახალბედა ჯარისკაცები ანუ გამოცდილი და გამოუცდელი მებრძოლები. აქედან გამომდინარე, ჯარისკაცების შერჩევისას მხედველობაში იყო მიღე-ბული ეს გარემოება, ანუ გამოცდილი მეომარი უშუა-ლოდ ებმებოდა საბრძოლო ოპერაციაში, ხოლო ახალბედა სასწრაფოდ იწყებდა წვრთნას.

მე ვისაუბრე და კიდევ შევეხები იმ წესებს, რომლებიც აუცილებელია ჯარისკაცის საბრძოლო მზადყოფნის სრულყოფისთვის. მინდა გესაუბროთ, თუ როგორ იქმნება ჯარები ისეთ ქვეყნებში, სადაც სახალხო ლაშქარი მანამდე არ ჰყავდათ. იმ ქვეყნებში, სადაც ჯარები ხელისუფალთა განკარგულებით იქმნება, თავმოყრა ხდება გამოცდილი და ახალბედა

ძალებისა, სადაც გამოცდილება ეხმარება ახალბედას სრულყოფილების მიღწევაში. ასე იყო ძველ რომში და ასევეა დღეს შვეიცარიელებში. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ იმპერატორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ახალბედა ჯარისკაცების სწავლებას. ამის მაგალითად გამოგვადგება იმპერატორ მაქსიმინუსის ცხოვრების ქრონიკები (34).

სანამ ძველ რომში რეპუბლიკური წყობა იყო, ასეთი სწავლებები ტარდებოდა არა სამხედრო ბანაკებში, არამედ დასახლებულ პუნქტებში.

ახლა კი შევეხები რომაული ლეგიონების დაკომპლექტების საკითხს. როგორც კი შეუდგებოდნენ კონსულები თავიანთი მოვალეობის შესრულებას, მაშინვე იწყებდნენ მათდამი დაქვემდებარებული რომაელი მოქალაქეებისგან შედგენილი ლეგიონების სრულყოფას (თითოეულ კონსულს ექვემდებარებოდა 2 ლეგიონი). ცალკეულ ლეგიონში ინიშნებოდა 6 სამხედრო ტრიბუნი. რომის შეიარაღებულ ძალებში იმ დროს სულ 24 სამხედრო ტრიბუნი იყო. ისინი იმავე ფუნქციას ასრულებდნენ, რასაც ჩვენი ბატალიონის მეთაურები (35).

ამის შემდეგ ხდებოდა იმ რომაელი მოქალაქეების შეკრება, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო და შემდეგ მათი გადანაწილება ლეგიონებში, რომლებსაც ტრიბუნები ხელმძღვანელობდნენ. ტრიბაში (ასე ეწოდებოდა ძველ რომში ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქს – ა.გ.) იწყებოდა ჯარისკაცთა შერჩევა კენჭისყრის გზით და მათგან სამხედრო სამსახურისთვის შეარჩევდნენ 4 ყველაზე ვარგის პირს. მათგან ერთს იწვევდნენ პირველ ლეგიონში, მეორეს – მეორე ლეგიონში, მესამეს – მესამე და მეოთხეს –

მეოთხე ლეგიონში. პირველი ოთხეულის შემდეგ შეარჩევდნენ მეორე ოთხეულს. ამ შემთხვევაში პირველი ნომერი აჰყავდათ მეორე ლეგიონის ტრიბუ-ნებს, მეორე ნომერი – მესამე ლეგიონის ტრიბუნებს, მესამე ნომერი – მეოთხე ლეგიონის ტრიბუნებს, ხოლო მეოთხე ნომერი აჰყავდათ პირველ ლეგიონში. შემდეგ მოდიოდა მესამე ოთხეული, რომელთაგან პირველი მიდიოდა მესამე ლეგიონში, მეორე – მეოთხე ლეგიონში, მესამე – პირველ ლეგიონში, მეოთხე კი – მეორე ლეგიონში (36). ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ სრულად არ დაკომპლექტებოდა თითოეული ლეგიონი. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ იმაზე, რომ ამ გზით დაკომპლექტებული ლეგიონი უკვე საქმეში გამოსაცდელად იგზავნებოდა სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ იმ ქვეყნებში, სადაც პირველად იქმნება ჯარი, შერჩევა ვარაუდით უნდა მოხდეს, სადაც ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმები უნდა იყოს ახალწვეულის ასაკი და ფიზიკური მონაცემები.

კოზიმო: კითხვა გამიჩნდა. თქვენ რომ ბრძანეთ, იმ ქვეყნებში, სადაც პირველად იქმნება ჯარი, შერჩევა მიმდინარეობს მხოლოდ ვარაუდით. მაინტერესებს, გავიგო თქვენი აზრი, რომელს ანიჭებთ უპირატესო-ბას, დიდი თუ მცირე რაოდენობით ჯარისკაცთა შერჩევას?

ფაბრიციო: რა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანი ჯარი უკეთესია, უფრო მეტიც, სადაც მასშტაბური გაწვევა არ ხდება, შეუძლებელია კარგი ჯარის შექმნა. მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალების შექმნა ისეთ დასახლებულ ქვეყანაში, როგორიცაა, მაგალი-

თად, ტოსკანა, არ მოგვცემს ხარისხიან ჯარისკაცებს და ამ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდზე უნდა ვიყოთ დამოკიდებული. რადგანაც თუ ჯარისკაცების გაწვევაზე ვისაუბრებთ მათი გამოცდილების მიხედვით, აღმოჩნდება, რომ დასახელებულ ქვეყანაში ასეთი გამოცდილება არის ძალზე მწირი, რადგანაც მათ ომებში მონაწილეობის გამოცდილება მინიმალური აქვთ და შესაბამისად მათი, როგორც შერჩეული ჯარისკაცების უპირატესობა სხვა მეომრების მიმართ თითქმის უმნიშვნელო იქნება. ამიტომაც ამგვარ ქვეყანაში ჯარისკაცთა შერჩევისას ჩვენ ძირითადად ვერ დავეყრდნობით მათ გამოცდილებას და იძულებულნი ვიქნებით, არჩევანი ვარაუდზე შევაჩეროთ. ასეთ შემთხვევაში მე მიჩნდება კითხვა, რით უნდა ვიხელმძღვანელო, როდესაც ჩემთან ცხადდება გარეგნულად ერთმანეთის მსგავსი ოცი ახალგაზრდა და რომელი წესით ავირჩევ ზოგს და რომელს გავუშვებ უკან სახლში? აქედან გამომდინარე, შეცდომის რისკი უფრო ნაკლები იქნება, თუ ყველა მათგანს ავირჩევთ, მივცემთ იარაღს, ვასწავლით და ამის შემდეგ მოგვიანებით გავარკვევთ, თუ ვინ იქნება მათ შორის მამაცი და ძლიერი ჯარისკაცი.

თუ ყველა გარემოებას განვიხილავთ, გამოიკვეთება აზრი, რომ მცირე რაოდენობა საუკეთესო ხარისხის მისაღწევად აბსოლუტურად მცდარი იქნება. რაც შეეხება ამ მხრივ მცირე ტვირთს ქვეყნისა და ხალხისთვის, მაგალითად, მილიციის (37) შექმნა, დიდი იქნება თუ მცირე, არავითარ ტვირთს არ წარმოადგენს ქვეყნისთვის, რადგანაც ამგვარი წესი არავის წყვეტს თავისი ძირითადი საქმიანობიდან, მათ აქვთ ვალდებულება, თავისუფალ, არასამუშაო დღეს

შეიკრიბონ და გაიარონ სამხედრო სწავლება. ქვეყნისა და ხალხისთვის ამ შემთხვევაში არანაირ სირთულესთან არ გვაქვს საქმე, ახალგაზრდობა კი ამით სიამოვნებასაც მიიღებს. დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში დუქნებში ხეტიალის ნაცვლად, ახალგაზრდები მთელი შეგნებით წავლენ ამგვარ მეცადინეობებზე, რადგანაც სამხედრო ვარჯიშები მათ ფიზიკურად უფრო გააძლიერებს და გაამშვენიერებს; ეს კი განსაკუთრებით მოსწონთ ახალგაზრდებს.

რაც შეეხება ხელფასებს, რომელიც შედარებით მცირერიცხოვან მილიციის ძალას უნდა მიეცეს და რომლითაც ისინი კმაყოფილნიც უნდა იყვნენ და დამჯერნიც, ჩემი აზრით, არ უნდა მოხდეს მილიციის დანაწევრება ისეთ მცირე ჯგუფებად, სადაც ისინი მიიღებდნენ მუდმივ ხელფასს, რომლებიც მათ დააკმაყოფილებდა. მაგალითად, ხუთი ათასი ქვეითი მეომრის ხელფასისთვის, რომელიც მათთვის საკმარისი იქნებოდა, უნდა გამოიყოს თვეში მინიმუმ ათი ათასი დუკატი. უნდა აღვნიშნო, რომ ჯარის ეს რაოდენობა მცირეა და ამავე დროს ასეთი ფინანსური ხარჯი მძიმე იქნებოდა ქვეყნისათვის. მეორე მხრივ, ამ თანხის შესაბამისი ხელფასი მათთვის არ იქნებოდა საკმარისი. ამრიგად, ასეთი ორგანიზება ძვირი დაუჯდებოდა სახელმწიფოს, ჯარიც არ იქნებოდა ადეკვატური, თანაც არც თავდაცვის და არც შეტევის უნარი არ ექნებოდა. თუ ხელფასიც და ჯარის რაოდენობაც გაიზრდებოდა, ეს კიდევ უფრო გაართულებდა გადახდის შესაძლებლობას, ხოლო ჯარისა და ფინანსების შემცირება კიდევ უფრო გამოუსადეგარს გახდიდა სამხედრო ძალას. ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბ-

რობთ მშვიდობიან პერიოდზე. ამიტომაც სახალხო მილიციის მომხრეები მუდმივ ხელფასზე საუბრობენ, როგორც უსარგებლო საგანზე. სრულიად სხვა ვითარებაა, როდესაც ჯარი იქმნება ომისთვის და როდესაც აუცილებელია მათთვის ხელფასის დანიშვნა. თუ მშვიდობიან დროს ჯარში ჩაწერილ მოქალაქეებს შეიძლება გარკვეული ზარალი მიადგეთ ან უხერხულობა შეექმნათ, რა თქმა უნდა, მე ამას არც კი განვიხილავ, ისინი გაწონასწორებულნი არიან მთელი რიგი სიკეთეებით და ქვეყანას აძლევენ კარგად ორგანიზებულ შეიარაღებულ ძალებს, რადგანაც ამის გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი სახის უსაფრთხოება.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ მცირერიცხოვანი მილიციის შექმნის მსურველები, რომლებიც მათ (მილიციას) მუდმივ ხელფასს დაუნიშნავენ, მიხვდებიან, რომ მათ ცუდად ესმით ეს საქმე. მცირე ძალებისგან განსხვავებით, მილიციის დიდი ძალებით ჩვენ შევძლებთ, ვისარგებლოთ შესაბამისად წვრილი და მსხვილი სამხედრო ნაწილებით. და ბოლოს, ჯარი სასარგებლოა არა მხოლოდ ომისთვის, არამედ ის ამყარებს შენს დანიშნულებას და, რა თქმა უნდა, დიდ ჯარს ყოველთვის დიდი წონა აქვს. ამავე დროს, როგორც ვიცით, მილიცია იქმნება ხალხის მოსამზადებლად ომისთვის და თუ ქვეყანაში ამ საქმისთვის მცირე რაოდენობის ხალხი ჩაეწერება, ისეთ დასახლებაში, სადაც სახლები ერთმანეთისგან საკმაოდ შორსაა, თითქმის შეუძლებელი იქნება სწავლებაზე მათი შეკრება.

კოზიმო: თქვენმა პასუხმა დამაკმაყოფილა. მე მაინტერესებს თქვენი აზრი შემდეგ საკითხთან დაკავ-

შირებით: მილიციის შექმნის ოპონენტები აცხადებენ, რომ დიდი რაოდენობით შეიარაღებულ პირთა ყოფნა ქვეყანაში მოიტანს არეულობასა და ქაოსს. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

ფაბრიციო: ეს აზრი უსაფუძვლოა და მოგახსენებთ, თუ რატომ. უწესრიგობა, რომელსაც შეიარაღებული ადამიანები აწყობენ, არსებობს ორი სახის: ეს არის მათ შორის პიროვნული დაპირისპირება ან მღელვარება, მიმართული სხვა ძალის წინააღმდეგ. თავისთავად მილიციის შექმნა გამორიცხავს ამგვარ დაპირისპირებას, რადგანაც მათ ევალებათ პირველ რიგში უწესრიგობის აღმოფხვრა.

თუ ქვეყანაში, სადაც იქმნება მილიცია და მოქალაქეებს არ შეუძლიათ იარაღის ტარება, და სადაც მოქალაქეები, შეიარაღებულნი და შეუიარაღებელნი, პატივს სცემენ კანონებს, ისინი, კანონმორჩილნი, თავს არ დაესხმიან საკუთარ ქვეყანას. და თუ მაინც დაიწყო უწესრიგობები, მე გეტყვით, თუ როგორ ვებრძოლოთ მას.

თუ ქვეყანაში ყალიბდება სახალხო ლაშქარი, რომელიც მებრძოლი სულისაა და ამავე დროს გათიშულია, ამ შემთხვევაში მხოლოდ ისეთი ორგანიზაცია, როგორც მილიციაა, ახერხებს მის გაერთიანებას. ამ დროს მოქალაქეებს აქვთ თავიანთი იარაღი და ჰყავთ ხელმძღვანელები, მაგრამ მათი იარაღი საომრად არ არის გამოსადეგი და მათი ხელმძღვანელები მხოლოდ არეულობასა და შფოთს თესავენ. მილიცია ხალხს აძლევს ომისთვის გამოსადეგ იარაღს და ნიშნავს ისეთ ხელმძღვანელებს, რომლებმაც უნდა აღკვეთონ უწესრიგობები. ასეთ ვითარებაში ყველა

განაწყენებული ადამიანი მიდის თავისი პარტიის ლიდერთან, რომელიც, საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, უბიძგებს მას შურისძიებისკენ და არა მშვიდობისკენ. სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელი კი სხვანაირად იქცევა; ამიტომაც იქმნება მილიცია, რომლის მიზანია მოქალაქეთა ერთიანობის უზრუნველყოფა. მხოლოდ მას შეუძლია შეკრას სახალხო მებრძოლნი და ყველა შეიარაღებული მოქალაქე ისეთ ძალად, რომელიც ომის დროსაც აქტიური იქნება და აღკვეთს მშვიდობიანობის დროს მოსალოდნელ უწესრიგობებს.

ზიანს, რომელიც შეიარაღებულმა ადამიანებმა შეიძლება ერთმანეთს მიაყენონ, ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მათ ზარმაცი უფროსები ჰყავთ. და თუ თქვენ გსურთ, ხელმძღვანელობამ არ შეუწყოს ხელი ამ უწესრიგობებს, უნდა ეცადოთ, რომ მათ არ მოიპოვონ დიდი გავლენა თავიანთ ხელქვეითებზე. ამ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს შეიძლება ატარებდეს ბუნებრივ ან ხელოვნურ ხასიათს. გავლენის შესუსტების მიზნით, ადგილობრივ მცხოვრებთა სათავეში უმჯობესია იყოს ისეთი პირი, რომელსაც ადგილობრივებთან არაფერი აკავშირებს.

რაც შეეხება გავლენას, აქ საჭიროა სხვა ღონისძიებების გატარება: ხელმძღვანელებმა ყოველწლიურად უნდა იცვალონ დისლოკაციის ადგილები, რათა მუდამ აქტიურ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. ამის ნათელი მაგალითია ასურეთის სამეფო და რომის იმპერია. ასურეთმა ათასი წელი გაძლო სამოქალაქო და ყოველგვარი საგარეო ომების გარეშე. ეს

აიხსნებოდა იმით, რომ მხედართმთავრები თავიანთი ჯარებით მუდმივ მოძრაობაში იმყოფებოდნენ (38).

განსხვავებული ვითარება იყო ძველ რომში, სადაც იულიუს კეისრის შემდეგ ადგილი ჰქონდა არა ერთ სამოქალაქო ომს მხედართმთავრებს შორის, შეთქმულებებს იმპერატორების წინააღმდეგ. ამის ძირითადი მიზეზი იყო ლეგიონების მუდმივი ყოფნა დისლოკაციის ადგილზე ანუ სტაბილურად ერთ ადგილზე გამაგრება. ისეთმა იმპერატორებმა, როგორებიც იყვნენ ადრიანე, მარკუს ავრელიუსი, სეპტიმიუს სევერუსი (39), შეძლეს იმპერიის გამყარებადა მხედართმთავრებს ბუნტის მოწყობის ნაკლები შანსი რჩებოდათ.

კოზიმო: ვშიშობ, ჩემი შეკითხვებით თქვენი შეხედულებები თითქოსდა სხვა განზომილებაში გადავიდა, ამდენად, წესით მე თქვენგან საყვედური მეკუთვნის, თუ თქვენს წინაშე ბოდიშს არ მოვიხდი.

ფაბრიციო: ყველა ეს გადახვევა საჭირო იყო, რადგანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მე მსურდა საუბარი მილიციაზე, რომლებსაც ბევრნი აკრიტიკებენ, მე კი ვალდებული ვიყავი, ისინი დამეცვა, განსაკუთრებით, მათ მიერ ჯარისკაცთა შერჩევის პრინციპი. სანამ სხვა თემაზე გადავიდოდე, მე მინდა, ყურადღება შევაჩერო კავალერიის შერჩევაზე. ძველ დროში მათ ირჩევდნენ მდიდარი მოქალაქეებისგან, ყურადღება ძირითადად ეთმობოდა ასაკსა და პიროვნულ თვისებებს. ლეგიონში ირჩევდნენ 300 ცხენოსანს. ასე რომ რომის კავალერია კონსულების პერიოდში 600 მხედარს არ აღემატებოდა.

კოზიმო: მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ ცხენოსანი მილიციის შექმნა, რომელიც წვრთნას სახლში გაივლის და ომის დროს იმსახურებს?

ფაბრიციო: რა თქმა უნდა, აუცილებელია და ამის გარეშე წარმოუდგენელია, თუ გსურს სრულყოფილი სამხედრო ძალების გყავდეს.

კოზიმო: როგორ უნდა მოხდეს მხედრების შერჩევა?

ფაბრიციო: მე რომაელებს მივბაძავდი და მდიდარი ადამიანებისგან კავალერიას ჩამოვაყალიბებდი.

კოზიმო: მათ ხელფასი უნდა დაენიშნოთ თუ არა?

ფაბრიციო: აუცილებლად, მაგრამ არა უმეტეს იმისა, რაც ცხენების მოვლასა და გამოკვებას სჭირდება.

კოზიმო: რა რაოდენობის უნდა იყოს თქვენი კავალერია და როგორი უნდა იყოს მათი შეიარაღება?

ფაბრიციო: თქვენ სხვა საკითხზე გადადიხართ. ამის შესახებ შესაბამის დროს ვისაუბრებ, მაშინ, როდესაც ქვეითი ჯარის შეიარაღებასა და მის საბრძოლო მზადყოფნას შევეხები.

თავი II

ფაბრიციო: როცა შეიარაღებულ ძალებში ჯარის-კაცების შერჩევა მთავრდება, ამის შემდეგ იწყება მათი შეიარაღება. საამისოდ საჭიროა იმის ცოდნა, თუ როგორი იარაღი გამოიყენებოდა მანამდე, რათა მათ-გან უკეთესი შეირჩეს. მაგალითად, ძველი რომაელი ქვეითი მეომრები იყოფოდნენ მძიმე და მსუბუქად შეიარაღებულებად, იგივე ველიტებად (40). ამ ტერ-მინის ქვეშ იგულისხმებოდა ყველა ის ქვეითი მეომარი, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ შურდუ-ლით, მშვილდ-ისრითა და სასროლი შუბებით. თავ-დაცვის მიზნით, მათი დიდი ნაწილი ატარებდა მუ-ზარადს და მრგვალ ფარს. ველიტები იბრძოდნენ მოწინავე პოზიციებზე, მძიმედ შეიარაღებული ქვეი-თებისგან დაშორებით. მძიმე ქვეითთა ძირითადი საჭურველი იყო: მუზარადი, რომელიც იცავდა თავს მხრებამდე; აბჯარი, რომელიც იცავდა სხეულს მუხ-ლებამდე, მათ შეიარაღებაში ჰქონდათ ასევე ჯაჭვი, მახვილი და ბასრი პირის მქონე შუბი და სასროლი შუბი (pilum), რომლებსაც ბრძოლის დასაწყისში ესროდნენ მოწინააღმდეგეს (41).

ამგვარი იყო ანტიკურ სამყაროში რომაელ ქვეითთა შეიარაღება, რომლის საშუალებითაც მათ იმდროინდელი სამყარო დაიპყრეს. ზოგიერთი ძველი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ რომაელებს შეიარაღებაში ჰქონდათ აგრეთვე გრძელი შუბი, რომელიც რქას წააგავდა (42). მაგრამ არ მესმის, როგორ უნდა მოეხერხებინა მეომარს, რომელსაც ხელთ მძიმე ფარი

ეპყრა, სრულყოფილად მძიმე შუბის გამოყენება. ორივე ხელით მისი სროლა შეუძლებელია, რადგანაც ერთ ხელში მებრძოლს ფარი უჭირავს, ცალი ხელით სროლისას შედეგი ნაკლებად ეფექტურია, რადგანაც შუბი ძალზე მძიმეა. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ ბრძოლის დროს მჭიდრო წყობაში შუბი უსარგებლოა, რადგანაც მხოლოდ პირველი მწკრივის ჯარისკაცებს აქვთ ის სივრცე, რომელიც მათ გაშლისთვის შეუძლიათ გამოიყენონ. შემდეგ მწკრივებში განლაგებული მებრძოლები ამ საშუალებას მოკლებულნი არიან.

ამიტომაც ნებისმიერი იარაღის გამოყენება, რომლის სიგრძეც ორ წყრთას (43) აღემატებოდა, მჭიდრო რიგში შეუძლებელი ხდებოდა. მძიმე შუბით შეიარაღებულს მისი ორივე ხელით სროლა რომ მოგენდომებინათ, თუნდაც ფარს ამის საშუალება მოეცა, მას მაინც ვერ გამოიყენებდით ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულ მტერთან. აქედან გამომდინარე, უფრო სარწმუნოა იმის თქმა, რომ რომაელებს ან საერთოდ არ ჰქონდათ ასეთი მძიმე შუბები, ანდა მათით თითქმის არ სარგებლობდნენ. ტიტუს ლივიუსი შრომებში, სადაც აღწერილია მნიშვნელოვანი ბრძოლები, ამ გრძელ შუბებს ძალზე იშვიათად ახსენებს, ამავე დროს ის მუდმივად საუბრობს იმაზე, თუ როგორ სტყორცნეს ჯარისკაცებმა მოწინააღმდეგეს დროტიკები და შემდეგ იშიშვლეს მახვილი. ამიტომაც ჩვენც გადავდოთ ეს მძიმე შუბი გვერდზე და ვისაუბროთ იმაზე, რომ რომაელი ქვეითების შეტევის ძირითადი იარაღი იყო მახვილი, ხოლო ფარი და სხვა საჭირველი თავდაცვისთვის გამოიყენებოდა.

რაც შეეხება ძველ ბერძნებს, თავდაცვის დროს ისინი, რომაელებისგან განსხვავებით, შედარებით მსუბუქად იყვნენ შეიარაღებულნი. შეტევაში ისინი არა მახვილს, არამედ გრძელ შუბებს ანიჭებდნენ უპირატესობას. ამის მაგალითად გამოდგება მაკედონიური ფალანგა. მათი შუბების სიგრძე 10 წყრთას (დაახლოებით 5 მეტრს) აღწევდა და მათი დახმარებით ახერხებდნენ მოწინააღმდეგის რიგების გარღვევას. საინტერესოა, რომ ისტორიკოსთა უმეტესობა ყურადღებას ამახვილებდა მაკედონელთა ფარებზე და მაინც მიკვირს, როგორ ახერხებდნენ ისინი ერთდროულად გრძელი შუბებისა და ფარების ერთდროულად გამოყენებას. ლუციუს ემილიუს პაულუსის ბრძოლის აღწერილობაში მაკედონიის მეფე პერსევსთან (44) ყურადღება არ მახვილდება ბერძნულ შუბებზე, მხოლოდ გრძელი შუბებია ნახსენები და აგრეთვე ის, თუ როგორ რთულად აღწევდნენ გამარჯვებას რომაული ლეგიონერები (45).

აქედან გამომდინარე, შემექმნა აზრი, რომ მაკედონიური ფალანგა თითქმის არ განსხვავდება თანამედროვე შვეიცარიული ბრიგადებისგან, რომელთა სიძლიერეც ძირითადად გრძელ შუბებზეა დამყარებული (46).

რომაელ ქვეითთა მუზარადები მორთული იყო ლამაზი ბუმბულებით, რომლებიც მებრძოლებს განსაკუთრებულ იერს აძლევდა, მეგობრისთვის მიმზიდველსა და მტრისთვის მრისხანეს.

რაც შეეხება რომაულ კავალერიას, ისინი თავდაცვისთვის ძირითადად ატარებდნენ მრგვალ ფარებსა და მუზარადებს. ეს იყო თავდაცვის ძირითადი იარაღი. შეტევაში ისინი იყენებდნენ მახვილსა და

გრძელ, შედარებით თხელ შუბს, რომელსაც ბოლოში ჰქონდა ლითონის წვერი. დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა მათი თავდაცვის საშუალებები და ქვეითი მებრძოლებისას დაემსგავსა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ კავალერისტებს ჰქონდათ ოთხკუთხა და მცირე ზომის ფარები. მათ შუბებს ორივე მხარე წამახვილებული ჰქონდა (47).

ასეთი იარაღით მხედარს არ შეეძლო ფარის გამოყენებით თავდაცვა, ხელჩართულ ბრძოლაში კი ასეთი შუბები იმსხვრეოდა და მებრძოლები თითქმის უიარაღოდ და დაუცველნი რჩებოდნენ. დროთა განმავლობაში კავალერიაც ქვეითთა მსგავსად იარაღდებოდა. აღსანიშნავია, რომ განსხვავება იყო იმაში, რომ მხედართა ფარები იყო ოთხკუთხა და შედარებით მცირე ზომისა, ვიდრე ქვეითი მებრძოლებისა. რაც შეეხება შუბს, ის უფრო გამსხვილდა და თანაც ორივე ბოლო ლითონისა ჰქონდა. როცა ერთი მხარე ბლაგვდებოდა, მეორე მხარეს იყენებდნენ.

ფაქტი ფაქტად რჩება, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამგვარი შეიარაღებით დაიპყრეს მათ მთელი მსოფლიო. ამის ნათელი მაგალითია ტიტუს ლივიუსის შემდეგი სიტყვები: „რომაელები თავიანთი სიმამაცით, სრულყოფილი შეიარაღებითა და სამხედრო დისციპლინით უძლიერესნი იყვნენ მსოფლიოში“ (48).

ამის გამო მე უფრო მეტად ვსაუბრობ გამარჯვებული ქვეყნის მეომრების შეიარაღებაზე, ვიდრე დამარცხებული ძალების იარაღზე.

ახლა კი ჩვენს თანამედროვე შეიარაღებას შევეხები. თავდაცვისთვის ქვეითებს ეძლევათ რკინის აბჯარი, შეტევისთვის კი 9 წყრთა სიგრძის (დაახლოე-

ბით 4,5 მ – ა. გ.) შუბი და გვერდზე დაკიდებული მახვილი (49).

ასეთია თანამედროვე ქვეითი ჯარის შეიარაღება. მათ მხოლოდ მცირე ნაწილს გააჩნია აბჯარი, რომელიც იცავს მეომრის ზურგსა და ხელებს; რაც შეეხება მუზარადს, ის თითქმის არ გააჩნიათ. მათ შეიარაღებაში გრძელი შუბების ნაცვლად აქვთ ალებარდები (50), რომლის სიგრძეც აღწევს 3 წყრთას (დაახლოებით 1.5 მ – ა.გ.). ქვეით მეომრებში იყვნენ აგრეთვე ე.წ. ფიუზელერები, რომლებიც თავიანთი ცეცხლმსროლელი იარაღით იმავე ფუნქციას ასრულებდნენ, რასაც ძველ დროში მეისრეები და მეშურდულეები (51).

ეს შეიარაღება გერმანელებმა გამოიგონეს შვეიცარიელებისთვის, რომლებიც სხვა ხალხებისგან განსხვავებით უფრო ღარიბები არიან. კავალერია მათთვის თითქმის მიუწვდომელია. აქედან გამომდინარე, მათში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტრის კავალერიისგან თავდაცვა (52).

აუცილებლობამ აიძულა ისინი, დაბრუნებოდნენ ძველ საბრძოლო წყობას, რომელსაც ზოგიერთი ავტორი აკრიტიკებდა და მიიჩნევდა, რომ ქვეითი ჯარი აბსოლუტურად უსარგებლოა. ამ მიზეზის გამო, ისინი შეიარაღდნენ პიკებით ანუ გრძელი შუბებით, რომლის საშუალებითაც მათ შეეძლოთ არა მხოლოდ მტრის კავალერიის შეტევის შეკავება, არამედ გამარჯვების მოპოვებაც. ამ იარაღმა ისეთი მუხტი მისცა გერმანელ ხალხებს, რომ 15 ან 20 ათასი მეომრისგან შედგარ გერმანელ ქვეითთა ძალას შეუძლია წარმატებული შეტევა განახორციელოს ნებისმიერ კავალერიაზე და ბოლო 25 წლის მანძილზე ჩვენ არაერთხელ გავხდით ამის მომსწრენი. ამ ძალების უპირატესობაში

ევროპელები განსაკუთრებით დარწმუნდნენ საფრანგეთის მეფის ლაშქრობის დროს იტალიაში (53), რის შედეგადაც ყველამ დაიწყო მათი მიბაძვა, მათ შორის, ესპანელებმაც.

კოზიმო: თქვენ რომელ იარაღს მიანიჭებთ უპირატესობას, თანამედროვე გერმანულს თუ ძველ რომაულს?

ფაბრიციო: რა თქმა უნდა, რომაულს. მე მოგახსენებთ ორივე ხალხის იარაღის უარყოფით მხარეებზე. გერმანელ ქვეითებს თავიანთი იარაღის გამოყენებით შეუძლიათ შეაჩერონ და დაამარცხონ მტრის კავალერია. სამაგიეროდ, თავდაცვითი იარაღის არქონა მათ ხელს უშლის ხელჩართულ ბრძოლებში თავდაცვის წარმატებით წარმართვაში. რაც შეეხება ორთაბრძოლებს, რომაელები თავიანთი მახვილებით უფრო მეტ ეფექტს აღწევდნენ, ვიდრე გერმანელები თავიანთი შუბებით. თუ გერმანელები იყენებენ მახვილს ფარის გარეშე, ესეც ნაკლებ ეფექტურს ხდის მტრის წინააღმდეგ მათ ბრძოლას.

აბჯრითა და ფარით დაცული რომაელები გაბედულად მიიწევდნენ ქალაქის კედლების მისადგომებისკენ. ერთადერთი ხელისშემშლელი მათთვის იყო აბჯრის სიმძიმე, თუმცა, წრთობის შესაბამისად, ჯარისკაცები ამ სიძნელესაც ეგუებოდნენ.

შეადარეთ გერმანელი ქვეითები რომაელებს და მიხვდებით, რომ გერმანელებს შეუძლიათ, მოიგერიონ და დაამარცხონ მტრის კავალერია, მაგრამ ქვეით ძალასთან ბრძოლის დროს მათი შანსი მცირდება. რომაელებს კი თანაბრად შეეძლოთ უპირატესობის მოპოვება როგორც კავალერიასთან, ასევე ქვეითებთან ბრძოლაში.

კოზიმო: თუ შეიძლება მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითი.

ფაბრიციო: თქვენ ნახავთ უამრავ მაგალითს ისტორიიდან, თუ როგორ დაამარცხეს არაერთხელ რომაელმა ქვეითებმა მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი კავალერია, მაგრამ ვერსად ნახავთ იმას, რომ საუბარი იყოს რომაელთა მარცხზე მათი იარაღის ხარისხის გამო. თუ მათი შეიარაღება იყო ცუდი, აუცილებლად მოხდებოდა ის, რომ ან რომაელებს შეხვდებოდა უკეთესად შეიარაღებული ხალხი და შეწყვეტდნენ დაპყრობით ომებს, ანდა რომაელები გადაიღებდნენ მათ შეიარაღებას და უარყოფდნენ თავისას. რადგან მსგავსი რამ საერთოდ არ მომხდარა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რომაულ შეიარაღებაზე უკეთესი ჯერჯერობით არსად არაფერი შექმნილა.

ამას ჩვენ ვერ ვიტყვით გერმანელ ქვეითებზე, რომლებიც ხშირად მარცხდებოდნენ რიცხობრივად იმავე რაოდენობისა და შემართების მოწინააღმდეგე ქვეით ძალებთან. როდესაც მილანის ჰერცოგს ფილიპო მარია ვისკონტის შეჯახება მოუხდა 18 ათას შვეიცარიელთან, მან მათ წინააღმდეგ გაგზავნა თავისი სარდალი გრაფი კარმანიოლა. მის განკარგულებაში იყო 6 ათასი ცხენოსანი და მცირე რაოდენობით ქვეითები. შვეიცარიელებმა მათ უკან დაახევინეს დიდი დანაკარგებით. კარმანიოლამ, როგორც გამოცდილმა მეომარმა, მაშინვე გაიგო საიდუმლო მოწინააღმდეგე ძალების იარაღისა, მათი აღმატებულება საკუთარ კავალერიაზე და იგრძნო ის სისუსტე, რაც მას გააჩნდა მოწინააღმდეგის ქვეითების წყობასთან შედარებით. მან ხელახლა შეკრიბა საკუთარი მებრძოლები და მოულოდნელ და სწრაფ შეტევაზე გადა-

ვიდა. იმდენად ძლიერი იყო ეს შეტევა, რომ მოწინააღმდეგის 3 ათასმა მეომარმა, რომლებსაც დახმარების იმედიც აღარ ჰქონდათ, დაყარეს იარაღი და ტყვედ ჩაბარდნენ (54).

კოზიმო: რა არის ამ დამარცხების მიზეზი?

ფაბრიციო: როგორც მე მოგახსენეთ, გერმანელი ქვეითები, რომლებსაც თითქმის არ გააჩნიათ თავდაცვის იარაღი, შეტევისთვის შეიარაღებულნი არიან ფარებითა და გრძელი შუბებით. თუ მოწინააღმდეგეს უკეთესი თავდაცვითი იარაღი აქვს, მსგავსად კარმანიოლას ჯარებისა და თუ ისინი მჭიდრო მწკრივებად დაწყობილნი, მახვილით ხელში სწრაფად შეიჭრებიან ხელჩართულ ბრძოლაში, წარმატება გარანტირებული იქნება. თავდაცვის შემთხვევაში გერმანელი ქვეითები ვეღარ ახერხებენ გრძელი შუბების გამოყენებას და აბჯარში ჩამჯდარ მტერთან ბრძოლა მათთვის წარუმატებლად მთავრდება.

ამრიგად, როდესაც ახდენ ამა თუ იმ სამხედრო წყობის შედარებას და გამოგაქვს შესაბამისი დასკვნები, გასაგები ხდება, რომ თუ ჯარისკაცს არ გააჩნია თავდაცვის იარაღი, ის განწირულია, რადგანაც აბჯარში ჩამჯდარი მტრისთვის სირთულეს არ წარმოადგენს მათი პირველი შეტევის მოგერიება და მოწინააღმდეგის პირველი მწკრივის შუბების განეიტრალება. ამ დროს კი დაპირისპირებული მხარეები იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ მკერდითაც კი ეხებიან ერთმანეთს. ამ დროს თუ ვინმე იღუპება შუბის გამოყენების შედეგად, მაინც იმდენად ბევრი ხალხი რჩება მწყობრში, რომ მათი გამარჯვება არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს. ასეთია ჩემი

განმარტება იმ ხოცვა-ჟლეტაზე, რაც მცირე დანაკარგებით მოუწყო კარმანიოლამ შვეიცარიელებს.

კოზიმო: გასაგებია, მაგრამ კარმანიოლას ჯარისკაცები იყვნენ ჟანდარმები (55), რომლებსაც ჰქონდათ ჯავშანი და ამიტომაც მიაღწიეს წარმატებას. აქედან გამომდინარე, თუ მათ მსგავსად შევაიარაღებთ ქვეითთ ძალას, ეს წარმატებას შეუწყობს ხელს.

ფაბრიციო: თქვენ ამაზე არ იფიქრებდით, რომ გაგხსენებოდათ ის საუბარი, როდესაც მე შევეხე რომის შეიარაღებას; ქვეითი მეომარი, რომელსაც თავი დაცული აქვს რკინის მუზარადით და მკერდი დაფარული აქვს ჯავშნითა და ფარით, ხელები და ფეხები დაცულია დარტყმისგან, მათ შეუძლიათ დაცვა და შემდეგ შეჭრა მტრის რიგებში გაცილებით უკეთესად, ვიდრე ქვეითად მებრძოლ ჟანდარმებს. მოგიყვანთ ცოცხალ მაგალითს. ესპანელ ქვეითთა რაზმი სიცილიიდან გაიგზავნა ნეაპოლის სამეფოში გონსალოს (56 დასახმარებლად. იგი ბარლეტაში იყო გამაგრებული, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული ფრანგების მიერ. მის შესახვედრად გამოვიდა მონსენიორ დობინი თავისი ჟანდარმებითა და 4 ათასი ქვეითი გერმანელით.

ბრძოლის დასაწყისში გერმანელები შუბებით შეიჭრნენ ესპანელ ქვეითებში, მაგრამ მოხერხებულმა ესპანელებმა, რომლებიც მცირე ზომის ფარებით თავს იცავდნენ, ხელჩართულ ბრძოლაში შემოატრიალეს თავისდა სასარგებლოდ ვითარება, გაანადგურეს ლანდსკნეხტები და გამარჯვება დარჩათ ესპანელებს (57).

ყველამ იცის, როგორ დაიღუპნენ გერმანელები რავენასთან. მიზეზი იგივე იყო. ხელჩართულ ბრძოლაში ესპანელებმა კინაღამ გაანადგურეს გერმანე-

ლები, რომლებიც ფრანგულმა კავალერიამ იხსნა (58). მიუხედავად ამისა, ესპანელებმა შემჭიდროებული რიგებით შეძლეს უხიფათოდ უკან დახევა. ამიტომაც მე მიმაჩნია, რომ კარგმა ქვეითმა ძალამ არა მხოლოდ უნდა შეაჩეროს კავალერიის მასზე დაწოლა, მას ასევე არ უნდა ეშინოდეს მტრის ქვეითი ძალებისა. ყოველ-ივე ეს კი დამოკიდებულია შეიარაღებაზე და შესაბამის წყობაზე.

კოზიმო: კონკრეტულად, როგორ შეაიარაღებ-დით თქვენს ჯარისკაცებს?

ფაბრიციო: მე გამოვიყენებდი ნაწილობრივ რო-მაულ, ასევე გერმანულ იარაღს და ქვეითი ძალის ერთ ნახევარს შევაიარაღებდი რომაულად, მეორეს კი გერ-მანული ნიმუშის მიხედვით. მაგალითად, თუ ჩემი 6 ათასი ქვეითიდან 3 ათასს ექნებოდა რომაული ფარი და დაახლოებით ამდენივე იქნებოდა შუბოსანი, ეს საკმარისი იქნებოდა. შუბოსნებს მე დავაყენებდი ბატალიონის სათავეში ან იმ მხარეს, საიდანაც კავალე-რიის თავდასხმის საფრთხე იქნებოდა მოსალოდ-ნელი. ფარითა და მახვილით შეიარაღებულებს შედა-რებით უკან განვალაგებდი, რომლებიც ამავე დროს მზად იქნებოდნენ, შუბოსნებისთვის მხარდაჭერით გადაეწყვიტათ ბრძოლის ბედი. ვფიქრობ, ამგვარად მოწყობილი ქვეთი ჯარი ყველა სხვა ძალაზე ძლიერი იქნება.

კოზიმო: ყველაფერი გასაგებია ქვეით ჯართან დაკავშირებით. რაც შეეხება კავალერიის შეიარაღებას, ამ მხრივ როგორია თქვენი პოზიცია?

ფაბრიციო: ვფიქრობ, უნაგირის გაუმჯობესებას-თან ერთად, რაც გულისხმობს ტახტასა და უზანგებს,

დღევანდელი მხედარი უფრო მყარად ზის ცხენზე, ვიდრე მანამდე ისხდნენ კავალერისტები (59).

რაც შეეხება თანამედროვე კავალერიას, მისი შეკავება, როდესაც ის მთელი ძალით ესხმის თავს მტერს, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ანტიკური ეპოქის კავალერიის შეკავება.

მიუხედავად ყოველივე იმისა, რაც მე მოგახსენეთ, ჩემი აზრით, არ არის საჭირო, კავალერიას მივანიჭოთ ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც მას ჰქონდა ძველ დროში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს დროში ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც ისინი ქვეითი ძალის მიერ სამარცხვინოდ იყო განადგურებული. აქ საუბარია ჩემ მიერ ნაამბობ იმ ქვეით ძალაზე, რომელსაც სანიმუშო შეიარაღება და მოწყობა ჰქონდა.

შევეხები ერთ ისტორიულ მაგალითს: სომეხთა მეფე ტიგრანმა რომაელი ლუკულუსის წინააღმდეგ 150 ათასი მხედარი გამოიყვანა; რომაელებს ჰყავდათ მხოლოდ 25 ათასი ქვეითი და 6 ათასი მხედარი. მათ დანახვაზე ტიგრანს უთქვამს: „ელჩობის კვალობაზე ბევრი მხედარი ჰყავთო რომაელებს“. ბრძოლის ველზე ტიგრანი განადგურდა. რომაელების მიერ ცხენებიდან ჩამოყრილი ტიგრანის მეომრები, მძიმე ჯავშნის გამო, ვეღარ ახერხებდნენ ფეხზე წამოდგომას და შესაბამისად ბრძოლასაც ვეღარ აგრძელებდნენ (60).

მიმაჩნია, რომ იმ ხელისუფალს, ვინც თვლის, რომ კავალერიას აქვს უპირატესობა ქვეითებზე, მისი სამხედრო ძალა განწირული იქნება დასაღუპად. ეს ჩვენ არაერთხელ ვიხილეთ იტალიაში, როდესაც უცხო ძალებმა გაძარცვეს, გააპარტახეს და გააუკაცრიელეს ქვეყანა იმიტომ, რომ ისინი აბუჩად იგდებდ-

ნენ ქვეით მილიციას და მიაჩნდათ, რომ მათი (მილიციის ა. გ.) მთავარი ძალა იყო კავალერია (61). რა თქმა უნდა, კავალერია აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ ძირითადი დატვირთვა უნდა მოდიოდეს ქვეით სამხედრო ძალაზე. მხედრობა აუცილებელი და საჭიროა, განსაკუთრებით, სასარგებლოა ქვეყნის ასაოხრებლად შემოჭრილი მტრის დასაზვერად, მასზე მოულოდნელი თავდასხმისთვის და გაქცეული მტრის წინააღმდეგ დევნის განხორციელებისთვის.

კოზიმო: პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სიტყვების შემდეგ მე ორმაგად ვარ გაოცებული; პირველი ის, რომ, როგორც ცნობილია, პართიელებს ჰყავდათ მხოლოდ ცხენოსანი არმია და ამას მათთვის ხელი არ შეუშლია რომაელებთან ერთად გაეყოთ მთელი მსოფლიო (62). და მეორე, მე გთხოვთ ამიხსნათ, როგორ უნდა მოახდინოს კავალერიის მხარდაჭერა ქვეითმა ძალამ და საიდან მოდის ერთის სიძლიერე და მეორის სისუსტე?

ფაბრიციო: მე თავიდანვე ვთქვი, რომ ჩვენი საუბარი მხოლოდ ევროპულ შეიარაღებას შეეხებოდა. ამიტომაც მე არ ვთვლი ვალდებულად თავს, ყურადღება გავამახვილო აზიაში მიმდინარე მოვლენებზე. მიუხედავად ამისა, უნდა გითხრათ, რომ პართიელთა საბრძოლო წყობა აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა რომაულ წყობას; ისინი ყოველთვის იბრძოდნენ ცხენებზე ამხედრებულნი და მტერს თავს ესხმოდნენ არაორგანიზებულად.

რომაელები კი ძირითადად იბრძოდნენ ქვეითად და მჭიდრო მწკრივებად. ვიწრო სივრცეზე უპირატესობას რომაელები აღწევდნენ, რაც შეეხება ფართო სივრცეს, იქ პართიელები ჯაბნიდნენ ძირითადად იმ

ადგილებში, სადაც მხოლოდ უკიდეგანო მინდვრები იყო და წინაღობები არ არსებობდა. ამრიგად, რომაელთა ჯარები, რომლებიც მძიმედ იყვნენ შეიარაღებულნი და ნელი ტემპით გადაადგილდებოდნენ სალაშქრო წყობით, ძალიან დიდ რისკზე მიდიოდნენ იმის გამო, რომ მისი მოწინააღმდეგე იყო მსუბუქი და სწრაფი კავალერია 50 მილის მანძილზე ხან აქ და ხან სხვა ადგილზე აღმოჩნდებოდა ხოლმე. სწორედ ამის გამო პართიულმა კავალერიამ გაანადგურა მარკუს კრასუსის ჯარები და კინაღამ დაღუპა მარკუს ანტონიუსი (63).

როგორც გითხარით, მე ძირითადად ევროპულ სამხედრო ხელოვნებაზე ვმსჯელობ და თქვენთან ერთად ვაანალიზებ მის დადებით და უარყოფით მხარეებს. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, ანუ რა მიზეზები არსებობს ქვეითებისთვის უპირატესობის მისანიჭებლად კავალერიასთან შედარებით. მოგახსენებთ, რომ კავალერიას არ შეუძლია მოქმედება ნებისმიერ ადგილზე ქვეითის მსგავსად. ქვეითებს უფრო სწრაფად შეუძლიათ მანევრირება. წარუმატებლობის შემთხვევაში კავალერიას უფრო მეტი პრობლემები ექმნება. თუ კავალერია მტრის დაწოლის შედეგად მოშლილია, ამ დროს მტრის თუნდაც წარუმატებელი შეტევისას რთულდება წესრიგის აღდგენა. გარდა ამისა, ხშირად ხდება, რომ მამაცი მხედარი ზის მშიშარა ცხენზე და პირიქით, სუსტი მხედარი ზის გამბედავ ცხენზე; ყოველივე ეს ხელს უწყობს უწესრიგობას. ცხენი გონიერი არსებაა, ის გრძნობს ხიფათს და ცდილობს, აერიდოს მას.

თუ შევადარებთ ერთმანეთს იმ ძალას, რომელიც ცხენს აიძულებს წინსვლას და იმ შემაკავებელ ძალას,

რომელიც ცხენს ადგილზე აჩერებს, დარწმუნდებით, რომ შემაკავებელი ძალა უპირატესობას ფლობს იმიტომ, რომ ის წინ მიდის დეზის კვრით, ხოლო შუბი და მახვილი აფერხებს მას. აქედან გამომდინარე, თქვენ არ უნდა დაეყრდნოთ მოძრაობის სისწრაფეს, რომელიც თითქოს ისე აფიცხებს ცხენს, რომ იგი მზად არის, გადალახოს ნებისმიერი დაბრკოლება და ნაკლებად შეუშინდეს შუბს, ვიდრე დეზებს. მე ამაზე შემდეგნაირად ვუპასუხებ: როგორც კი ცხენი მიხვდება, რომ მან უნდა გადალახოს ის წინაღობა, რაც გულისხმობს მის წინაშე არსებულ ბასრ შუბებს, ცდილობს, შეანელოს სვლა და, როგორც კი დაიჭრება, ის ან საერთოდ ჩერდება, ანდა, მიაღწევს რა შუბებამდე, უხვევს დაბრკოლებისგან მარჯვნივ ან მარცხნივ.

თუ გსურთ ამაში დარწმუნდეთ, აიძულეთ ცხენი, გაიქცეს კედლის მიმართულებით და თქვენ დაინახავთ, რომ ძალიან ცოტა გამოჩნდება ისეთი ცხენი, რომელიც, მხედრის მორჩილების მიუხედავად, პირდაპირ შეასკდება კედელს. ერთხელ გაიუს იულიუს კეისარმა გალიაში ჰელვეტებთან ბრძოლის წინ, ყველა ცხენი უკან დახია, რადგანაც თვლიდა, რომ ცხენები გაქცევისთვის უფრო იყო საჭირო, ვიდრე ბრძოლისთვის (64).

ასეთი გახლავთ კავალერიის ბუნებრივი წინააღმდეგობანი და, აქედან გამომდინარე, ქვეითი რაზმის მეთაურმა ყოველთვის უნდა აირჩიოს ის გზა, რომელიც კავალერიას მეტნაკლებად შეუქმნის პრობლემებს და ის თითქმის ყოველთვის, ზოგიერთი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოახერხებს თავის გადარჩენას, თუნდაც ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. თუ საბრძოლო ველის ადგილმდებარეობა

ბორცვიანია, ეს უკვე გარკვეული დაზღვევაა მტრის შემოტევისგან თავის დასაცავად. თუ გზა ვაკე ადგილზე მდებარეობს, შენ ყოველთვის დაგიცავენ ნათესები და ჭალები; ნებისმიერი ბუჩქი, თუნდაც პატარა და უმნიშვნელო თხრილი ანელებს კავალერიის ყველაზე გაშმაგებულ შეტევას და ნებისმიერ ვენახს ან ხეხილის ბაღსაც შეუძლია მისი თუნდაც ნაწილობრივი შეჩერება.

ის, რაც იყო ლაშქრობაში, მეორდება ბრძოლაში – როგორც კი ცხენი წააწყდება რაიმე წინააღმდეგობას, მაშინვე ანელებს მოძრაობას. ამის შესახებ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, განსაკუთრებით, რომაელთა მაგალითზე; ისინი ისე მაღლა აყენებდნენ თავიანთ საბრძოლო წყობას და ისე იყვნენ დარწმუნებული თავიანთი იარაღის ძალაში, რომ კავალერიისგან თავდასაცავად არჩევანის გაკეთებისას უსწორმასწორო (რომელიც ამავე დროს ხელს უშლიდა მათ გაშლაში) და სწორ ადგილმდებარეობას (რომელიც უფრო სწორი და ხელსაყრელი იყო მტრის კავალერიისთვის, მაგრამ სამაგიეროდ მათ გადაადგილების თავისუფლებას აძლევდა), შორის არჩევანს მეორის სასარგებლოდ აკეთებდნენ.

ქვეითი ჯარი შეიძლება შესანიშნავად იყოს შერჩეული, კიდევ უფრო უკეთესად შეიარაღებული; მაგრამ მაინც უმთავრესია დეტალურად მათი სწავლება, რადგანაც ამის გარეშე არასდროს უარსებია კარგ ჯარისკაცს.

ჩვენ უკვე გავარკვიეთ ქვეით მებრძოლთა შეიარაღების საკითხი ძველი და ახალი ნიმუშებით. ახლა კი გადავიდეთ მათ სწავლებაზე და ვნახოთ, თუ

როგორ ვარჯიშებს მიმართავდნენ რომაელი ქვეითები, ვიდრე ბრძოლის ველისკენ გაემართებოდნენ.

ჯარისკაცების სწავლება პირობითად შეიძლება დავყოთ სამ ნაწილად. პირველ რიგში მათი სხეული უნდა იყოს გამოწრთობილი, მიჩვეული უნდა იყოს მომჭირნედ ცხოვრებას, იყოს მოხერხებული და მკვირცხლი. ამის შემდეგ ის უნდა ფლობდეს იარაღს და ბოლოს იცავდეს წესრიგს მშვიდობიანობის, ბრძოლისა თუ ლაშქრობის დროს (65).

ასეთია ნებისმიერი ჯარის სამი ძირითადი პრინციპი, იმისდა მიხედვით, თუ სად იმყოფება – მარშზე, შესვენებაზე თუ ბრძოლაში, წესრიგის დაცვა უპირველესია. ამ დროს წარუმატებელ ბრძოლაშიც კი შეიძლება გადარჩეს მეთაურის ღირსება. ამიტომაც ძველ დროში სამხედრო სწავლებებს დიდი ყურადღება ეთმობოდა კანონებსა და ადათ-წესებში. ისინი წვრთნიდნენ ახალგაზრდებს, რათა მათში გამოემუშავებინათ სირბილის დროს სისწრაფე, მოქნილობა ხტომაში, ბრძოლის დროს შუბის ტყორცნისას მიზანში მოხვედრების სიზუსტე.

ამ სამი თვისების გარეშე ჯარისკაცის ყოფნა აზრს კარგავს, რადგანაც სისწრაფე ფეხებს ეხმარება, მოწინააღმდეგეზე უფრო ადრე დაიკავოს აუცილებელი ადგილი, აგრეთვე შეძლოს მოულოდნელად მასზე თავდასხმა და მოწინააღმდეგეს დამარცხების შემდეგ მოუწყოს დადევნება. მოქნილობის წყალობით მას შეუძლია, აირიდოს მოწინააღმდეგის დარტყმები, გადაახტეს თხრილებს და ავიდეს მიწაყრილებზე. ძალა მას აძლევს საშუალებას, უკეთესად ატაროს იარაღი, ეფექტური დარტყმა მიაყენოს მოწინააღმდეგეს და შესაბამისად უზრუნველყოს მოწინააღმდეგის

დაწოლის შეკავება. სხეული უკეთესად რომ გამოვაწ-
რთოთ, ჯარისკაცი პირველ რიგში უნდა მიეჩვიოს
დიდი სიმძიმის ტარებას; ეს, რა თქმა უნდა, აუცილე-
ბელია, რადგანაც, ლაშქრობის სირთულეებიდან გა-
მომდინარე, ჯარისკაცს იარაღის გარდა უწევს საკ-
ვების რამდენიმედღიანი მარაგის ტარება.

ძველ რომში იარაღის ხმარების სწავლება შემ-
დეგნაირად მიმდინარეობდა: ახალგაზრდებს აძლევ-
დნენ ორჯერ უფრო მძიმე აბჯარს, მახვილის მა-
გივრად კი გაცილებით უფრო მძიმე ტყვიის კომბალს.
თითოეულ მათგანს მიწაში უნდა ჩაერჭო სამი წყრთა
სიმაღლის პალო, რომელსაც ისეთი სისქე უნდა
ჰქონოდა, რომ დარტყმით მისი მოტეხა ან ამოძრობა
შეუძლებელი ყოფილიყო. ახალგაზრდები თავიანთი
ფარებითა და კომბლებით ვარჯიშობდნენ პალოებზე,
თითქოს უტევდნენ მოწინააღმდეგის ძალებს; ისინი
ჩხვლეტდნენ მათ, ჩეხავდნენ წარმოსახვით მოწი-
ნააღმდეგეს თავის არეში, სახეში, თეძოში ან ფეხში,
უკან ხტებოდნენ და შემდეგ ისევ თავს ესხმოდნენ
წარმოსახვით მოწინააღმდეგეს.

ეს ვარჯიშები მეტ მოქნილობას ანიჭებდა მათ
დაცვისა და შეტევის დროს. სასწავლო იარაღი იყო
საშინლად მძიმე და ამის შემდეგ ნამდვილი საბრ-
ძოლო იარაღი მათ საერთოდ მჩატე ეჩვენებოდათ.
რომაელები თავიანთ ჯარისკაცებს ასწავლიდნენ, რომ
უფრო მეტად აქცენტი გაეკეთებინათ ჩხვლეტაზე და
არა ჩეხვაზე; ეს იმიტომ, რომ ნაჩხვლეტი მოწინააღმ-
დეგისთვის უფრო სახიფათოა და მისგან უფრო
ძნელია თავდაცვა, რამეთუ ამ შემთხვევაში მებრძოლს
შეუძლია უფრო ეფექტურად დაიცვას სხეული და
სწრაფად გადავიდეს ახალ შეტევაზე, ვიდრე ამას

ადგილი აქვს ჩეხვის დროს (66). თქვენ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ ძველ დროში ამ დეტალებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ. რამეთუ საქმე ეხებოდა ბრძოლას და ამ დროს უპირატესობის მოსაპოვებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერ დეტალს. ამით მე თქვენ ახალს არაფერს გეუბნებით, უბრალოდ გახსენებთ სამხედრო ისტორიკოსთა სიტყვებს. ძველ ავტორებს მიაჩნდათ, რომ ბედნიერია ქვეყანა მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, რომლებმაც იციან სამხედრო საქმე, რადგანაც ოქროს ან ძვირფასი თვლების ბრწყინვალება კი არ იმორჩილებს მოწინააღმდეგეს, არამედ სამხედრო ძალისადმი შიში.

ნებისმიერ სფეროში შეიძლება შეცდომის გამოსწორება, მაგრამ ომში დაშვებული შეცდომა გამოუსწორებელია და ამის გამო დაუყოვნებლივ ისჯები. და ბოლოს, მახვილის ფლობის ხელოვნება შობს სიმამაცეს, რადგანაც ამ შემთხვევაში მეომარი უფრო გაბედულია იმაში, რომელშიც იგი სრულყოფილად არის მომზადებული. ამის გამო ძველი დროის სამხედრო მეთაურები თავიანთი მოქალაქეებისაგან მოითხოვდნენ ინტენსიური წვრთნების ჩატარებას და აიძულებდნენ მათ, ეტყორცნათ უფრო მძიმე პალოები, ვიდრე ნამდვილი შუბები; ეს ვარჯიშები ავითარებდა დარტყმის სიზუსტეს, ამაგრებდა კუნთებს და ძალას მატებდა ხელებს.

ისინი ახალგაზრდებს ასწავლიდნენ მშვილდიდან ისრის სროლას, შურდულიდან ქვის ტყორცნას, თითოეული ვარჯიშისთვის ნიშნავდნენ განსაკუთრებულ ხელმძღვანელებს და ამის შემდეგ ლეგიონებში ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად განაწილე-

ბულნი სულითა და მოწოდებით უკვე ნამდვილი ჯარისკაცები იყვნენ.

კოზიმო: რომელ ვარჯიშებს დაუწესებდით თქვენს ჯარისკაცებს?

ფაბრიციო: ყველას, რომელზეც ვსაუბრობდი. მე ვაიძულებდი მათ სირბილს, ჭიდაობას, ხტომას, ჩვეულებრივზე უფრო მძიმე იარაღის ტარებას, მშვილდისრიდან და არბალეტიდან (67) სროლას. ამ ვარჯიშებს მე ყველა ახალგაზრდისთვის სავალდებულოს გავხდიდი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ამის შემდეგ მათ შევასწავლიდი ცურვას. პრაქტიკიდან გამომდინარე, ლაშქრობის დროს, ყოველთვის არ გვხვდება ხიდები მდინარეზე და მხოლოდ ცურვის საშუალებით ხდება შესაძლებელი მდინარის გადალახვა. ჯარისკაცი, რომელმაც არ იცის ცურვა, უდიდეს უპირატესობას კარგავს. ამის გამო რომაელები ახალგაზრდების სამხედრო წვრთნებს მართავდნენ მარსის ველზე, სადაც მას გვერდზე ჩამოუდის მდინარე ტიბერისი; ხმელეთზე ვარჯიშით დაღლილ ახალგაზრდებს საშუალება ეძლეოდათ წყალში გაგრილებისა და შესამისად ცურვის სწავლისა.

და ბოლოს, განსაკუთრებულ ვარჯიშებს შემოვიღებდი კავალერიისთვის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შენ არა მხოლოდ შეგეძლოს ცხენზე ჯდომა, არამედ ამ შემთხვევაში მხედარი აბსოლუტურად უნდა ფლობდეს საკუთარ სხეულს. მათთვის ვარჯიშებზე გამოვიყენებდი ხის ცხენებს, რომლებზედაც ჯარისკაცებს მთელი ეკიპირებით ვაიძულებდი, ელვის სისწრაფით შემხტარიყვნენ მათზე, რათა ბრძოლის დროს ამ მხრივ პრობლემები არ ჰქონოდათ (68).

ყველა ეს ვარჯიში, რომელიც გათვალისწინებული იყო ქვეითებისა და კავალერიისთვის, ტარდებოდა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. დღევანდელ დღეს დასავლეთის ნებისმიერ ქალაქს შეუძლია მიმართოს ამ ვარჯიშებს. იქ მცხოვრები მოქალაქეები იყოფიან რაზმებად, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სახელები იმ იარაღის მიხედვით, რომლებსაც ისინი ომის დროს იყენებენ. მაგალითად, ისინი თუ იყენებენ შუბებს, ალებარდებს, მშვილდ-ისრებს, თოფებს, მათ შეესაბამებათ სათანადო სახელები, მაგალითად, შუბოსნები, ალებარდერები, მშვილდოსნები, მეთოფემსროლელები.

ყველა მცხოვრები ვალდებული იყო, განეცხადებინა, თუ რომელ რაზმში აპირებდა ჩაწერას. იყვნენ ასაკის ან სხვა მიზეზების გამო სამხედრო საქმისთვის ნაკლებად ვარგისი პირებიც, ამ შემთხვევაში თითოეული რაზმიდან გამოყოფილი იყო ასეთი კატეგორიის ხალხი, ე.წ. „შეფიცულთა“ ჯგუფი, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ, ვარჯიშისგან თავისუფალ დღეებში ევარჯიშათ არჩეული იარაღით. ხელისუფლება ვარჯიშებისთვის იყენებდა სპეციალურად შერჩეულ მინდვრებს, სადაც რაზმებში ჩაწერილი ნებისმიერი მოქალაქე, „შეფიცულთა“ გარდა, ვალდებული იყვნენ, შეეტანათ ხარჯებისთვის აუცილებელი თანხები (69).

ყველაფერი ეს შეგვეძლო, ჩვენც გაგვეკეთებინა, მაგრამ ჩვენი ქარაფშუტობა ხელს უშლის ყოველ გონივრულ გადაწყვეტილებას. ძველ რომაელებს, ჩემს მიერ აღწერილი ვარჯიშებიდან გამომდინარე, ჰყავდათ კარგი ქვეითი ჯარი და ძირითადად ამით აიხსნებოდა სხვა ქვეყნების ქვეით ჯარებზე მათი უპი-

რატესობა. ძველ დროში ჯარისკაცების სწავლება ხდებოდა სახლებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის დროს, ანდა სპეციალურად მოწყობილ ბანაკებში, როგორც ამას მიმართავდნენ იმპერატორები. ჩვენ ვერც სახლში და ვერც ბანაკებში ვერ ჩავატარებთ სწავლებებს, რადგანაც ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები ძირითადად წარმოადგენენ უცხოელ ქვეშევრდომებს და მათ ვერ ვაიძულებთ რაიმე სწავლებას, თუ ეს მათ არ სურთ. ამან კი მიგვიყვანა იქამდე, რომ ჯერ საერთოდ გაქრა ყოველგვარი სწავლება, შემდეგ კი საერთოდ მოირღვა სამხედრო ძალები და ამჟამად, როგორც სამეფოები და რესპუბლიკები, განსაკუთრებით, იტალიის სინამდვილეში იმყოფებიან ისინი სრულ უმოქმედობაში.

ვუბრუნდები რა ჩვენს საუბარს, უნდა მოგახსენოთ, რომ ვარჯიშები, წრთობა, ძალა, სისწრაფე და მოქნილობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იყო კარგი ჯარისკაცი; ვარჯიშების გარდა, საჭიროა კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ელემენტების ცოდნა; ჯარისკაცმა უნდა იცოდეს მწყობრში თავისი ადგილი, სამხედრო დანიშნულების დროშებისა და სიგნალების გარჩევა და ცნობდეს მეთაურის ხმას. მან ეს ყველაფერი უნდა შეასრულოს ადგილზე სანიმუშოდ, უკან დახევისა თუ შეტევისას, ბრძოლაში და ლაშქრობაში, რამეთუ უმკაცრესი დისციპლინის გარეშე შეუძლებელია სამხედრო წესების დაცვა და შესაბამისად – ნამდვილი ჯარისკაცობა.

მცირე ეჭვიც არ არის იმაში, რომ მამაცი ადამიანები, რომლებიც ბრძოლის დროს მიმოფანტულნი არიან, გაცილებით სუსტები ჩანან გაუბედავ, მაგრამ მჭიდროდ შეკრულ მეომრებზე, რამეთუ მწყობრში

გადაადგილება ადამიანში ახშობს საფრთხის შეგრძ-ნებას; ამასთანავე, უწესრიგობა ჩრდილავს სიმამაცეს. რასაც ახლა მოგახსენებთ, თქვენთვის გასაგები იქნება, თუ თქვენ ყურადღებას მიაქცევთ შემდეგს: ყველა ხალხი ჯარისა და სახალხო ლაშქრის ორგანიზებაში ადგენდა ძირითად სამხედრო ნაწილს, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ერქვა, მაგრამ რაოდენობა თითქმის მსგავსი იყო და ის დაახ-ლოებით 6-დან 8 ათასამდე მებრძოლისგან შედგებოდა.

ასეთ შენაერთს რომაელებში ეწოდებოდა ლე-გიონი, ბერძნებში-ფალანგა, გალებში-კატერვა (70). შვეიცარიელები მსგავს შენაერთს უწოდებენ ბატა-ლიონს, რომელიც ჩვენს ბრიგადას შეესაბამება. საუ-ბარში ძირითადად ამ უკანასკნელ ტერმინს გამო-ვიყენებთ.

რომაული ლეგიონი, რომელიც შედგებოდა 5-დან 6 ათასამდე ჯარისკაცისგან, იყოფოდა 10 კოჰორტად; ზუსტად ასევე გთავაზობთ ჩვენი 6-ათასიანი ბრიგადის დაყოფას 10 ბატალიონად. თითოეულ ბატალიონში უნდა იყოს 450 მებრძოლი, რომელთაგან 400 იქნება მძიმედ შეიარაღებული ქვეითი და 50 მსუბუქი. მძიმე ქვეითებში 300 მეომარი უნდა იყოს ფარითა და მახვილით შეიარაღებული. მათ ჩვენ პირობითად ვუწოდებთ ფაროსნებს. დანარჩენი 100 მებრძოლი იქნება შუბოსანი. მსუბუქი ქვეითი 50 ჯარისკაცი შეიარაღებული უნდა იყოს თოფებით, ალებარდებითა და მრგვალი ფარებით. მათ მივცემდი ველიტების ძველ სახელწოდებას. ასე რომ, ათივე ბატალიონში სრულად იქნება 3 ათასი ფაროსანი, 1000 შუბოსანი და 500 ველიტი ანუ მთლიანად გვეყოლება 4500 ჯარისკაცი.

ჩვენ ვსაუბრობდით, რომ ბრიგადაში უნდა იყოს დაახლოებით 6 ათასი ჯარისკაცი. ამ რაოდენობას უნდა დაემატოს სათადარიგო 1500 ქვეითი (1000 შუბოსანი და 500 ველიტი). ამრიგად, ჩემი ქვეითი ძალების პირველი ნახევარი უნდა შედგებოდეს ფაროსნებისგან და მეორე ნახევარი კი შუბოსნებისა და მახვილოსნებისგან. თითოეული ბატალიონის სათავეში უნდა იდგეს ბატალიონის მეთაური, შემდეგ მას უნდა მოყვებოდეს 4 ცენტურიონი (ასეულის მეთაური) და 40 დეკურიონი (ათეულის მეთაური – ა. გ.). ამათ დაემატებოდა ველიტების მეთაური და 5 დეკურიონი. 1000 შუბოსნის სათავეში მე დავაყენებდი 3 მეთაურს, 10 ცენტურიონსა და 100 დეკურიონს, ხოლო სათადარიგო ველიტებს დავუნიშნავდი 2 მეთაურს, 5 ცენტურიონსა და 50 დეკურიონს.

ამის შემდეგ ბრიგადას დავუნიშნავდი მეთაურს; თითოეული ბატალიონი მიიღებდა საკუთარ დროშას და ეყოლებოდა საკუთარი მუსიკოსები. ამრიგად, ბრიგადის შემადგენლობაში იქნებოდა: 10 ბატალიონი, მახვილით შეიარაღებული 3 ათასი ფაროსანი, 1000 მოქმედი და იმდენივე რეზერვისტი შუბოსანი, 500 მოქმედი და 500 რეზერვისტი ველიტი, ჯამში სულ 6 ათასი ქვეითი. მათი სამეთაურო შემადგენლობა იქნებოდა: 600 დეკურიონი, ბატალიონის 15 მეთაური 15 მედროშითა და 15 მესაყვირით; 55 ცენტურიონი, მოქმედი ველიტების 10 მეთაური და ბოლოს, ბრიგადის მეთაური თავისი დროშითა და მუსიკოსებით.

მე განგებ გავიმეორე ზემოთ რამდენჯერმე ნახსენები წყობა ძირითადი სამხედრო შენაერთებისა, რათა შემდეგ არ დაიბნეთ, როდესაც მე ბატალიონის მოწყობისა და საბრძოლო წყობის საკითხებს შევეხები.

ნებისმიერმა ხელისუფალმა, რომელსაც სურვილი გაუჩნდება, საომრად მოამზადოს მებრძოლები, უნდა შექმნას იმდენი ბრიგადა, რამდენის შენახვის საშუალებაც ქვეყანას ექნება. ამის შემდეგ კი უნდა ჩატარდეს მებრძოლთა სწავლებები ბატალიონებში.

თუ ჯარისკაცები ვარჯიშის დროს კარგად დაეუფლებიან პირველ მოძრაობას, ისინი ადვილად აითვისებენ მეორესაც, მაგრამ თუ თითოეულ ელემენტს არ შეისწავლიან, მათ გაუჭირდებათ მთლიანობაში წარმატების მიღწევა.

უკვე მოგახსენეთ, რომ თითოეულმა ბატალიონმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს საბრძოლო მოწყობის ორგანიზება; ბატალიონის თითოეული მებრძოლისთვის ნაცნობი უნდა იყოს საბრძოლო სიგნალები, ისევე, როგორც მეზღვაურები უსმენენ სასტვენს; ეს იმიტომ, რომ ჯარისკაცმა იცოდეს კონკრეტულ სიგნალზე როგორ იმოქმედოს, ადგილზე იდგეს თუ წინ გადაადგილდეს, უკან დაიხიოს თუ იმოძრაოს მარჯვნივ ან მარცხნივ. თუ ჯარისკაცები კარგად დგანან მწყობრში, ნებისმიერ ადგილმდებარეობაზე გადაადგილებისას მათ კარგად ესმით თავიანთი მეთაურის ბრძანება, რომელსაც ისინი იღებენ შესაბამისი სიგნალებით.

მხედართმთავარი, რომელიც საბრძოლოდ აწყობს მეომრებს, ყოველთვის უნდა ფიქრობდეს ხილულ ან შენიღბულ მოწინააღმდეგეზე. ამიტომაც ჯარი მზად უნდა იყოს ნებისმიერ დროს როგორც შენიღბულ, ასევე ხილულ მოწინააღმდეგესთან მოსალოდნელი თუ მოულოდნელი დაპირისპირებისთვის.

თუ ჯარისკაცებს ასწავლი ბრძოლას ხილულ მოწინააღმდეგესთან, უნდა აჩვენო მათ, თუ როგორ

უნდა წარიმართოს ბრძოლა; თუ მოწინაღმდეგის შემოტევა მოგერიებულია, უნდა გაირკვეს, დაღუპული და დაჭრილი ჯარისკაცების მაგივრად ვინ უნდა დაიკავოს მათი ადგილი; მათ უნდა ისწავლონ მეთაურის ხმის, საკუთარი დროშისა და სიგნალების გარჩევა და შესაბამისად მოემზადონ შეტევისთვის. მებრძოლთა სიმამაცეს ხელს უწყობს გამართული საბრძოლო წყობა; მაგალითად, თუ მე ვიბრძვი მოწინავე პოზიციაზე, უნდა შემეძლოს წარუმატებლობის შემთხვევაში უკან დახევა და ვიცოდე ის, თუ ვინ დაიკავებს ჩემ ადგილს. თუ უკანა პოზიციებზე ვიმყოფები, წინა რიგების მარცხმა არ უნდა დამაბნიოს, რადგანაც მე ამისთვის წინასწარ უნდა ვიყო მზად.

ეს ვარჯიშები სავალდებულოა ნებისმიერი ქვეყნისთვის, ვისაც გააჩნია შეიარაღებული ძალები ანდა აპირებს მის შექმნას. ძველი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი თავის „იუდეველთა ომებში“ მოგვითხრობს ამ საყოველთაო ვარჯიშების შესახებ (71).

რაც შეეხება ახალ სამხედრო ძალებს, რომლებიც ომისთვის იკრიბება ან თუნდაც სახალხო ლაშქარს, რომელსაც მომავალში მოუწევს ბრძოლა, ამ ვარჯიშების გარეშე პრაქტიკულად აზრი არ ექნება მათ არსებობას. თანამედროვე ეპოქაში სამხედრო სწავლება ჰაერივით საჭირო აუცილებლობაა და ნებისმიერმა სამხედრო პირმა სულ უფრო უნდა სრულყოს ის. ამისთვის კი გამოჩენილმა მხედართმთავრებმა არც დრო, არც შრომა და არც ფინანსები არ უნდა დაზოგონ.

კოზიმო: მე მგონი თქვენმა მსჯელობამ სხვა მიმართულებით წაგიყვანათ. თქვენ უნდა გესაუბრათ ცალკეული ბატალიონის სწავლების ფორმებსა და

წესებზე. თქვენ კი უფრო მეტად საუბრობთ ზოგადად ჯარსა და ბრძოლებზე.

ფაბრიციო: მართალი ბრძანდებით. მე ახლავე დავუბრუნდები დაპირებულ თემას. მე თქვენ ზევით მოგახსენეთ, რომ ბატალიონის სწავლების დროს ყველაზე მნიშვნელოვანია ფრონტის ხაზის კარგად დაცვა. ამისთვის არსებობს სპეციალური სავარჯიშო, რომელსაც ეწოდება „ლოკოკინა“ (72).

ადრე გითხარით, რომ ბატალიონი უნდა შედგებოდეს 400 მძიმედ შეიარაღებული ქვეითისგან და შემდგომშიც ამ რაოდენობას დავუჭერ მხარს. ჯარისკაცები უნდა განლაგდნენ 80 მწკრივად, თითოეულში 5 კაცით; მე მათ შევასწავლიდი ჯერ შემჭიდროებას და შემდეგ გაშლას, როგორც სწრაფი, ისე ნელი გადაადგილებისას. საჭიროა ამ ყველაფრის ჩვენება და არა აღწერა, რადგანაც ვინც კი დაკავშირებულია სამხედრო საქმესთან, იცის, როგორ სრულდება ეს ვარჯიშები და ამ დროს პირველ რიგში აქცენტი კეთდება ჯარისკაცის მიერ სწორების დაცვაზე.

ახლა შევეხოთ ბატალიონის საბრძოლო მოწყობას. ამ დროს გამოიყენება მოწყობის სამი მეთოდი: პირველი და ყველაზე სასარგებლოა მთელი ბატალიონის მოწყობა, რომელსაც ექნება ორი, შეერთებული კვადრატის ფორმა. მეორე მეთოდი არის კვადრატი, რომელიც სამხედრო ნაწილის წინ იმყოფება. მესამე მეთოდი ეს არის კვადრატი, რომელიც შუაგულში თავსდება და ჩვენ პირობითად მას ვუწოდებთ „მოედანს“. პირველი სახის მოწყობა ტარდება ორი მეთოდით, მათგან პირველი გულისხმობს მწკრივების გაორმაგებას, რომლის დროსაც გადაადგილების შედეგად მეორე მწკრივი ხდება პირველი, მეოთხე

ხდება მესამე, მეექვსე-მეხუთე და ა.შ. ამის შედეგად ჩვენ 5 რიგისა და 80 მწკრივის ნაცვლად მივიღებთ 10 რიგსა და 40 მწკრივს. თუ გავაორმაგებთ რიგებს და მწკრივებს, ერთმანეთში მივიღებთ 20 რიგსა და 20 მწკრივს.

ამის შედეგად მოწყობის დროს ჩვენ მივიღებთ ორი მართკუთხედის ფორმას იმიტომ, რომ თი-თოეულ მხარეს ადამიანთა თანაბარი რაოდენობა იქნება, მაგრამ მწკრივში თითოეული ჯარისკაცი ერთ-მანეთს მხარში უდგას და მათ შორის ინტერვალი ერთ წყრთას შეადგენს, მას უკავია გაცილებით ნაკლები ადგილი, ვიდრე რიგში განთავსებულ ჯარისკაცებს, სადაც მათ შორის ინტერვალი შეადგენს არა ნაკლებ 2 წყრთისა.

ჩვენი საუბრისას ხშირად ვახსენებთ ბატალიო-ნის მოწინავე ნაწილს, უკანა ნაწილს, გვერდებს; უპირატესობას მივანიჭებდი სიტყვათა ასეთ თანამიმდევრობას – მოწინავე ნაწილს მე ვუწოდებ თავს ან ფრონტს, უკანა მხარეს – ზურგს, ხოლო გვერდით მხარეებს – ფლანგებს. 50 მოქმედი ველიტი არ უერთდება სხვა მწკრივებს და ბატალიონის მოწყობის დროს მათი განლაგება ხდება ფლანგებზე.

ახლა მე აგიხსნით მოწყობის სხვა მეთოდს, რომელიც პირველზე უმჯობესია. მე მგონი, თქვენ დაიმახსოვრეთ ჯარისკაცთა საერთო რიცხვი ბატა-ლიონში, ასევე მათი შეიარაღება და მეთაურთა რაოდენობა.

მე უკვე გესაუბრეთ ბატალიონის მოწყობის ჩემეულ ვერსიაზე, კონკრეტულად, იგი მოწყობილი უნდა იყოს 20 რიგად და 20 მწკრივად, რომელთა სათავეში უნდა იყოს შუბოსნების 5 მწკრივი, ხოლო

მათ შემდეგ – ფაროსნების 15 მწკრივი. კოლონის სათავეში უნდა იდგეს 2 ცენტურიონი, ასევე ორი კოლონის ბოლოს, ისე, რომ ვინმემ ვერ მოახერხოს ბრძოლის ველიდან თვითნებური გასვლა (73). ბატალიონის მეთაური დროშითა და მუსიკოსებით თავსდება შუბოსნების მე-5 და ფაროსნების მე-15 მწკრივებს შორის. თითოეული მწკრივის გვერდებზე იმყოფებიან დეკურიონები, ასე რომ თითოეული მათგანი გადაადგილდება თავის დაქვემდებარებაში მყოფი მებრძოლების გვერდით. 50 ველიტი განლაგებული უნდა იყოს ბატალიონის ფლანგებსა და ზურგში.

ბატალიონის სალაშქრო წესით გადაადგილებისას და საბრძოლო გადაწყობისას შემდეგნაირად უნდა მოვიქცეთ: როგორც უკვე მოგახსენეთ, ჯარისკაცები მოწყობილი არიან 80 მწკრივად, თითოეულში 5 კაცით. ველიტები დგანან კოლონის თავში ან ბოლოში. თითოეული ცენტურიონი მიუძღვის 20 მწკრივს, ხოლო უშუალოდ მას მიყვება შუბოსნების 5 მწკრივი, ხოლო შემდეგ – ფაროსნები. ბატალიონის მეთაური თავისი დროშითა და მუსიკოსთა თანხლებით იმყოფება მეორე ასეულის შუბოსნებსა და ფაროსნებს შორის, ფაროსნებიდან 3 მწკრივის დაშორებით. 20 დეკურიონი ამ დროს იმყოფება პირველი ასეულის მარცხენა ფლანგის მწკრივებთან, შემდეგი 20 დეკურიონი კი მარჯვენა ფლანგზე. ყურადღება მიაქციეთ, დეკურიონი, რომელიც მეთაურობს შუბოსნებს, შეიარაღებულია შუბით, ხოლო დეკურიონი, რომელიც ფაროსნებს მეთაურობს, შეიარაღებულია ფარით.

თუ ბატალიონი ასეთი წესით გადაადგილებისას უნდა გარდაიქმნეს საბრძოლო წყობად და მოემზადოს მოწინააღმდეგის შეტევის მოსაგერიებლად, შემდეგ-

ნაირად იქცევა: პირველი ცენტურიონი თავისი 20 მწკრივით ჩერდება, მეორე კი აგრძელებს მოძრაობას, გადადის მარჯვენა მხარეზე, ამის შემდეგ გადაადგილდება უძრავად მდგარი პირველი ასეულისკენ და სწორებას ახდენს მის ცენტურიონებთან. მესამე ცენტურიონი ზუსტად ასევე გადაადგილდება მარჯვნივ და მოძრაობს პირველი და მეორე ასეულის ფლანგებზე მანამ, სანამ არ გაუსწორდება ორ დანარჩენ ცენტურიონებს; და ბოლოს, მეოთხე ცენტურიონი ასევე მოახდენს გადაადგილებას მარჯვენა ფლანგის გასწვრივ განლაგებული ცენტურიონებისკენ, სანამ მისი თავი არ გაუსწორდება სხვა დანარჩენებს; და მაშინ ისიც შეჩერდება. ამის შემდეგ ორი ცენტურია სწრაფად იწყებს გადაადგილებას კოლონის ფრონტის ხაზიდან ზურგის მიმართულებით. ამით ბატალიონის საბრძოლო მოწყობა სრულდება. ველიტები ამ დროს იშლებიან ფლანგებზე. პირველ მოწყობას ეწოდება მოწყობა რიგების მიხედვით, მეორეს – მოწყობა ცენტურიების მიხედვით.

პირველი მეთოდი შედარებით მსუბუქია, მეორე – უფრო სწორი, მოსახერხებელი და უკეთესად ერგება ვითარებას. პირველ შემთხვევაში ყველაფერს წყვეტს რაოდენობრივი საკითხი იმიტომ, რომ 5 რიგის მაგივრად მოწყობა ხდება 10, 20 და 40 რიგისა. ამავე დროს ცალკეული ქმედებებისას ხდება, რომ მტრის წინააღმდეგ უნდა გამოიყვანო ქვეითების ნაწილი, მაგალითად, 600 ან 800 ჯარისკაცი. ამ შემთხვევაში რიგების გადაადგილებას შეიძლება მოჰყვეს უწესრიგობა. ამიტომაც მე უპირატესობას მივანიჭებ მეორე მეთოდს.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ყველაზე საშური საქმეა ჯარისკაცების სწავლება, მათ მიერ წესრიგის

შენარჩუნება, როგორც სწავლების, ასევე სწრაფი მარ-შის, შეტევის, უკან დახევის დროს, რაც არ უნდა რთულ პირობებში ხდებოდეს ეს.

ახლა ჩვენ წარმოვიდგინოთ ბატალიონის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ისინი დამარცხებულის პო-ზიციაში იმყოფებიან. ამ დროს დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მათი მოწყობა და იმავდროულად მცდელობა მტრის დაძლევისა. ამისთვის აუცილებელია ორი მოთხოვნა: პირველი – ბატალიონებში რაც შეიძლება მეტი რაოდენობით უნდა განთავსდეს განმასხვავე-ბელი ნიშნები, მეორე – თითოეულმა ჯარისკაცმა ზუსტად უნდა იცოდეს თავისი ადგილი მწყობრში.

მაგალითად, თუ სამსახურის დაწყებისას იგი იმყოფებოდა მეორე მწკრივში, ის ყოველთვის იქ უნდა იდგეს, მისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ად-გილზე. ამას ემსახურება ჩემს მიერ ნახსენები განმასხვავებელი ნიშნები. საკუთარი დროშა ისე უნდა განსხვავდებოდეს სხვა დროშებისგან, რომ ჯარისკა-ცებმა ამ საკითხზე დრო არ დაკარგონ. ბატალიონის მეთაურებმა და ცენტურიონებმა მუზარადებზე თან უნდა იქონიონ განმასხვავებელი და კარგად შესამჩნე-ვი ნიშნები. მაგალითად, ძველ რომში თითოეულ დეკურიონს მუზარადზე ეწერა თავისი ნომერი და მათ ნომრის მიხედვით მიმართავდნენ: პირველი, მეორე, მესამე და ა.შ. უფრო მეტიც, თითოეული ჯარისკაცის ფარზე მითითებული იყო მწკრივის და ამ მწკრივში მისი ადგილის ნომერი (74).

როდესაც ასე დეტალურად არის ყველაფერი გათვლილი, უფრო ადვილი ხდება წესრიგის აღდგენა თვით ყველაზე რთულ სიტუაციაშიც. როგორც კი ფიქსირდება დროშის ადგილმდებარეობა, ცენტურიო-

ნები და დეკურიონები ერთი შეხედვით განსაზღვრავენ თავიანთ ადგილს და შესაბამისად მათდამი დაქვემდებარებული ჯარისკაცებისას. გულმოდგინე და ხშირი ვარჯიშების შედეგად ყოველივე ეს ადვილი შესასწავლი და ასათვისებელია; ყოველივე ამის შემდეგ ძნელია მათი დავიწყება, რადგანაც ძველი ჯარისკაცები სისტემატურად ასწავლიან ახალბედებს და ამრიგად ამ გზით შესაძლებელი ხდება, დროთა განმავლობაში სამხედრო საქმეს გაეცნოს მთელი ქვეყნის მოსახლეობა.

ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე ვასწავლოთ ჯარისკაცებს მარშირების დროს სწრაფად შემობრუნება, ისე რომ კოლონის ფლანგები და ზურგი აღმოჩნდნენ კოლონის სათავეში და პირიქით, მოხდეს მოწინავე ნაწილის გარდაქმნა ფლანგებად ან ზურგად. ეს მარტივია, ამისთვის საკმარისია, მებრძოლებს მიეცეს სათანადო ბრძანება სვლაგეზის შეცვლის შესახებ.

გაცილებით უფრო რთული და მნიშვნელოვანია მთელი ბატალიონის მიმართულების შეცვლა, როგორც ერთი მთლიანი ნაწილისა. აქ დიდი გამოცდილება და გონიერებაა საჭირო: მაგალითად, თუ ბატალიონმა მარცხენა მხარის მიმართულებით უნდა იმოძრაოს, უნდა გავაჩეროთ მარცხენა ფლანგის პირველი მწკრივის ჯარისკაცები, ხოლო მათთან ყველაზე ახლოს მყოფებმა ისე უნდა შეანელონ სვლა, რომ მარჯვენა ფლანგს არ მოუწიოს დანარჩენ მებრძოლებთან დასაწევად სირბილზე გადასვლა. ამის გარეშე შეიძლება ყველაფერი აირიოს.

როდესაც მეომრები იმყოფებიან ლაშქრობაში, მოწინავე პოზიციებზე მყოფ ბატალიონებს მუდმივად უწევთ იერიშების მოგერიება როგორც ფლანგების, ისე

ზურგის მხრიდან. ასეთ დროს ბატალიონი სასწრაფოდ უნდა მოეწყოს იმ მიმართულებით, საიდანაც მათ მიმართ ხორციელდება შეტევა. ამ დროს კი სავალდებულოა საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება, რომელზეც ზემოთ მქონდა საუბარი; ამ დროს შუბები მტრისკენ უნდა იყოს მიმართული, ხოლო დეკურიონები, ცენტურიონები და საერთო მეთაური უნდა იმყოფებოდნენ თავიანთი დისლოკაციის ადგილებზე.

ამ დროს იქმნება 5-რიგიანი და 80-მწკრივიანი კოლონა. მათგან პირველი ოცი შუბოსანი უნდა იყოს. შემდეგი 60 მწკრივი უნდა იყვნენ ფაროსნები, რომლებიც ქმნიან 3 ცენტურიას. თითოეული ასეულის პირველ და უკანასკნელ რიგებში იმყოფებიან დეკურიონები. ბატალიონის მეთაური დროშითა და მუსიკოსების თანხლებით ამ დროს უნდა იმყოფებოდეს პირველი შუბოსანი ცენტურიის შუაგულში, ხოლო ცენტურიონები თავიანთი ცენტურიების (ასეულები) სათავეში.

ამრიგად, ბატალიონი იწყებს გადაადგილებას, ამ დროს მისი შუბოსნები განლაგებულნი არიან ერთერთ ფლანგზე (ანუ იმ მიმართულებაზე, საიდანაც მტრის შეტევა ხორციელდება – ა.გ.), დეკურიონები კოლონის თავსა და ზურგში, ცენტურიონები ასეულების სათავეში და ბატალიონის მეთაური სამხედრო ნაწილის შუაგულში. ასე გამოიყურება ბატალიონის საბრძოლო წყობა. თუ მტრის გამოჩენის შემდეგ მას ფლანგის მხრიდან უნდა შევხვდეთ, მთელი ბატალიონი ბრუნდება იმ მხარეს, სადაც შუბებია თავმოყრილი და ამით უკვე სახეზე გვაქვს ჩემ მიერ აღწერილი საბრძოლო წყობა, რადგანაც ცენტურიონების

გარდა ყველა რჩება თავის ადგილზე და ისინიც უპრობლემოდ იკავებენ მათთვის საჭირო ადგილებს.

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ბატალიონი სალაშქრო წყობით გადააადგილდება და მას უეცრად მტერი ესხმის თავს ზურგიდან; ამ დროს სასწრაფოდ უნდა მოხდეს ცვლილება და ყველა შუბოსანი საბრძოლო მზადყოფნაში უნდა იყოს უკვე ზურგის ნაწილში. ამისათვის კი საჭიროა მხოლოდ ერთი რამ – შუბოსნების 5 მწკრივი უნდა განთავსდეს არა თითოეული ცენტურიის მოწინავე რიგებში, როგორც ეს ზოგადად ხდება, არამედ ზურგში. დანარჩენში კი წესები ისე უნდა იყოს დაცული, როგორც მე თქვენ უკვე განგიმარტეთ.

კოზიმო: მითხარით, როგორ უნდა განალაგოთ თქვენი 450 ქვეითი, თუ მათ ცალ-ცალკე უწევთ ბრძოლა რამდენიმე დაჯგუფების წინააღმდეგ?

ფაბრიციო: ამ დროს მეთაურმა პირადად უნდა გადაწყვიტოს, თუ სად განათავსებს შუბოსნებს; მაგრამ წესრიგი არ უნდა დაირღვეს. მისი მიზანია ის, რომ ბატალიონმა შეძლოს, იმოქმედოს ბრძოლაში სხვა ბატალიონებთან ერთად. აქვე შევეცდები, დეტალურად ვუპასუხო თქვენ მიერ დასმულ კითხვას იმის შემდეგ, როდესაც მე განგიმარტავთ ბატალიონის საბრძოლველად მოწყობის კიდევ ორ სხვა მეთოდს; საქმე იმაშია, რომ მათ მიმართავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული ბატალიონი მარტო იბრძვის მტრის წინააღმდეგ, ძირითადი ძალების გარეშე.

ამ დროს ბატალიონის მოწყობა 80-მწკრივიან კოლონად უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად: ცენტურიონების შემდეგ ეწყობა მებრძოლთა 25

მწკრივი, ამავე დროს მარცხნივ განლაგდება შუბოსანთა 2 რიგი, ხოლო მარჯვნივ – ფაროსნების 3 რიგი. პირველი 5 მწკრივის შემდეგ მოდის თითო დეკურიონი, რომელთა ადგილი შუბოსნებსა და ფაროსნებს შორისაა; დეკურიონები შეიარაღებულნი არიან შუბებით. პირველი 25 მწკრივის შემდეგ მოდის მომდევნო ცენტურიონი, რომელიც სათავეში უდგას ფაროსნების 15 მწკრივს. შემდეგ მოდის ბატალიონის მეთაური თავისი დროშითა და მუსიკოსთა ჯგუფით, რომლის შემდეგაც ადგილს იკავებს ასევე ფაროსნების კიდევ 15 მწკრივი. ამის შემდეგ მესამე ცენტურიონს მიყვება 25 მწკრივი, სადაც მისგან მარცხნივ განთავსებულია ფაროსნების 3 რიგი, მარჯვნივ – შუბოსნების 2 რიგი; უკანასკნელ მე-20 მწკრივში, შუბოსნებსა და ფაროსნებს შორის იმყოფებიან დეკურიონები. კოლონის ჩამკეტია მე-4 ცენტურიონი. შემდეგ ამ მწკრივებიდან უნდა ჩამოვაყალიბოთ ბატალიონი, რომელსაც ექნება 2 შვერილი. წინ მიმავალი პირველი ცენტურიონი და მასთან ერთად 25 მწკრივი ჩერდება ადგილზე. მეორე ცენტურიონი თავისი 15-მწკრივიანი ფაროსნებით აგრძელებს მოძრაობას, გადაადგილდება მარჯვენა ფლანგის გასწვრივ და უკან ამოუდგება დარჩენილ 15 მწკრივს. ბატალიონის მეთაური თავისი ფაროსნების 15 მწკრივით შემოუვლის მარჯვენა ფლანგს და ასეთივე წესით მიუდგება უკან იგივე წესით. და ბოლოს მესამე ცენტურიონი თავისი 25 მწკრივით და მომდევნო მეოთხე ცენტურიონი იგივენაირად მოძრაობენ, შემოუვლიან შეჩერებულ ცენტურიებს, მაგრამ არ ჩერდებიან, აგრძელებენ მოძრაობას მანამდე, სანამ კოლონის უკანასკნელი მწკრივი არ გაუსწორდება ფაროსნების უკანასკნელ მწკრივს. როგორც კი

ბატალიონი მოწყობას დაასრულებს, მეორე ცენტურიის მეთაური ცენტურიონი იკავებს მისთვის გამოყოფილ ადგილს.

ამრიგად, კოლონა ეწყობა 15 მწკრივად და 20 რიგად და მას ფრონტის მიმართულებით აქვს 10 მწკრივისა და 5 რიგისგან შემდგარი 2 შვერილი; შვერილებს შორის რჩება სივრცე, რომელიც საკმარისია 10 რიგის განსათავსებლად. თითოეული შვერილის წინ შესაძლოა განთავსდეს ბატალიონის მეთაური და კოლონის ფლანგების რიგების უკან, ზურგში თითო ცენტურიონით. ფლანგებზე უნდა განლაგდნენ შუბოსნების 2 და დეკურიონების 1 რიგი. ამ სივრცეში შეიძლება ასევე განთავსდეს არტილერიაც, თუ, რა თქმა უნდა, ის არსებობს და აღალი. ველიტები მიმოფანტულები უნდა იყვნენ შუბოსნებთან ერთად ორივე ფლანგზე.

თუ ბატალიონი მოწყობილია კოლონად შვერილებით და ხდება მისი გადაწყობა ისეთ კოლონად, რომელსაც ექნება შიდა ცარიელი სივრცე, ამ შემთხვევაში იქცევიან ასე: 15 უკანა მწკრივიდან 8 გადაჰყავთ შვერილების ბოლოში და ამრიგად ყალიბდება მოედანი, რომელიც ყველა მხრიდან ჩაკეტილია; აქ შეიძლება განთავსდეს აღალი, ბატალიონის მეთაური და დროშა და არა არტილერია, რომელიც წინ უნდა გადაადგილდეს და განლაგდეს ფლანგებზე. ბატალიონის მოწყობის ეს მეთოდები სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ ის მოძრაობს თავდასხმის უშუალო საფრთხის ქვეშ. მიუხედავად ამისა, მაინც უკეთესია ჩვეულებრივი კოლონის მოწყობა მოედნისა და შვერილების გარეშე; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ

ეს მეთოდი აუცილებელია არასამწყობრო პერსონალის დასაცავად.

შვეიცარიელებს გააჩნიათ საბრძოლო მოწყობის სხვა, მაგალითად, ჯვრის ფორმა, როდესაც მსროლელები განთავსებული არიან მხარეებს შორის შუალედებში და იცავენ მათ მტრის თავდასმებისგან. ასეთი წყობა გამოიყენება იშვიათად და ის კარგია, როცა მხოლოდ ერთი ბატალიონია ჩართული საბრძოლო ოპერაციაში. მინდა მოგიყვანოთ მაგალითი რამდენიმე ბატალიონის ერთობლივი ბრძოლისა (75).

კოზიმო: მე მგონი სრულად ჩავწვდი ბატალიონებში ჯარისკაცების ვარჯიშის თქვენეულ მეთოდს. მე რამდენადაც მახსოვს, თქვენს ბრიგადაში, გარდა 10 ბატალიონისა, იმყოფება აგრეთვე 1000 რეზერვისტი – შუბოსანი და 500 რეზერვისტი ველიტი. მათ არ ესაჭიროებათ სწავლება?

ფაბრიციო: რა თქმა უნდა, ესაჭიროებათ და დიდი გულმოდგინებითაც; შუბოსნებმა უნდა გაიარონ წვრთნა ასეულების მიხედვით იმავე წესებით, როგორც ზემოთ ვისაუბრე. გარდა ამისა, მათ დაევალებათ აღალის დაცვა, მტრის ტერიტორიებზე საკვების მოპოვება და მსგავსი ოპერაციები. რაც შეეხება ველიტებს, მათ შეუძლიათ, მომზადება სახლის პირობებში გაიარონ, რა თქმა უნდა, საერთო მომზადების პარალელურად. მათ ძირითადად ევალებათ დაფანტული მტრის განადგურება. ამიტომ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ქმედებების ანუ ორთაბრძოლების სწავლება. მე თქვენ უკვე გითხარით და კიდევაც ბევრჯერ გაგიმეორებთ: დიახაც, ბატალიონის ჯარისკაცები ისეთ სწავლებას უნდა გადიოდნენ, რომ მათ შეეძლოთ თავიანთი დისლოკა-

ციის ადგილების ზედმიწევნით ცოდნა, სწრაფი მანევრირება ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, თუ მათ ელით მოულოდნელი თავდასხმა მოწინააღმდეგისგან; თუ ეს ყველაფერი ათვისებულია, ბატალიონმა ზედმიწევნით იცის თავისი ადგილი და ფუნქცია. ხელისუფალი, რომელიც ზრუნავს და იღწვის საბრძოლო მოწყობასა და სამხედრო სწავლებაზე, თავისი ქვეყნისთვის კარგ ჯარისკაცებს მიიღებს. ჩვენს დღევანდელობაში, საყოველთაო არეულობაში, რომლებზეც მე თქვენ უკვე გესაუბრეთ, ეს წესები დავიწყებული და უგულებელყოფილია, რის გამოც ჩვენი ჯარები ცუდად გამოიყურებიან და თუ მაინც მოხდა და გამოჩნდა მონდომებული მხედართმთავარი, მას თითქმის არ მიეცემა შანსი, მთელი სისრულით აჩვენოს თავისი სამხედრო სიდიადე.

კოზიმო: როგორ უნდა იყოს მოწყობილი ბატალიონის აღალი?

ფაბრიციო: მოგახსენებთ; ჩემს სამხედრო ნაწილში არც ცენტურიონებს და არც დეკურიონებს არ ეყოლებოდათ ცხენები და ერთადერთს, ბატალიონის მეთაურს ეყოლებოდა ჯორი და არა ცხენი, თუ ის ქვეითად არ ინდომებდა გადაადგილებას. მე მას გამოვუყოფდი ორ ცალ ოთხთვალა ეტლს, ცენტურიონებს – თითო ეტლსა და 3 დეკურიონს – ორს. ამრიგად, თითოეულ ბატალიონს ეყოლებოდა 36 ოთხთვალა, რომელიც დატვირთული იქნებოდა საძილე კარვებით, სადილის მოსახარში ქვაბებით, ცულებითა და რკინის ჯაჭვებით და ყველა იმ ინვენტარით, რაც საჭიროა ბანაკის მოსამზადებლად. და თუ დარჩებოდა თავისუფალი ადგილი ოთხთვალებზე, იქ სხვებსაც მოვათავსებდი.

კოზიმო: მესმის, რომ თქვენ მიერ დანიშნული მეთაურების ყოფნა აუცილებელია ბატალიონის მმართველობაში, მაგრამ მათი სიმრავლე ხელს ხომ არ შეუწყობდა არეულობასა და ქაოსს.

ფაბრიციო: ეს მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ დაემორჩილებოდნენ სარდლობას. სწორი დაქვემდებარების შემთხვევაში კი ისინი არა თუ ხელს შეუწყობდნენ წესრიგის დაცვას, უფრო მეტიც, მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჯარების მართვა. თუ კედელს ჩამოშლა ემუქრება, უმჯობესია მისი გამაგრება ბევრი წვრილი საყრდენით, ვიდრე საამისოდ მცირე რაოდენობით შედარებით მტკიცე საყრდნების გამოყენება; ერთი საყრდენი რაც არ უნდა ძლიერი იყოს, ვერ იხსნის კედელს ჩამოშლისგან. ასევეა ჯარშიც; ჩემი აზრით, ყოველ 10 ჯარისკაცს მეთაურად უნდა ჰყავდეს გამორჩეული მეომარი, რომელიც თავისი სიმამაცით, სიტყვითა და მაგალითით წაუძღვება მათ ბრძოლაში.

ჯარში აუცილებელია ყველაფერი ის, რაზეც მე გესაუბრეთ, კონკრეტულად – მეთაურები, მეომრები, დროშები, მუსიკოსები; მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ არ აკეთებს თავის საქმეს. ავიღოთ მაგალითად დეკურიონები. მათ პირნათლად რომ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, თითოეული მათგანი სრულყოფილად უნდა იცნობდეს თავის ჯარისკაცებს, მათთან ერთად უნდა ცხოვრობდეს და იბრძოდეს.

რაც შეეხება ჩვენს დღევანდელ ვითარებას, ათეულის მეთაურები გამოირჩევიან იმით, რომ მაღალ ხელფასებს იღებენ და ასრულებენ სხვადასხვა არასამხედრო კერძო დავალებებს. ასეთი ვითარებაა დროშებთან მიმართებაშიც; ჩვენთან ის მხოლოდ

სილამაზისთვისაა გამოყენებული, ვიდრე ნამდვილი სამხედრო საქმისთვის. ამიტომაც მებრძოლები უნდა იყოფოდნენ მრავალრიცხოვან, პატარა მობილურ ნაწილებად, რომლებსაც ექნებოდათ თავიანთი დროშა, ეყოლებოდათ უშუალო მეთაური; ეს კი მათ საბრძოლო სულიკვეთებას განამტკიცებდა.

ქვეითი ჯარი უნდა მიყვებოდეს დროშას, რომელიც, თავის მხრივ, უნდა მიუძღოდეს მუსიკოსებს. თუ მუსიკოსები პროფესიონალები არიან, ჯარისკაცი ადვილად მოახერხებს, ფეხი აუწყოს მუსიკალურ ტაქტს. მუსიკალური ინსტრუმენტებიდან ძველი, რომაელები ჯარში იყენებდნენ, ფლეიტას, ნაღარასა და სხვა სასულე, მუსიკალურ-სასიგნალო ინსტრუმენტებს, რომელთა ტონალობაც სრულყოფილი უნდა ყოფილიყო. თითოეული მებრძოლი, მოცეკვავის მსგავსად, მუსიკალურ ტაქტს უნდა მიყვებოდეს. მუსიკალური მრავალფეროვნება შესაბამისად უნდა აისახებოდეს მებრძოლთა მოძრაობაზე. ადგილი უნდა ჰქონდეს მელოდიების მონაცვლეობას ვითარებისდა მიხედვით, მაგალითად, მეომრის მებრძოლი სულისკვეთების ამაღლების ანდა ბატალიონის თუნდაც მოულოდნელი შეჩერებისას (76).

თითოეულ მუსიკალურ წყობას თავისი დატვირთვა ჰქონდა, მაგალითად, დორიულ წყობას შემოჰქონდა სიმშვიდე და სიმყარე, ფრიგიულს კი შეეძლო გაეშმაგებინა მებრძოლები. არის ასეთი გადმოცემა, როდესაც მაგიდასთან მყოფმა ალექსანდრე მაკედონელმა მოისმინა ფრიგიული მუსიკა, იმდენად აღელდა, რომ მაშინვე ხმალს ეცა. კარგი იქნებოდა, თუ შევძლებდით ამ მელოდიების აღდგენას, რაც თავისთავად მარტივი არ იქნებოდა.

ჩვენც გაგვაჩნია გარკვეული მუსიკა, მაგრამ მისგან ნაკლები სარგებელია, ერთადერთი, რაც მას გააჩნია, არის ის, რომ უაზრო ხმაურს იწვევს.

კოზიმო: მინდა ვიცოდე, როგორ მოხდა თანამედროვე ჯარისკაცების ესოდენი დეგრადაცია?

ფაბრიციო: სიამოვნებით გაგიზიარებთ ჩემს შეხედულებებს. თქვენ იცით, რომ გამოჩენილი მეომრები ბევრი იყო ევროპაში, შედარებით მცირე – აფრიკაში, კიდევ უფრო ნაკლები – აზიაში. ამის საფუძველი იყო ის, რომ ბოლო ორი იცნობდა მხოლოდ ერთ ან ორ მონარქიას, რესპუბლიკებზე კი საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა. პირიქით იყო ევროპაში, იქ მონარქია იყო უფრო ცოტა, რესპუბლიკა კი – გაცილებით მეტი.

აზიაში ჩვენ გვხვდება ისეთი გამოჩენილი პიროვნებების სახელები, როგორებიც იყვნენ: ნინუსი, კიროსი, არტაქსერქსე, მითრიდატე და სხვა. რაც შეეხება აფრიკას, თუ ეგვიპტურ ცივილიზაციას გვერდზე გავწევთ, ჩვენ გამოჩენილ პირთაგან გვხვდება მხოლოდ მასინისას, იუგურთა და კართაგენის რამდენიმე მხედართმთავრის სახელი (77).

ევროპაში კი გაცილებით მეტი იყო სახელოვანი ადამიანი. ნიჭიერ ადამიანთა სიმრავლე გვხვდება იქ, სადაც ბევრი სახელმწიფოა და სადაც ტალანტების წახალისება ხდება. აზიამ შედარებით ნაკლები ადამიანი მისცა მსოფლიოს იმიტომ, რომ მთელი ეს სივრცე ემორჩილებოდა ერთ სამეფოს, რომელიც თავისი ქვეყნის გარდა, სხვა ქვეყნების ნიჭიერი სახეების წარმოჩენას ხელს უშლიდა, რადგანაც ყველა ისინი თავისი ქვეყნის მტრად მიაჩნდა (78). ანალოგიური ვითარება იყო ამ მხრივ აფრიკაშიც, თუმცა

კართაგენის რესპუბლიკის არსებობამ მათ სიმრავლეს ხელი შეუწყო.

გამოჩენილი ადამიანების სიმრავლე უფრო ხშირად თვალშისაცემია რესპუბლიკებში, სადაც მათი ტალანტი განსაკუთრებით დაფასებულია, მონარქიაში კი მათი ეშინიათ. რესპუბლიკაში ზრდიან ნიჭიერ ადამიანებს, მონარქიაში კი ანადგურებენ. საბერძნეთში, მაკედონიის გარდა, იყო ბევრი რესპუბლიკა და თითოეული მათგანი გახდა არა ერთი გამოჩენილი ადამიანის სამშობლო. იტალიაში იყვნენ: რომაელები, სამნიტები, ეტრუსკები, ციზალპიელი გალები. გალია და გერმანია თითქმის მთლიანად რესპუბლიკებისა და სამთავროებისგან შედგებოდა; ასევე ესპანეთიც.

რომისგან განსხვავებით, თუ ამ ქვეყნებმა ნაკლებად შემოინახეს გამოჩენილ პირთა სახელები, ამაში დამნაშავე მხოლოდ მწერალთა მზაკვრობაა, რომლებიც მხოლოდ გამარჯვებულებს აქებდნენ. აბსოლუტურად არასწორია ის აზრი, რომ თითქოსდა სამნიტებსა და ეტრუსკებს საკმარისად არ ჰყავდათ გამოჩენილი ადამიანები, რომლებიც თითქმის 150 წელი იბრძოდნენ რომაელების წინააღმდეგ, რომაელთა მიერ მათ დაპყრობამდე (79). მსგავსი რამ შეიძლება ითქვას გალიასა და ესპანეთზეც.

თუმცა აღსანიშნავია, რომ თუ მწერლები ნაკლებს წერენ თითოეული მოქალაქის მამაცობაზე, სამაგიეროდ, არნახულად აქებენ ამ ხალხების სიდიადეს. რომის იმპერიის აღზევების შემდეგ, მან ჩაყლაპა ევროპის, აფრიკისა და აზიის უმეტესი ნაწილის ყველა სამეფო და რესპუბლიკა. შესაბამისად, კეთილშობილება ყველგან შესუსტდა და შემორჩა მხოლოდ რომში. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ

ევროპასა და აზიაში, შესაბამისად, აფრიკაშიც შემცირდა გამოჩენილ ადამიანთა რიცხვი. შემდგომში ღირსება და სიმამაცე საერთოდ გაქრა და მხოლოდ რომში შემორჩა. და როდესაც რომში დაიწყო მორალური უკუსვლა, ის სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში; ასე რომ, ამით ისარგებლეს სკვითურმა ურდოებმა, რომლებმაც მშვიდად შეძლეს იმპერიის გაძარცვა. შემდეგ კი ბარბაროსებმა იმპერია დაშალეს რამდენიმე ნაწილად, მაგრამ სიმამაცე აღარ დაბრუნებულა. ამის პირველი მიზეზი იყო ის, რომ ურთულესია დარღვეული წესრიგის აღდგენა და მეორე – თანამედროვე ადამიანების ცხოვრების წესი ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის ხანაში არ ითვალისწინებს მათთვის მუდმივი თავდაცვის აუცილებლობას ისე, როგორც ეს იყო ქრისტიანობამდე. მაშინ ძველ დროში ომში დამარცხებულები ან საერთოდ ნადგურდებოდნენ ან მუდმივ მონებად იქცეოდნენ; დაპყრობილი მიწები უკაცრიელდებოდა, მოსახლეობა იდევნებოდა, მათი ქონება ნადგურდებოდა და ისინიც, არაფრისმქონენი მთელ მსოფლიოს მოედებოდნენ ხოლმე, როგორც უპოვარი და შეშინებული ლტოლვილები.

ეს შიში აიძულებდათ მათ, მუდმივად ეზრუნათ სამხედრო საქმის სრულყოფაზე და პატივი ეცათ მათთვის, ვინც ამ მხრივ გამორჩეული იქნებოდა. ამჟამად ეს შიში გამქრალია, მათმა უმეტესობამ თავი დააღწია ტყვეობას და თავისუფალ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ქალაქი შეიძლება ათასჯერ აჯანყდეს, მაგრამ ამის გამო მას არავინ ანგრევს და მოსახლეობაც თავის საკუთრებას ინარჩუნებს. ერთადერთი, მათთვის შეიძლება ყველაზე მძიმე იყოს სამხედრო ხარკი. ასეთ

ვითარებაში ადამიანებს არ უჩნდებათ სურვილი, დაემორჩილონ მკაცრ სამხედრო წესებს, რომელიც მათ ააცილებდათ მოსალოდნელ საფრთხეს. სამხედრო უსაფრთხოების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია, თუ როგორია ამა თუ იმ ქვეყანაში მმართველობის წესი და ვინ წარმართავს მათ. მაგალითად, საფრანგეთი ემორჩილება თავისი მეფის ნებას, რაც შეეხება იტალიას, ის იყოფა რამდენიმე სახელმწიფოდ, სადაც შედარებით უფრო სუსტია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. აქედან გამომდინარე, სუსტი ქალაქ-სახელმწიფოების თავდაცვისუნარიანობა ძირითადად გამოიხატება დამპყრობლისადმი მორჩილებაში და ძლიერ ქვეყანას კი, ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო, ნაკლებად ეშინია არსებული პრობლემებისა.

კოზიმო: თუმცა ბოლო 25 წლის განმავლობაში, ჩვენ ვნახეთ არა ერთი ქალაქისა და სამეფოს დამხობა (80).

ფაბრიციო: თქვენ ნაწილობრივ მართალი ბრძანდებით, მაგრამ თუ ყურადღებით დააკვირდებით ამ მოვლენებს, ნახავთ, რომ ინგრეოდნენ არა დედაქალაქები, არამედ მეორეხარისხოვანი ქალაქები. მაგალითად, განადგურდა ტორტონა და არა მილანი, კაპუა და არა ნეაპოლი, ბრეშია და არა ვენეცია, რავენა და არა რომი (81). ასეთი შემთხვევები არ აიძულებენ მთავრობებს, გადახედონ თავიანთ პოლიტიკას, ხდება პირიქით, მათ უმტკიცდებათ აზრი, რომ ყველაფრისგან შეიძლება თავის დახსნა. აქედან გამომდინარე, ისინი არ იცხელებენ თავს სამხედრო საქმისადმი ყურადღების გამოჩენით, თვლიან, რომ მათთვის ეს არის გაუგებარი და არასაჭირო სფერო. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას უჩნდება ერთადერთი სურვილი –

უშრომლად მიაღწიოს ბედნიერებას და, შესაბამისად, ყველაფერს ბედისწერას ანდობენ.

მოგიყვანთ გერმანიის მაგალითს, სადაც შემორჩენილია არა ერთი სამთავრო და რესპუბლიკა და ამის გამო იქ ჯერ კიდევ ძლიერია სამხედრო სულისკვეთება. თანამედროვე შეიარაღებულ ძალებს თუ გააჩნიათ რაიმე კარგი, ჩვენ ამ ხალხს უნდა ვუმადლოდეთ. ისინი განსაკუთრებით უფრთხილდებიან თავიანთ მდგომარეობას, და, სხვებისგან განსხვავებით, უარყოფენ მონობას; ამიტომაც ისინი საყოველთაო პატივისცემას იმსახურებენ.

ვეცადე, თქვენთვის გულახდილად მომეხსენებინა ყოველივე ამ საკითხზე ანუ დღევანდელი შეიარაღებული ძალების დაბალი დონის შესახებ. არ ვიცი, მეთანხმებით თუ არა ჩემს მოსაზრებებში?

კოზიმო: თქვენ მე სრულად დამარწმუნეთ თქვენს მოსაზრებაში. ახლა მე მსურს, დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის ძირითად საკითხს და გავიგო თქვენგან, როგორი წესით უნდა იყოს განთავსებული კავალერია თქვენს ბატალიონებში, რამდენი უნდა იყოს მათი რაოდენობა, როგორი უნდა იყოს მეთაურობა და შეიარაღება?

ფაბრიციო: თქვენ ფიქრობთ, რომ მე ეს საკითხი გამომრჩა? არ გაგიკვირდეთ, თუ ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას დავუთმობ ორი მიზეზის გამო; პირველი – შეიარაღებული ძალების უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ძალა არის ქვეითი ანუ სახმელეთო ჯარი და მეორე, ჩვენი კავალერია ქვეითზე უკეთესია და თუ ის ძველ რომაულ კავალერიაზე ძლიერი არ არის, არც ჩამოუვარდება მას.

უკვე მოგახსენეთ, თუ როგორ უნდა ტარდებოდეს მათი სწავლებები. რაც შეეხება იარაღს, მე დავტოვებდი ძირითად შეიარაღებას, როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი კავალერიისთვის. ვთვლი, რომ მსუბუქი კავალერიისთვის სასარგებლო იქნებოდა არბალეტის გამოყენება. გარდა ამისა, მეყოლებოდა თოფის მსროლელნი შეზღუდული რაოდენობით, რაც, ჩემი აზრით, ნაკლებად სასარგებლოა ბრძოლის დროს, სამაგიეროდ, ეფექტურია მტრის შესაშინებლად და განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც აიძულებ მას, მიატოვოს დაცული გასასვლელი. რაც შეეხება თოფს, ერთი ასეთი იარაღი 20 სხვა სახეობის იარაღს უდრის.

მხედართა რაოდენობის განსაზღვრისას მე რომაულ მაგალითს მივბაძავდი და თითოეულ ბატალიონში ვიყოლიებდი არა უმეტეს 300 ცხენისა, რომელთაგან 150-ს დავუთმობდი მძიმედ შეიარაღებულ კავალერიას, დანარჩენს კი – მსუბუქს. თითოეული ესკადრონის სათავეში იქნებოდა შესაბამისი მეთაური და მასთან ერთად 15 დეკურიონი, დროშა და მუსიკოსები. ყოველი 10 მძიმედ შეიარაღებული კავალერისტი მიიღებდა 5 ოთხთვალას, მსუბუქი კავალერიის 10 მხედარი კი 2 ოთხთვალას, რომლებიც დატვირთული იქნებოდნენ კარვებით, ქვაბებით, ნაჯახებით, ჯაჭვებითა და სხვა საჭირო ინვენტარით.

არ იფიქროთ, რომ ეს ყველაფერი გამოიწვევდა უწესრიგობას თითქოსდა იმის გამო, რომ თითოეულ მძიმედ შეიარაღებულ კავალერისტს ეყოლებოდა პრაქტიკულად 4 ცხენი, რომელსაც შეეძლებოდა, ეს ბოროტად გამოეყენებინა. გერმანიაში მხედრებს ჰყავთ თითო ცხენი და ყოველ 20 კავალერისტზე მოდის

ერთი ოთხთვალა, რომელშიც მოთავსებულია ყველა საჭირო ნივთი.

რომაული კავალერია მოსამსახურე პერსონალს ათავსებდა ტრიარების გვერდით, რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებულნი იყვნენ, დახმარებოდნენ კავალერისტებს ცხენების მოვლაში. ჩვენთვის ადვილი იქნება მსგავსი წესების შემოღება, როდესაც ბანაკის მოწყობაზე ვისაუბრებთ. ის რასაც აკეთებდნენ რომაელები და აკეთებენ დღეს გერმანელები, აბსოლუტურად შესაძლებელია თქვენთვისაც და შეცდომა იქნებოდა ამის უგულებელყოფა.

საჭიროა ბრიგადის შემადგენლობაში მყოფი ორივე ესკადრონის ერთად შეკრება და მათ შორის იმიტირებული ბრძოლების გამართვა, რათა ისინი მუდმივად იყვნენ საბრძოლო მზადყოფნაში.

ახლა კი გვეყოფა ამაზე საუბარი: ამჯერად ჩვენ უნდა გავარკვიოთ სამხედრო ძალების საბრძოლო პოზიცია, რათა მან მოახერხოს და აიძულოს მოწინააღმდეგე, ჩაერთოს ბრძოლაში მისთვის ხელსაყრელ ვითარებაში და მოიპოვოს გამარჯვება. ეს არის ნებისმიერი ჯარის უმთავრესი მიზანი და წვრთნებზე დახარჯული შრომის საზღაური.

თავი III

კოზიმო: ჩვენი საუბრის თემა იცვლება და შესაბამისად იცვლება შეკითხვებიც. არ მინდა ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო საყვედური დავიმსახურო. ეს თვისება მე სხვა ადამიანებშიც არ მომწონს. ამის გამო უარს ვამბობ ე.წ. დიქტატურაზე და მას სიამოვნებით ვუთმობ ნებისმიერ ჩემს მეგობარს აქ დამსწრე საზოგადოებიდან.

ზანობი: ჩვენ კმაყოფილნი ვართ თქვენი ე.წ. დიქტატურით, მაგრამ თუ თქვენ გვაიძულებთ, მივიღოთ ასეთი გადაწყვეტილება, მაშინ იქნებ აქ მყოფთაგან თქვენი მემკვიდრე დაგესახელებინათ.

კოზიმო: ამ საკითხზე მე სიტყვას გადავცემ სინიორ ფაბრიციოს.

ფაბრიციო: სიამოვნებით. ჩემი შემოთავაზება ასეთია – მივბაძოთ ვენეციურ წესს, ანუ პირველი სიტყვა მივცეთ ყველაზე უმცროსს (82). მიმაჩნია, რომ სამხედრო სფერო ეს არის ახალგაზრდობის საკეთებელი საქმე და ამის გამო მათი სიტყვაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

კოზიმო: ამ წესის მიხედვით, სიტყვა ეკუთვნის ლუიჯის. მივესალმები ჩემს მემკვიდრეს და ვფიქრობ, რომ სინიორ ფაბრიციოც კმაყოფილი დარჩება თანამოსაუბრისგან. ახლა კი დროს ნუ დავკარგავთ და გადავიდეთ საუბრის მთავარ თემაზე.

ფაბრიციო: უდავოა, რომ საბრძოლო მოწყობის ხელოვნებაში სრულად გასარკვევად უნდა მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდნენ ამ

შემთხვევაში ძველი ბერძნები და რომაელები. ამასთან დაკავშირებით თქვენ თვითონ შეგიძლიათ წაიკითხოთ ანტიკურ მწერალთა შრომები. მე განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, რათა სრულვყოთ ჩვენი ძალების ფორმირება. ამავდროულად ვეცდები, გაგარკვიოთ იმაში, თუ რა არის საბრძოლო მოწყობა, როგორ ვემზადებით ნამდვილი ბრძოლისთვის და შესაბამისად, როგორ ვასწავლოთ ბრძოლის ხელოვნება.

მეთაურის ყველაზე დიდი შეცდომა საბრძოლო მოწყობის დროს არის სამხედრო ნაწილის ერთ ხაზზე გაჭიმვა. ამ შემთხვევაში ბრძოლა დამოკიდებულია ერთიანი იერიშის წარმატებაზე. შეცდომის ფესვები ჩნდება მაშინ, როდესაც ივიწყებენ წარსულის გაკვეთილებს. ძველ დროში კი ბრძოლის დროს მებრძოლთა ხაზები ერთიმეორის მიყოლებით იყვნენ განლაგებულნი. სხვანაირად წარმოუდგენელია ავანგარდისთვის დახმარების გაწევა, უკან დახევისას მათი დაზღვევა და ბრძოლის დროს ძალთა გადანაცვლება. ეს ბრწყინვალედ გამოსდიოდათ რომაელ ლეგიონერებს.

უფრო მეტი გარკვეულობისთვის მოგახსენებთ, რომ თითოეული ლეგიონის პირველ საბრძოლო ხაზს შეადგენდნენ ახალგაზრდა ლეგიონერები (ჰასტატები), მეორე ხაზს – საშუალო ასაკის მძიმედ შეიარაღებული ლეგიონერები (პრინციპები), მესამე ხაზს კი ვეტერანი ლეგიონერები (ტრიარები).

ჰასტატები დგებოდნენ მებრძოლთა პირველ ხაზში და ქმნიდნენ შემჭიდროებულ რიგებს, მათ შემდეგ მოდიოდნენ პრინციპები, ხოლო ბოლოს ტრიარები; ისინი ისე იყვნენ მოწყობილნი, რომ რიგებს შორის რჩებოდა ფართო სივრცე, რომელიც

სიტუაციის გამწვავების შემდეგ შეიძლებოდა დაეკავებინათ შესაბამისად ჰასტატებსა და პრინციპებს.

ლეგიონის შემადგენლობაში შედიოდნენ ასევე: შურდულოსნები, მშვილდოსნები და სხვა მსუბუქად შეიარაღებულნი, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ძირითადი ნაწილების წინ ქვეით მებრძოლებსა და კავალერიას შორის. ეს მსუბუქი მეომრები იწყებდნენ ბრძოლას. თუ მტერი მათ ადვილად დაამარცხებდა, ისინი უკან იხევდნენ და იწყებდნენ გადაადგილებას ფლანგების მიმართულებით. ამის შემდეგ მტერი დაწოლას ახორციელებდა ჰასტატებზე; ეს უკანასკნელნი კი წარუმატებლობის შემთხვევაში უკან იხევდნენ პრინციპებისკენ და თავსდებოდნენ მათ შორის არსებულ შუალედებში. ამ შემთხვევაში ხდებოდა ბრძოლის განახლება. თუ მოწინააღმდეგე ამ მეორე რიგსაც დაძლევდა, მაშინ ისინი დაიხევდნენ ტრიარებისკენ და დაიკავებდნენ მათ რიგებში არსებულ ადგილებს. ამის შემდეგ კვლავ განახლდებოდა ბრძოლა. მოწინააღმდეგის მიერ მორიგი წარმატების მიღწევის შემდეგ კი ბრძოლა საბოლოოდ იქნებოდა წაგებული, რადგანაც სხვა ძალების ჩართვა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა.

კავალერია განლაგებული იყო ფლანგებზე და ორ ფრთას ქმნიდა. კავალერისტები იბრძოდნენ სიტუაციის შესაბამისად ხან ცხენზე და ხანაც ჩამოქვეითებულნი. ასეთი საბრძოლო მოწყობის დროს მტრისთვის წარმატების მიღწევა ძალზე რთული იყო იმიტომ, რომ მათ მიერ სამმაგი სიძლიერის ხაზის გარღვევა უნდა მომხდარიყო, რათა საბოლოოდ მოეპოვებინათ გამარჯვება (83).

ბერძნულმა ფალანგამ არ იცოდა ასეთი მეთოდი ბრძოლის განახლებისა; ის ეფუძნებოდა ერთ რიგს. დამარცხებული მეომრების დახმარება დაახლოებით ასე ხდებოდა: წარმოვიდგინოთ ფალანგა, რომელიც 50 მწკრივად იყო მოწყობილი. ბრძოლის დაწყებისას ბრძოლისუნარიანი იყო პირველი ექვსი მწკრივი. იმის გამო, რომ მათი შუბები – სარისები იყო იმდენად გრძელი (დაახლ. 7 მ.), რომ მეექვსე მწკრივიდან წინ გაშვერილი შუბები მოწინავე ძალების წინ მოჩანდა. მათი ასეთი წყობის გამო მწკრივები ყოველთვის შევსებული იყო და იქ პრაქტიკულად ცარიელი ადგილები არ არსებობდა. ეს არ ეხებოდა ბოლო მწკრივს, რომელიც საერთო წარუმატებლობის შემთხვევაში თხელდებოდა და მისი შევსება აღარ ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ფალანგის დამარცხება უფრო შესაძლებელი იყო, ვიდრე მისი გარღვევა, რამეთუ სიღრმე მას თითქმის შეუღწეველს ხდიდა (84).

რომაელები თავდაპირველად იყენებდნენ ფალანგების წყობას და მისი მიბაძვით წვრთნიდნენ თავიანთ ლეგიონებს. მოგვიანებით ეს წყობა მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ და დაიწყეს ლეგიონების დაყოფა ნაწილებად, კონკრეტულად კი კოჰორტებად და მანიპულებად. ჩვენს დროში მაკედონიური ფალანგის სახეობად შეიძლება ჩაითვალოს შვეიცარიელთა ბრიგადა, რომელიც მსგავსი წყობით გამოირჩეოდა (85).

რომაული ლეგიონების უპირატესობა შვეიცარიელებზე აშკარად ჩანს იმაშიც, რომ რომაელებთან ბრძოლებში ბერძნული ფალანგები თითქმის ყოველთვის მარცხდებოდნენ. აქედან გამომდინარე, რომაელთა ბრძოლის მეთოდები უფრო გამძლეობით იყო

გამორჩეული, ვიდრე ბერძნული ფალანგების შეუ-ვალობა (86).

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ მაგალითების გათ-ვალისწინებით უნდა შევქმნა ჩემი შეიარაღებუ-ლი ძალები. ამ შემთხვევაში მე გამოვიყენებდი რომაულ და ბერძნულ ელემენტებსაც. ბრიგადის შეიარაღებაში მეყოლებოდა 2 ათასი შუბოსანი (მაკე-დონიური შეიარაღება) და 3 ათასი მახვილით შეიარა-ღებული ფაროსანი (რომაული შეიარაღება). ბრიგადა უნდა დაიყოს 10 ბატალიონად რომაელების მსგავსად, რომლებიც ლეგიონს 10 კოჰორტად ყოფდნენ. ველი-ტები ან მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცები, რომ-ლებიც ბრძოლას იწყებენ, მე ისე მეყოლებოდა გან-ლაგებული, როგორც ძველ რომაელებს.

ამრიგად, ჩვენ გადმოვიღებთ ორივე ხალხისგან შეიარაღებასა და საბრძოლო წყობას, კონკრეტულად კი იმას, რომ თითოეული ბატალიონის პირველ რი-გებში იდგეს შუბოსნების 5 მწკრივი, ხოლო მათ შემდეგ განლაგდნენ მახვილით შეიარაღებული ფა-როსნები. ეს მე საშუალებას მომცემს, შევაკავო მტრის კავალერიის შემოტევა და ამავე დროს გავარღვიო მისი ქვეითები.

ამ საბრძოლო წყობის ყურადღებით შესწავლა საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ორივე სახეო-ბის იარაღი შეგვიძლია ბოლომდე გამოვიყენოთ: შუბები არა მარტო კავალერიის მოსაგერიებლად არის ეფექტური, არამედ ქვეითებთან ბრძოლის დროსაც და ნაკლებად გამოსადეგი ხდება მხოლოდ ორთაბრ-ძოლებში. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად შვეიცარიელები შუბოსნების ყოველი სამი მწკრივის

შემდეგ ათავსებენ ალებარდებით შეიარაღებულ თითო მწკრივს.

ლუიჯი: მოუთმენლად ველით თქვენს მოსაზრებას, თუ როგორი უნდა იყოს ჯარების საბრძოლო წყობა.

ფაბრიციო: სიამოვნებით მოგახსენებთ. პირველ ყოვლისა, უნდა იცოდეთ, რომ ჩვეულებრივ, რომის რესპუბლიკის ე. წ. კონსულთა ჯარში შედიოდა არა უმეტეს 2 ლეგიონი, რომელთა შორისაც იყვნენ 11 ათასი ქვეითი და 600 ცხენოსანი. ამას ემატებოდა იმავე რაოდენობის ქვეითები და კავალერისტები, რომლებსაც მოკავშირეები გზავნიდნენ. მოკავშირეთა სამხედრო ძალა იყოფოდა 2 ნაწილად, მარჯვენა და მარცხენა ფლანგებად. რომაელები არ აძლევდნენ მოკავშირეებს იმის უფლებას, რომ მათი ქვეითები ყოფილიყვნენ რომაელებზე მეტნი, რაც გარკვეულწილად რისკის შემცველი იყო. რაც შეეხება კავალერიას, იქ არ იყო ასეთი შეზღუდვა, პირიქით, რომაელები მოკავშირეთა ცხენოსნების სიმრავლეს ხელს უწყობდნენ. ამრიგად, კონსულის განკარგულებაში იყო 22 ათასი ქვეითი და 2 ათასი მხედარი. ამ ძალით მას შეეძლო ნებისმიერ საბრძოლო მოქმედებაში ჩართვა. იშვიათ შემთხვევებში კი, როდესაც საფრთხის რისკი ძალიან მაღალი იყო, ორივე კონსულის ჯარების ერთიანდებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მოკავშირეთა ქვეითი ძალები, რომლებიც მუდმივ კონტაქტში იყვნენ ლეგიონერებთან, რომაელების მსგავსად, ბრძოლაში გამოსადეგნი იყვნენ თუნდაც იმიტომ, რომ ისინიც თითქმის იმავე სამხედრო წვრთნებს ატარებდნენ და იმავე წესებს მისდევდნენ.

მსურს, ჩემი ჯარისკაცები საბრძოლოდ განვალაგო რომაელების მსგავსად. მე უკვე გესაუბრეთ იმაზე, რომ ჩვენი ბრიგადა შედგება 10 ბატალიონისგან. იცით, როგორი უნდა იყოს მათი მეთაურთა შემადგენლობა, როგორ არიან ისინი შეიარაღებულნი, ვინ არიან მოქმედი და რეზერვის მეომრები და სხვა. ამის შესახებ დეტალურად უკვე გესაუბრეთ. ახლა კი გადავდივარ საბრძოლო მოწყობის წესებზე.

პირველი ბრიგადის 10 ბატალიონი შეადგენს ჯარის მარცხენა ფრთას, მეორე ბრიგადის 10 ბატალიონი კი – მარჯვენას.

ახლა კი დავუბრუნდეთ კოლონის მოწინავე ნაწილს. რეზერვის შუბოსნებისგან მარცხნივ იმყოფება რეზერვის 500 ველიტი, ხოლო მათგან ხელმარცხნივ – მძიმე კავალერია. მარცხენა ფრთის ბოლოს იმყოფება მსუბუქი კავალერია, რომლებსაც იგივე სივრცე გააჩნიათ, რაც მძიმე კავალერიას. მოქმედი ველიტები იმყოფებიან თავიანთ ბატალიონებში; მათი ამოცანაა ბატალიონების ფლანგების დაცვა. ამავე დროს, სიტუაციიდან გამომდინარე, ისინი შეიძლება შეუერთდნენ რეზერვისტ-შუბოსნებს. ბრიგადის მეთაურს მე გამოვუყოფ ადგილს ბატალიონის პირველ და მეორე ხაზებს შორის; მას თან უნდა ახლდეს 30-დან 40-მდე რჩეული მეომარი, რომლებმაც ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეძლონ მისი დაცვა. ბრიგადის მეთაურთან უნდა იყოს დროშა და მუსიკოსთა ჯგუფი.

ასეთია ბრიგადის საბრძოლო წყობა, რომელიც განთავსებულია მარცხენა მხარეს და ჩემი ჯარების ნახევარს შეადგენს. ის განლაგებულია სივრცეზე, რომელიც მოიცავს 541 წყრთა სიგანეს და, როგორც მე გითხარით, 200 წყრთა სიღრმეს. აქ მე არ ვთვლი

დაახლოებით 100 წყრთა სიღრმეს, რომელიც მოდის რეზერვის შუბოსანთა წილზე და რომელიც იცავს არასამწყობრო ნაწილებს. ზუსტად ასევე უნდა განლაგდეს მარჯვენა ფლანგზე მეორე ბრიგადა. ბრიგადებს შორის უნდა იყოს თავისუფალი სივრცე 30 წყრთა მანძილისა რამდენიმე ზარბაზნით, ხოლო მათ შემდეგ იქნება მთავარსარდალი ძირითადი დროშით, მუსიკოსებითა და 200 რჩეული, ძირითადად, ქვეითი მეომრით. მთავარსარდალი ისე უნდა იყოს შეიარაღებული, რომ სიტუაციის შესაბამისად ცხენზე ამხედრებული ან ქვეითად მიუძღოდეს მეომრებს.

ბრიგადაში მნიშვნელოვანი დატვირთვა უნდა მივანიჭოთ არტილერიას. ციხესიმაგრეების ალყისთვის საკმარისია 10 ზარბაზანი, რომელიც უნდა ისროდეს არა უმეტეს 50-ფუნტიან ყუმბარებს. ამავე დროს ამ ზარბაზნების ძირითადი ფუნქცია ბანაკის დაცვას გულისხმობს. არტილერიის დანარჩენი ნაწილის შეიარაღებაში მექნებოდა ათფუნტიანი ყუმბარმტყორცნელი ზარბაზნები, რომლებიც, ჩემი აზრით, 15-ფუნტიანებზე უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. მათ განვალაგებდი ფრონტის ხაზის წინ იმ შემთხვევაში, თუ რთული ადგილმდებარეობის გამო ვერ შევძლებდი მათ განთავსებას ფლანგებზე, რითაც სრულად ვუზრუნველყოფდი მტრისგან თავდაცვას. საბრძოლო მოწყობა, რომელიც მე აღვწერე, აერთიანებს ბერძნული ფალანგისა და რომაული ლეგიონების უპირატესობებს. კოლონის წინ დგას შეკრული მწყობრი ძალა შუბოსნებისა, რომლებიც ბერძნული ფალანგის მსგავსად შეავსებდნენ მოწინავე მწკრივების დანაკარგს.

მეორე მხრივ, თუ მტრის დარტყმა ისეთი ძლიერი იქნებოდა, რომ შუბოსნების ფრონტის ხაზი

გაირღვეოდა და იძულებული გავხდებოდით, უკან დაგვეხია, ამ შემთხვევაში ისინი (შუბოსნები – ა.გ.) აღმოჩნდებოდნენ მეორე ხაზის ბატალიონებს შორის არსებულ თავისუფალ სივრცეში, სადაც ისინი შეძლებდნენ ბრძოლის გაგრძელებას. თუ ამ შემთხვევაშიც დამარცხდებოდნენ, იგივე წესით უკან დაიხევდნენ და მესამედ ეცდებოდნენ ბრძოლის დაწყებას. ამრიგად, ამგვარი ხერხით ბრძოლის დაწყება და განახლება უნდა განხორციელებული ერთდროულად ბერძნული და რომაული წესებით.

არ ვიცი, როგორ უნდა წარმოვიდგინო უფრო ძლევამოსილი არმია, რომელსაც ჰყავს მრავალრიცხოვანი სამეთაურო (უმაღლესი, მაღალი, საშუალო და დაბალი – ა.გ.) რგოლი და რომლის ორივე ფრთა საიმედოდ არის დაცული ყველა სახეობის იარაღით. ერთადერთი, შედარებით სუსტი ადგილი არის ზურგი, სადაც თავმოყრილია აღალი და არასამწყობრო ნაწილები, თუმცა მათი დაცვისთვის ფლანგებზე გამოყენებულია რეზერვის შუბოსნების რაზმები. ისინი მზად არიან, მოიგერიონ ნებისმიერი თავდასხმა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ზურგის ნაწილებს. რაც შეეხება უშუალოდ ზურგს, რეალურად ის მაინც დაცულია დარტყმისგან, რადგან ბუნებაში არ არსებობს ისეთი სიძლიერის ძალა, რომელსაც შეუძლია ერთდროულად ყველა მხრიდან იერიშის მიტანა.

მოწინააღმდეგის ქვეითი ძალა სამჯერ უფრო ძლიერიც რომ იყოს ჩვენზე, ის აუცილებლად დაისუტებს თავს, თუ ეცდება ჩვენს ხელში ჩაგდებას სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად მოტანილი იერიშით; ჩვენი შემართებით მოწინააღმდეგე

აუცილებლად უნდა დავცეთ ზურგზე და გავაცამ-ტვეროთ. კავალერიის შემოტევამ, რომელიც შეიძლება ჩვენზე ძლიერი იყოს, არ უნდა შეგვაშინოს, მათ ნებისმიერ შეტევას შუბოსნები მოიგერიებენ.

ბატალიონებსა და მწკრივებს შორის შუალედები არა მხოლოდ ჯარის ნაწილებს აძლევს გადაადგი-ლების საშუალებას, არამედ ის ხელსაყრელია ასევე იმ მებრძოლების შემოსვლისთვის, რომლებიც მოვიდნენ მეთაურის ბრძანების შესაბამისად. ჩვენი ჯარი, მსგავ-სად რომაელებისა, უნდა ითვლიდეს დაახლოებით 24 ათას მებრძოლს, რომელთა შორისაც იგულისხმებიან დამხმარე ძალები, რომლებიც უერთდებიან ჩვენს ორ ბრიგადას. საბრძოლო წყობაში ეს მარტივია: თუ თქვენ გააძლიერებთ თქვენს ჯარს კიდევ ორი ბრიგა-დით ან გაორმაგებთ ჯარისკაცთა რაოდენობას, მაშინ თქვენ შესაბამისად უნდა გააგრძელოთ საბრძოლო ხაზი, დატოვოთ 20 ბატალიონი ადგილზე 10-ის ნაცვ-ლად, ანდა გაძლიეროთ ფრონტის სიღრმე იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს მოწინააღმდეგე ან როგორი სახის რელიეფთან გვაქვს საქმე.

ლუიჯი: იცით, ბატონო, მე თითქოს უკვე ვხედავ ამ მეომრებს და სურვილი მეუფლება, რომ რაც შეიძლება მალე ვნახო ისინი ბრძოლის ველზე. მე არანაირი ხალისი არ მაქვს, გიხილოთ თქვენ კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსის როლში, რომელიც მტერთან ბრძოლას ყოველთვის გაურბოდა. მე ამით უფრო მეტად აღვშფოთდებოდი, ვიდრე რომაელები – ფაბიუსით (87).

ფაბრიციო: თქვენ ამაზე ნუ იდარდებთ. ნუთუ არ გესმით ზარბაზნების ხმა? ჩვენმა არტილერისტებმა მოწინააღმდეგეს ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ

რეზერვის ველიტები მსუბუქ კავალერიასთან ერთად, შეძახილებით თავს ესხმიან მოწინააღმდეგის ძალებს. მოწინააღმდეგის არტილერიამ მოახერხა ერთი ზალპის გასროლა, მაგრამ ამით შედეგს ვერ მიაღწიეს. მეორედ გასროლის შანსი მათ უკვე აღარ მისცეს ჩვენმა ველიტებმა და კავალერიამ, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ (88). ხელჩართულ ბრძოლაში ჯარი ჯარს შეება, ზარბაზნები კი დადუმდნენ.

შეხედეთ, რა მამაცურად იბრძვიან ჩვენი მეომრები, როგორი მკაცრია მათი დისციპლინა. ისინი თავიანთი მწყობრი ნაბიჯით, სრული საბრძოლო წყობით მძიმე კავალერიასთან ერთად იწყებენ მოძრაობას მოწინააღმდეგესთან შესახვედრად. მხედართმთავარი ამხნევებს მეომრებს და მათ გამარჯვებას ჰპირდება.

შეხედეთ, როგორი სიმამაცით შეძლეს ჩვენმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება. მხედართმთავარმა მძიმე კავალერიას უბრძანა, რომ მხარდაჭერა გაეწიათ ქვეითი მებრძოლებისთვის. ამავე დროს თქვენ დაინახეთ, ჩვენმა მსუბუქმა კავალერიამ როგორ მოახერხა და გააუვნებელა მოწინააღმდეგის მსროლელთა რაზმი, რომელიც ცდილობდა ჩვენზე ზეწოლას ფლანგებიდან. მიუხედავად ამისა, მტრის მძიმე კავალერიის დიდმა რაზმმა მოახერხა მარცხენა ფლანგზე ჩვენი მძიმე კავალერიის შევიწროება, რომლებმაც წყობის დაურღვევლად მოახერხეს ორგანიზებულად უკან დახევა დანაკარგების გარეშე.

ამავე დროს მოწინააღმდეგის მძიმე კავალერიის დიდმა რაზმმა მარცხენა ფლანგზე შეძლო ჩვენი ჟანდარმების შევიწროება. ჩვენებმა კი, რომლებიც

მკაცრად იცავდნენ წესებს, სათადარიგო შუბოსნების დახმარებით უკან დაიხიეს, შემდეგ კი განაახლეს შეტევა და მათივე დახმარებით უკუაგდეს მტერი.

ამავე დროს მოწინავე ბატალიონების შუბოსნებმა უკან დაიხიეს და განლაგდნენ ქვეითების რიგებს შორის; ამის შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ ფაროსნები. შეხედეთ და ისიამოვნეთ, თუ როგორი შემართებით, თავდაჯერებულობით და სიმსუბუქით ანადგურებენ ისინი მტრის ჯარისკაცებს. ნუთუ თქვენ არ აკვირდებით, რომ ბრძოლაში რიგები ისე შემჭიდროვდა, რომ ჯარისკაცები ძლივს ახერხებენ მახვილის გამოყენებას? შეხედეთ, როგორ იხოცებიან მტრის ჯარისკაცები. ისინი შეიარაღებულნი არიან მხოლოდ შუბებითა და ხმლებით, ფარები კი არ გააჩნიათ. ამ დროს გრძელი შუბი უსარგებლო ხდება, მათი ხმალი კი უძლურია ჩვენი შეიარაღების წინაშე. მათი ნაწილი ან იღუპება, ან სახიჩრდება, ნაწილი კი გაქცევას ახერხებს. ისინი გარბიან მარცხენა და მარჯვენა ფლანგებიდან და საბოლოოდ გამარჯვებაც ჩვენ გვრჩება.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ბრძოლაში არ ჩართულან ჩვენი მეორე და მესამე ხაზის მებრძოლები; მტერს მარცხი აგემა მხოლოდ პირველი რიგის ანუ მოწინავე ძალებმა. ახლა მე თქვენ გეკითხებით, ბრძოლის ეს სურათი გასაგები იყო თუ არა თქვენთვის?

ლუიჯი: იმდენად შთამბეჭდავად აღწერეთ ბრძოლის ველზე გამარჯვება, რომ აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მიჩნდება კითხვა: თქვენმა არტილერიამ რატომ მოახდინა მხოლოდ ერთი გასროლა? რატომ დასწიეთ ისინი უკან და ამის მერე საერთოდ აღარ გიხსენებიათ? რაც შეეხება

მტრის არტილერიას, თქვენ ბრძანეთ, რომ მათ ვერ შეძლეს თქვენი მებრძოლების დაზიანება. ვთქვათ და მათი ყუმბარები მოხვედროდა თქვენს ჯარისკაცებს, მაშინ რას მოიმოქმედებდით?

რადგანაც არტილერია ვახსენე, ამასთან დაკავშირებითაც მოგახსენებთ ჩემს აზრს, რათა ამით ამოვწუროთ ეს საკითხი და მას აღარ დავუბრუნდეთ. მე ხშირად მომისმენია აზრი ძველი ეპოქის შეიარაღებისა და საბრძოლო წყობისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ. ასევე ხშირად საუბრობენ, რომ ჩვენს ეპოქაში ის ჯარი და შეიარაღება არ იქნება საკმარისი და საერთოდაც უსარგებლო აღმოჩნდება არტილერიის ცეცხლის სიძლიერის წინაშე, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ყველაზე ღრმა წყობა და გაარღვიოს ყველაზე მტკიცე ჯავშანი.

ფაბრიციო: თქვენი კითხვა ბევრ თემას ეხება, ამიტომაც პასუხი უნდა იყოს დეტალური. მართალია, რომ მე არტილერიას ვუბრძანე, მხოლოდ ერთხელ მოეხდინა გასროლა. საქმე იმაშია, რომ ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, უფრო მნიშვნელოვანია მტრის ყუმბარებისგან თავის დაცვა, ვიდრე ჩვენი არტილერიის მიერ მტრის დამარცხება. საარტილერიო ცეცხლისგან თავის დაცვა შეიძლება 2 გზით: პირველი, მებრძოლები ისეთ ადგილას უნდა განათავსო, სადაც მოწინააღმდეგის ყუმბარა ვერ მიაღწევს, ანდა, მეორე, ისინი უნდა იმყოფებოდნენ თავდაცვითი ზღუდის მიღმა. სხვა საშუალება არ არსებობს. მხედართმთავარს, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება, უნდა შეეძლოს თავიანთი მებრძოლების ისეთ ადგილას განთავსება, სადაც

ისინი მაქსიმალურად იქნებიან დაცულნი ამ საფრთხისგან.

რადგანაც წარმოუდგენელია ქვემეხებისგან აბსოლუტური დაცვა, მაშინ უნდა შეირჩეს ისეთი ადგილი, სადაც ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იქნება საფრთხე. ამ მხრივ საუკეთესო გამოსავალია მოწინააღმდეგის არტილერიის ხელში ჩაგდება. მტერზე სწრაფი დარტყმა მათ საშუალებას არ მისცემს, მოახდინოს შემდეგი გასროლა. ამ დროს მე ჩემს ჯარისკაცებს ვაძლევ დავალებას: ფლანგებზე განლაგებულ 1000 ველიტს ვუბრძანებ, ჩვენი არტილერიის გასროლისთანავე, მსუბუქ კავალერიასთან ერთად ეკვეთონ მოწინააღმდეგის არტილერიას და ხელში ჩაიგდონ ის. მე რომ ხელმეორედ მიმეცა საშუალება ჩემი არტილერისტებისთვის ხელმეორედ სროლისა, მოწინააღმდეგეც მოახდენდა საპასუხო გასროლას და ჩემი დანაკარგებიც გაიზრდებოდა.

ერთი სიტყვით, თუ გინდა, მოწინააღმდეგის არტილერია ხელში ჩაიგდო, მას მოულოდნელად უნდა დაესხა თავს. თუ ის ვერ იცავს თავის ზარბაზნებს, შენ მათ ადვილად ეუფლები. როდესაც ხელჩართული ბრძოლის შედეგად ჩვენი და მტრის ძალები ერთმანეთში აირევიან, ზარბაზნებიდან სროლა უკვე აზრს დაკარგავს.

ვფიქრობ, ყოველივე ეს გასაგები უნდა იყოს თქვენთვის. მაინც საჭიროდ მიმაჩნია, მაგალითები მოვიყვანო ძველი ისტორიიდან. მაგალითად, პუბლიუს ვენტიდიუსმა პართიელებთან ბრძოლის წინ მოწინააღმდეგის მოისართა მთელი მასა მოუშვა ძალიან ახლოს თავის ბანაკთან მანამ, სანამ შეტევაზე დაძრავდა თავის ჯარებს. მას მხოლოდ ერთი კონკრე-

ტული მიზანი ჰქონდა, სწრაფად ჩართულიყო ხელ-ჩართულ ბრძოლაში და მტრის მშვილდოსნებისთვის არ მიეცა ისრით ხელახლა სროლის საშუალება (89).

იულიუს კეისარი გვიამბობს, რომ გალიაში ერთ-ერთი ლაშქრობისას მოწინააღმდეგე ისეთი სისწრა-ფით დაესხა თავს, რომ რომაელებმა ვეღარ მოახერხეს მათთვის თავიანთი დროტიკების ტყორცნა (90). მოკლედ, მტრის არტილერიის ხელში ჩაგდება შეიძ-ლება მხოლოდ იერიშის დიდი სისწრაფით განხორ-ციელებისას.

იყო სხვა მიზეზიც, როცა მე მტერზე მივდიოდი, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ არ უნდა მოვახდინოთ მოწინააღმდეგის სიძლიერის იგნორირება. ყველაზე დიდი ხიფათი მებრძოლებისთვის არის მოწინააღმდე-გის ძალის ჯეროვნად არშეფასება. იყო შემთხვევები, როდესაც უძლეველმა არმიებმა მარცხი განიცადეს იმის გამო, რომ ჯარისკაცებს ბრძოლის დროს ხან მტვერი აბრმავებდათ და ხან მზე. ამგვარ სიტუაციაში წარმოიდგინეთ სურათი, როდესაც ბრძოლის ველზე დენთის კვამლი დგას და დაბალი ხილვადობის გამო მოწინააღმდეგის მებრძოლებისთვის შეუძლებელი ხდება ერთმანეთის დანახვა, რაც ბრძოლის ხელშემშ-ლელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს.

ამიტომაც ამის გამო უპირატესობას არ ვანიჭებ არტილერიას, პირიქით, ამ შემთხვევაში უკეთესი იქნება ფლანგებზე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყე-ნება, რათა დენთის კვამლმა არ დააბრმავოს მებრ-ძოლნი და ამით ხელი არ შეეშალოს მათ საბრძოლო ქმედებებს.

იმის ასახსნელად, თუ რამდენად ხელსაყრელია ის, რომ მოწინააღმდეგეს დაუზიანდეს ბრძოლის

ველის ხედვის შეგრძნების ორგანოები, მე მოგიყვანთ ეპამიმონდის მაგალითს, როდესაც მან მტვრის საშუალებით თავისი მეომრები უხილავი გახადა ლაკედემონელებისგან. ამ გათვლამ გაამართლა და მან გამარჯვება მოიპოვა (91).

ახლა რაც შეეხება მოწინააღმდეგის არტილერიის მიერ ჩემი ჯარისკაცებისთვის ნაკლები ზიანის მიყენებას, უნდა მოგახსენოთ, რომ მძიმე არტილერიის ცეცხლი ხშირად ჩემი ქვეითი მებრძოლებისთვის არ არის ზიანის მომტანი. ქვეითი მებრძოლი მძიმე არტილერიისთვის არის დაბალი სამიზნე და მისგან სროლისას უმცირესი შეცდომაც კი მიზანს მიუწვდომელს ხდის. ოდნავ ზევით რომ მოხდეს დამიზნება, ყუმბარა ჯარისკაცებს თავს ზემოთ გადაუფრენს, ქვევით დამიზნების დროს კი დიდი შანსია, ყუმბარა მიწას მოხვდეს და საერთოდ ვერ მიაღწიოს მიზანს.

ცეცხლსასროლი იარაღის გასანეიტრალებლად ყველაზე კარგია ხელჩართული ბრძოლა, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა.

ამრიგად, მე ჩემი არტილერია გამყავს ბრძოლის ველიდან და ადგილს ვათავისუფლებ ჩემი ბატალიონებისთვის... არტილერიას კი საერთოდ აღარ ვუბრუნდები იმიტომ, რომ შემდგომი ბრძოლისთვის იგი აღარაფერში მჭირდება.

თქვენ თქვით აგრეთვე, რომ, ზოგიერთების აზრით, ძველი დროის იარაღი და საბრძოლო წყობა დღეს უსარგებლოა არტილერიის დამანგრეველი ძალის გამო. თქვენი სიტყვიდან გამომდინარე, მიჩნდება აზრი, რომ არტილერიის გვერდით, ჩვენი თანამედროვეების მიერ შექმნილია ახალი იარაღი.

თუ თქვენთვის ეს საიდუმლო ნაცნობია, მაშინ ძალიან დამავალებთ, თუ მას გამიმხელთ; მაგრამ მეეჭვება, რომ ასეთი იარაღი არსებობდეს. თუ თქვენ უარყოფთ ძველ შეიარაღებას, მაშინ ჩვენი თანამედროვე მებრძოლები რატომ არიან ჯავშნით დაფარულნი მტრისგან თავის დასაცავად. ნებისმიერ ადამიანს, ვინც ერკვევა სამხედრო საქმეში და ჰკითხავთ ამის შესახებ, გიპასუხებთ, რომ ნებისმიერი ჯარისკაცის მუზარადი და ჯავშანი იცავს მას მტრის ხმლისგან, შუბისგან, ქვისგან და სხვა ნებისმიერი იარაღისგან, შემდეგ კი მიიღებთ პასუხს, რომ მჭიდროდ მოწყობილ რიგებს, შვეიცარიელების მსგავსად, ადვილად შეუძლიათ, უკუაგდონ მოწინააღმდეგის ქვეითნი, მოიგერიონ კავალერიის შეტევა.

მინდოდა მცოდნოდა ასევე, თუ შვეიცარიელები, რომლებიც სრულ თანხვედრაში არიან ანტიკური ეპოქის სამხედრო წესებთან, რატომ ქმნიან თავიანთ ბრიგადებს მჭიდრო კოლონებად, სადაც თავმოყრილია 6-დან 8 ათას მებრძოლამდე და ამ საკითხში რატომ ბაძავენ მათ სხვა ხალხებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის საარტილერიო ცეცხლი დიდ ხიფათს წარმოადგენს.

ვფიქრობ, ამაზე პასუხი არ არსებობს. თუ თქვენ შეკითხვას დაუსვამთ სამხედრო საქმის ნებისმიერ მცოდნეს, ის დაახლოებით ასე გიპასუხებთ: უპირველეს ყოვლისა, აბჯარს იმიტომ იცვამენ, რომ ის თუ არ დაიცავს ყუმბარისგან, სამაგიეროდ, დაიცავს მას ისრისგან, შუბისგან, მახვილისგან, ქვისგან და მტრის ნებისმიერი იარაღისგან. შემდეგ კი გეტყოდათ, რომ, შვეიცარიელების მსგავსად, მჭიდროდ მოწყობილ

რიგებს შეეძლებოდათ მტრის ქვეითი ძალების მოგერიება და კავალერიის შეტევის უკუგდება.

ზემოთქმულიდან აშკარად ჩანს, რომ მებრძოლებს ემუქრება არა მხოლოდ არტილერია, არამედ ბევრი სხვა რამ, რომლისგანაც მათ იცავს ჯავშანი და ჩემ მიერ შემოთავაზებული ბრძოლის წესები. აღსანიშნავია, რომ რაც უფრო უკეთესად არის შეიარაღებული ჯარი, რაც უფრო მჭიდრო და მტკიცეა მისი რიგები, მით უფრო საიმედოდ არის დაცული. ამიტომაც იძულებული ვარ, მოგახსენოთ, რომ იმ პოზიციის მომხრეები, რაზეც თქვენ ისაუბრეთ, ან გამოუცდელნი არიან, ან ბოლომდე არა აქვთ მიზანი გააზრებული. ძველების თვით ყველაზე სუსტ იარაღს, როგორიც არის შუბი და რომელიც დღესაც გამოიყენება, განსაკუთრებით, შვეიცარიელებში, დიდი სარგებელი მოაქვს. მაშინ რატომ უნდა ჩავთვალოთ უსარგებლოდ ძველი სამყაროს სხვა იარაღი და მათი საბრძოლო მოწყობის წესები, რომლებიც დღეს დავიწყებას არის მიცემული? და ბოლოს, თუ ჩვენ, მიუხედავად არტილერიისა, კვლავაც ვინარჩუნებთ მოწყობას მჭიდრო რიგებად, როგორც ამას მიმართავდნენ შვეიცარიელები, ძველი სამყაროს კიდევ რომელი საბრძოლო წყობა იქნება ჩვენთვის უფრო სახიფათო? ყველასათვის ცნობილია, რომ არტილერიის ცეცხლი ყველაზე უფრო საშინელია მეომრებისთვის, რომლებიც მჭიდრო მასის ფორმით გადადიან შეტევაზე. თანაც მას შეუძლია, ცეცხლი დაატეხოს კედლებს ამოფარებულ ჩემს მეომრებს და გააძლიეროს დაწოლა ისე, როგორც მას სურს და შეუძლია. ამ დროს მე არ შემიძლია მტრის არტილერიის ხელში ჩაგდება და დაველოდები

მომენტს, როდესაც მას დაადუმებს ჩემი არტლერისტების საპასუხო ცეცხლი; მით უმეტეს, მე საერთოდ არ მეშინია არტილერიისა ბრძოლის გაშლილ ველზე, სადაც ძალა შემწევს დაუყოვნებლივ მისი ხელში ჩაგდებისა.

ლუიჯი: გავიგეთ თქვენი აზრი მტრის არტილერიის შესახებ, რაც გულისხმობს ბრძოლის დასაწყისშივე მის ხელში ჩაგდებას. ეჭვი მიჩნდება, რომ მტერი ასე იოლად არ ჩაგაგდებინებთ ხელში თავის არტილერიას. ვფიქრობ, რომ მოწინააღმდეგე დაიფარავს თავის არტილერიას ფლანგებიდან და ეცდება, ისე განალაგოს, რომ დაამარცხოს თქვენი ჯარისკაცები. თქვენ ახსენეთ, რომ საბრძოლო წყობის დროს ბატალიონებს შორის გექნებოდათ თავისუფალი სივრცე. რატომ არ შეიძლება, რომ მოწინააღმდეგემ თქვენივე მსგავსი წყობა შემოგთავაზოთ და თავისი არტილერია განალაგოს იმ თავისუფალ ინტერვალებში, რაც მას საშუალებას მისცემდა, მშვიდად გაენადგურებინა თქვენი ჯარისკაცები და თქვენც აღარ გექნებოდათ უნარი, შტურმის გზით ჩაგეგდოთ ხელში მოწინააღმდეგის არტილერია.

ფაბრიციო: თქვენი მსჯელობა თუმცა დამაჯერებელია, მაგრამ მე მაინც ვეცდები, ჩემი პოზიცია კიდევ უფრო განვამტკიცო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბატალიონები როგორც ლაშქრობაში, ისე ბრძოლის დროს იმყოფებიან გამუდმებულ მოძრაობაში და თუ თქვენ ამ დროს მათ შორის დატოვებთ ვიწრო ინტერვალებს და იქ განათავსებთ თქვენს არტილერიას, რიგები ისე სწრაფად შემჭიდროვდება, რომ არტილერია ვეღარ შეძლებს სროლას. თუკი ფართო ინტერვალებს დატოვებთ, მაშინ უფრო რთული

დილემის წინაშე აღმოჩნდებით – მოწინააღმდეგე მიიღებს არა მხოლოდ ჩვენი არტილერიის ხელში ჩაგდების შესაძლებლობას, არამედ მას ექნება საშუალება ჩვენი ფრონტის გარღვევისა.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზარბაზნები, რომლებიც სპეციალურ გორგოლაჭებიან საზიდრებზე არიან განთავსებული, არ შეიძლება იყოს განლაგებული რიგებს შორის. საქმე იმაშია, რომ ზარბაზანი არ ისვრის იმ მიმართულებით, საითკენაც ის გადაადგილდება, არამედ საწინააღმდეგო მხარეს. სროლის დროს ის წრიულად უნდა მობრუნდეს და თქვენ წარმოიდგინეთ, რამხელა სივრცე დასჭირდებათ მათ ამისთვის, თუ არტილერია რამდენიმე ათეული ერთეულით, მაგალითად, ორმოცდაათითაა წარმოდგენილი (92).

დავუშვათ, ბატალიონებს შორის არ აღმოჩნდა არც ვიწრო და არც ფართო ინტერვალები, ვთქვათ, სადღაც მხოლოდ საშუალო სიდიდის. არტილერია ძირითადად ერთი მიმართულებით მოახდენს გასროლას და შესაბამისად, ეს სივრცე იქნება ის ძირითადი ადგილი, საიდანაც მოწინააღმდეგის ზარბაზნები გაისვრიან ყუმბარებს. ამ ცარიელ ადგილზე ჩვენი მებრძოლები, რა თქმა უნდა, არ იქნებიან და შედეგად მივიღებთ მოწინააღმდეგის ზარბაზნების ფუჭ გასროლას. არის ძველი, საყოველთაო წესი: მოწინააღმდეგის ძალების მოზღვავებისას ჩვენს მებრძოლებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი სივრცე, საიდანაც შესაძლებელი იქნება მოწინააღმდეგე ძალის გადინება. ასე იქცეოდნენ საუკუნეების წინ, როდესაც ჩვენს წინაპრებს სპილოებთან და საბრძოლო ეტლებთან უწევდათ შებრძოლება (93).

ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ წარმოიდგინეთ, თითქოს მე გავითამაშე ბრძოლის სცენები საკუთარი წარმოსახვით და ამიტომაც გავიმარჯვე. მე კიდევ ერთხელ დაბეჯითებით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი მეთოდით შეიარაღებულმა და მოწყობილმა ჯარმა პირველივე შეტაკებისას უნდა გატეხოს მოწინააღმდეგე, რომელიც თანამედროვე მოწყობის მაგალითს წარმოადგენს და მისი ძირითადი ნაწილი ერთ ხაზზეა განლაგებული, რომელსაც არ გააჩნია ფარები და ისე ცუდადაა შეიარაღებული, რომ მას არ შეუძლია თავის დაცვა ხელჩართულ ბრძოლაში.

რაც შეეხება ჩვენს მებრძოლებს, მათ პოზიციებს ჩვენ სხვადასხვა დასახელებებით ვაფიქსირებთ, კერძოდ, ავანგარდის, ძირითადი ძალებისა და არიერგარდის სახით. მაგრამ ეს დაყოფა ძირითადად გვხვდება ლაშქრობაში და ბანაკად ყოფნის დროს, ბრძოლაში კი მთელი ძალები, ერთ მუშტად შეკრულნი, შემართულნი არიან მოწინააღმდეგის ძალებზე გადამწყვეტი დარტყმისთვის.

ლუიჯი: თქვენ მიერ ბრძოლის აღწერისას მე ყურადღება მივაქციე იმას, რომ თქვენ კავალერია გადამალული გყავდათ რეზერვის შუბოსნების დაცვის ქვეშ. მათი ერთობლივი მოქმედებით განახლდა ბრძოლა და მათ წარმატებით შეუტიეს მტერს. მე დარწმუნებული ვარ, რომ შუბოსნებს შეეძლებათ მტრის კავალერიის შეჩერება, თუ ისინი მოწყობილნი იქნებიან მჭიდრო მასად, როგორც შვეიცარიელები, თქვენს ჯარში კი ფრონტის ხაზზე იმყოფება შუბოსნების 5 მწკრივი და 7 მწკრივი ფლანგებზე.

შესაბამისად, არ მესმის, როგორ უნდა შეაჩერონ მათ მოწინააღმდეგის კავალერიის შეტევა?

ფაბრიციო: მე თქვენ უკვე გიამბეთ, რომ მაკედონიურ ფალანგაში ერთობლივი მოქმედება შეეძლო 6 მოწინავე მწკრივს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ შვეიცარულ ბრიგადაში, თუნდაც ის სიღრმეში 1000 მწკრივისგან შედგებოდეს, ბრძოლა შეუძლია პირველ ოთხ ან 5 მწკრივს: შუბის სიგრძე შეადგენს 9 წყრთას, ტარის სიგრძე 1,5 წყრთაა, რომელიც ხელითაა დაფარული, ასე რომ, პირველი მწკრივის შუბები წინ არის გამოშვერილი 7,5 წყრთაზე. მეორე მწკრივი კარგავს 1,5 წყრთას და ამდენივე მანძილს იმ სივრცის გამო, რაც მას გამოყოფს პირველი მწკრივისგან. შესაბამისად, მისი შუბები პირველი მწკრივიდან გამოშვერილია 6 წყრთაზე; მესამე მწკრივის შუბები – 4,5 წყრთაზე, მეოთხე მწკრივის – 3 წყრთაზე, მეხუთესი კი – 1,5-ზე.

სხვა დანარჩენი მწკრივები ბრძოლაში არ მონაწილეობენ. მათ ევალებათ მხოლოდ დაჭრილთა და დაღუპულთა ჩანაცვლება. თუ 5 შვეიცარულ მწკრივს შეუძლია მტრის კავალერიის დაწოლის შეკავება, ამის გაკეთება რატომ არ უნდა შეეძლოთ ჩემს შუბოსნებს? თუ ფლანგებზე განლაგებული სათადარიგო შუბოსნების წყობა არასაკმარისად მიგაჩნიათ თავისი სიღრმით, მაშინ შეგიძლიათ მისი გარდაქმნა კარედ და დაყენება ფლანგების უკანა ხაზზე 2 ბატალიონის სახით; აქედან თქვენ შედარებით ადვილად მოახერხებთ მათ გადაადგილებას კავალერიის მხარდაჭერის მიზნით ფრონტის ხაზის ან ზურგის მიმართულებით.

ლუიჯი: თქვენ ყოველთვის გამოიყენებთ საბრძოლო მოწყობის მხოლოდ იმ ფორმას, რომელიც აღგვიწერეთ?

ფაბრიციო: რა თქმა უნდა, არა! საბრძოლო წყობა ყოველთვის იცვლება. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ადგილმდებარეობა, მოწინააღმდეგე ძალის რაოდენობა და მისი ბრძოლისუნარიანობის ხარისხი. მე იმიტომ კი არ გავამახვილე ყურადღება ჩემ მიერ შემოთავაზებულ წყობაზე, რომ ის ყველაზე საუკეთესოა, თუმცა ვთვლი, რომ ის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა, არამედ იმიტომ, რომ გაგაცნოთ წესები და მითითებები, რომელთა დახმარებითაც თქვენ შეძლებთ სხვა ფორმების მოძებნას. ნებისმიერ მეცნიერებაში არის საერთო წესები, რაც ყველასთვის სავალდებულოა. ყოველთვის გახსოვდეთ, არასდროს მოაწყოთ ჯარები ისე, რომ მოწინავე პოზიციებზე მყოფ ჯარისკაცებს არ ჰქონდეთ იმის განცდა, რომ ისინი ვერ მიიღებენ დახმარებას მათ უკან განლაგებული ძალებისგან. ვინც ამგვარ შეცდომას უშვებს, ყოველთვის მარცხდება ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჭიდილში.

ლუიჯი: ახალი კითხვა გამიჩნდა. თქვენ მიერ წარმოდგენილ წყობაში ხუთ ბატალიონს ათავსებთ მოწინავე პოზიციებზე, სამს შუაგულში და ორს – უკანა ხაზზე. ვფიქრობ, უკეთესია მოიქცეთ პირიქით იმიტომ, რომ გარღვევა რთული იქნება, თუ მოწინააღმდეგე შეეცდება ჩვენი რიგების გარღვევას, სადაც მას წინააღმდეგობას შეუქმნის ჩვენი ჯარების შემჭიდროებული მასა. თქვენი წყობის მიხედვით კი ისე ჩანს, რომ რაც უფრო ძლიერია თავდასხმა, მით უფრო სუსტია თავდაცვა.

ფაბრიციო: თქვენი ეჭვები გაიფანტება, თუ გაიხსენებთ, რომ ტრიარები, რომლებიც შეადგენდნენ რომის ლეგიონის მესამედს, იყვნენ არა უმეტეს 600 კაცისა და იდგნენ ყველა ძალის უკან. ამ მაგალითს მივბაძე და უკანა ხაზზე განვალაგე 2 ბატალიონი, დაახლოებით, 900 ქვეითი. ამრიგად, მივბაძე რა რომაულ სამხედრო წესს, მე მოწინავე ხაზიდან მოვხსენი არც ისე ცოტა, უფრო მეტიც, დიდი რაოდენობის ჯარისკაცები.

მოგახსენებთ, თუ რატომ ვიქცევი ასე. ჯარის მოწინავე ნაწილი, იგივე ავანგარდი, უნდა იყოს იმდენად ძლიერი, რომ შეძლოს მოწინააღმდეგის ჯარების ზეწოლის შეკავება. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხვედრამდე უნდა იყოს მორალურ-ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში და შეძლოს უკან დახეული ავანგარდის გამხნევება და დახმარება. ამის გამო აქ დიდი ინტერვალებია საჭირო ამ შესაძლო, იძულებითი გადაადგილებების გამო. შუა ნაწილი ავანგარდზე უფრო ნაკლები ოდენობისაა. თუ ძალთა ბალანსი შეიცვლებოდა და შუა ნაწილი იგივე ოდენობისა იქნებოდა, ან უფრო მეტი მოწინავეზე, ეს ხელს შეუწყობდა საბრძოლო წყობის მოშლას.

შეცდომას უშვებთ, როცა ფიქრობთ, რომ რაც უფრო შემოდის ჩვენი რიგების სიღრმეში მტერი, წინააღმდეგობა თითქოს უფრო სუსტდება. სინამდვილეში კი პირიქით ხდება. მოწინააღმდეგეს ამ შემთხვევაში ბრძოლა უხდება როგორც მოწინავე, ასევე შუა ნაწილის ძალებთან, რაც მას უფრო მეტ სირთულეებს უქმნის, რადგანაც არსებობს სერიოზული შანსი, რომ მოწინააღმდეგის ეს ძალა აღმოჩნდეს ჩვენი ძალების მხრიდან ალყაში მოქცეული. მით უმეტეს, თუ

მოწინააღმდეგეს შეხვედრა მოუწევს ჩვენს არიერ-გარდთან.

ლუიჯი: თქვენმა პასუხმა დამაკმაყოფილა, მაგრამ გთხოვთ, მიპასუხოთ ერთ შეკითხვაზე: თუ პირველი ხაზის 5 ბატალიონი დაიხევს უკან მე-2 რიგის 3 ბატალიონის რიგებში და შემდეგ მეორე ხაზის 8 ბატალიონი დაიწევს მესამე ხაზის 2 ბატალიონთან, როგორ შეძლებს ეს 8 და შემდეგ 10 ბატალიონი, განთავსდეს იმ სივრცეში, რომელიც დაკავებულია, უპირველეს ყოვლისა, პირველი ხუთი ბატალიონით.

ფაბრიციო: უპირველეს ყოვლისა, ეს ერთი და იგივე სივრცე არ არის, იმიტომ რომ პირველი 5 ბატალიონი ერთმანეთს დაშორიშორებულია 4 ინტერვალით, რომლებიც მუდმივად ივსება მეორე და მესამე ხაზებიდან უკან დახევისას. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს ინტერვალები ბრიგადებს შორის, აგრეთვე ბატალიონებსა და რეზერვის შუბოსნებს შორის, რაც საბოლოო ჯამში საკმაოდ დიდ სივრცეს ქმნის.

ამას დაუმატეთ, რომ ბატალიონები, რომლებიც საბრძოლო წესით არიან მოწყობილნი და ჯერ არ განუცდიათ დანაკლისი, იკავებენ იმ სივრცეს, სადაც მათ ბრძოლის დასასრულს მოუწევთ ყოფნა. დანაკარგები იწვევს რიგების შემჭიდროებას ან პირიქით, გაფართოებას. რიგები ფართოვდება მაშინ, როდესაც ადამიანებს ეუფლებათ შიში, რომელიც შესაძლოა გაქცევაში გადაიზრდოს; და პირიქით, თუ შიში აიძულებს ადამიანებს, რომ ხსნა ეძებონ არა გაქცევაში, არამედ თავდაცვაში, ამ შემთხვევაში თქვენ ყოველთვის შეამჩნევთ, რომ წყობა მჭიდროა და არა გაფანტული.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ შუბოსანთა მოწინავე 5 მწკრივი, რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა და შემდეგ დაიხიეს უკან ბატალიონების რიგებს შორის უკანასკნელ ხაზამდე, ბრძოლისთვის სივრცეს უთავისუფლებენ მახვილით შეიარაღებულ ფაროსნებს. მათი ზურგში გადაადგილების შემდეგ მთავარსარდალი თავისი სურვილით უცვლის მათ დისლოკაციის ადგილს, რადგან ხელჩართულ ბრძოლაში ისინი პრაქტიკულად გამოუსადეგარნი ხდებიან.

ამრიგად, ინტერვალები, რომლებიც წინასწარ არის განსაზღვრული, თავისუფლად დაიტევს მარცხის შემდეგ დარჩენილ ჯარისკაცებს. დავუშვათ, ეს სივრცე არ არის საკმარისი, ამ შემთხვევაში ჩვენ გვრჩება ფლანგებზე მყოფი ნაწილები; ეს არის ძალა, რომელსაც შეუძლია შემჭიდროვდეს და გამოათავისუფლოს იმდენი ადგილი, რამდენიც საჭირო იქნება.

ლუიჯი: თქვენ როგორ მოექცევით რეზერვის შუბოსნებს, რომლებიც ფლანგებზე უნდა განთავსდნენ? ისინი ვალდებული არიან თუ არა ბატალიონების პირველი ხაზის უკან დახევის შემთხვევაში ადგილზე დარჩნენ და ამით შექმნან 2 შვერილი ან უკან დაიხიონ ბატალიონებთან ერთად? თუ მათ ესაჭიროებათ უკან დახევა, როგორ მოახერხებენ ამას, თუკი არ ეყოლებათ შესაბამისი ბატალიონები საჭირო ინტერვალებით?

ფაბრიციო: თუ მოწინააღმდეგე, რომელმაც აიძულა ბატალიონები, უკან დაეხიათ და მათზე არ ახდენს თავდასხმას, ისინი შეიძლება დარჩნენ ადგილზე თავიანთი საბრძოლო წყობით და შეავიწროვონ მოწინააღმდეგე ფლანგებიდან, მაშინ როდესაც პირველი ბატალიონები უკვე უკან იხევენ. და თუ ის, რაც ყველაზე სავარაუდოა, მათზე ახდენს ზეწოლას, იმის

გათვალისწინებით, რომ ის საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ შეავიწროვოს სხვა ძალები, უნდა გავიდეს ბრძოლის ველიდან, ამის შესრულება ადვილია, თუმცა აქ ინტერვალები თითქმის არ გვხვდება: საჭიროა პირდაპირი მიმართულებით რიგების გაორმაგება, ერთი მწკრივის მეორესთან შერწყმა, ამ საკითხს უკვე შევეხეთ რიგების გაორმაგებაზე საუბრისას.

ფაქტია, რომ უკან დახევისას გაორმაგება ხდება სხვაგვარად; და არა ისე, როგორც მე თქვენ აგიწერეთ; გეუბნებოდით, რომ მეორე მწკრივი შედის პირველში, მეოთხე მესამეში და ასე შემდეგ. ახლა დავიწყოთ გადაადგილება არა წინ, არამედ უკან და დავიწყოთ პროცესი არა წინა, არამედ უკანა მწკრივებიდან, რათა გაორმაგების შემდეგ მივიღოთ არა პირდაპირი, არამედ უკუმოძრაობა.

ერთია, რომ გიპასუხოთ თქვენს ყველა იმ მოსაზრებაზე, რომელიც ჩემ მიერ გათამაშებული წარმოსახვითი ბრძოლის წინააღმდეგაა მიმართული, მე კვლავ გავიმეორებ, რაც უკვე წარმოგიდგინეთ ბრძოლისა და მოწყობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით დამატებით გავამახვილებ ყურადღებას ორ საკითხზე: ჯარის მოწყობასა და სწავლებაზე. ჩემი საბრძოლო წესები თქვენთვის თითქოს სრულად გასაგებია; რაც შეეხება სწავლებას, ბატალიონების შეკრება უნდა ხდებოდეს რაც შეიძლება ხშირად, რათა მეთაურები შეეჩვიონ და შეძლონ, ჯარისკაცებს ასწავლონ ყველა ის მოქმედება, რაზეც ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. ჯარისკაცმა კარგად უნდა იცოდეს ბატალიონის ყველა მოქმედება, მეთაურებმა კი უნდა მოახერხონ მთლიან ჯარში ბატალიონის წინაშე დასმული ამოცანის თითოეულ ჯარისკაცამდე

დაყვანა და ამის შემდეგ შეასრულონ მეთაურის განკარგულება.

მეთაურებს უნდა შეეძლოთ, სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენიმე ბატალიონის ერთდროულად მართვა; ამიტომაც თითოეული ბატალიონის დროშაზე გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული მისი ნომერი, თითოეულმა ჯარისკაცმა უნდა იცოდეს თავისი პირადი ნომერი. საგანგებო ნომერი უნდა ჰქონდეს ბრიგადის მთავარ დროშას. მკაცრად სავალდებულო უნდა იყოს, რომ ნებისმიერმა სამხედრო პირმა იცოდეს ბრიგადისა და ბატალიონის ნომერი.

მებრძოლების სამხედრო წოდებები განსხვავებული უნდა იყოს ნომრების მიხედვით: მაგალითად, ნომერი პირველი ნიშნავს დეკურიონების მეთაურს, მეორე-ველიტების მეთაურს, მესამე – ცენტურიონს, მეოთხე – პირველი ბატალიონის მეთაურს, მეხუთე – მეორე ბატალიონის მეთაურს, მეექვსე – მესამე ბატალიონის მეთაურს და ა.შ. – მეათე ბატალიონის მეთაურამდე, რომლის ზემოთაც იმყოფება ბრიგადის მეთაური. ამ წოდების მიღება შეეძლება მხოლოდ მას, ვინც ყველაზე ადრე გაივლის მანამდე არსებულ ყველა საფეხურს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, გარდა, რეზერვის შუბოსანთა 3 მეთაური და რეზერვის ველიტების 2 მეთაური გათანაბრებული უნდა იყვნენ პირველი ბატალიონის მეთაურის თანამდებობასთან. მე საერთოდ არ მეუხერხულება, თუ 6 ადამიანი იქნება ერთი და იგივე წოდების მქონე: თითოეული მათგანი უფრო გულმოდგინედ ეცდება, გაუსწროს სხვებს და მიაღწიოს მეორე ბატალიონის მეთაურობას. იცის რა თავისი ბატალიონის დისლოკაციის ადგილი, თითოეული მეთაური იკავებს მას მომენტალურად,

როგორც კი საყვირის ხმაზე აღიმართება მთავარი დროშა და მთელი ბრიგადა საბრძოლოდ მოეწყობა. მომენტალურად მოწყობის ცოდნა – ეს არის უპირველესი, რომელიც უნდა შევასწავლოთ ჯარისკაცებს. ეს ვარჯიში უნდა ტარდებოდეს ყოველდღიურად და უფრო მეტიც, დღეში რამდენჯერმე.

ლუიჯი: დროშებზე, ნომრის გარდა, საჭიროა თუ არა რაიმე სხვა ნიშანი?

ფაბრიციო: მთავარ დროშაზე უნდა იყოს ხელისუფლების გერბი; სხვა დროშებზეც შეიძლება იყოს გამოსახული გერბი, განსხვავებული ფორმატით ან რაიმე სხვა ნიშანი, მეთაურის შეხედულებით. მთავარი ეს არ არის, დროშები ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა განირჩეოდნენ.

შემდგომი სწავლების საფეხური არის საბრძოლო ილეთების ცოდნა; არტილერიამ უნდა განახორციელოს გასროლა და გადაადგილდეს უკან; რეზერვის ველიტები გადმოდიან წინ და შეტევის შემდეგ უკან გადაადგილდებიან; პირველი ხაზის ბატალიონები მარცხის შემდეგ უკან იხევენ მეორე ხაზის ინტერვალებში; ორივე ხაზი უკან იხევს მესამე ხაზისკენ და შემდეგ უბრუნდებიან თავიანთ ძირითად ადგილებს. ამგვარი თანამიმდევრობით უნდა ვასწავლოთ ჯარისკაცებს ეს სასწავლო მანევრი, რათა მიაღწიონ ამ მხრივ სრულყოფილებას.

შემდგომი საფეხური გულისხმობს, ვასწავლოთ ჯარისკაცებს მეთაურის განკარგულების გაგება მუსიკის ჰანგებით ან დროშების მოძრაობით, რადგანაც ხმით ბრძანების გაცემა ადვილი გასაგებია ნებისმიერი ჯარისკაცისთვის. ბრძოლის დროს ჯარისკაცებს ყველა საჭირო უნარებთან ერთად შესწავლილი უნდა ჰქონდეთ სარდლის განკარგულებები მუსიკის

ჰანგებისა და დროშების მოძრაობების შესაბამისად. როგორც ცალკეულ დროშას, ასევე მუსიკალურ ინსტრუმენტს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. მაგალითად, თუკიდიდეს მიხედვით, მაკედონელებში უპირატესობა ენიჭებოდა ფლეიტას, რადგანაც მიაჩნდათ, რომ მისი ჰანგების თანხლებით ჯარები გადაადგილდებიან ზომიერი და მშვიდი ტემპორიტმით.

კართაგენელები კი ამ მიზნით იყენებდნენ ციტრას. ლიდიის მეფე ალიატი ბრძოლის დროს იყენებდა ციტრასაც და ფლეიტასაც. ალექსანდრე მაკედონელი და რომაელები იყენებდნენ კამეჩის რქისგან დამზადებულ მუსიკალურ საკრავსა და საყვირს და მიაჩნდათ, რომ ეს ინსტრუმენტები აღანთებდნენ მათ გულებს და ძალებს უორმაგებდნენ მებრძოლებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ გამოცდილებასაც ვიზიარებთ – მხედართმთავრებს უნდა ჰყავდეთ მესაყვირეები, რადგანაც მათი ინსტრუმენტების ძლიერი ხმა სიმამაცეს უნერგავს ჯარისკაცებს. ბატალიონის მეთაურებთან უნდა იყვნენ აგრეთვე ფლეიტისტები და მედოლეები. საყვირის ხმით მთავარსარდალი დეტალურად ატყობინებს მებრძოლებს: ჯარი ადგილზე უნდა იყოს, უნდა მოძრაობდეს, წინ გადაადგილდებოდეს თუ უკან იხევდეს; უნდა ისროლოს არტილერიამ თუ არა და სხვა. საყვირების მელოდიის შემდეგ, იმავე ბრძანებას იმეორებენ უკვე მედოლეები. ეს მუსიკალური ვარჯიშები ძალზე მნიშვნელოვანია და ხშირად უნდა მეორდებოდეს. კავალერიაშიც უნდა იყოს საყვირები, რომლებსაც განსხვავებული, უფრო ნაკლები სიძლიერისა და ჟღერადობის ჰანგები ექნებოდა.

ლუიჯი: მე კიდევ ერთი რამ მაინტერესებს; თქვენი მსუბუქი კავალერია და ველიტები მტერს ველური ყვირილით რატომ ესხმიან თავს მაშინ, როდესაც სხვა ნაწილები შედარებით მშვიდად ხვდებიან მოწინააღმდეგეს, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

ფაბრიციო: მშვიდი გადაადგილებისას უკეთესად ნარჩუნდება წყობა და მკაფიოდ ისმის მეთაურის ბრძანება, ყვირილი კი ამაღლებს საბრძოლო შემართებას. ამიტომაც ორივე მომენტი საჭირო და აუცილებელია.

ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ უაზრო ყვირილი სასარგებლო ნამდვილად არ არის და ხშირად ახშობს მეთაურის ბრძანებას. ძნელად წარმოსადგენია, რომ პირველი შეტაკების შემდეგ რომაელებს ისევ გაეგრძელებინოთ ყვირილი. მათ ისტორიაში ბევრი იყო მაგალითები, როცა ბრძოლის ველიდან გაქცეული ჯარისკაცები ჩერდებოდნენ სარდლის სიტყვითა და დარწმუნებით და ახერხებდნენ შუაგულ ბრძოლაში ბრძანების შესაბამისად გადაწყობას. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ყვირილი ჩაახშობდა სარდლის ხმას.

თავი IV

ლუიჯი: ჩემი ხელმძღვანელობით აქ გამართულ დისკუსიებში იმდენად შთამბეჭდავ წარმატებას მივაღწიე, რომ აღარ მსურს გარისკვა. ამიტომ ვთმობ ჩემს უფლებამოსილებას და მას გადავცემ ზანობის, ჩვენი წესის მიხედვით, ყველაზე უმცროსს. ვიცი, რომ იგი ამაზე უარს არ იტყვის ჩემთან მეგობრობისა და ასევე ჩემზე მეტი გამბედაობის გამო. მას ვერ შეაშინებს ის საქმე, რომელსაც შეუძლია ერთსა და იმავე დროს როგორც გამარჯვების, ასევე დამარცხების მოტანა.

ზანობი: მზად ვარ ამ გამოწვევისთვის, თუმცა მერჩივნა, მონაწილეობა მიმეღო ამ საუბრებში, როგორც რიგით მსმენელს. მგონია, ზედმეტი შეკითხვებით გადავღალეთ სინიორ ფაბრიციო.

ფაბრიციო: პირიქით, თქვენმა აქტიურობამ მე უფრო მეტი სიამოვნება მომანიჭა და დასმულმა კითხვებმა თქვენი აზროვნება და მიდრეკილება ჩემთვის გასაგები გახადა, მეც შესაბამისად უფრო კრიტიკული გავხდი ჩემი გამონათქვამების მიმართ.

ზანობი: მინდა, ორი რამის შესახებ გკითხოთ, სანამ წინ წავიწევდეთ; პირველი, მიგაჩნიათ თუ არა ჩვენს რეალობაში შესაძლებლად სხვა საბრძოლო წყობის არსებობა და მეორე, უსაფრთხოების რა ზომები უნდა მიიღოს მხედართმთავარმა ბრძოლის წინ და რა უნდა გააკეთოს მან, თუ ბრძოლის დროს ადგილი ექნება რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევას?

ფაბრიციო: ვეცდები, დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა და პასუხი გავცე დასმულ კითხვებს. მე თქვენ უკვე გესაუბრეთ ჩემ მიერ შემოთავაზებულ საბრძოლო წყობაზე და, ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლო ცვლილებებზე ადგილმდებარეობისა და მტრის მოქმედებების შესაბამისად.

პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ვითარებას: ყველაზე სახიფათოა არის ფრონტის ხაზის გაჭიმვა იმ შემთხვევაში, თუ შენ არ გყავს ძალითა და სიდიდით შესაბამისი ოდენობის ჯარი, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესია ჯარი, რომელსაც აქვს სერიოზული სიღრმისეული წყობა და შესაბამისი მჭიდრო რიგები, რომელსაც აშკარად უპირატესობა გააჩნია გაწელილ და მეჩხრად განლაგებულ წყობაზე. თუ შენი ჯარი რიცხობრივად ნაკლებია მტერზე, ყველანაირად უნდა ეცადო ამ დისბალანსის შევსებას, კონკრეტულად კი შეგეძლოს ფლანგების უსაფრთხოების დაცვა ბუნებრივი საშუალებების, კონკრეტულად კი მდინარის ან ჭაობის გამოყენების საშუალებით, რათა არ აღმოჩნდე ალყაში, ანდა თხრილების საშუალებით დაიცვა თავი ისე, როგორც ამას ახერხებდა კეისარი გალიაში (94).

ყოველთვის უნდა გახსოვდეთ საერთო წესი, რომლის მიხედვითაც ფრონტის ხაზი იშლება ან ვიწროვდება თქვენი და მოწინააღმდეგის ჯარების რიცხოვნების შესაბამისად. თუ მოწინააღმდეგე შენზე სუსტია, მაშინ უნდა ამოირჩიო მოქმედებისთვის ფართო მინდორი, რათა შენ მოახერხო არა მხოლოდ მოწინააღმდეგის ხელში ჩაგდება, არამედ შენი ძალების თავისუფლად გადაადგილება ნებისმიერი მიმართულებით. ამიტომაც რომაელები ყოველთვის თავს

არიდებდნენ უსწორმასწორო ადგილებს და ბრძოლას ამჯობინებდნენ სწორ, გაშლილ ველზე.

თუ შენი ძალები მოწინააღმდეგისაზე სუსტია, მაშინ პირიქით ვიქცევით და აქცენტს ვაკეთებთ შესაბამის ადგილმდებარეობაზე. ამ დროს კარგია სიმაღლეების გამოყენება, საიდანაც შედარებით ადვილია მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეზე თავდასხმა. სიმაღლე თქვენთვის მაშინ იქნება ცუდი, თუ მოწინააღმდეგე მოახერხებს და თქვენს ზევით მდებარე მაღლობს იგდებს ხელთ, დააყენებს იქ თავის ზარბაზნებს და ზემოდან გაგიხსნით ცეცხლს. თქვენ კი ქვევიდან ზევით გაგიჭირდებათ უპირატესობის მოპოვება.

მხედართმთავარმა, რომელმაც ჯარი მოაწყო საბრძოლოდ, უნდა გაითვალისწინოს, რომ მზის სხივებისა და ქარისგან დაიცვას თავისი მებრძოლების სახეები. ორივე ფაქტორი ებრძვის მეომრებს, მზე თავისი თვალისმომჭრელი სიკაშკაშით, ქარი კი მტვრით. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქარი ასუსტებს სატყორცნი იარაღის დარტყმის ძალას. ამ შემთხვევაში, თუ ამის შესაძლებლობაა, უკეთესია მებრძოლების მზისკენ ზურგით განლაგება. ამ ფაქტორებს ითვალისწინებდა ჰანიბალი კანესთან და მარიუსი კიმბრებთან ბრძოლის დროს (95).

თუ მცირერიცხოვანი კავალერია გყავს, მაშინ შენი მეომრები განათავსე ვენახებში, ბუჩქებში და სხვა მსგავს დაბრკოლებებში ისე, როგორც ჩვენ დროს ეს მოახერხეს ესპანელებმა ჩერინოლეს ბრძოლაში ნეაპოლიტანის სამეფოში, სადაც მათ შეძლეს ფრანგების დამარცხება (96).

ხშირად მომხდარა, რომ ერთი და იგივე ჯარის-კაცები სხვადასხვა ბუნებრივი დაბრკოლებების წარმატებით გამოყენების წყალობით დამარცხებულებიდან გამარჯვებულებად გადაქცეულან. ასე მოუვიდათ კართაგენელებს, რომლებიც რამდენჯერმე დაამარცხა მარკუს რეგულუსმა. მოგვიანებით სპარტელმა ქსანტიპმა, რომელიც კართაგენელებს ეხმარებოდა, სპილოებისა და კავალერიის საშუალებით გაანადგურა რომაელები და მარკუს რეგულუსი ტყვედ აიყვანა (97).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვეცნობით ძველი ისტორიის მაგალითებს, ყველა გამოჩენილი მხედართმთავარი ითვალისწინებდა მტრის ყველა უპირატესობასა და თავის სისუსტეს და პირიქით. ბრძოლის დასაწყისში ისინი ბრძანებას აძლევდნენ ყველაზე ძლიერ ნაწილებს, შეეკავებინათ მტრის იერიში, სუსტ ნაწილებს კი გარღვევის განკარგულება ეძლეოდათ.

ბრძოლის ამგვარი წესი ორმაგად აბნევდა მტერს: ერთი მხრივ, მისი ძლიერი ნაწილები ალყაში ექცეოდა, ხოლო მეორე მხრივ, გამარჯვების მაცდუნებელი ხიბლი ხშირად იწვევდა უწესრიგობასა და მოულოდნელ განადგურებას. მაგალითად, კორნელიუს სციპიონი, რომელიც ესპანეთში იბრძოდა კართაგენელი ჰასდრუბალის წინააღმდეგ, როგორც წესი, ბრძოლის დროს თავის საუკეთესო ლეგიონებს ცენტრში ათავსებდა. როცა მას შეატყობინეს, რომ ჰასდრუბალიც ზუსტად იგივე საბრძოლო წყობას იყენებდა, სციპიონმა ბრძოლის წინ შეცვალა თავისი წყობა და ლეგიონები ფლანგებზე გადაიყვანა, შედარებით სუსტი ნაწილები კი ცენტრში განათავსა.

როდესაც მათ შორის ბრძოლა დაიწყო, სციპიონმა ძალიან ნელ ტემპში დაიწყო ცენტრში მყოფი ჯარისკაცების წინ გადაადგილება, ფლანგებს კი სწრაფ იერიშზე გადასვლა უბრძანა. სციპიონის ძლიერმა ძალებმა ამ გზით გაანადგურეს ჰასდრუბალის სუსტი ძალები (98).

ასეთი სამხედრო ეშმაკობის გამოყენება იმ დროს გაცილებით ადვილი შესაძლებელი იყო, ამჯერად კი ეს პრაქტიკულად თითქმის გამორიცხულია, რადგანაც დღეს შეიარაღებაში არსებობს არტილერია, რომელიც მრისხანე ძალას წარმოადგენს და მისი გაუთვალისწინებლობა ძალზე სახიფათოა.

თუ მხედართმთავარს ჰყავს ძლიერი არმია და სურს, მოულოდნელად მოაქციოს ალყაში მოწინააღმდეგე, მან ჯარები ისე უნდა განალაგოს, რომ მისი ფრონტის ხაზის სიგრძე თანხვედრაში იყოს მტრის ფრონტის ხაზთან. შემდეგ, როცა ბრძოლა გახურდება, უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ მისი ცენტრი თანდათანობით თითქოსდა ალყაში ექცევა, ამ დროს პარალელურად ფლანგებზე უნდა გაზარდოს ძალთა რაოდენობა. მტერს ეგონება, რომ თითქოსდა ეუფლება შენს ცენტრს, ამასობაში კი თვითონ აღმოჩნდება ალყაში.

თუ მხედართმთავარს სურს ბრძოლის წარმართვა ისეთ ადგილზე, სადაც რისკის საფრთხე საკმაოდ დიდია, მან მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს საიმედო თავშესაფარი ჭაობების, მთების ან სხვადასხვა სიმაგრეების სახით. ამ დროს მცირე შანსია, რომ მტერი მას დაედევნოს და პირიქით, ვინც ამ საშუალებებს ეფექტურად იყენებს, მას საშუალება ეძლევა, დაედევნოს მტერს. ამ მეთოდს მიმართა

ჰანიბალმა, როდესაც იგი თავს არიდებდა მარკუს მარცელიუსთან შეხვედრას (99).

როდესაც კავალერიის პირადი შემადგენლობა მცირერიცხოვანია, ამ დროს ეფექტურია, თუ მხედრების უკან ჩავასაფრებთ შუბოსანთა ბატალიონს და მოულოდნელად ბრძოლის შუაგულში, ცხენოსნები მათ გზას გაუხსნიან. ამ ეფექტით გამარჯვების მიღწევა შესაძლებელი გახდება. ამ მიმართულებით საბრძოლო ხელოვნებაში გამორჩეული იყო ჰანიბალისა და სციპიონის ომი აფრიკაში (100).

ჰანიბალი, რომლის ჯარებიც შედგებოდა კართაგენელებისა და სხვადასხვა ხალხებისგან შემდგარი დამხმარე ძალებისგან, პირველ მწკრივში ათავსებდა 80 საბრძოლო სპილოს, მეორე მწკრივში – დამხმარე ჯარებს, მათ შემდეგ – კართაგენელ მეომრებს, ბოლოს კი, ზურგში – იტალიელებს, რომლებსაც ყველაზე ნაკლებად ენდობოდა. ეს წყობა ასეთნაირად იყო გათვლილი: დამხმარე ძალებს არ შეეძლოთ ბრძოლის ველიდან გაქცევა, რადგანაც მათ წინ იყო მოწინააღმდეგე, უკან კი კართაგენელები; ამიტომაც მათ ბრძოლის გარდა სხვა გზა არ დარჩენოდათ. ჰანიბალი ფიქრობდა, რომ დამხმარე ძალები ასუსტებდნენ მტერს და შედეგად დაღლილი რომაელების წინააღმდეგ მას უკვე დასვენებული კართაგენელი მეომრები გამოჰყავდა და წარმატებებსაც აღწევდა.

ჰანიბალის წინააღმდეგ სციპიონმა განალაგა ჰასტატები, პრინციპები და ტრიარები. პირველ მწკრივში მან დატოვა დიდი ინტერვალები, სადაც განლაგდნენ ველიტები, რომლებიც სპილოების გამოჩენისთანავე გზას წმენდნენ და რიგებს შორის უკან იხევდნენ. ამრიგად, სპილოებს ბრძოლა და ენერგიის

ხარჯვა ცარიელ ადგილზე უწევდათ, ამ მომენტს სათავისოდ იყენებდნენ რომაელები და ბრძოლაში გამარჯვებასაც აღწევდნენ.

ზანობი: თქვენ ამ საუბრით გაგვახსენეთ ეს ბრძოლა (ზამასთან – ა.გ.), სადაც სციპიონმა უბრძანა თავის ჰასტატებს, არ დაეხიათ პრინციპებს შორის არსებულ ინტერვალებში, არამედ ისინი დაანაწევრა და გადაგზავნა ფლანგებზე, რითაც გზა გაუნთავისუფლა პრინციპებს, როცა მათი შეტევაზე გადასვლის დრო დადგა. თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, რატომ გადაუხვია მან მიღებული წესიდან?

ფაბრიციო: მოგახსენებთ. საქმე იმაშია, რომ ჰანიბალმა თავის უძლიერეს ძალებს თავი მოუყარა მეორე ხაზში. სციპიონსაც მოუწია, მისთვის დაეპირისპირებინა მსგავსი ძალა და ამისთვის მან გააერთიანა პრინციპები და ტრიარები. პრინციპებს შორის არსებული ინტერვალები დაიკავეს ტრიარებმა, ასე რომ ჰასტატებისთვის ადგილი აღარ დარჩა და სციპიონმა ისინი ფლანგებზე გადაანაწილა.

ყურადღება მიაქციეთ, ამ მაგალითით რომ გავშალოთ პირველი ხაზი, რათა გავუნთავისუფლოთ ადგილი მეორე ხაზს, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ აშკარა უპირატესობის მოპოვების შედეგად. ამგვარი გადაადგილება წარმატებით განახორციელა სციპიონმა. წარუმატებლობის შემთხვევაში ასეთი ქმედება მთავრდება სრული განადგურებით, ამიტომაც აუცილებელია დაიტოვო საშუალება, გადასწიო მეომრები მეორე ხაზში.

ახლა ჩვენ ისევ დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის თემას. აღმოსავლეთის ხალხები მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში წარმატებით იყენებდნენ საბრძოლო

ეტლებს, რომლებსაც ბორბლებზე ეკეთათ გვერდებზე გამოშვერილი ბასრი მახვილები. მათი საშუალებით ხდებოდა მტრის ეტლებისა და ცოცხალი ძალის განადგურება. რომაელები მოულოდნელად დაუდგებოდნენ ეტლებს წინ ისე, როგორც სპილოების წინ მეომრები, რომლებიც უთავისუფლებდნენ მათ სივრცეს, ანდა იყენებდნენ სხვა საშუალებებს, მაგალითად, ისეთს, როგორსაც ლუციუს კორნელიუს სულა.

არხელაუს კაპადოკიელის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც დიდი რაოდენობით ჰქონდა ასეთი ბასრი იარაღი, სულამ ველიტები და კავალერია შედარებით უკანა ხაზებზე განალაგა, ხოლო მძიმე ქვეითები – მოწინავე პოზიციებზე; ამავე დროს მან თავის მებრძოლებს დაუტოვა მოზრდილი ინტერვალები იმის გამო, რომ აუცილებლობის შემთხვევაში სარეზერვო ძალებით შეევსო დანაკლისი. ბრძოლის ყველაზე დაძაბულ მომენტში კავალერიამ დაიკავა ეს ინტერვალები და ბრძოლის ბედი თავისდა სასარგებლოდ გადაწყვიტა (101).

ახლა თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს; წარმატების მისაღწევად სხვა ფაქტორებთნ ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას, განსაკუთრებით, დეზინფორმაციის გავრცელებას. მსგავს მაგალითებს წარმატებით იყენებდნენ რომის კონსულები მინუციუს რუფუსი და აცილიუს გლაბრიონი. მხედართმთავარმა გაიუს სულპიციუსმა კი გალებთან ბრძოლის დროს ასეთ ხერხს მიმართა: ჯორებზე განათავსა არასამხედრო დანიშნულების ნივთები და შორიდან მიამსგავსა ისინი მძიმე კავალერიას, რომელიც ბრძოლის წინ მეზობელ

ბორცვებზე განალაგა. ამ ეშმაკობამ მას გამარჯვება მოუტანა. მსგავსი მაგალითები არაერთგზის ჰქონდა გამოყენებული გაიუს მარიუსს ტევტონების წინააღმდეგ (102).

თუ ბრძოლის დროს სასარგებლოა ცრუ თავდასხმები, გაცილებით უკეთესია ნამდვილი შეტევა, განსაკუთრებით, მაშინ, თუ ის ხორციელდება გახურებული ბრძოლის დროს მოულოდნელად ზურგიდან ან ფლანგებიდან. ამის გაკეთება არც ისე ადვილია. აქ ხელი უნდა შეგიწყოს ადგილმდებარეობამ; რადგანაც ასეთი ქმედებისთვის ჯარის ნაწილი დაფარული უნდა გყავდეს, გაშლილ ველზე კი ეს შეუძლებელია. და პირიქით, თუ იბრძვი ტყეში ან მთაში, აქ შესაძლებელია ჩასაფრების მოწყობა, შეიძლება შესანიშნავად მოახერხო ჯარის ნაწილის შენიღბვა და მოულოდნელად მტერს მიაყენო მოულოდნელი და მომაკვდინებელი დარტყმა, რომელიც შენ მოგიტანს გამარჯვებას.

რა თქმა უნდა, ბრძოლის დროს ასეთი მანევრები მისაღებია, მაგრამ მაინც უმთავრესია მობილიზებული სამხედრო ძალა, რომელსაც შეეძლება მტრისთვის მოულოდნელი და გადამწყვეტი დარტყმის მიყენება და საბოლოო გამარჯვების მოპოვება.

ძალიან მნიშვნელოვანი და ეფექტურია ბრძოლის დროს ხმის გავრცელება მტრის მხედართმთავრის დაღუპვის, დაჭრის ან მისი ჯარის გაქცევის ან ტყვედ ჩავარდნის შესახებ. ამ ეშმაკობას ხშირად მოჰყოლია წარმატება ხმის გამავრცელებელი მხარისთვის. წარმატების მიღწევის ერთ-ერთ ფაქტორად უნდა ჩავთვალოთ ისეთი ფსიქოლოგიური ქმედება, როგორიცაა მოწინააღმდეგის კავალერიის, უფრო

სწორედ, ცხენების დაფრთხობა. ეს შესაძლებელია მოულოდნელი ხმაურით ანდა სხვა ეფექტური საშუალებით. ასე იქცეოდა კიროსი, როდესაც მტრის კავალერიის წინ აქლემებს განალაგებდა; პიროსი კი სპილოების მოულოდნელი გამოჩენით აფრთხობდა რომაელთა ცხენებს.

ესპანელმა იბერებმა ჰამილკართან ბრძოლის დროს წინა ხაზზე განალაგეს ჩალით დატვირთული ოთხთვალები, რომლებშიც შებმული იყვნენ ხარები. ბრძოლის დაწყების წინ ჩალას ცეცხლი წაუკიდეს, დამფრთხალი ხარები ბღავილით ეცნენ ჰამილკარის მებრძოლებს და გაარღვიეს მათი რიგები (103). ჩვენს დროში კი თურქებმა მოულოდნელად თოფების სროლის ხმით დააფრთხეს სპარსეთის შაჰისა და სირიის კავალერია და მერე ადვილად გაუსწორდნენ მათ.

ბევრი მხედართმთავარი მიმართავდა მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანასა და ხაფანგში შეტყუებას, როცა ადგილმდებარეობა ამის საშუალებას იძლეოდა. ღია და გაშლილ ველებზე თხრიდნენ ორმოებს და მსუბუქად ნიღბავდნენ მათ მიწით, ფიჩხით ან ბურბუშელით. მათ შორის ტოვებდნენ გასასვლელებს და როდესაც ბრძოლა დაიწყებოდა, მებრძოლები იწყებდნენ ე. წ. უკან დახევას, ხოლო მათი მდევნელი ძალები კი ორმოებში ცვიოდნენ და იღუპებოდნენ.

თუ ბრძოლის დროს ხდება ისეთი შემთხვევა, რამაც შეიძლება მებრძოლებში პანიკა გამოიწვიოს, საჭიროა ასეთი ფაქტის დამალვა, მისგან სარგებლის მიღება ისე, როგორც ამას აკეთებდნენ ტულიუს ჰოსტილიუსი და ლუციუს სულა. როცა შეიტყო თავისი ჯარისკაცების ნაწილის ღალატის შესახებ,

რომლებიც მტრის მხარეზე გადავიდნენ და ამან მოახდინა საშინელი შთაბეჭდილება დანარჩენ მებრძოლებზე, სულამ მოულოდნელად მთელ ჯარს აუწყა, რომ ეს ყველაფერი მისი ბრძანებით ხდებოდა მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით. ამან იმდენად დაამშვიდა მეომრები, რომ მათ შეძლეს გამარჯვების მოპოვება. იმავე სულამ ერთხელ ჯარისკაცების რაზმს მისცა ბრძანება, რომლის შესრულების დროსაც ყველა მათგანი დაიღუპა. ამ ფაქტს რომ არ დაეთრგუნა ჯარისკაცები, მან განაცხადა, რომ დაღუპული ჯარისკაცების რაზმი შედგებოდა მოღალატეებისაგან და მან განგებ გადასცა ისინი მოწინააღმდეგეს. სერტორიუსმა ესპანეთში წარმოებული ომის დროს მოკლა თავისი მეომარი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მოიტანა ცნობა, რომ დაიღუპა მისი ლეგატი. სერტერიუსს შეეშინდა, რომ თუ ეს ფაქტი გახმაურდებოდა, ჯარისკაცებში პანიკა იფეთქებდა (104).

ბრძოლის დროს ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა ბრძოლის ველიდან გაქცეული ჯარისკაცების შეჩერება და მათი ხელახლა ბრძოლაში ჩართვა. ამ დროს უნდა გაირკვეს, მთლიანად გაიქცა თუ არა ჯარი, რაც კატასტროფის ტოლფასია; თუ მხოლოდ ნაწილია გაქცეული, მაშინ შეიძლება გამოსავლის მოძებნა. არაერთი რომაელი მხედართმთავარი ძალის გამოყენებით აჩერებდა თავის მეომრებს. რომის კონსული ატილიუსი გაქცეული მეომრების წინააღმდეგ იყენებდა ძლიერ ჯარისკაცებს და უცხადებდა მათ, რომ თუ ისინი, გაქცეულები, არ მობრუნდებოდნენ, მათ ერთდროულად მოუწევდათ ბრძოლა საკუთარი და მოწინააღმდეგის ძალების წინააღმდეგ. ფილიპე II მაკედონელმა იცოდა, რომ მის ჯარის-

კაცებს ეშინოდათ სკვითებისა. გაქცევის საფრთხე რომ მოესპო, მან უკანა რიგებში განალაგა რჩეული კავალერია, რომელსაც უბრძანა, რომ ყველა გაქცეული ჯარისკაცი მოეკლათ. ჯარისკაცებმა ბრძოლაში დაღუპვა არჩიეს გაქცევას და გაიმარჯვეს კიდევაც (105).

ზოგიერთი რომაელი მხედართმთავარი თავის მედროშეს ართმევდა დროშას და მისი ბრძანებით ისროდა მას მოწინააღმდეგის რიგებში. ამის შემდეგ სარდალი აწესებდა ჯილდოს იმ მებრძოლისთვის, ვინც შეძლებდა მის უკან დაბრუნებას. ამის მიზანი არ იყო ჯარისკაცთა გაქცევის შეჩერება, იგი უფრო მეტად მათი სიმამაცის განსამტკიცებლად იყო გამიზნული (106).

მგონი, დროულია, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ რა ხდება ბრძოლის დამთავრების შემდეგ, მით უმეტეს, თუ მექნება ძალიან მოკლე შენიშვნები, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი საუბრის საგანთან. ბრძოლა მთავრდება დამარცხებით ან გამარჯვებით.

გირჩევთ, განსაკუთრებულად დაიმახსოვროთ შემდეგი თვალსაზრისი – თუ გამარჯვებას მოიპოვებ, მთელი სისწრაფით გააგრძელე მოწინააღმდეგის დევნა და ამ მხრივ მიბაძე იულიუს კეისარს და არა ჰანიბალს, რომელიც კანესთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ დაყოვნდა, არ გააგრძელა გადარჩენილ რომაელთა დევნა და ვერ შეძლო რომის ხელში ჩაგდება (107). კეისარი კი გამარჯვების შემდეგ არც ერთი წუთით არ ჩერდებოდა და დამარცხებულ მოწინააღმდეგეს გაშმაგებით, ბოლო ჯარისკაცამდე ანადგურებდა ან ატყვევებდა.

თუ დამარცხების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, მხედართმთავარმა უნდა მოიფიქროს მდგომარეობის

როგორმე გამოსწორება, მით უმეტეს, თუ მას კიდევ შემორჩა გაუტეხელი სულის მებრძოლები. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რომის კონსული მარციუსი. კართაგენელებთან ბრძოლის დროს, ორივე სციპიონის დაღუპვისა და მათი ჯარის დამარცხების შემდეგ კართაგენელებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ ლეგიონების ნარჩენებს, რომლებსაც თავი მოუყარა მარციუსმა. ეს უკანასკნელი მოულოდნელად დაესხა თავს კართაგენელებს და მთლიანად ამოწყვიტა ისინი (108).

ყველაზე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ის, რომ მოულოდნელ დარტყმას ადამიანებს ძირითადად აყენებენ იმ დროს, როდესაც ისინი ამას ყველაზე ნაკლებად ელოდებიან. თუ არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება, მხედართმთავრის ხელოვნება იმაში გამოიხატება, რომ მან შეძლოს მარცხის შედეგების შემცირება. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ზოგიერთი მხედართმთავარი მარცხის შემთხვევაში ცდილობდა, მიეღო ზომები დადევნებული მოწინააღმდეგის შესაფერხებლად ანდა მის შესაკავებლად. ამ დროს სარდლების უმეტესობა ცალკეული ნაწილების მეთაურებს აძლევდნენ ბრძანებებს, სწრაფად დაეხიათ უკან სხვადასხვა მიმართულებით და წინასწარ დათქმულ ადგილზე მომხდარიყო მათი შეერთება (109).

ზოგიერთი მხედართმთავარი, მოწინააღმდეგის შეკავების მიზნით, მას ყველაზე ძვირფას განძს უტოვებდა, რის გამოც მოწინააღმდეგე ყოვნდებოდა და მას გაქცევის საშუალება უფრო ადვილად ეძლეოდა. ამ მხრივ საინტერესო მაგალითი შემოგვთავაზა ტიტუს დიდიუსმა. ბრძოლაში განცდილი დანაკარგები რომ დაემალა, ბრძოლის შემდეგ, რომელიც დაღამებამდე

გაგრძელდა, გასცა ბრძანება, მხოლოდ ღამით დაემარ-ხათ დაღუპული რომაელები. დილით მტერმა დაინახა, რომ ბრძოლის ველზე არც ერთი რომაელის გვამი არ იყო და მხოლოდ თავისი დაღუპული ჯარისკაცები იხილა. მტერმა იფიქრა, რომ მისი საქმე წასული იყო და გაქცევითღა უშველა თავს (110).

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობ, რომ ძირი-თადად მოვახერხე და პასუხი გავეცი თქვენს კითხვებს. ახლა ერთხელ კიდევ შევეხები ჯარების სამხედრო მოწყობის საკითხებს. ზოგიერთი მხე-დართმთავარი თავის ჯარისკაცებს აწყობდა სოლისე-ბურად და ფიქრობდა, რომ ამ გზით გაარღვევდა მტრის ფრონტის ხაზს. ზოგიერთი კი ამ წყობას უპი-რისპირებდა ე.წ. მარწუხის ფორმას, რომლის საშუა-ლებითაც უნდა მომხდარიყო ე.წ. სოლის შებოჭვა ყველა მხრიდან და მისი ალყაში ანუ ე.წ. ქვაბში მოქცევა. ამასთან დაკავშირებით უნდა შეგახსენოთ ერთი საერთო წესი: საუკეთესო საშუალება მტრის ჩანაფიქრის ჩაფუშვისა არის, ნებაყოფლობით გააკეთო ის, რაც მას სწადია, ძალდატანებით მოგახვიოთ თავს. თუ შენი მოძრაობა ნებაყოფლობითია, შენ მას ასრულებ სრული წესის დაცვით შენთვის სასიკეთოდ და მტრისთვის საზიანოდ.

ამ აზრის გასამყარებლად ერთხელ კიდევ შეგახ-სენებთ მაგალითებს, რომელთა შესახებ ადრეც გიამბეთ. მტერი ეწყობა სოლისებურად, რათა გაარღ-ვიოს თქვენი რიგები. ამის პასუხად თქვენ უნდა გათიშოთ, განაცალკევოთ ისინი. ამით თქვენ მოარღ-ვევთ მტრის ჯარს და არა პირიქით. ჰანიბალი წინ აყენებდა სპილოებს, რათა გაერღვია სციპიონის ლეგიონები. ამ დროს სციპიონმა გახსნა თავისი

რიგები და ამ ხერხით მან წინასწარ განსაზღვრა თავისი გამარჯვება. ჰასდრუბალმა თავისი უძლიერესი ძალები ცენტრში განალაგა, რათა გაენადგურებინა სციპიონის ჯარები, მან კი ბრძანა უკან დახევა და რომაელებმა გამარჯვება მოიპოვეს.

ერთი სიტყვით, გამოცნობილი ჩანაფიქრი წარმატებას იმის მხარეზე ხრის, ვისკენაც ის არის მიმართული. ახლა გავარკვიოთ ის სიფრთხილე, რასაც უნდა იჩენდეს მხედართმთავარი ბრძოლის წინ. როცა ამგვარ მაგალითებს ვეცნობით, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ მხედართმთავარი არასდროს არ უნდა ჩაებას ბრძოლაში, თუ არ არის დარწმუნებული, რომ მას აშკარა უპირატესობა აქვს, რაც გულისხმობს ადგილმდებარეობის, საბრძოლო წყობის, რიცხობრივ თუ ხარისხობრივ უპირატესობებს.

ამავე დროს გასათვალისწინებელია მკაცრი აუცილებლობაც, რომელიც დგება მაშინ, როცა ხედავ, რომ უმოქმედობა შენთვის დამღუპველია; ამას ემატება ისიც, რომ შენ არ გაქვს ფინანსები და საკვები, რის გამოც შეიძლება ყოველ წუთს გაგექცნენ მებრძოლები. საყურადღებოა ისიც, რომ მოწინააღმდეგე ამ დროს შეიძლება ელოდებოდეს დამხმარე ძალას. ამგვარ კრიტიკულ სიტუაციაში იძულებული ხდები, ჩაერთო სამხედრო ოპერაციაში, მიუხედავად იმისა, გაქვს თუ არა შენ ხელსაყრელი მდგომარეობა. ამ შემთხვევაში ბრძოლაზე უარის თქმა შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს. ამ დროს შეიძლება უპირატესობა მოგცეს მტრის მიერ დაშვებულმა შეცდომამ ან საკუთარმა გამჭრიახობამ.

ფხიზელ მხედართმთავარს არაერთხელ დაუმარცხებია მტრის მრავალრიცხოვანი ძალა მდინარეზე

გადასვლისას; იმ დროს, როდესაც მტრის ძალის ნახევარი მდინარეზე იყო გადასული, მეორე ნახევარი კი ჯერ კიდევ საწყის პოზიციაზე იმყოფებოდა, სწორედ მაშინ ესხმოდა თავს. იულიუს კეისარმა ამ გზით გაანადგურა ჰელვეტების ჯარის მეოთხედი (111).

ასევე ხელიდან არ უნდა გაუშვა შესაძლებლობა, რომ მტრის დაღლილ მებრძოლებზე თავდასხმისთვის გამოიყენო ახალი და დასვენებული ძალები. თუ მტერი აპირებს, გამთენიისას ჩაგითრიოს ბრძოლაში, ამ შემთხვევაში შენ ბანაკში რაც შეიძლება დიდხანს უნდა დარჩე და მაშინ უნდა დაესხა მტერს თავს, როცა ის დიდიხნის ლოდინით უკვე დაქანცულია; ლოდინით დაღლის შედეგად მტრის საბრძოლო სულისკვეთება გარკვეულწილად სუსტდება. ამ მეთოდს წარმატებით იყენებდნენ ესპანეთში სციპიონი და მეტელუსი-ჰასდრუბალისა და სერტორიუსის წინააღმდეგ (112).

ფრთხილი მხედართმთავრები უმეტეს შემთხვევაში გამოირჩევიან იმით, რომ იგერიებენ მტრის შემოტევას და იშვიათად გადადიან შეტევაზე, რადგანაც ითვალისწინებენ იმას, რომ ძლიერი ჯარისკაცები ადვილად უმკლავდებიან ყველაზე მძაფრ შეტევას, წარუმატებელი გამძაფრება კი ადვილად გადადის სიმხდალეში. ასე მოქმედებდა სამნიტებისა და გალების წინააღმდეგ ფაბიუსი, ხოლო მისი კოლეგა, დეციუსი კი დაიღუპა (113).

ზოგიერთი მხედართმთავარი მტრის უპირატესი ძალების შიშის გამო ბრძოლას იწყებდა დღის ბოლოს იმ იმედით, რომ მარცხისგან მას მოახლოებული სიბნელე თუ იხსნიდა. ზოგიერთი სარდალი ითვალისწინებდა, რომ მოწინააღმდეგე ცრურწმენის გამო

რომელიმე კონკრეტულ დღეს ბრძოლაზე უარს ამბობდა, ამის გათვალისწინებით ზოგიერთი სარდალი ზუსტად იმ დღეს იწყებდა ბრძოლას და ხშირად იმარჯვებდა კიდეც. ასე მოქმედებდა იულიუს კეისარი გალიაში არიოვისტის წინააღმდეგ და ვესპასიანე სირიაში იუდეველებთან ბრძოლის დროს (114). მაღალი რანგის მხედართმთავარს გვერდით შემოკრებილი უნდა ჰყავდეს ერთგული და ჭკვიანი მრჩევლები დიდი სამხედრო გამოცდილებით, რომლებთანაც ისინი მუდმივად უნდა განიხილავდნენ თავიანთი და მტრის ჯარების არსებულ რეალობას და შექმნილ ვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ვის მხარეზეა რიცხობრივი უპირატესობა, ვის აქვს უკეთესი შეიარაღება და ვინ უფრო კარგად გაწვრთნილია, ვისი კავალერია უფრო ძლიერია, ვინ უფრო გამოწრთობილია, მტერი რომელ ძალას უფრო ეყრდნობა, ქვეითსა თუ კავალერიას.

ასევე აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორი სახისაა ადგილმდებარეობა და იმის გარკვევა, თუ ვის უფრო აძლევს ხელს მისი თავისებურებები – შენ თუ მოწინააღმდეგეს; ვის უფრო ადვილად შეუძლია საკვების მოპოვება; უნდა აირიდო თავიდან ბრძოლა თუ პირიქით, ისწრაფოდე მისკენ; დრო შენთვის მუშაობს თუ შენი მოწინააღმდეგისთვის, რადგანაც გაჭიანურებული ომი ფიტავს ჯარისკაცებს, რომლებიც ცდილობენ, გაექცნენ სამხედრო ცხოვრების სიმძიმეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას წარმოადგენს დაპირისპირებული ძალის მხედართმთავარი და მისი გარემოცვა; გაბედულია თუ ფრთხილი, მამაცია თუ მორიდებული. ამავე დროს აუცილებელია იმაში გარკვევა, თუ რამდენად

უნდა ვენდოთ დამხმარე, უცხო ძალებს (115). ერთი აუცილებელი წესი ყველამ უნდა დაიმახსოვროს: არასდროს არ უნდა წაიყვანო საომრად ის ჯარისკაცები, რომლებსაც მტრის შიში აქვთ, ანდა ეჭვი ეპარებათ წარმატებაში, რადგანაც დამარცხების გარანტი არის გამარჯვებაში დაურწმუნებლობა. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის უნდა გავურბოდეთ ბრძოლის გამართვას მსგავსად ფაბიუს მაქსიმუსისა, რომელიც ახერხებდა იმას, რომ არ შეხვედროდა ჰანიბალს ბრძოლის ველზე. თუ ფიქრობ, რომ ბრძოლის ველზე მტერს აშკარა უპირატესობა ექნება, მაშინ სჯობს შენი ჯარები ციხესიმაგრეში განალაგო და ხანგრძლივი ალყის შედეგად გამოფიტო მტრის ძალები და ესეც შენს სასარგებლოდ გამოიყენო.

ზანობი: სხვა საშუალება თუ არსებობს ბრძოლაზე უარის თქმისა, გარდა იმისა, რაზეც თქვენ გვესაუბრეთ? ამ შემთხვევაში მე ვგულისხმობ ციხესიმაგრეში განთავსებულ სამხედრო ძალას.

ფაბრიციო: მგონი, ერთ-ერთ თქვენგანს ვესაუბრე იმის შესახებ, რომ ველზე გამართულ დაპირისპირებაში ჩვენ ვერ ავცდებით ბრძოლას, რომლის დროსაც მტერი მაქსიმალურად ცდილობს შებრძოლებას. აქ არის მხოლოდ ერთი გზა: მტრისგან არანაკლებ 50 მილის დაშორებით უნდა იდგნენ ჩვენი ჯარები. კიდევ ერთხელ მოვიყვან ფაბიუს მაქსიმუსის მაგალითს, რომელიც გაურბოდა ბრძოლას ჰანიბალთან, ამიტომაც პოზიციურად ამგვარი ქმედება მისთვის შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. ჰანიბალმა კი ასეთი ტაქტიკის გამო ვერ შეძლო ფაბიუს მაქსიმუსის დამარცხება. კართაგენელი მხედართმთავარი დარწმუნებული რომ ყოფილიყო წარმატებაში და უფრო

აშკარად ემოქმედა, ფაბიუსს მხოლოდ ორი გზა ექნებოდა ასარჩევი: ან მიეღო ჰანიბალისგან შემოთავაზებული ბრძოლა, ან გაქცეულიყო.

ფილიპე V მაკედონელი რომთან ომის დროს თავს არიდებდა ბრძოლას. მაკედონელებმა მოახერხეს და გამაგრდნენ კიდეც მაღალ მთაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომაელები შეტევაზე გადავიდნენ და ისინი გაანადგურეს (116).

გალების ბელადი ვერცინგეტორიქსი ასევე გაურბოდა იულიუს კეისართან ბრძოლას. მან მოახერხა და ისარგებლა იმით, რომ კეისარმა მისთვის მოულოდნელად გადალახა პატარა მდინარე და რამდენიმე მილით დააშორა თავისი ჯარი კეისარს (117). ჩვენს დროში კი ვენეციელებს თუ არ უნდოდათ ბრძოლა საფრანგეთის მეფესთან, მისთვის უნდა მიებაძათ და ფრანგების მიერ მდ. ადუას გადალახვას კი არ დალოდებოდნენ, არამედ გასცლოდნენ მათ და უკან დაეხიათ. ამის ნაცვლად, მოხდა ასეთი რამ: ვენეციელებმა თავიანთი ნელი, გაუბედავი ქმედებების გამო ვერ შეძლეს ბრძოლისთვის თავის არიდება და ფრანგებმა ისინი გაანადგურეს (118).

საქმე იმაშია, რომ ბრძოლისთვის თავის არიდება არ შეიძლება, თუ მტერი ყველანაირად ცდილობს, ეს ჩვენ გაგვაკეთებინოს. ამ შემთხვევაში ჩვენ მაინცდამაინც ნუ დავეყრდნობით ფაბიუს მაქსიმუსს იმიტომ, რომ ის ბრძოლას თავს არიდებდა და ამას წარმატებითაც ახერხებდა იმის გამო, რომ ჰანიბალიც იმავეს ფიქრობდა. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მკაცრი აუცილებლობა მოითხოვს ბრძოლაში ჩაბმას,

მაგრამ ჯარისკაცები არ არიან დარწმუნებული წარ-
მატებაში და შესაბამისად, არანაირი სურვილი არა
აქვთ ბრძოლაში ჩაბმისა. ამ დროს აუცილებელი
ხდება მათი დაშინება ან პირადი მაგალითით აღფ-
რთოვანება, რათა ისინი ჩაერთონ ბრძოლაში.

თუ გინდა ჯარისკაცები დააშოშმინო და გრძნობ,
რომ მათზე აღარ მოქმედებს დარწმუნების მეთოდი,
მაშინ უკეთესი, შენი ჯარის მცირე ნაწილი, რომელიც
გეურჩება, მტერს ჩაუგდო ხელში და ამის შემდეგ
ყველა შენი ჯარისკაცი ირწმუნებს შენს ავტორიტეტს.
აქ კიდევ ერთხელ გავიხსენებ ფაბიუსს. მის მეომრებს,
განსაკუთრებით კი კავალერიის მეთაურს, როგორც
ცნობილია, სურდათ ბრძოლა ჰანიბალთან. თვითონ
ფაბიუსს კი ეს არ სურდა. მას თავისი ძირითადი
ნაწილები ბანაკში ჰყავდა. ამ დროს კავალერიის
მეთაური საკუთარი ინიციატივით დაიძრა ჰანიბა-
ლისკენ და შედეგად მიიღო ის, რომ თითქმის
მთლიანად განადგურდა მისი რაზმი, დაღუპვისგან
ისევ ფაბიუსმა იხსნა. ამ მაგალითმა ყველა დაარწმუნა,
რომ კავალერიის მეთაურს ცალსახად უნდა დაეჯერე-
ბინა ფაბიუსისთვის (119).

როცა საჭირო ხდება ჯარისკაცების ბრძოლაში
ჩართვა, ამ დროს უნდა გამოვიყენოთ ისეთი დამა-
ტებითი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, მათი
გაბოროტება მტრის მიმართ, ასევე მტრის ლანძღვა,
აგრეთვე უნდა მოახერხოთ და ჯარისკაცები დაარ-
წმუნოთ იმაში, რომ თქვენ გყავთ თქვენი ხალხი
შეგზავნილი მტრის ლაშქარში, რომელთა მეშვეო-

ბითაც ხდება მტრის ძალების ნაწილის მოსყიდვა და მათი გადმობირება.

ასევე მნიშვნელოვანია მტრის სიახლოვეს ყოფნა და პატარ-პატარა შეტაკებებით ჯარისკაცების შეგუება რეალობასთან და თანდათანობით მტრის წინაშე მათი შიშის განელება;

ამავე დროს, შენს სიტყვაში უნდა ჩანდეს მრისხანება იმ ჯარისკაცების მიმართ, ვინც მშიშარაა და უნდა აღუთქვა მათ, რომ თუ საჭირო გახდება, მარტო წახვალ შეტევაზე მათ გარეშე.

ჯარისკაცი რომ შემართო ბრძოლისთვის, დამატებით კიდევ უნდა გადადგა ასეთი ნაბიჯი: ბრძოლის დამთავრებამდე მათ უნდა აუკრძალო ნადავლის სახლში გაგზავნა ან გადამალვა (120).

ზანობი: თქვენ თქვით, რომ სიტყვით უნდა აღაფრთოვანოთ ჯარისკაცები. ამ დროს უნდა მიმართოთ მთლიანად ჯარს, თუ მხოლოდ მეთაურებს?

ფაბრიციო: თუ გინდა დაარწმუნო, ანდა აზრი შეაცვლევინო ადამიანებს, ამისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვის ძალა, ხოლო როდესაც ის არ მოქმედებს სათანადოდ, ამ შემთხვევაში მას ეხმარება ხელისუფლების ან ძალის ფაქტორი. ადვილი არ არის, ხალხი შეაჯანჯღარო და აიძულო, უარი თქვას იმ საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც არ არის სასარგებლო ქვეყნის კეთილდღეობისთვის. ამ დროს ძირითადი დატვირთვა მხოლოდ სიტყვაზე მოდის და თუ გინდათ სხვების დარწმუნება, მაშინ საჯაროდ უნდა გამოხვიდეთ ყველას წინაშე სიტყვით. ამიტომაც

გამოჩენილი მხედართმთავარი ორატორიც უნდა იყოს. ჩვენს დროში ეს ხელოვნება გაუფერულდა. გაეცანით ალექსანდრე დიდის ცხოვრებას და დარწმუნდებით, რომ მის დიდ მხედართმთავრულ ნიჭს თან ახლდა დიდი ორატორული ხელოვნებაც. მისმა საჯარო სიტყვებმა მრავალგზის შეაძლებინეს შეუძლებელი მის ჯარისკაცებს, განსაკუთრებით, უდაბნოსა და ინდოეთში ლაშქრობების დროს, როცა მათ არაერთ-ხელ ემუქრებოდათ სახიფათო ბედისწერა (121).

ომი არის მოვლენათა უსასრულო ჯაჭვი, რომ-ლის თითოეულ რგოლს შეუძლია, დაღუპოს ჯარის-კაცი. ამ დროს მხედართმთავარს უნდა შეეძლოს ნებისმიერ ვითარებაში ჩამოყალიბებულ ყველა პრობ-ლემაზე ჯარისკაცთან საუბარი; რადგანაც შიშის გა-ფანტვა სიტყვას შეუძლია, რომელიც აძლიერებს საბრ-ძოლო სულისკვეთებას და აჩვენებს ხსნის გზას, იმედს უსახავს და უხმობს ყველა ძალას, რომელსაც შეუძლია აღანთოს ან მოსპოს ადამიანური გრძნობები (122).

ამიტომაც ხელისუფალმა უნდა ასწავლოს ჯარისკაცებს მეთაურის მოსმენა, ხოლო წინამძღოლს – ჯარისკაცებთან საუბარი. ძველად ჯარისკაცების მორჩილებაში ყოფნისთვის გამოიყენებოდა რელიგია და ერთგულებაზე ფიცის დადება. ჩადენილი დანა-შაულისთვის მათ ელოდათ არა მხოლოდ ადამიანური სასჯელი, არამედ ღვთის რისხვაც. მაგალითად, სერ-ტორიუსი თავის მებრძოლებს არწმუნებდა, რომ მის გამარჯვებებში ღმერთების ხელი ერია; სულა თავის მებრძოლებს არწმუნებდა, რომ გამარჯვების მოპოვე-

ბაში მას ეხმარებოდა აპოლონის ტაძრიდან გამოტანილი ღვთაებათა ქანდაკებები, რომლებსაც ის ბრძოლის წინ ესაუბრებოდა. ფრანგების მეფე შარლ VII, რომელიც ებრძოდა ინგლისელებს, არწმუნებდა თავის მეომრებს, რომ იგი უსმენდა ღმერთის მიერ გამოგზავნილი ფრანგი ქალწულის რჩევებს, რომლის დახმარებითაც მან მიაღწია გამარჯვებას (123).

ჯარისკაცებზე ზეგავლენის მოსახდენად უპრიანია მტრის აბუჩად აგდება. ასე ხშირად იქცეოდა სპარტელი აგესილაოსი, რომელმაც თავის ჯარისკაცებს უჩვენა შიშველი სპარსელები და დაარწმუნა ისინი, რომ ასეთი მტრის შიში არ უნდა ჰქონოდათ (124).

ყველაზე მნიშვნელოვანი და ერთადერთი იმედი ხსნისა არის გამარჯვების მოპოვება. ეს განსაკუთრებით სრულყოფს ჯარისკაცის ხასიათის სიმტკიცეს, რაც ყველაზე მეტად აძლიერებს სამშობლოს სიყვარულს, წინამძღოლისადმი ნდობასა და ერთგულებას. სამშობლოს სიყვარული ბუნების მიერაა მოცემული, წინამძღოლის პატივისცემას კი მისი პიროვნული თვისებები განაპირობებს. ორივე ეს მომენტი ყველაზე მნიშვნელოვანია მებრძოლისთვის, რომელიც მზად უნდა იყოს სიკვდილთან ან გამარჯვებასთან შესახვედრად.

თავი V

ფაბრიციო: მე თქვენ უკვე გესაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორი საბრძოლო წყობა უნდა შევარჩიოთ შეტევაზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ; მე მოგახსენეთ აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა საშუალებების გამოყენებით მიიღწევა გამარჯვება. ასევე ყურადღება გავამახვილე დეტალებზე და იმ შესაძლო შემთხვევებზე, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბრძოლის დროს. ახლა კი შევეცდები, გაჩვენოთ, თუ როგორ უნდა განლაგდნენ მებრძოლები იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს უხილავ მტერთან, რომლისგან თავდასხმასაც ყოველ წუთს უნდა ველოდოთ. ეს შეიძლება მოხდეს მტრის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილებისას, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება გადააწყდე მტრის ჩასაფრებულ ძალებს.

როდესაც რომაელების ჯარი დააპირებდა გადაადგილებას, პირველ რიგში, მოძრაობას იწყებდა გზების დასაზვერად გაგზავნილი კავალერიის ნაწილით. მათ უკან მიყვებოდა მარჯვენა ფლანგი თავისი აღალით. შემდეგ კი ორი ლეგიონი თავიანთი უზრუნველყოფის სამსახურებით; მათ მოსდევდა მარცხენა ფლანგი შესაბამისი რესურსებით და ბოლოს, კავალერიის დანარჩენი ნაწილი. ასეთი იყო ჩვეულებრივი სამწყობრო განლაგება. თუ გადადგილებისას მებრძოლებს თავს დაესხმებოდნენ წინა მხრიდან ან ზურგიდან, მაშინ ყველა აღალის გადაადგილება ხდებოდა ძირითადი მასისგან მარჯვნივ ან

მარცხნივ, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ბრძოლის ველის ადგილმდებარეობა. მას მერე, რაც დანარჩენი მებრძოლები განთავისუფლდებოდნენ თავიანთი ტვირთისგან, სწრაფად ეწყობოდნენ საბრძოლოდ და იწყებდნენ მტრის წინააღმდეგ მოქმედებას.

თუ თავდასხმა რომელიმე ფლანგის მხრიდან მოხდებოდა, აღალი გადაადგილდებოდა საწინააღმდეგო მხარეს, უსაფრთხო ადგილზე. პარალელურად კი მებრძოლები იწყებდნენ მტრის შეტევის მოგერიებას (125). მიმაჩნია, რომ ეს იყო გონივრულად მოფიქრებული წესი და მეც ანალოგიურად მოვიქცეოდი – ადგილის დასაზვერად გავგზავნიდი მსუბუქ კავალერიას, შემდეგ კი ერთიმეორის მიყოლებით გადავაადგილებდი 4 ბრიგადას თავიანთი აღალით, რომელიც, თავის მხრივ, ორ ნაწილად იქნებოდა დაყოფილი: ერთი მათგანი მოემსახურებოდა და გადაიტანდა მეომართა პირად ნივთებს და მეორე კი – ზოგადად შეიარაღებული ძალების იარაღს. ამიტომაც მე საერთო აღალს 4 ნაწილად ვყოფ და თითოეულ ბრიგადას ვაკუთვნებ თავის შესაბამის წილს. არტილერია და სხვა არასამწყობრო ძალებიც ბრიგადებად იყოფა, რათა ტვირთიც შესაბამისად გადანაწილდეს. როდესაც იწყება გადაადგილება მტრის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ყოველთვის უნდა ელოდო მოწინააღმდეგისგან მოულოდნელ თავდასხმას. მოსალოდნელი საშიშროებიდან გამომდინარე, უნდა შეიცვალოს სალაშქრო წყობა და ისეთი მწყობრით ვიმოძრაოთ წინ, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ჩვენს დაცვას როგორც ჩვენდამი მტრულად განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობისგან, ასევე მოწინააღმდეგის ჯარის ნებისმიერი თავდასხმისგან.

ასეთი შემთხვევების გათვალისწინებით, ძველი დროის მხედართმთავრები გადაადგილებისას უპირატესობას ანიჭებდნენ კვადრატის ფორმის – კარეს წყობას იმის გამო, რომ ის ოთხივე მხარეს ბრძოლის თანაბარ საშუალებას იძლეოდა. მებრძოლები აცხადებდნენ, რომ, ამგვარი წყობით მიმავალნი, ისინი მზად იყვნენ როგორც ლაშქრობის, ასევე ბრძოლისთვისაც (126). მეც ამ თვალსაზრისს გავიზიარებ და კარეს მივანიჭებდი უპირატესობას. ამ შემთხვევაში ძალთა ასეთი გადანაწილება მექნებოდა: კარეს შუაგულში დავტოვებდი ცარიელ სივრცეს, თითოეული მხრიდან 212 წყრთაზე (მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე, დაახლ. 51 სმ – ა.გ.). მანამდე კი ფლანგებს ერთმანეთს დავაშორებდი 212 წყრთაზე ერთმანეთისგან და თითოეულ მათგანში მეყოლებოდა 5 ბატალიონისგან შემდგარი კოლონა, ერთმანეთს შორის 3 წყრთის ინტერვალით. თითოეული ბატალიონი სიღრმეში იკავებს 40 წყრთას, ყველა ერთად კი 212 წყრთას, სადაც აგრეთვე იგულისხმება მათ შორის დარჩენილი ინტერვალები.

ფლანგებს შორის თავსა და ბოლოში თავსდება დანარჩენი 10 ბატალიონი, თითო მხარეს 5-5, მათგან 4 გვერდით განლაგდება მარჯვენა ფლანგის სათავეში მყოფ ბატალიონთან და ამდენივე მარცხენა ფლანგის ზურგში მყოფ ბატალიონთან 4 წყრთის ინტერვალით. ამის შემდეგ კი თითო ბატალიონი განლაგდება მარცხენა ფლანგის სათავეში და მარჯვენა ფლანგის ზურგში. ამრიგად, ბატალიონები ეწყობიან სიგანეზე და არა სიღრმისეულად, რომლებიც იკავებენ ინტერვალებს სივრცეში 134 წყრთაზე; 4 ბატალიონს შორის, რომლებიც კეტავენ მარჯვენა ფლანგის მოწინავე

ნაწილს და მეხუთე ბატალიონს შორის რჩება 78 წყრთის ინტერვალი. ასეთი შუალედური მანძილი იქმნება ბატალიონებს შორის.

მთელ მარცხენა ინტერვალზე, რომელიც შეადგენს 78 წყრთას, განთავსდება ათასი აქტიური, ხოლო მარჯვენაზე – იმავე რაოდენობის რეზერვის ველიტი. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ შიდა ინტერვალი ჩემ მიერ მოწყობილ კარეში შეადგენს თითოეული მხრიდან 212 წყრთას; ამიტომაც ბატალიონები, რომლებიც მოწინავე ნაწილსა და ზურგში იქნებიან განლაგებული, ფლანგებზე არსებულ სივრცეებს არ დაიკავებენ. ამ დროს მოგვიწევს დეტალურად იმის გაკეთება, რომ უკანა ხაზის მოწინავე მწყობრი გაუთანაბრდეს ფლანგების უკანა მწკრივს. მოწინავე ნაწილმა იმდენად უნდა წაიწიოს წინ, რომ მისი ბოლო მწკრივი ეხებოდეს ფლანგების მოწინავე მწკრივებს. ამრიგად, მთლიანი მოწყობის ბოლო ნაწილებში შეიქმნება შემავალი კუთხეები, რომელთაგან თითოეულს შეეძლება თითო ბატალიონის მიღება, რომელსაც დაემატება რეზერვის შუბოსანთა 4 ბატალიონი. შუბოსანთა დარჩენილი 2 ბატალიონი განლაგდება კარეს შიგნით, სადაც განთავსებული იქნება სარდალი თავის რჩეულ რაზმთან ერთად.

ამრიგად მოწყობილი ბატალიონები მოძრაობენ ერთი ძირითადი მიმართულებით, თუმცა იბრძვიან სხვადასხვა მხარეს. ამიტომაც მებრძოლები ისე უნდა განლაგდნენ, რომ დაცული იყოს ყველა ის მხარე, რომელსაც თავდასხმა ემუქრება. სათავეში მყოფი 5 ბატალიონი ყველა მხრიდან დაცულია, ფრონტის მიმართულების გარდა. მათ შორის I მწკრივში იმყოფებიან შუბოსნები; ზურგში მყოფი ბატალიონების

ძირითადი ფუნქციაა მათი პოზიციიდან შეტევის განხორციელება, რის გამოც მათთან შუბოსნები დგანან უკანასკნელ მწკრივში. მარჯვენა და მარცხენა ფლანგების 10 ბატალიონი შეტევას ელოდება გარეთა მხრიდან. ამიტომაც მათი მოწყობის დროს შუბოსნები უნდა განთავსდნენ მტრის შემოტევის სახიფათო – სავარაუდო ადგილებზე.

დეკურიონები იმყოფებიან თავსა და ზურგში. დეტალებზე მე უკვე გესაუბრეთ, როდესაც განვიხილეთ ბატალიონის საბრძოლო მოწყობა. რაც შეეხება არტილერიას, ის უნდა გაიყოს და განლაგდეს მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე. მსუბუქი კავალერია უნდა გაიგზავნოს დაზვერვაზე. მძიმე არტილერია უნდა განლაგდეს მარჯვენა და მარცხენა ფლანგების უკან 40 წყრთის მანძილზე ბატალიონის ზურგის მხრიდან.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ უკვე წესად არის მიღებული, რომ საბრძოლო წყობის დროს კავალერია ყოველთვის იმყოფება ზურგში ან ფლანგებზე. თუ კავალერიას მოწინავე პოზიციაზე განვალაგებთ, ის იმდენად წინ უნდა იყოს, რომ მარცხის შემთხვევაში შეეძლოს მოწესრიგებულად უკან დახევა; თანაც ამ დროს ბატალიონებს შორის უნდა იყოს ფართო ინტერვალი მხედრების თავისუფალი გადაადგილებისთვის. აღალი და არასამწყობრო, დამხმარე პირნი კარეს შიგნით თავსდებიან; ამავე დროს ყველგან და ამ შემთხვევაშიც მათთან დაცულია ინტერვალების წესი. ბატალიონები, რომლებსაც არ გააჩნიათ არტილერია და კავალერია, იკავებენ თითოეული ფლანგის გარეთა მხარეს 282 წყრთის სივრცეზე. მთლიანი კარე კი შედგება 2 ბრიგადისგან. როგორც წესი, ბრიგადები

ნომრებით არის აღნიშნული. თითოეული ბრიგადა შედგება 10 ბატალიონისგან, რომელთა საერთო ხელმძღვანელია ბრიგადის მეთაური. პირველი ბრიგადის ბატალიონები იკავებენ ფრონტის ხაზსა და მარცხენა ფლანგს, მათი მეთაურის ადგილსამყოფელს წარმოადგენს ფრონტის ხაზის მარცხენა კუთხე. მეორე ბრიგადა იკავებს მარჯვენა ფლანგსა და ზურგის ხაზს, მეთაური კი ამ დროს უნდა იმყოფებოდეს მარჯვენა კუთხეში.

ამრიგად მოწყობილი ჯარები იწყებენ ლაშქრობას და მოძრაობისას მკაცრად იცავენ იმ საბრძოლო წყობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ადგილობრივთა თავდასხმისგან დაცვას. მეთაურს არ სჭირდება მათ წინააღმდეგ საგანგებო გადაწყვეტილების მიღება, საკმარისია მხოლოდ კონკრეტული ბრძანების მიცემა მსუბუქი კავალერიისა და ველიტებისთვის, რათა უკუაგდონ მტრის ძალები რაც შეიძლება შორს. ამ დროს უწესრიგო ბრბო, რომელსაც შეუძლია ყვირილი, მუქარა, ლანძღვა, ვერ ბედავს რეგულარულ სამხედრო ძალასთან მიახლოებას. როცა ჰანიბალი რომაელთა საუბედუროდ გამოჩნდა იტალიაში, მან ისე გაიარა მთელი გალია, რომ არანაირი სერიოზული ყურადღება არ მიუქცევია უცხოტომელებისთვის (127).

მარშის დროს გზების შესაკეთებლად უნდა გაიგზავნონ პიონერები (128), რომელთა დაცვა, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს დაზვერვაზე გაგზავნილმა ცხენოსანთა რაზმმა. ასეთი წყობით ჯარმა შეიძლება დღეში 10 მილი გაიაროს და მას მარაგში კიდევ ექნება საკმარისი დრო, რათა დასცეს კარავი და ივახშმოს კიდეც, რამეთუ ჩვეულებრივი წესით

გადადგილებისას მან უნდა დაიფაროს დაახლოებით 20 მილი.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებს მოწესრიგებული მტრის ძალა. თუ მტერი წინიდან გვიტევს, მაშინ მოწინავე პოზიციებზე უნდა გადავიყვანოთ ფლანგებზე განლაგებული არტილერია და ზურგში მყოფი კავალერია. ამ დროს მოწინავე პოზიციაზე მყოფი 1000 ველიტი იყოფა 2 ნაწილად, თითოეულში 500 მებრძოლით; ისინი გადადიან უკან კავალერიასა და ქვეითებს შორის არსებულ სივრცეში; დარჩენილ სიცარიელეს ავსებს კარეს შიგნით მყოფი შუბოსანთა ორი რეზერვის ბატალიონი. უკან მყოფი 1000 ველიტი გაიშლება ფლანგების მიმართულებით მათ დასაცავად. ამ დროს აღალი და არასამწყობრო ნაწილები იწყებენ უკან დახევას და შექმნილი გასასვლელით იწყებენ გადაადგილებას ზურგის ბოლო ნაწილისკენ. როდესაც შიდა სივრცე გაიწმინდება და ყველა თავის ადგილზე დადგება, უკან მყოფი 5 ბატალიონი ფლანგების გამყოფი ინტერვალების გავლით დაიძვრება წინა ხაზის მიმართულებით; პირველი 3 ბატალიონი შეჩერდება პირველი ხაზიდან 40 წყრთის მანძილზე, დანარჩენი 2 ბატალიონი კი განლაგდება მათგან უკან შესაბამისად იმავე მანძილზე.

ასეთი მოწყობა სწრაფად ხორციელდება და ძალზე წააგავს იმ წყობას, რომელზეც ადრე მქონდა საუბარი. მისი ფრონტის ხაზის სიგრძე უფრო მოკლეა, ფლანგები კი უკეთესად არის დაცული. ზურგში განთავსებული შუბოსანთა 5 ბატალიონი გადაჰყავთ მოწინავე ძალების მხარდასაჭერად, ხოლო ფაროსნებს შორის არსებული ინტერვალების მეშვეობით შუბოს-

ნები გადაადგილდებიან მოწინავე პოზიციებზე. ეს მეთოდი მარტივი შესასრულებელია. მოწინავე პოზიციებზე ზურგში მყოფი ბატალიონების ამგვარი გადაადგილება შესაძლებელია მტრის ნებისმიერი თავდასხმისას.

თუ მტერი ზურგიდან გამოჩნდა, ამ დროს ჯარი სასწრაფოდ უნდა შემობრუნდეს წრიულად; კარეს ზურგის ხაზი იქცევა მოწინავე ნაწილად, წინა ნაწილი კი შესაბამისად ზურგის ნაწილად. თუ მტერი თავს ესხმის მარჯვენა ფლანგს, მთელი სამხედრო ძალა ტრიალდება მარჯვენა მხარეს და დარტყმის ქვეშ მყოფი ფლანგი ხდება ფრონტის ხაზი. შესაბამისად უნდა მოხდეს გადაადგილება კავალერიის, ველიტების და არტილერიისა ახალი ფრონტის ხაზის მიმართულებით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფრონტის ხაზის ცვლილებების დროს მოძრავი კოლონების ერთმა ნაწილმა უნდა მოუმატოს ტემპს, ხოლო მეორემ პირიქით – უნდა შეანელოს სვლა.

თუ ფრონტის ხაზად გარდაიქმნება მარჯვენა ფლანგი, მაშინ ველიტები, რომლებმაც უნდა იმოძრაონ განაპირა ბატალიონების ქვეით ძალასა და კავალერიას შორის ინტერვალებში, ყველაზე უფრო ახლოს აღმოჩნდებიან მარცხენა ფლანგთან, ხოლო მათ ადგილს დაიჭერს რეზერვის შუბოსანთა 2 ბატალიონი, რომლებიც კარეს შიგნით იმყოფებიან. ისინი პირველ რიგში გაატარებენ მარცხენა ფლანგისკენ მიმავალ აღალსა და არასამწყობრო ნაწილებს, რომლებიც შესაბამისად გარდაიქმნებიან მთელი ჯარის ზურგად. დანარჩენი ველიტები, რომლებიც იმყოფებიან ზურგის ბოლოს, რჩებიან ადგილზე, რათა არ იყოს სიცარიელე ზურგში.

თავდასხმის მოგერიების წესი მარჯვენა ფლანგზე იდენტურია მარცხენა ფლანგის მიმართულებით მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული შეტევისა, რადგანაც ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ერთი და იგივე საბრძოლო წესის დაცვას. თუ მოწინააღმდეგე უპირატესი ძალებით ახორციელებს თავდასხმას შენზე ორი მხრიდან, გააორმაგე მწკრივების რიგი და მოწინაღმდეგის შეტევის მიმართულებაზე განალაგე არტილერია, ველიტები და კავალერია. რაც შეეხება მოწინააღმდეგის თავდასხმას სამი ან ოთხი მხრიდან, არც ერთი ჭკვიანი სარდალი არ მისცემს მოწინააღმდეგეს იმის საშუალებას, რომ მან ყველა მხრიდან განახორციელოს შეტევა. თუ ეს შენი მიზეზით მოხდა, დაიღუპები ისე ღირსეულად, როგორც სციპიონები ესპანეთში და ჰასდრუბალი იტალიაში (129).

პირიქით, თუ მოწინააღმდეგის ძალები დიდად არ აღემატებიან შენს ძალებს და რამდენიმე მხრიდან გესხმიან თავს, ამ შემთხვევაში უნდა ჩათვალო, რომ ის სისულელეს სჩადის და შენთვის ეს მომგებიანია. ეს იმას ნიშნავს, რომ შეტევის დროს მისი რესურსები მკვეთრად მცირდება და შენ გამარჯვების შანსი გეძლევა.

ახლა მე თქვენ აგიხსნით საბრძოლო მოწყობის პრინციპს, რაც საჭიროა იმ დროს, როცა მოწინააღმდეგე უჩინარია და აპირებს თავდასხმას. ამ დროს ძალიან სასარგებლოა ვარჯიშები, რაც გულისხმობს ზურგის ნაწილების წინ გადაყვანას და პირიქით, ავანგარდისა არიერგარდისკენ, ასევე ფლანგებისკენ და ბოლოს, საწყის პოზიციებზე დაბრუნებას.

ყველა ეს ვარჯიში სასარგებლოა, თუ გსურთ, საბრძოლო მზადყოფნაში გყავდეთ თქვენი ჯარები. ამაზე გამუდმებით უნდა ზრუნავდნენ მხედართმთავ-რები და ხელისუფალნი, რამეთუ სამხედრო საქმე პირველ რიგში არის ბრძანების სწორად გაცემისა და ჩემ მიერ აღწერილ მოქმედებათა ზუსტად შესრუ-ლების ხელოვნება. კარგად გაწვრთნილი ის არმიაა, რომელმაც ყველა იმ აუცილებელი ვარჯიშებიდან პროფესიულ დონეზე შეიძინა საჭირო უნარ-ჩვევები. ამიტომაც ღირსეულთა შორის გამორჩეული იქნება ჩვენი დროის ის მხედართმთავარი, რომელმაც თავის ჯარისკაცებს ნამდვილი სამხედრო აღზრდა მისცა. მართალია, კარედ მოწყობა, რომელზეც მე თქვენ გესაუბრეთ, სხვებზე უფრო რთულია, მაგრამ ზუსტად ეს სირთულე არის მნიშვნელოვანი ვარჯიშების დროს და როდესაც ჯარი მიეჩვევა მას და ისწავლის მოწყობას, ის გაცილებით იოლად შეასრულებს ნაკ-ლებად რთულ სავარჯიშოებს.

ზანობი: გეთანხმებით, თქვენს ნათქვამს ვერც ვერაფერს დავამატებ და ვერც მოვაკლებ. მინდა ორ საკითხთან დაკავშირებით გკითხოთ: პირველი შე-კითხვა ასეთია: როგორი ფორმის უნდა იყოს ბრძანება, როდესაც არმიას მტერი ესხმის თავს ზურგის ან ფლანგის მხრიდან, ამ დროს უპირატესობა შეძახი-ლებს უნდა მიენიჭოს თუ საბრძოლო მუსიკას? მეორე შეკითხვა – ამ დროს გზების შეკეთებაზე და სხვა შავი სამუშაოებისთვის საიდან მოგყავთ ხალხი?

ფაბრიციო: თქვენი შეკითხვა ძალზე მნიშვნე-ლოვანია, რადგანაც თუ ბრძანების შესაბამისი არ არის სიგნალი, ამან შეიძლება არეულობა და უწესრიგობა გამოიწვიოს. ამიტომაც ბრძანება უნდა იყოს ცხადი და

გასაგები, მუსიკალური ინსტრუმენტების მელოდია კი – მკაცრად განსაზღვრული. მაგ., ბრძანებას, რომელიც წარმოითქმებოდა როგორც სიტყვა „უკან დახევა“, შეეძლო, განეპირობებინა მარცხი; ამის მაგივრად, უკეთესი იქნებოდა წარმოთქმულიყო ბრძანება „ზურგისკენ“ (130). თუ ფრონტის ხაზის შეცვლა გინდათ, არასდროს წარმოთქვათ სიტყვა „მობრუნდით“, არამედ უნდა წარმოითქვას: „მარჯვნისაკენ!“, „მარცხნისაკენ!“, „ზურგისაკენ!“. ასევე ნებისმიერი სხვა ბრძანება უნდა იყოს გასაგები და ლაკონური. მაგ; „სწორდით!“, „სმენა!“, „თავისუფლად!“. ბრძანება, რომელიც სიტყვიერად არ გადაიცემა, მიეწოდება მუსიკის საშუალებით.

რაც შეეხება თქვენს მეორე კითხვას მუშების შესახებ, ამ საქმეებისთვის მე ჩემს ჯარისკაცებს გამოვიყენებდი. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ასე იქცეოდნენ ძველი რომაელები, მეორეც, ამისთვის დამატებითი რესურსები არ იქნებოდა საჭირო. მათ მე საჭირო ხელსაწყოებით მოვამარაგებდი.

ზანობი: ვის დაევალებოდა საჭირო ხელსაწყოების ტრანსპორტირება?

ფაბრიციო: ამისთვის მე სპეციალურ საზიდრებს გამოვიყენებდი.

ზანობი: მეეჭვება, რომ თქვენ შეძლებდით ჯარისკაცების მიწის სამუშაოებზე დასაქმებას.

ფაბრიციო: ამ საკითხზე მოგვიანებით გიპასუხებთ, ამჯერად კი ჯარის მომარაგების საკითხს შევეხები. მგონი, ჩვენ ისე გადავღალეთ ჯარისკაცები, რომ დროა, გავამხნევოთ ისინი და გამოვკვებოთ დროულად.

თითოეულმა მეთაურმა უნდა უზრუნველყოს ჯარისკაცთა თავისუფალი გადაადგილება და ისინი შესაბამისად უნდა გათავისუფლდნენ ზედმეტი ტვირთისგან, რომელიც ხელს უშლის მათ სამხედრო მოქმედებების შესრულებაში. ამ მხრივ ერთ-ერთი სირთულეს წარმოადგენს ჯარის მომარაგება პურითა და ღვინით. ძველი რომაელები ღვინოზე ნაკლებად ფიქრობდნენ და როცა ის არ ჰქონდათ, ძმრით გაზავებულ წყალს მიირთმევდნენ. აქედან გამომდინარე, მათი ძირითადი პროდუქტი იყო არა ღვინო, არამედ ძმარი, რომელიც გაცილებით ნაკლები ოდენობით იყო საჭირო, ვიდრე ღვინო და უფრო იაფიც ჯდებოდა. ძველი რომაელები პურს არ აცხობდნენ, როგორც ამჯერად ჩვენ ვაცხობთ ქალაქად თუ სოფლად. მათ მარაგში ჰქონდათ ფქვილი, რომელსაც უმატებდნენ სალას ან ღორის ქონს. ეს მას გემოს აძლევდა და მისი კვებით ჯარისკაცებს ძალაც ემატებოდათ.

ამრიგად, ძველი რომაელი მეომრის ძირითადი საკვები შედგებოდა ფქვილის, ძმრისა და ღორის ქონისგან; ცხენებისთვის კი ქერს იყენებდნენ. მებრძოლებს უკან მიჰყვებოდათ მსხვილფეხა პირუტყვის ჯოგები და ცხვრის ფარები. ყოველივე ეს უმსუბუქებდათ იმ პრობლემებს, რაც რთულ ადგილებში გადაადგილებისას მათ გამოსაკვებად ექმნებოდათ (131).

ამ მხრივ უფრო რთულად არის საქმე თანამედროვე ჯარებში. მებრძოლებს არ სურთ უღვინოდ ყოფნა და მოითხოვენ სახლში გამომცხვარ პურს. ასეთი მარაგის შენარჩუნება ჭირს და ამის გამო ჯარისკაცები ხშირად მშივრები რჩებიან, ხოლო მომარაგება პურითა და ღვინით დიდ ძალისხმევას

მოითხოვს. ამიტომაც გამოსავალს მე ასე ვიპოვიდი: ჯარისკაცებს გამოვკვებავდი მათ მიერვე გამომცხვარი პურით. რაც შეეხება ღვინოს, მე არ ავუკრძალავდი მათ ღვინის მიღებას, არც მიწოდებაზე ვეტყოდი უარს, მაგრამ არაფერს ვეცდებოდი იმისთვის, რომ ღვინო ჩემთვის სხვებს გამოეგზავნათ. რაც შეეხება სხვა მარაგებს, მე ანტიკურ პერიოდს ამ მხრივაც მივბაძავდი. ახლა თქვენ თვითონ მიხვდებით, თუ რამდენ დამატებით პრობლემასთან უწევს გამკლავება მეთაურს.

ზანობი: თქვენი საუბრიდან გამომდინარე, დასკვნა ასეთია: ჩვენ უკვე დავამარცხეთ მტერი ბრძოლაში და შევედით მის ტერიტორიაზე. ბუნებრივია, ნადავლი და ტყვეები ჩვენს ხელშია. მაინტერესებს, ასეთ დროს როგორ უნდა მოხდეს ნადავლის განაწილება?

ფაბრიციო: პასუხი ძალზე მარტივია. როგორც მახსოვს, თქვენი ყურადღება მივაპყრე იმას, რომ თანამედროვე ომები თანაბრად ანადგურებენ როგორც გამარჯვებულს, ასევე დამარცხებულს, რომლის დროსაც ერთნი კარგავენ თავიანთ სამფლობელოებს, სხვები – ფულსა და ქონებას. ძველად ასე არ იყო. და ომში გამარჯვებული მხოლოდ მდიდრდებოდა. ამ დროს ვითარება რთულად გასაკონტროლებელია, ადამიანის სიხარბემ შეიძლება ყველაფერს სძლიოს. ძველი რომაელები ამ მხრივ განსაკუთრებულად იქცეოდნენ. კანონმდებლობით მთელი ნადავლი სახელმწიფო საკუთრებად ცხადდებოდა, რომელიც შემდეგ მებრძოლებს შორის ნაწილდებოდა. მათთან იყო ასეთი თანამდებობის პირი-კვესტორი, რომელიც აკონტროლებდა ნადავლის განაწილებას. ნადავლიდან მიღებული შემოსავლიდან კონსული ჯარის-

კაცებს უხდიდა ხელფასს, ეხმარებოდა დაჭრილებსა და ავადმყოფებს, ასევე ფარავდნენ სხვა დამატებით ხარჯებსაც. კონსულს, რა თქმა უნდა, შეეძლო, სრულად დაერიგებინა ჯარისკაცებისთვის ნადავლი და ეს არ იწვევდა არანაირ უწესრიგობას, რადგანაც გამარჯვების შემდეგ მთელი ნადავლის თავმოყრა ხდებოდა ერთ ადგილზე, გაცემა კი პერსონალურად, სამხედრო წოდებისა და დამსახურების გათვალისწინებით (132).

ამგვარი წყობა ჯარისკაცებს აიძულებდა, ებრძოლათ გამარჯვებისთვის და არა ძარცვისთვის. რომაული მეთოდი ამდიდრებდა სახელმწიფოს და თითოეული კონსული, რომელიც ბრუნდებოდა რომში, როგორც ტრიუმფატორი, ნადავლის სახით ჩაგდებულ განძის უდიდეს ნაწილს სახელმწიფო ხაზინას აბარებდა.

რომაელები იყენებდნენ სხვა მეთოდსაც: თითოეული ჯარისკაცი ვალდებული იყო, თავისი ჯამაგირის მესამედი მიეცა კოჰორტის მედროშისთვის, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ უბრუნებდა მას ამ თანხას (133). ამ ფაქტს ჰქონდა ორმაგი დატვირთვა: პირველი, ჯარისკაცს საშუალება ეძლეოდა, კი არ დაეხარჯა, არამედ დაეგროვებინა გარკვეული თანხა და მეორეც, რომაელები თვლიდნენ, რომ ჯარისკაცი უფრო მეტი შემართებით დაიცავდა თავის დროშას, როცა ეცოდინებოდა, რომ აქ ინახებოდა მისი ქონება. ამრიგად, ამით სამხედროებში ერთდროულად ვითარდებოდა მომჭირნეობაც და სიმამაცეც.

ზანობი: მგონი, ლაშქრობისას ნებისმიერი სახის შემთხვევითობასა და ხიფათს შეიძლება გადააწყდე და ჯარის გადარჩენა მხოლოდ მეთაურის ხელოვნებასა და ჯარისკაცის სიმამაცეზეა დამოკიდებული.

ამ მიმართულებით რაიმე კონკრეტულ მაგალითებს თუ გაიხსენებდით?

ფაბრიციო: დიდი სიამოვნებით; ლაშქრობისას მეთაურს ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს მტრის ძალების ჩასაფრებული ნაწილებისა. მათ შეიძლება გადააწყდნენ გაუფრთხილებლობით, შემთხვევით ან მტრის ეშმაკობის შედეგად. ამისთვის კი შესაბამისი მზადყოფნაა საჭირო და ამ მიზნით დაზვერვაზე უნდა გაიგზავნოს საგანგებო ცხენოსანი რაზმები, რომლებიც გაეცნობიან ადგილმდებარეობას და განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ტყიან და მთაგორიან ადგილებს, სადაც ჩასაფრება უფრო ხელსაყრელია.

მტრის ჩასაფრება თუ ვერ აღმოაჩინე, ამან შეიძლება მთლიანად დაღუპოს ჯარი, მაგრამ თუ დროზე აღმოაჩენ, მაშინ მოსალოდნელი შედეგი ნაკლებად მძიმე იქნება. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მტერი აღმოუჩენიათ ფრინველებისა და მტვრის მოძრაობის მიმართულების საშუალებით. ლაშქრობების დროს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მტრედებისა და სხვა ფრინველების გუნდის ჰაერში გამოჩენა, როდესაც ისინი ერთ წერტილში ახდენდნენ წრიულად გადაადგილებას. ეს ხშირად იყო ჩასაფრების მანიშნებელი, ამას მოყვებოდა იმ მიმართულებით რაზმების გაგზავნა, მოწინააღმდეგე ძალების დაფიქსირება და შესაბამისად ბრძოლაში წარმატების მოპოვება (134).

ერთ-ერთი ყველაზე რთული სიტუაცია არის მტრის ჩასაფრებაში მოხვედრა, სადაც მოწინააღმდეგე ეშმაკურად ახერხებს საფარში შენს შეტყუებას. ეს თავიდან რომ აიცილო, მაქსიმალურად უნდა იფრთხილო. მაგალითად, თუ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი ჯარი გარბის შენი მცირე ძალისგან ანდა

მოწინააღმდეგის მცირე ძალა გაბედულად ესხმის თავს შენს მრავალრიცხოვან ჯარს, ანდა თუ მოწინააღმდეგე მოულოდნელად იწყებს გაქცევას, უნდა დაფიქრდე, რომ ის ამას შემთხვევით არ აკეთებს და მას ყველაფერი გათვლილი აქვს. შენ არ უნდა იფიქრო, რომ მტერმა არ იცის, თუ რას აკეთებს. გამოსავალი ერთია – თუ მტერი, შენი აზრით, სუსტი და უყურადღებოა, პირიქით, ამ დროს შენ უნდა იყო მაქსიმალურად ფრთხილი და წინდახედული. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ მტრის ტერიტორიაზე გადაადგილება უფრო მეტ საფრთხეს გიქადის, ვიდრე უშუალოდ ბრძოლა(135).

ამიტომაც მეთაური ორმაგად უნდა ფრთხილობდეს: პირველ რიგში, მას უნდა ჰქონდეს იმ ადგილმდებარეობის ამსახველი რუკა და აღწერილობა, სადაც გადაადგილდებიან. აუცილებლად უნდა იცოდეს იქაური დასახლებების რაოდენობა, მათ შორის მანძილი, გზების, მთების, მდინარეების, ჭაობიანი ადგილების მდებარეობა (136).

უკეთესი ინფორმირებულობისთვის მეთაურს თავის სამსახურში უნდა ჰყავდეს ადგილობრივ მკვიდრთა წარმომადგენლები, რომლებმაც ზედმიწევნით კარგად იციან ადგილობრივი ლანდშაფტი. მიღებული მონაცემების გადამოწმების მიზნით, მეთაურმა უნდა გაგზავნოს ცხენოსანთა საგანგებო რაზმები. ამავე დროს მათ წინ უნდა გაუძღვნენ ადგილობრივი მეგზურები, რომლებსაც ეცოდინებათ, რომ სიმართლისთვის ჯილდო ელით, ხოლო სიცრუისთვის – მკაცრი სასჯელი.

უშუალოდ მეომრებმა ამის შესახებ არ უნდა იცოდნენ, ვინაიდან მათი მთავარი მოტივაცია უნდა იყოს მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა. და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგანაც ომში მთავარია, შეგეძლოს შენი განზრახვის დამალვა. ჯარისკაცები არ უნდა დააბნიოს მოულოდნელმა თავდასხმამ, საჭიროა მათი გაფრთხილება, რომ მოსალოდნელია ომი და ისინი ამისთვის მზად უნდა იყვნენ. ზოგიერთი მხედართმთავარი, შეტევისას არევ-დარევის თავიდან ასაცილებლად, აღალსა და არასამწყობრო ძალებს ცალკეულ ნაწილებად ათავსებდა თითოეული ბატალიონის დროშების მახლობლად და ბრძანებას იძლეოდა, განსაკუთრებით გაფრთხილებოდნენ მათ, რათა მებრძოლებისთვის ადვილი ყოფილიყო შეჩერება დასასვენებლად ან უკან დასახევად. ასეთი განკარგულებები სასარგებლოა და მე მათ ყველანაირად წავახალისებ.

ასევე მნიშვნელოვანია ლაშქრობისას ის, რომ ერთი ნაწილი არ ჩამორჩეს მეორეს; ამ დროს მიუღებელია, რომ ერთი სწრაფად გადაადგილდებოდეს, მეორე კი ნელა; ამან შეიძლება უწესრიგობა გამოიწვიოს კოლონებში. ამიტომაც ფლანგებზე უნდა იმყოფებოდნენ ის მეთაურები, რომლებიც დააკვირდებოდნენ გადაადგილების ტემპს. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ნაბიჯის თანმიმდევრობას ყველაზე უკეთ მუსიკის ტემპორიტმი წარმართავს.

ამ დროს ასევე მნიშვნელოვანია გზის გაფართოების სამუშაოების ჩატარება, სადაც გადაადგილებას შეძლებს მინიმუმ ერთი ბატალიონი.

აგრეთვე საჭიროა შესწავლა მოწინააღმდეგის იმ თავისებურებებისა, რაც გულისხმობს იმის ცოდნას, თუ მოწინააღმდეგე როდის დაიწყებს შეტევას – დილით, შუადღეს თუ საღამოს, მისი ქვეითი ძალა უფრო ძლიერია, თუ კავალერია. ამის შესაბამისად უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება (137).

ზოგჯერ ხდება ისე, რომ მოწინააღმდეგის ზეწოლის შედეგად ბრძოლას გაურბიხარ; ანდა უკან დახევის დროს აღმოჩნდები მდინარის პირას, რომლის გადალახვაც დროს დაგაკარგვინებს, ამ დროს კი მოწინააღმდეგე დაგეწევა და შენზე მოიტანს იერიშს. ზოგიერთი მეთაური ამ დროს სასწრაფოდ ათხრევინებს ორმოებს, მას ძენძით ავსებს, უკიდებს ცეცხლს, ბოლი მოწინააღმდეგეს აბრკოლებს და მდინარის გადალახვაც წარმატებით მთავრდება (138).

ზანობი: არა მგონია, რომ მსგავსი ხანძარი მოწინააღმდეგეს აფერხებდეს. მე უფრო სხვა მაგალითი მსმენია, მაგალითად, კართაგენელი მხედართმთავარი ჰანონი. მტრის ალყაში მოქცეულმა ბრძანება გასცა, ცეცხლი დაენთოთ იმ მიმართულებით, საითაც ის ფიქრობდა თავის გაღწევას. მტერმა ამ მიმართულებით წასვლა სახიფათოდ მიიჩნია და ვერ გარისკა, ჰანონმა კი თავისი მებრძოლები ცეცხლის ალში შეიყვანა, თან მეომრებს უბრძანა, სახეები ფარებით დაეცვათ, რათა არ დამწვარიყვნენ და არ გაგუდულიყვნენ (139).

ფაბრიციო: თქვენ სწორი მაგალითი მოიყვანეთ, მაგრამ ყურადღება მიაქციეთ, რომ განსხვავებაა იმას შორის, რაც მე გითხარით და იმას შორის, რაც გააკეთა

ჰანონმა. მე თქვენ მოგიყევით, რომ მხედართმთავრები თავიანთი ჯარის ირგვლივ ავლებდნენ თხრილებს, რომლებსაც ცეცხლმოკიდებული ძენძით ავსებდნენ. ასე, რომ ვინც მათ დაედევნებოდა, უნდა გადაელახა თხრილებიც და ცეცხლიც. მაგალითად, ჰანონი არ თხრიდა არავითარ ორმოს, ის მხოლოდ ცეცხლს ანთებდა. ასევე, შეგახსენებთ მსგავს მაგალითს; სპარტის მეფე ნაბისმა, რომელიც რომაელებმა ალყაში მოაქციეს, მათი შეკავების მიზნით, გადაწყვიტა ქალაქის ნაწილის გადაწვა. ხანძარმა არა მხოლოდ ბარიერი შეუქმნა რომაელებს, არამედ ისინი იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ (140).

მოდით, ჩვენი საუბრის თემას დავუბრუნდეთ. რომის კონსული კვინტუს ლუტაციუს კატულუსი კიმბრებისგან დევნას განიცდიდა. ის მივიდა ერთ-ერთ მდინარესთან და გადაწყვიტა დროის მოგება მისი გადალახვისთვის. მან შექმნა ისეთი განწყობა, თითქოსდა ბრძოლის გამართვას აპირებდა და დაიწყო ბანაკის მომზადება, სანგრების გათხრა, კარვების გაშლა. კიმბრებმაც შეწყვიტეს მისი დევნა, დაიწყეს დასვენება და თავიანთი სამხედრო ძალა რამდენიმე ჯგუფად გაყვეს. ამის მერე მიხვდნენ ისინი, რომ კონსულმა მიაძინა მათი ყურადღება და მშვიდად მათ თვალწინ მდინარე გადალახა (141).

მდინარეზე გადასასვლელად ზოგიერთი მხედართმთავარი მას კალაპოტს უცვლიდა და ამ გზით შესაძლებელი ხდებოდა მისი გადალახვა (142). თუ საჭირო იყო სწრაფი მდინარის გადალახვა, ზოგიერთი მხედართმთავარი ასეთ ხერხსაც მიმართავდა: მძიმე

კავალერიის ნაწილს შეიყვანდნენ მდინარის შედარებით ზედა ნაწილში, რაც ამცირებდა მდინარის სისწრაფეს, კავალერიის მეორე ნაწილი კი მდინარეზე გადასასვლელი ადგილიდან შედარებით ქვედა მხარეს ჩერდებოდა, რათა წყლის მიერ გატაცებული ზოგიერთი ჯარისკაცი გადაერჩინა. ამავე დროს მდინარის გადასალახად გამოიყენებოდა გადასატანი ხიდები, ნავები, ტიკები. ეს საშუალებები ყოველთვის თან უნდა ჰქონოდათ ლაშქრობების დროს (143).

ზოგჯერ ისეც მომხდარა, რომ მდინარის გადალახვის შემდეგ ნაპირზე გადასულებს მოულოდნელად მტრის ჯარი დახვედრიათ. ამ შემთხვევაში საინტერესოა იულიუს კეისრის მაგალითი, როდესაც გალიაში ერთ-ერთი მდინარის გადალახვის დროს მეორე ნაპირზე დაინახა გალების ბელადი – ვერცინგეტორიქსი. კეისარი რამდენიმე დღის განმავლობაში მდინარის გასწვრივ გადაადგილდებოდა, იგივეს გაკეთება დაიწყო მისმა მოწინააღმდეგემ. ბოლოს კეისარი გზად შეჩერდა დაბურულ ტყეში, სადაც მას შეეძლო ჯარის შენიღბვა. მან თითოეული ლეგიონიდან გამოჰყო 3 კოჰორტა, რომლებსაც უბრძანა, ადგილზე დარჩენილიყვნენ, მისი წასვლის შემდეგ მდინარეზე სასწრაფოდ გაედოთ ხიდები და ადგილზე დაემაგრებინათ ისინი. ამის შემდეგ კეისარმა ძირითადი ძალებით გააგრძელა სვლა მდინარის გასწვრივ იმავე მიმართულებით. გალების ბელადმა კვლავ მოძრავი კეისრის მოძრაობის პარალელური მიმართულებით განაგრძო სვლა. კეისარი საჭირო დროს მობრუნდა უკან და დათქმულ ადგილას უპრობლემოდ გადალახა მდინარე (144).

ზანობი: თქვენ თუ იცით მდინარის ფონის დადგენის რაიმე მეთოდი?

ფაბრიციო: მოგახსენებთ, მდგარი წყალი ყოველთვის განსხვავდება მდინარისგან; სადაც ფონია, იქ მდინარე შესაბამისად წყალმარჩხია. ამ ადგილზე უნდა მოხდეს მდინარეზე გადასვლა. ეს მეთოდი ფონის განსაზღვრისა მრავალგზის არის გამოცდილი და ზუსტია.

ზანობი: როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ მდინარის ფონი შედარებით ბლანტია და ცხენებს შიგ ითრევს?

ფაბრიციო: ამ შემთხვევაში წყალში ყრიან ფიჩხის კონებს და ისე გადადიან მასზე. მოდით, ნუ გადავუხვევთ ძირითადი თემიდან. ზოგჯერ ხდება, რომ მხედართმთავარი თავისი ჯარით შედის ხეობაში, რომელიც მოქცეულია ორ მთას შორის, საიდანაც არის ორი გამომავალი გზა და ორივე მათგანი მტრის ხელთაა. ამ დროს შეიძლება ასეთი რამის მოფიქრება – უნდა გავაგანიეროთ ხეობა და ავაგოთ მტრისგან რთულად გადასალახავი თხრილები, რათა დავარწმუნოთ მოწინააღმდეგე, რომ ამ მონაკვეთზე ვაპირებთ მის შეჩერებას. ამ დროს მთელი ძალებით უნდა დავიძრათ შედარებით თავისუფალი და ნაკლებად დაცული გასასვლელისკენ (145).

ამ დროს მოწინააღმდეგე ყურადღებას გაამახვილებს იმ შედარებით დაუცველი გასასვლელის გამაგრებაზე და ყურადღებას მოადუნებს ხეობისა და თხრილების მიმართულებით. ამ დროს თქვენ თხრილებზე გადებთ წინასწარ მომზადებულ ხის ხიდებს, გადახვალთ მასზე და თავს აარიდებთ მოწინააღმდეგეს. რომის კონსული ლუციუს მინუციუსი, რომელიც ლიგურიაში იბრძოდა, მტერმა ხეობაში

მოამწყვდია და ყველა გასასვლელი გადაუკეტა. კონსულმა გარღვევა გადაწყვიტა და ამ მიზნით გაგზავნა რამდენიმე ნუმიდიელი მხედარი, რომლებიც ცუდად იყვნენ შეიარაღებული და ტანმორჩილ, გაძვალტყავებულ ცხენებზე ისხდნენ. მოწინააღმდეგემ ისინი შეამჩნია და როცა იხილა მათი უწესრიგო და უგერგილო გადაადგილება ცხენებით, რომლებიც, მათი აზრით, ყოვლად უვარგისები იყვნენ, დამშვიდდნენ და მათზე ფიქრი შეწყვიტეს. ნუმიდიელებმა ისარგებლეს მათდამი გამოჩენილი დაუდევრობით და სწრაფად, მათრახისა და დეზების ცემით ელვის სისწრაფით გააჭენეს ცხენები, მოულოდნელად გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძალები, შემდეგ კი დაიწყეს ირგვლივ მდებარე ტერიტორიების ძარცვა, რითაც სრულიად გაფანტეს მოწინააღმდეგის ყურადღება და ლუციუსი ხაფანგიდან გამოძვრა (146).

მარკუს ანტონიუსმა, რომელსაც პართიელები სდევნიდნენ, შეამჩნია, რომ მტერი მას გამთენიისას ესხმოდა თავს, როცა რომაელები მოძრაობას იწყებდნენ. ამის გამო ანტონიუსმა ბრძანება გასცა, შუადღემდე შეეწყვიტათ მოძრაობა. პართიელებმა ჩათვალეს, რომ ამ დღეს რომაელები საერთოდ არ აპირებდნენ ბანაკიდან გასვლას და თავიანთ კარვებში გააგრძელეს მშვიდად ყოფნა, ანტონიუსმა კი ამით ისაგებლა და მთელი დღის განმავლობაში მშვიდად მოახერხა გადაადგილება (147).

აი ყველაფერი ის, რის შესახებაც მე გიამბეთ ლაშქრობაში მოსალოდნელი და მოულოდნელი საფრთხეების შესახებ. ახლა კი სხვა საკითხებზე გადავიდეთ.

თავი VI

ზანობი: მგონი, უკვე დადგა დრო, რომ ჩემი უფლებამოსილება გვერდზე გადავდო და ის გადავცე ბატისტას იმიტომ, რომ ჩვენი საუბარი უკვე სხვა თემებს შეეხება; ვფიქრობ, ბატისტა ღირსეულად შეასრულებს თავის მისიას. ჩვენ უნდა მივდიოთ ცნობილი მხედართმთავრების მაგალითებს, რომლებიც, სინიორ ფაბრიციოს სიტყვებით, თავიანთ საუკეთესო მებრძოლებს ფრონტის ხაზზე და ზურგში განალაგებდნენ, რათა მოწინავე ძალებს მამაცურად დაეწყოთ და ზურგში მყოფ ნაწილებს ასევე ღირსეულად დაესრულებინათ ბრძოლა. კოზიმომ საქმიანად და წარმატებით წარმართა საუბრები და ვფიქრობ, ბატისტაც იმავე შემართებით გააგრძელებს და დაასრულებს ამ პროცესს.

ბატისტა: მე ვემორჩილები მეგობრების გადაწყვეტილებას და ვთხოვ სინიორ ფაბრიციოს, გააგრძელოს თავისი საუბრები და ბოდიშს მოვუხდი ამგვარი შეყოვნებისთვის.

ფაბრიციო: ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებს თქვენთან ურთიერთობა და შეჩერება კი არ მაწუხებს, პირიქით, დროს მაძლევს ახალი იდეებისა და აზრებისთვის. ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის ძირითად თემას, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ სამხედრო ბანაკი. საერთოდ მიღებულია, რომ მეომართა დასვენება და უსაფრთხოება სრულყოფილად უნდა იყოს უზრუნველყოფილი (148).

თქვენ შეიძლება მიგაჩნდათ, რომ უფრო უკეთესი იქნებოდა, საუბრების დასაწყისში მესაუბრა სამხედრო ბანაკში მეომრების განთავსებაზე, ამის შემდეგ მომეთხრო სალაშქრო წყობაზე და ბოლოს დამესრულებინა საბრძოლო მოწყობით. ჩვენ კი პირიქით, თანამიდევრობით გავიარეთ ეს გზა. უნდა მოგახსენოთ, რომ იძულებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავი, რადგანაც ჩემს მიერ აღწერილი სალაშქრო წყობა და მისი გარდაქმნა საბრძოლო წყობად, ჩემი აზრით, მოითხოვს მისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, რადგანაც მას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა თუნდაც სამხედრო შედეგის თვალსაზრისით.

ვუბრუნდები რა საუბრის ძირითად თემას, უნდა მოგახსენოთ, რომ სამხედრო ბანაკი იმ შემთხვევაშია უსაფრთხო, თუ ის გამაგრებული და კეთილმოწყობილია. ბანაკების კეთილმოწყობაზე პასუხისმგებელია მხედართმთავარი, ციხესიმაგრის ასაგებად ყველაზე მნიშვნელოვანია ბუნებრივი პირობების გათვალისწინება და ხუროთმოძღვრის ხელოვნება. მაგალითად, ძველი ბერძნები ამ საქმისთვის უპირატესობას ანიჭებდნენ ბუნებრივად დაცულ ადგილებს და არასდროს აწყობდნენ სამხედრო ბანაკებს იქ, სადაც არ იყო კლდეები, მდინარის ნაპირი, ტყე ან სხვა ბუნებრივი თავდაცვითი საშუალებები. რომაელები კი ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას ბუნებრივ საშუალებებს და უპირატესობას ხელოვნურ თავდაცვით საშუალებებს ანიჭებდნენ. ისინი საფორტიფიკაციო ნაგებობის ასაგებად ისეთ ადგილს არ აირჩევდნენ, სადაც შეუძლებელი იქნებოდა მთელი ჯარის გაშლა მათი სამხედრო წესების შესაბამისად. ბერძნები ასე არ იქცეოდნენ იმიტომ, რომ ისინი ეგუებოდნენ

ადგილმდებარეობას და ბანაკის შერჩევაც ამ ნიშნით ხდებოდა. რომაელები კი პირიქით იქცეოდნენ: თუ ბუნება ნაკლებად ეხმარებოდათ ამ საქმეში, მაშინ არქიტექტორთა ცოდნასა და გამოცდილებას მიმართავდნენ (149).

პირადად მე ამ საკითხში უპირატესობას რომაელებს მივანიჭებდი და მას დავუმატებდი იმ სიახლეებს, რომლებიც ჩვენს დროში შეიქმნა. რამდენჯერმე მოგახსენეთ, რომ რომის კონსულის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარი შედგებოდა რომაელ მოქალაქეთა 2 ლეგიონისგან, 11 ათასამდე ქვეითისგან, 600 მხედრისგან და დაახლოებით 11 ათასი მოკავშირეთა დამხმარე ძალებისგან. რიცხობრივი უპირატესობა მოკავშირეებისა არასდროს არ უნდა ყოფილიყო ადგილობრივ მებრძოლებზე მეტი, ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ კავალერია. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ რომაული ლეგიონები შეტევისას ყოველთვის იბრძოდნენ ცენტრში, მოკავშირეები კი ფლანგებზე. ახლა კი მოგახსენებთ, ჩვენს დროში თუ როგორ უნდა მოვაწყოთ სამხედრო ბანაკი. თქვენ თვითონ მიხვდებით, როგორი თავგამოდებით ვუჭერ მხარს ბანაკის შექმნის რომაულ ნიმუშს (150). როგორც ადრე გითხარით, რომაული ლეგიონების მსგავსად, ჩემს ჯარში მეყოლებოდა ქვეითების 2 ბრიგადა, თითოეული 6 ათასი მეომრითა და 300 ცხენოსნით.

ახლა კი მოგახსენებთ ჩემს თვალსაზრისს სამხედრო ბანაკის მოწყობასთან დაკავშირებით. ამრიგად, ჩვენ უნდა მოვაწყოთ ბანაკი, სადაც განთავსდება ჯარის სრული შემადგენლობა, ანუ დაახლოებით 24 ათასი ქვეითი და 2 ათასი მხედარი,

რომლებიც დაყოფილნი იქნებიან 4 ბრიგადად, რომელთაგან 2 იქნებოდა სარეზერვო. როგორც კი ბანაკისთვის ადგილი იქნებოდა შერჩეული, მე ბრძანებას გავცემდი ცენტრალურ ნაწილში მთავარი დროშის განთავსებაზე. მის ირგვლივ შემოვხაზავდი კვადრატს, რომელთაგან მისი თითოეული მხარე 50 წყრთით იქნებოდა დაშორებული. კვადრატის თითოეული მხარე მიმართული იქნება აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით. ამ სივრცეში უნდა განთავსდეს სარდლობა. ყველა სამწყობრო ნაწილი ანდა მათი უმრავლესობა უნდა განლაგდეს ბანაკის აღმოსავლეთ ნაწილში, არასამწყობრო ნაწილები და აღალი კი ბანაკის დასავლეთ ნაწილში; ამავე დროს აღმოსავლეთ ნაწილი პირობითად ჩაითვლებოდა ფრონტის ხაზად, დასავლეთის მიმართულება იქნებოდა ზურგი, ჩრდილოეთი და სამხრეთი კი შესაბამისად ფლანგები.

ახლა კი დეტალურად უნდა აღვნიშნოთ ბანაკის ის ნაწილი, სადაც სამწყობრო ძალები უნდა განთავსდნენ. ამ მიზნით მთავარი დროშიდან აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა გაივლოს 680 წყრთა სიგრძის ხაზი. ორივე მხარეზე გავლებული უნდა იყოს ორი პარალელური ხაზი იმავე სიგრძეზე, აღმოსავლეთით უკიდურესი წერტილი იქნება აღმოსავლეთის კარიბჭე. მათ შორის სივრცე შექმნის გზას, რომელიც აღმოსავლეთის ჭიშკარს სარდლობასთან დააკავშირებს. გზის სიგრძე იქნება 630 წყრთა, ხოლო სიგანე – 30. ეს გზა იქნება მთავარი. სამხრეთის კარიბჭე გადამკვეთი გზით დაუკავშირდება ჩრდილოეთის ჭიშკარს. მისი სიგრძე იქნება 1250 წყრთა, სიგანე კი – 30.

ასეთნაირად მოვნიშნე სარდლობის ადგილი და შემოგთავაზეთ ორი გზა, ახლა კი წარმოგიდგენთ საკუთარი ორი ბრიგადის განლაგებას. ერთი განთავსდება მთავარი გზის მარჯვენა მხარეს, ხოლო მეორე – გზის მარცხენა მხარეს. ბრიგადების ორივე სარდლობა განთავსდება გადამკვეთი გზის ორივე მხარეს, მათთან ერთად იქნებიან მძიმე კავალერიის მეთაურები. გზაჯვარედინის ორივე მხარეს განთავსდება ორი შტაბი, რომლებიც დაეთმობა მძიმე კავალერიის მეთაურებს. მათ შემდეგ იქნება ორივე მხარეს 15 შტაბი (სულ 30 შტაბი), სადაც განთავსდებიან ჟანდარმები, თითოეულ შტაბში 10 კაცი. ანუ ცალკეულ ბრიგადაში იქნება 150 ჟანდარმი. მეთაურის შტაბის ნაგებობის სიგანე შეადგენს 40 წყრთას, სიგრძე – 10 წყრთას, უნდა შეგახსენოთ, რომ სიგანეში ყოველთვის ვგულისხმობ მანძილს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, სიგრძეში კი – მანძილს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ჟანდარმთა შტაბების ადგილსამყოფლის ზომებია სიგრძით 15 და სიგანით 30 წყრთა.

შემდეგ ორივე მხარეს განლაგდებიან ახალი რიგები, თითოეულში 15 შტაბით, რომლებიც ფორმითა და მოცულობით იქნებიან მძიმე კავალერიის შტაბების მსგავსი და რომლებსაც დაიკავებს მსუბუქი კავალერია. თითოეულ ნაგებობაში განთავსდება 10 ადამიანი; მე-16 თავისუფალი ადგილსამყოფელი დაეთმობა მეთაურს, რომლის ზომებიც იქნება ჟანდარმების მეთაურის შესაბამისი ნაგებობის იდენტური. ამრიგად, ორივე ბრიგადის მთელი კავალერიის შტაბი განთავსდება მთავარი გზის ორივე მხარეს და გახდება საფუძველი სალაშქრო ბანაკის შექმნისთვის. ამის შესახებ მოგვიანებით მოგითხ-

რობთ. გთხოვთ დაიმახსოვროთ, რომ მე განვათავსე 300 კავალერისტი თითოეულ ბრიგადაში თავის მეთაურებთან ერთად მთავარ გზაზე განლაგებულ 32 ნაგებობაში.

ახლა გავანაწილოთ 20 ბატალიონი, რომლებიც შედიან ორივე ბრიგადაში. ამისთვის გამოვყოფ ბატალიონებისთვის ნაგებობებს კავალერიის შემდეგ. ქვეითი მებრძოლებისთვის გათვალისწინებული თითოეული სივრცის ზომები იქნება 15 წყრთა სიგრძე და 30 წყრთა სიგანე. ბატალიონის მეთაურის შენობის ზომები იქნება 20 წყრთა სიგანე და 10 წყრთა სიგრძე. დანარჩენ 15 განყოფილებაში თითოეულ მხარეს მოთავსდება 450-კაციანი სალაშქრო ბატალიონი თითოეულ სივრცეში 30 ჯარისკაცით.

შემდეგი 15 დანაყოფი მოსდევს მსუბუქი კავალერიის ნაწილებს და მათი ნაგებობებიც ზომებში იდენტურია. უკანასკნელი ადგილსამყოფელი ეკუთვნის ქვეითების მეთაურს, რომელიც ერთ რიგში იმყოფება მსუბუქი კავალერიის მეთაურის ნაგებობასთან. მისი სიგრძეა 10 წყრთა, სიგანე – 20 წყრთა. ამრიგად, დროებითი ნაგებობების პირველ ორ რიგში განთავსებული იქნება კავალერიისა და ქვეითი ძალების ნაწილი. ვფიქრობ, რომ კავალერია მთლიანად უნდა იყოს სამწყობრო და მე არ მივცემ მას დამხმარე პერსონალს ცხენების სამეთვალყურეოდ და მოსავლელად. ვთვლი, რომ ეს ვალდებულება უნდა დაეკისროთ ქვეით ჯარისკაცებს, რომლებიც განთავსებულნი იქნებიან დამხმარე ნაგებობებში. ისინი გათავისუფლებული უნდა იყვნენ ყოველგვარი სხვა ვალდებულებისგან.

ადგილსამყოფლების პირველი ორი რიგის შემდეგ მთავარი გზის ორივე მხარეს რჩება 30 წყრთის თავისუფალი სივრცე, რომლებიც ქმნიან ახალ გზებს და მათ ეწოდებათ მარჯვნიდან პირველი გზა და მარცხნიდან პირველი გზა; ორივე მათგანზე განთავსდება ორმაგი რიგი 32 დანაყოფისა, რომლებიც გარს ეკვრიან ერთმანეთს; მათი ზომები ერთნაირია. მე-16 და მე-17 დანაყოფები ერთმანეთისგან გამიჯნულნი არიან იმავე გადამკვეთი გზით.

ამ რიგებში ორივე მხრიდან განთავსდება ქვეითების 4 ბატალიონი თავიანთი მეთაურებით იმავე წესით, რაზეც გავამახვილე ყურადღება. მათ შემდეგ იქნება 30 წყრთა მანძილის თავისუფალი სივრცე ახალი გზისთვის, რომელსაც ჩვენ პირობითად დავარქმევთ მეორე გზას მარჯვნივ და მეორე გზას მარცხნივ. ორივე მხარეს განლაგდება ორმაგი რიგი 32 ნაგებობისა, სადაც განთავსდება ქვეითი ჯარის კიდევ 4 ბატალიონი თავიანთი მეთაურებით. ამრიგად, შენობების სამი ორმაგი რიგი გზის ორივე მხარეს შევსებული იქნება კავალერიითა და ქვეითი ძალებით, რომლებიც ერთად შეადგენენ 2 ჩვეულებრივ ბრიგადას. 2 დამხმარე ბრიგადა იგივე შემადგენლობისა განთავსდება ისე, როგორც პირველი ორი ბრიგადა.

ამრიგად, ბანაკში მთელი ჯარის განთავსებისთვის საჭირო იქნება შენობა-ნაგებობების 12 ორმაგი რიგი და 13 გზა.

გარდა ამისა, ჩვენს განკარგულებაში რჩება ორი აუთვისებელი სივრცე სარდლის შტაბ-ბინიდან სამხრეთ და ჩრდილოეთ კარიბჭეთა მიმართულებით, თითოეული 625 წყრთა სიგრძისა. ამას თუ გამოვაკ-

ლებთ 50 წყრთა სივრცეს, რომელიც უჭირავს სარდ-ლის შტაბ-ბინას, თითოეულ მხარეს აღმოჩნდება სივრცე კიდევ 400 წყრთა სიგანისა და 100 წყრთა სიგრძისა ბანაკის სხვა ნაგებობისთვის. ეს სივრცე რომ გავყოთ შუაზე, მაშინ ბანაკის ორივე მხარეს დამა-ტებით შევქმნი 40 ნაგებობას, რომლებსაც ექნებათ სიგანე 50 წყრთა და სიგრძე 20 წყრთა. ამრიგად, საბოლოო ჯამში მე მექნება 80 ნაგებობა ბრიგადების მეთაურებისთვის, ხაზინადრებისთვის, კვარტირმაის-ტერებისთვის და ყველა იმ პირისთვის, ვინც მოემსა-ხურებოდა ჩამოსულ უცხოელებსა და მოხალისეებს.

მთავარი შტაბ-ბინის უკან სამხრეთიდან ჩრდი-ლოეთის მიმართულებით გაყვანილია 30 წყრთა სი-განის გზა, რომელიც მიემართება 80 შენობის გასწვრივ და ეწოდება ცენტრალური გზა, ისე რომ სარდლის შტაბ-ბინა და და ორივე მხარეს განთავსებული 80 სხვა ნაგებობა აღმოჩნდება ცენტრალურ გზასა და გზაჯვა-რედინს შორის. ცენტრალური გზიდან მთავარი შტაბ-ბინის საწინააღმდეგო მიმართულებით გაივლის სხვა, 30 წყრთა სიგანის გზა; ის გააგრძელებს ცენტრალურ გზას და მისი პირობითი სახელი იქნება „სავაჭრო“.

შემდეგ მე მოვაწყობ სავაჭრო გზის დასაწყისში სარდლის შტაბ-ბინის მოპირდაპირე მხარეს მოედანს ბაზრისთვის, რომელიც მიერთებული იქნება ცენტრა-ლურ გზასთან. მას ექნება კვადრატის ფორმა, რომლის თითოეული მხარე იქნება 121 წყრთა. ბაზრის მოედ-ნიდან მარჯვნივ და მარცხნივ იქნება შენობების 2 რიგი 8 ორმაგი ნაგებობით თითოეულში; მათი სიგრძე იქნება 20 წყრთა, სიგანე – 30 წყრთა. ამრიგად, ამ მოედნის თითოეულ მხარეს იქნება 16 ნაგებობა, სულ კი 32. მათში განთავსდება დამხმარე ბრიგადის სარე-

ზერვო კავალერია. და თუ მათ ადგილი არ ეყოფათ, მათთვის უნდა გამოიძებნოს ადგილი ბანაკის მიწაყრილთან ახლოს. ამის შემდეგ უნდა დავაბინავოთ რეზერვის შუბოსნები და ველიტები, რომლებიც ცალკეული ბრიგადის შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნებიან. უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენი წესის მიხედვით თითოეულ ბრიგადაში, 10 ბატალიონის გარდა, გვყავს 1000 რეზერვის შუბოსანი და 500 რეზერვის ველიტი. ამრიგად, ორივე ბრიგადაში რეზერვის შუბოსანი იქნება 2000, რეზერვის ველიტი კი 1000. რეზერვის შუბოსანთა და ველიტთა მსგავსი რაოდენობა გააჩნია დამხმარე ძალებს. ამავე დროს მოგვიწევს დაფიქრება იმაზე, თუ სად და როგორ განვათავსოთ 6000 ქვეითი მეომარი. ჩემი აზრით, ყველნი უნდა განთავსდნენ ბანაკის დასავლეთ ნაწილში მიწაყრილთან, რომლის გასწვრივ მე დავტოვებ 100 წყრთა თავისუფალ სივრცეს.

დასავლეთისა და სამხრეთის ჭიშკრებს შორის განთავსდებიან დამხმარე ძალების შუბოსნები და ველიტები. არტილერია განლაგდება თხრილის გასწვრივ. დანარჩენი თავისუფალი სივრცე ბანაკის დასავლეთ ნაწილში დაეთმობა არასამწყობრო ძალებსა და აღალს.

როგორც ცნობილია, ჩვენი წინაპრები არასამწყობროებს უწოდებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც მიყვებოდნენ სამხედროებს და მათი მხარდაჭერისთვის იყვნენ გათვალისწინებულნი. ესენი იყვნენ: ხუროები, მჭედლები, ქვის მთლელნი, კალატოზები, ინჟინრები, მწყემსები საქონლის ჯოგებითა და ცხვრის ფარებით, რომლებიც ჯარის გამოკვებისთვის იყო აუცილებელი, სხვადასხვა სახის სახელოსნოები, იარა-

ღისა და ინვენტარის შესანახი ნაგებობები, საწყობები საკვების მარაგით. არასამწყობროებისთვის განკუთვნილი სივრცე 4 ნაწილად იყო გაყოფილი. ერთ ნაწილში იყვნენ მწყემსები, მეორეში – ხელოსნები, მესამეში – საზიდრები, მეოთხეში – საბრძოლო მასალის მარაგი. არტილერია, როგორც აღვნიშნე, უნდა განლაგდეს მიწაყრილთან, ბანაკის შიდა მხარეს.

ბატისტა: უნდა აღვნიშნო, არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ სამხედრო ხელოვნებაში ცუდად ვერკვევი. მიუხედავად ამისა, მე სრულად მაკმაყოფილებს რაც ბრძანეთ, მაგრამ მე მაინც გამიჩნდა ორი კითხვა: პირველი, თქვენს მიერ შერჩეული გზები და თავისუფალი სივრცე რატომ არის ასე დიდი ფართობის? და მეორე, როგორ უნდა განათავსოთ ხალხი მათთვის გამოყოფილ ადგილებზე?

ფაბრიციო: ბანაკის შიგნით ვტოვებ გზებს, რომელთა სიგანე 30 წყრთაა და ჩემი მიზანია, მასზე გადაადგილდეს ქვეითი ბატალიონი საბრძოლო წყობით ფრონტის ხაზის გასწვრივ. 100 წყრთის სივრცე უნდა იყოს მიწაყრილსა და ბანაკს შორის ჯარისა და არტილერიის თავისუფალი გადაადგილებისთვის, ასევე ნადავლის მოსათავსებლად და საჭირო შემთხვევაში სანგრების მეორე რიგის გათხრისთვის.

გარდა ამისა, ბანაკი უმჯობესია მოეწყოს მიწაყრილიდან არც ისე შორს, რათა მოწინააღმდეგეს უფრო გაუძნელდეს მისთვის ზიანის მიყენება.

რაც შეეხება მეორე კითხვას, იმდენი კარავი უნდა იყოს გაიმართოს, რამდენიც მათთვის იქნება ხელსაყრელი. და საერთოდ, კარვის მოსაწყობად საჭიროა გამოცდილი ხალხი, კარგი მშენებლები,

რომლებიც მეთაურის განკარგულების მიხედვით ადგენენ ბანაკის ფორმას, ყოფენ მას ნაწილებად, აწყობენ შიდა გზებს და, რაც მთავარია, ამას აკეთებენ ძალიან სწრაფად.

არეულობის აღსაკვეთად საჭიროა, რომ თითოეულმა ჯარისკაცმა ზუსტად იცოდეს თავისი დისლოკაციის ადგილი, კარვის ადგილმდებარეობა. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერ სიტუაციაში (151). რომაელები თავიანთ ბანაკებს ამაგრებდნენ არხებით, თხრილებით, მიწაყრილებით, სანგრებით და, თუ დიდხანს უწევდათ ადგილზე ყოფნა, შესაბამისად აფართოებდნენ ამ საშუალებებს.

პირადად მე ღობეს იმ შემთხვევაში შემოვავლებდი ბანაკს, თუ მომიწევდა ერთ ადგილას დგომა მთელი ზამთრის განმავლობაში. თხრილი და მიწაყრილი კი რომაელებზე მეტი მექნებოდა, ვითარებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, არტილერიისთვის ბანაკის ყოველ კუთხეში მოვაწყობდი ნახევარწრიული ფორმის სანგრებს და ხანგრძლივ ცეცხლს გავუხსნიდი მოწინააღმდეგეს, რომელიც ჩემს ძალებზე მოიტანდა იერიშს (152).

აუცილებელია, ჯარისკაცებს დეტალურად ვასწავლოთ ბანაკის მოწყობის წესები, რათა მეთაურების ბრძანების გაცემისთანავე ჯარისკაცებმა სწრაფად მიაგნონ თავ-თავიანთ კარვებს. ახლა კი უნდა გესაუბროთ ბანაკის დაცვის შესახებ, რომლის უზრუნველყოფის გარეშეც შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს.

ბატისტა: სანამ გუშაგების საკითხს შევეხებოდეთ, მაინტერესებს, რა განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო უშუალოდ მტრის სიახლოვეს ბანაკის მოწყობისას.

ფაბრიციო: პირველ რიგში უნდა იცოდეთ, რომ მეთაური იმ შემთხვევაში ეცდება, მოწინააღმდეგეს-თან ახლოს ჰქონდეს ბანაკი, თუ ის აუცილებლად აპირებს მასთან ბრძოლას. ამ დროს ჯარის 2/3 ბრძოლისთვის მზად არის და მხოლოდ 1/3 არის დაკავებული ბანაკის მოწყობის სამუშაოებით. რომაე-ლები ბანაკის გამაგრებისთვის იყენებდნენ ტრიარებს, ჰასტატები და პრინციპები კი საბრძოლო მზადყოფ-ნაში იმყოფებოდნენ.

ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ ტრიარები ბრძო-ლაში სულ ბოლოს შედიოდნენ და მტრის გამოჩენის-თანავე სწრაფად ახერხებდნენ მწყობრში თავიანთი ადგილის დაკავებას. ამ მაგალითიდან გამომდინარე, ჩვენი ბანაკის აგებისას ტრიარების მსგავსი სამხედრო ძალა უნდა იყოს ბოლო საბრძოლო ხაზზე.

ახლა კი დავუბრუნდეთ გუშაგების თემას. მე მგონი, ანტიკურ ავტორებთან არ შემხვედრია მაგა-ლითი, რომ გუშაგებს თავიანთი მოვალეობა შეესრუ-ლებინოთ მიწაყრილის ანუ ბანაკის გარეთ. ასეთ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული მტრის მიერ მათი მოსყიდვა ან ხელში ჩაგდება (153).

როგორც წესი, ყველა გუშაგი ბანაკის შიგნით უნდა იყოს და ზოგადად საყარაულო სამსახური გან-საკუთრებული სიზუსტითა და სიმკაცრით უნდა იყოს გამორჩეული. ნებისმიერი დამნაშავე სიკვდი-ლით დასჯას უნდა იმსახურებდეს.

თავს არ შეგაწყენთ ზედმეტი დეტალებით, რომ-ლებსაც თქვენ უშუალოდ გაეცნობით, თუ აქამდე ამის შესახებ არ წაგიკითხავთ. მოკლედ გეტყვით, თუ რა ღონისძიებებს გავატარებ. ღამით ჯარის მესამედი შეიარაღებული უნდა იყოს. ამ მესამედის მეოთხედი

კი ყოველთვის ფეხზე უნდა იდგეს. ისინი განთავ-სებული უნდა იყვნენ მთელი მიწაყრილის გასწვრივ ბანაკის ყველა მნიშვნელოვან პუნქტში. ბანაკის თი-თოეულ კუთხეში გამოყოფილი უნდა იყოს გაორმა-გებული სადარაჯო რაზმები, რომელთაგან ერთი იქნებოდა საგუშაგოებთან, ხოლო მეორენი განუწყ-ვეტლივ იმოძრავებდნენ ბანაკის ერთი ბოლოდან მეორისკენ. თუ მტერი ახლოსაა, მაშინ იგივე წესი დღისითაც უნდა მოქმედებდეს.

არ მინდა საუბარი პაროლებზე ანდა იმის აუცი-ლებლობაზე, რომ გუშაგების შეცვლა ხდებოდეს ყოველ საღამოს და სხვა იმ საჭირო სიფრთხილის მისაღებ ღონისძიებებზე, რადგან ეს ყველაფერი ცნობილია. მე ყურადღებას მივაპყრობ ერთ უმნიშვნე-ლოვანეს გარემოებას, რომლის დაცვასაც დიდი სარ-გებელი მოაქვს და მისდამი უყურადღებო დამოკი-დებულებამ შეიძლება დიდი საფრთხე წარმოშვას. დეტალურად დააკვირდით ყველა მათ, ვინც საღამოს ტოვებს ბანაკს და ასევე მათაც, ვინც უკან ბრუნდება. ჩვენი განლაგება ძალიან აადვილებს დაკვირვების პროცესს, იმიტომ რომ თითოეული კარავი გათვალის-წინებულია ზუსტად განსაზღვრულ ადამიანთა რაო-დენობაზე და ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, ვინმე არის თუ არა უცხო ან აკლია თუ არა ვინმე. ვინც თვითნებურად დატოვებს ბანაკს, ისევე დაისჯება, როგორც ბანაკიდან გაქცეული, უცხო ადამიანს კი უწ-ყობენ დაკითხვას, თუ ვინ არიან ისინი, რატომ მო-ვიდნენ ბანაკში და სხვა დანარჩენზე, რაც მათ ეხება.

ასეთი სიფრთხილის გამოჩენისას მოწინააღმდე-გეს გაუჭირდება შენი ჩანაფიქრის გაგება. კართაგენე-ლები უფრო ფრთხილები რომ ყოფილიყვნენ, კლავ-

დიუს ნერონი ჰანიბალის თვალწინ ვერ შეძლებდა შეუმჩნევლად გასვლას თავისი ბანაკიდან ლუკანიისკენ, ამის შემდეგ ლაშქრობის მოწყობას პიცენიუმში და ბანაკში უკან მობრუნებას ისე, რომ არანაირი ეჭვი არ გასჩენოდა მოწინააღმდეგეს (154). აქედან გამომდინარე, სამხედრო დისციპლინის ყველა კანონი უმკაცრესი უნდა იყოს, ხოლო მისი აღმსრულებლები – დაუნდობლები.

რომაელები სიკვდილით სჯიდნენ მათ, ვინც საგუშაგოზე დანაშაულს ჩაიდენდა, ვინც საბრძოლო პოსტს დატოვებდა, ვინც ფარულად რაიმე ნივთს გაიტანდა ბანაკიდან, ვინც ვითომდა ჩადენილი გმირობის გამო იტრაბახებდა, ვინც მეთაურის ბრძანების გარეშე ბრძოლაში თვითნებურად ჩაებმებოდა, ვინც შიშისგან იარაღს დაყრიდა. თუ კოჰორტა ან მთლიანი ლეგიონი ჩაიდენდა ასეთ რამეს, მათი დასჯის მიზნით, ტომარაში ჩაყრიდნენ ფურცლებს, რომელზეც ეწერა ყველა ჯარისკაცის სახელი; ტომრიდან კენჭისყრით ამოიღებდნენ ფურცლების მეათედ ნაწილს და ვისი სახელიც ამოვიდოდა, მათ სიკვდილით სჯიდნენ. ყველა არ ისჯებოდა, მაგრამ ამით ისინი უკვე მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ მსგავს შემთხვევაში მათაც იგივე სასჯელი ელოდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადაც მკაცრია სასჯელი, იქ განსაკუთრებით დაფასებული უნდა იყოს ჯარისკაცთა წახალისება; ჯარისკაცებს ერთდროულად ჯილდოს მიღების იმედიც უნდა ჰქონდეთ და სასჯელის შიშიც. ამიტომაც რომაელები უხვად აჯილდოებდნენ ბრძოლის დროს სიმამაცით გამორჩეულ მეომრებს: ვინც ბრძოლაში გადაარჩენდა თავის თანამებრძოლს, ვინც პირველი ავიდოდა მოწინააღმ-

დეგის ქალაქის კედელზე, ვინც პირველი შეიჭრებოდა მტრის ბანაკში, ვინც ბრძოლაში მოკლავდა ან დაჭრიდა მტერს, ვინც ცხენიდან ჩამოაგდებდა მოწინააღმდეგეს. გამარჯვება გამოიხატებოდა სხვადასხვა ფორმით: ეს იყო ტრიუმფი ან ოვაცია, ჯილდოს საჯაროდ გადაცემა, საყოველთაო ქება; დაჯილდოებულ ჯარისკაცებს უფლება ეძლეოდათ, სახლში დაბრუნებისას გამოეფინათ და ახლობლებისთვის ეჩვენებინათ ბრძოლებში მოპოვებული ჯილდოები.

რომაელებს ერთი განსაკუთრებული სასჯელი ჰქონდათ: თუ კონსული ან ტრიბუნი ამხელდა დამნაშავეს, ისინი მას მსუბუქად დაარტყამდნენ ჯოხს, ამის შემდეგ დამნაშავეს გაქცევის უფლება ეძლეოდა, ჯარისკაცები კი მას უნდა დადევნებოდნენ და მოეკლათ. იშვიათად ხდებოდა, რომ დამნაშავე ცოცხლად დარჩენილიყო. მას სახლშიც არ შეეძლო დაბრუნება, რადგან ახლობლები ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებით ხვდებოდნენ, რომ დამნაშავეს სიკვდილი ერჩია ასეთ სიცოცხლეს (155). ეს სასჯელი ნაწილობრივ გადაიღეს შვეიცარიელებმა, რომლებიც ბრძანებას აძლევდნენ თავიანთ ჯარისკაცებს, გასამართლებული თანამებრძოლები დაეხოცათ მთელი პირადი შემადგენლობის წინაშე. ჩანაფიქრით სასჯელის ეს ზომა მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო ეფექტურია მისი შესრულება. თუ თქვენ გსურთ, ხალხმა არ დამალოს დამნაშავე, საუკეთესო საშუალებაა, აიძულო ისინი, თვითონ დასაჯონ დამნაშავე. როცა ადამიანი თვითონ არის უშუალო დამსჯელი დამნაშავისა, მისი ინტერესი მსჯავრდებულის მიმართ და შურისძიებისკენ მისწრაფება სრულიად განსხვავებუ-

ლია იმ შემთხვევისგან, როდესაც განაჩენის აღსრულება სხვა პიროვნებას ევალება.

აქედან გამომდინარე, ხალხი რომ არ გახდეს დამნაშავის ხელშემწყობი, ამ შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს მსაჯულის ფუნქცია. ჩემი სიტყვების გასამყარებლად მოვიყვან მანლიუს კაპიტოლინუსის მაგალითს: სენატის მიერ სასამართლოს გადაცემულმა, თავშესაფარი ჰპოვა ხალხში; იმავე ხალხმა იგი სიკვდილით დასაჯა, როგორც კი მისი ბედის გადაწყვეტა მიანდეს. ხალხს უნდა გამოეტანა დასკვნა, თუ რა უფრო უკეთესი იქნებოდა მისთვის, დამნაშავისთვის ხელის დაფარება თუ მისი დასჯა (156). ამგვარი ქმედება, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მოსალოდნელი ბუნტის ჩახშობასა და მართლწესრიგის განმტკიცებას.

რომაელები დამნაშავის დასასჯელად რელიგიასაც იყენებდნენ და ამით აღწევდნენ იმას, რომ დამნაშავეს არა მხოლოდ კანონი სჯიდა, არამედ მას ღვთის რისხვაც ელოდა (157).

ბატისტა: რომაელები ჯარში გასართობად თუ იყენებდნენ ქალებსა და აზარტულ თამაშებს, როგორც ახლაა მიღებული?

ფაბრიციო: ისინი ორივეს მკაცრად კრძალავდნენ. რომაელ ჯარისკაცებს ინტენსიური, ყოველდღიური ვარჯიშებისა და მით უმეტეს საბრძოლო მოქმედებების დროს გართობისთვის პრაქტიკულად არ ეცალათ. ამგვარი სიამოვნება სიზარმაცისა და უსაქმურობისკენ უბიძგებს და, შესაბამისად, აჩენს მეთაურისადმი დაუმორჩილებლობისა და ამბოხების შესაძლებლობას (158).

ბატისტა: ეს ყველაფერი გასაგებია. ახლა კი მითხარით დეტალურად, როგორი თანმიმდევრობით ხდება ჯარების ბანაკიდან გაყვანა?

ფაბრიციო: რომაელები ამისთვის სამჯერ ჩაბერავდნენ საყვირს: პირველ სიგნალზე კარვებს შლიდნენ და საზიდრებზე აწყობდნენ; მეორე სიგნალზე ცხოველებს საპალნეს ჰკიდებდნენ; მესამეზე კი იწყებოდა მოძრაობა; ბანაკიდან პირველი გამოსვლას იწყებდა დამხმარე ბრიგადა თავისი აღალითა და საერთო აღალის მეოთხედი ნაწილი, შემდეგ – ჯარის ძირითადი ნაწილი, მისი ლეგიონები და ბოლოს, დარჩენილი აღალის კოლონა (159).

ბატისტა: რომაელებს ბანაკის მოწყობის საკითხში თუ გააჩნდათ სხვა წესები იმის გარდა, რაზეც თქვენ უკვე გვესაუბრეთ?

ფაბრიციო: კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ რომაელები ყოველთვის ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ ბანაკის მოწყობის ერთი და იგივე ფორმა. ეს მათთვის უმნიშვნელოვანესი პრინციპი იყო. ამას მოსდევდა ბანაკისთვის შესაფერისი ადგილის შერჩევა და ბანაკის მოწყობა იქ, სადაც მტერი ვერ შეძლებდა მათ ალყაში მოქცევას, ვერ შეუწყვეტდა მათ წყლითა და საკვებით მომარაგებას. ამ დროს ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად რომაელები გაურბოდნენ ჭაობიან და ქარიან ადგილებს და ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ფიზიკურ იერსახეს, აკვირდებოდნენ და ითვალისწინებდნენ იმას, იყვნენ თუ არა ისინი ფერდაკარგულნი, სუსტი და ავადმყოფური აღნაგობის და ა.შ. და შესაბამისად, ბანაკს მათგან შორს აწყობდნენ.

გასათვალისწინებელი იყო მტრის მხრიდან თავდასხმის შესაძლებლობაც. ამის გამო მხედართმთავარი უნდა ყოფილიყო ადგილმდებარეობის კარგი მცოდნე. სამხედრო ბანაკის ასაშლელად უმჯობესი იყო განთიადის პირი, ზამთარში კი ქარბუქის დრო, რათა მტერს ნაკლებად შეემჩნია ისინი. ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად ჯარისკაცებს არ უნდა დაელიათ მღვრიე წყალი. მეთაურისთვის მძიმე იყო ერთდროულად მტერთან და ავადმყოფობასთან ბრძოლა, ამიტომაც მკურნალობის პროცესი სწრაფი და შედეგიანი უნდა ყოფილიყო.

აქედან გამომდინარე, პროფილაქტიკისთვის ყველაზე კარგი იყო ჯარისკაცების ინტენსიური ფიზიკური ვარჯიშები. ასევე განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდებოდა ჯარისკაცების კვებას, რათა შიმშილისგან და შესაბამისად, დასუსტებისგან ყოფილიყვნენ დაცულნი. ჯარისკაცს უნდა გადასცემოდა ყოველდღიური საკვები და აქ არანაირი უწესრიგობა არ უნდა ყოფილიყო. წინასწარ უნდა განსაზღვრულიყო აუცილებელი საკვების მარაგი.

ნებისმიერ მტერს თუ შეუძლია შიმშილით მოგიღოს ბოლო, არ ეცდება ხმლით შენს დამარცხებას (160), თუმცა ეს გამარჯვება ნაკლებად ღირსეული იქნება, სამაგიეროდ, უფრო მშვიდი და უდანაკარგო. ძველი რომაელები ადგენდნენ ერთიან წესებს კვების რაციონის განსაზღვრისა და მისი მიღების პერიოდულობის შესახებ.

არც ერთ ჯარისკაცს არ ჰქონდა უფლება, მხედართმთავარზე ადრე მიეღო საკვები. ეს განამტკიცებდა მათ მოთმინებასა და გამძლეობას. სამწუხაროდ, თანამედროვე არმიებში ასე აღარ ხდება და

მებრძოლებში ადგილი აქვს უზნეობას, ღრეობასა და ლოთობას.

ბატისტა: ბანაკის მოწყობის აღწერისას თქვენ აღნიშნეთ, რომ მასში განათავსებდით არა 2, არამედ 4 ბრიგადას. აქედან გამომდინარე, მე მაინტერესებს, როგორ უნდა განლაგდნენ ბანაკებში მრავალრიცხოვანი ან პირიქით, ნაკლები რაოდენობის ადამიანები და რამდენი უნდა იყოს ბანაკში მებრძოლთა ოპტიმალური რაოდენობა, რაც საჭიროა ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან წარმატებული ბრძოლისთვის?

ფაბრიციო: პირველ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ თუ ჯარისკაცების რაოდენობა იქნება 4-6 ათასით მეტი ან ნაკლები, ამ შემთხვევაში უნდა დავამატოთ ან შევამციროთ რიგების რაოდენობა, სადაც კარვებია განთავსებული და ეს შეიძლება გაგრძელდეს დაუსრულებლად. როცა ორი კონსულის არმია ერთიანდებოდა, ისინი შესაბამისად თავსდებოდნენ ორ ბანაკში.

მეორე კითხვაზე ჩემი პასუხი ასეთია: ჩვეულებრივ, რომაულ ჯარში ჯარისკაცთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 24 ათას ჯარისკაცს. როდესაც მათ უწევდათ განსაკუთრებით ძლიერი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, გამოჰყავდათ ყველაზე მეტი, 50 ათასი ჯარისკაცი. ამ რაოდენობის მეომრებით შეებრძოლნენ ისინი 200 ათას გალს, რომლებიც პირველი პუნიკური ომის შემდეგ რომაელებს დაესხნენ თავს (161). რომაელ მებრძოლთა მაქსიმალური რაოდენობა გამოიყენეს ჰანიბალის წინააღმდეგ მეორე პუნიკურ ომში (162).

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ბერძნები და რომაელები, რომლებსაც გამორჩეული საბრძოლო წყობა და სამხედრო ხელოვნება ჰქონდათ, მრვალ-

რიცხოვანი მტრის წინააღმდეგ შედარებით მცირერიც-ხოვანი ძალებით იბრძოდნენ. სხვა ხალხები კი, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, მოქმე-დებდნენ დიდი ურდოებით, რომლებიც დასავლეთში გამოირჩეოდნენ აგრესიული თავშეუკავებლობით, აღმოსავლეთში კი – მეფისადმი ბრმა მორჩილებით. ძველ საბერძნეთსა და რომში არ იყო მტრისადმი თავშეუკავებელი ზიზღი და არც ხელისუფლები-სადმი ბრმა მორჩილება. მათი მთავარი ძალა იყო მკაცრი დისციპლინა, რის შედეგადაც წარმატებას აღწევდნენ მათზე ბევრად მრავალრიცხოვან მტერზე.

ამიტომაც მე უპირატესობას ვანიჭებ რომაელთა მაგალითს, რომლის მიხედვითაც, მეომართა რაოდე-ნობა არ უნდა ყოფილიყო 50 ათასზე მეტი. მრავლისმ-თქმელია ამ მხრივ პიროსის ცნობილი ფრაზა: „15 ათასი მეომრით მთელ მსოფლიოზე გავილაშქრებო“ (163).

ახლა გადავიდეთ სხვა საგანზე. ბრძოლის შედეგად გამარჯვების მოპოვების შემდეგ შეიძლება თავი იჩინოს მთელმა რიგმა გაუთვალისწინებელმა პრობლემებმა. ჩვენ გავეცანით მებრძოლებს ლაშქრო-ბების დროს და იქაც გამოჩნდა გარკვეული სირ-თულეები. და ბოლოს, ჩვენ განვიხილეთ ბანაკის მოწყობის საკითხი, სადაც მებრძოლებმა მძიმე ბრძოლების შედეგად სული უნდა მოითქვან და დაისვენონ. ამ დროს უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, თუ როგორ გააგრძელონ ან დაასრულონ ომი.

ამავე დროს აუცილებელია, გაჩვენოთ, თუ როგორ უნდა გადაილახოს სიძნელეები ისეთივე წარმატებით, როგორითაც ჩვენ მოვიპოვეთ გამარჯ-ვება მტრის წინააღმდეგ. მტრის შემოტევის შედეგად ინგრევა ქალაქის კედლები და მოქალაქენი მასობ-

რივად გარბიან ქალაქიდან. მათი რწმენის განსამტკიცებლად და მათ შესაჩერებლად შენ შეიძლება ტყუილიც კი გამოიყენო და შთაუნერგო ყველას, რომ ერთმანეთს მხარი არ დაუჭირონ. შეიძლება აგრეთვე ყველა მათგანს წაუყენო რაიმე მძიმე ბრალდება, რათა თითოეული მათგანი დარწმუნებული იყოს, რომ ეს მხოლოდ მას ეხება. ამრიგად, შენი გადაწყვეტილება ყველას მიერ იქნება შესრულებული ყოველგვარი ხმაურის გარეშე. თუ ეჭვი გაგიჩნდა მოსახლეობის შენდამი მტრულ დამოკიდებულებაში, უნდა აგრძნობინო მათ, რომ ისინი უსაფრთხოდ არიან, ამავე დროს მოულოდნელად უნდა ეცადო მათ ხელში ჩაგდებას; შენი ჩანაფიქრის დაფარვის მიზნით, მათ უნდა შეატყობინო რაიმე, შენი ჩანაფიქრისგან აბსოლუტურად განსხვავებული, მაგალითად, სთხოვო მათ დახმარება და შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოსდა მათ საწინააღმდეგოდ შენ არაფერი გამოძრავებს. ისინი ვერც კი მოიფიქრებენ თავდაცვის ორგანიზებას, რადგანაც დარწმუნებულნი იქნებიან, რომ შენ მათზე არ აპირებ თავდასხმას და შენი საქმეც მათი ყურადღების მიძინების წყალობით სწრაფად მოგვარდება.

თუ გრძნობ, რომ ჯარში გყავს გამცემი, რომელიც მტერს ატყობინებს შენს გეგმებს, უნდა ეცადო მისი სივერაგიდან რაიმე სარგებლის მიღებას და, შესაბამისად, შეატყობინო მას გამოგონილ ჩანაფიქრთან დაკავშირებით, ანდა ყურადღება გაამახვილო არარსებულ საფრთხეზე და ამით აგრძნობინო მას, რომ ნამდვილად გეშინია. მტერი, რომელიც დარწმუნდება, რომ იცის შენი ჩანაფიქრი, შესაბამისად არასწორ ნაბიჯს გადადგამს და ადვილად შეძლებ მის შეცდომაში შეყვანას და ამით გამარჯვების მოპოვებას.

თუ გსურს, კლავდიუს ნერონის მსგავსად, მტრისთვის შეუმჩნევლად მოკავშირეთა დასახმარებლად გადაიყვანო ჯარების ნაწილი (164), არ უნდა შეამცირო ბანაკის ზომები, ადგილზე უნდა დატოვო ყველა დროშა და კარავი, ასევე არ უნდა შეამცირო ცეცხლის კერების რაოდენობა და გუშაგთა რიცხვი. ასე უნდა მოიქცე მაშინაც, როდესაც შენ მიიღებ დამხმარე ძალას და გსურს მისი შენიღბვა; ამ დროს არ უნდა გააფართოვო ბანაკი, რადგანაც ყველაზე მომგებიანი ის არის შენთვის, რაც მტრისთვის დაფარულია.

როდესაც ერთხელ ლუციუს მეტელუსს, რომელიც ესპანეთში რომაულ ჯარებს სარდლობდა, ვიღაცამ ასეთი შეკითხვა დაუსვა: „რის გაკეთებას აპირებ ხვალ?“ მეტელუსმა მას უპასუხა: „ეს ჩემმა პერანგმა რომ იცოდეს, მაშინვე დავწვავ მას“. როდესაც მარკუს კრასუსს ერთმა მეომარმა ჰკითხა, „როდის გასცემდა შეტევაზე გადასვლის ბრძანებას“ – მან ასეთი პასუხი გასცა – „მარტო შენ არ გაიგებ შესაბამისი საყვირის ხმას“! (165).

მოწინააღმდეგის საიდუმლოს გამოცნობის მიზნით, ზოგიერთი მხედართმთავარი მათთან ელჩობას გზავნიდა, რომლებიც შენიღბულად ვითომცდა გამოცდილი მებრძოლების მსახურები იყვნენ. ისინი აკვირდებოდნენ მტრის ჯარების განლაგებას, არკვევდნენ, თუ რაში მდგომარეობდა მათი სიძლიერე და სისუსტე და საჭირო ინფორმაციების მოპოვების შემდეგ ხელს უწყობდნენ საბოლოო გამარჯვების მოპოვებას. ზოგიერთი მხედართმთავარი ტყვეების საშუალებით აგროვებდა საჭირო ინფორმაციას (166).

გაიუს მარიუსმა, რომელიც კიმბრებს ებრძოდა, ლომბარდიაში მცხოვრები რომის მოკავშირე გალების

ერთგულების გამოცდა გადაწყვიტა. მან გალებს ერთდროულად გაუგზავნა რამდენიმე წერილი, რომელთაგან ზოგიერთი დალუქული იყო. გახსნილ წერილში ატყობინებდა, გაეხსნათ დალუქული წერილები დათქმულ დროსა და ადგილზე. ამის შემდეგ მან დათქმულ ვადაზე ადრე გამოითხოვა უკან დალუქული წერილები, რომლებიც ვადამდე გახსნილი აღმოჩნდა. ამის შემდეგ მარიუსმა დაასკვნა, რომ გალებზე დაყრდნობა აღარ შეიძლებოდა (167).

ზოგიერთი მხედართმთავარი, იმის ნაცვლად, რომ მტერს შებრძოლებოდა, იწყებდა მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებადი მიწების დარბევას და მტერს აიძულებდა, წასულიყო საკუთარი საზღვრების დასაცავად. ეს მეთოდი ხშირად ამართლებდა, რადგანაც ის აჩვევდა ჯარისკაცებს წარმატებას, ამდიდრებდა მათ და უძლიერებდა გამარჯვების რწმენას. მოწინააღმდეგის ჯარისკაცები კი, პირიქით, ეცემოდნენ სულით და თავიანთ თავს წინასწარვე მიიჩნევდნენ არა გამარჯვებულად, არამედ დამარცხებულად. მრავალი მხედართმთავარი, რომელიც მიმართავდა მსგავს თარეშს, ხშირად აღწევდა წარმატებას. ფაქტია, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შენი ქვეყანა შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილია და მტერზე უკეთაა მომზადებული. სხვა შემთხვევაში შეიძლება საქმე ცუდად დამთავრდეს. ზოგჯერ ალყაში მოქცეული ჯარი მარჯვედ იყენებდა მტრის სიფხიზლის მოდუნებას, რომელიც ვითომდა დროებით დაზავებას თანხმდებოდა. სულამ ამ გზით ორჯერ შეძლო მოწინააღმდეგისგან თავის დახსნა, ასევე ჰასდრუბალმა მოახერხა კლავდიუს ნერონის ალყიდან თავის დაღწევა (168).

ამგვარ სიტუაციებში მისწრებაა, თუ საგონებელში ჩააგდებ მოწინააღმდეგეს შენი მოულოდნელი მოძრაობით. აქ შესაძლებელია ორიდან ერთი ვარიანტი: ან შენი მეომრების ნაწილი გადაიყვანო მოულოდნელ შეტევაზე, გაარღვიო მტრის ძალა და ამით გაუთავისუფლო სივრცე შენს დანარჩენ ძალებს ან მოიგონო ისეთი მოულოდნელი ფანდი, რაც მტერს გააოგნებს თავისი ფსიქოლოგიური ეფექტით და შეაშინებს მას. გაიხსენეთ ჰანიბალის საოცარი ქმედება, როდესაც მისი ჯარი ალყაში ჰყავდა მოქცეული ფაბიუს მაქსიმუსს, მან ხარების რქებზე ღამით ანთებული ჩირაღდნები დაამაგრებინა. როდესაც ფაბიუსმა იხილა ბღავილით მისკენ ზვავივით წასული ცეცხლოვანი მოძრავი მასა, ბრძოლისა და წინააღმდეგობის სურვილი საერთოდ დაკარგა და ჰანიბალმა მოახერხა ალყის უპრობლემოდ და ამავე დროს ეფექტურად გარღვევა (169).

გამარჯვების მისაღწევად ზოგიერთი მხედართმთავარი იყენებს მოწინააღმდეგე ძალის დანაწევრება-დაცალკევებასა და მის დისკრედიტაციას. მხედართმთავარმა უნდა გამოიყენოს მთელი თავისი ხელოვნება ანდა იპოვოს მეთოდი, რომელიც მტერს დაარწმუნებს თავისი უახლოესი გარემოცვის ორგულობაში. ეს კი მოწინააღმდეგე ძალის შესუსტების წინაპირობაა. პირველი მიზანი მიიღწევა მოწინააღმდეგის სარდლის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი უახლოესი პირებისადმი ყურადღების გამოჩენით. ეს საბოლოო გამარჯვებას შეუწყობდა ხელს. თქვენ გახსოვთ, რომ ჰანიბალს რომის შემოგარენის გადაწვისას ხელი არ უხლია მაქსიმუსის მიწებისთვის, რათა რომის მოქალაქენი ამის გამო მას (მაქსიმუსს –

ა.გ.) არ დაპირისპირებოდნენ. რომთან მიახლოებულ-მა კორიოლანოსმა მთლიანად გადაწვა პლებეების საკუთრება და დაინდო პატრიციების ქონება. ამით მან მათ შორის შუღლის ჩამოგდებას შეუწყო ხელი.

კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი, რომელიც ეომე-ბოდა იუგურთას, მის ყველა ელჩს სთხოვდა მეფის გაცემას. ამას შედეგად მოყვა ის, რომ იუგურთა აღარ ენდობოდა თავის ელჩებსა და მრჩევლებს და დაიწყო მათი ფიზიკური განადგურება.

როდესაც ჰანიბალმა თავშესაფარი ჰპოვა ანტიო-ქოსთან, ამ უკანასკნელთან რომაელმა ელჩებმა ისეთი მოლაპარაკებები გამართეს, რომ ანტიოქოსი დაფრთხა და არანაირ ყურადღებას აღარ აქცევდა ჰანიბალის რჩევებს (170).

მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, მოწინააღმ-დეგის ძალების დანაწევრების მიზნით, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მტრის კონტროლირებად მიწებზე შეჭრა და ამით მოწინააღმდეგის იძულება, მიატოვოს ბრძოლის ველი და დაიცვას თავისი მიწები. ასე მოიქცა ფაბიუსი, რომელიც ებრძოდა გალების, ეტრუსკების, უმბრებისა და სამნიტების გაერთიანებულ ძალებს (171). საინტერესო მაგალითს შემოგთავაზებთ ტიტუს დიდიუსზე, რომელიც მტერს შედარებით სუსტი ძალებით ებრძოდა და რომიდან ელოდებოდა დამხმარე ძალას. მაგრამ მტერმა გადაწყ-ვიტა მისთვის გზის ჩახერგვა. მდგომარეობის გან-სამუხტად კონსულმა თავის ჯარისკაცებს განუცხადა, რომ მეორე დღეს აპირებდა მტერთან გადამწყვეტ ბრძოლას; მან „გაქცევის“ საშუალება მისცა რამდენიმე ტყვეს, რომლებმაც თავისიანებს შეატყობინეს კონსულის ჩანაფიქრის შესახებ. მტერმა შეაჩერა გზის

ჩახერგვაზე დროის დაკარგვა და სასწრაფოდ ბრძოლისთვის დაიწყო მზადება. შედეგად კონსულმა უპრობლემოდ მიიღო დახმარება, მტრის ძალების დანაწევრების ნაცვლად საკუთარი ძალები გააორმაგა (172) და გამარჯვებაც მოიპოვა.

ზოგიერთი მეთაური მაქსიმალური მონდომებით ცდილობდა მოწინააღმდეგის ძალების დანაწევრება-დაქსაქსვას. ამ დროს ის მოწინააღმდეგეს აძლევდა საშუალებას, შემოსულიყო ქვეყნის სიღრმეში და ქალაქებსაც დაუფლებოდა, რათა შემდეგ მტრის ძალა გარნიზონების სახით დარჩენილიყო ქალაქებში, რის შედეგადაც მოწინააღმდეგის ძალთა საერთო რაოდენობა საბოლოო ჯამში შემცირდებოდა და დანაწევრდებოდა. ამას კარგად იყენებდნენ სარდლები, შეტევაზე გადადიოდნენ და წარმატებასაც აღწევდნენ. ზოგიერთი მეთაური ამზადებდა შეჭრას რომელიმე ოლქში და ამავე დროს ავრცელებდა დეზინფორმაციას იმის შესახებ, რომ მიზნად ჰქონდა სხვა მიმართულებით ლაშქრობა. ამას ისეთი ოსტატობით აკეთებდნენ და ისე მოულოდნელად ატყდებოდნენ თავს მტერს მათი ძირითადი გეგმის შესაბამისად, რომ მტერი გონს მოსვლას ვერ ასწრებდა და წინააღმდეგობის გაწევის უნარიც აღარ ჰქონდა. მტერი დაბნეული იყო, ის ფიქრობდა, რომ მოწინააღმდეგე შეიძლებოდა იქ გამოჩენილიყო, სადაც ელოდებოდნენ, ამის გამო იქაც საკმაოდ სერიოზულ ძალას ტოვებდნენ და, საბოლოო ჯამში, ვერც ერთი მხარის გადარჩენას ვეღარ ახერხებდნენ.

კარგმა მხედართმთავარმა უნდა მოაგვაროს ჯარისკაცებს შორის არსებული უთანხმოება, გამოავლინოს და დასაჯოს ორგანიზატორები. თუ ჯარის-

კაცებს დაპირისპირება აქვთ ერთმანეთში, უმჯობესია მათი დაუყოვნებლივ გაგზავნა ფრონტის ხაზზე. მოსალოდნელი ხიფათი სწრაფად აგვარებს მათ შორის არსებულ შუღლს და მებრძოლების ერთიანობას უწყობს ხელს. ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ მეომრებში ერთიანობის სულისჩამდგმელი მხედართმთავრის ავტორიტეტია. მას უფლება აქვს, დასაჯოს ჯარისკაცი და წაახალისოს, მისცეს ხელფასი. თუ არ არის ხელფასი, მაშინ სასჯელიც არ უნდა არსებობდეს. ჯარისკაცს თუ არ უხდიან ხელფასს, არ შეიძლება ძარცვისთვის მისი დასჯა, რადგანაც მას და მის ოჯახს თავის რჩენის პრობლემა ექნებათ. თუ ჯარისკაცს ხელფასს აძლევ და საჭიროების დროს არ სჯი, მაშინ ის თავხედდება და ანგარიშს აღარ უწევს მეთაურს. შენ მას ვეღარ აიძულებ, პატივისცემით მოგეპყროს, უპატივცემულობა კი იწვევს ქაოსს, ბუნტს, რაც საბოლოოდ ჯარის გადაგვარებასა და მის დაშლას განაპირობებს.

ძველი ეპოქის მხედართმთავრებს მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად ჰქონდათ ისეთი დამატებითი საფიქრალი, რომლისგანაც თანამედროვე მებრძოლები თავისუფალნი არიან. ეს ძირითადად ეხებოდა ცრურწმენებს; მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბანაკში უცაბედად ჩამოვარდნილი ისარი, მზის ან მთვარის დაბნელება, მიწისძვრა, სარდლის ცხენიდან ჩამოვარდნა და სხვა მრავალი მოვლენა და უცაბედი შემთხვევა. ყოველივე ეს ცუდ ნიშნად ითვლებოდა, რაც გადაიზრდებოდა საყოველთაო პანიკასა და შიშში და უმეტეს შემთხვევაში, მარცხის მიზეზი ხდებოდა. ასეთ დროს დიდი მხედართმთავრები ცდილობდნენ

და ახერხებდნენ კიდეც სიტუაციის მათთვის სასარგებლოდ შემობრუნებას. მაგალითად, აფრიკაში ჩასული კეისარი მოულოდნელად ცხენიდან ჩამოვარდა; მან მომენტალურად წამოიძახა: „მე შენ დაგიპყარი, აფრიკა“ (173). ამ შემთხვევაზე ჯარისკაცებმა აღფრთოვანება გამოხატეს და დამუხტულები საბრძოლველად მოემზადნენ. მხედართმთავრების უმეტესობა ჯარისკაცებს უხსნიდა მიწისძვრის, მზისა და მთვარის დაბნელების მიზეზებს. დღეს ეს საკითხები ნაკლებად აქტუალურია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი რელიგია (ქრისტიანობა – ა.გ.) გამორიცხავს ამგვარი შიშების არსებობას.

თუ შენკენ დაიძრა გამძვინვარებული მტრის ჯარი, რომელიც დამშეულია, გაჭირვებულია, უმჯობესია, დარჩე ბანაკში და, რამდენადაც შესაძლებელია, ეცადო ბრძოლის თავიდან არიდებას. ასე მოიქცა კეისარი, როცა ის ებრძოდა სამოქალაქო ომის დროს პომპეუსის მომხრე ლუციუს აფრანიუსსა და მარკუს პეტრეიუსს (174).

კონსული ფულვიუსი, რომელიც კიმბრებს ებრძოდა, რამდენიმე დღის განმავლობაში მათთან წვრილ-წვრილ შეტაკებებს აწარმოებდა; ამ დროს მან დაადგინა, რომ თითოეული შეტაკების შემდეგ მტრის გარკვეული ძალა ბანაკიდან გამოდიოდა და მტრის დადევნებას იწყებდა. ამის გათვალისწინებით მან მოაწყო ჩასაფრება და ასე განახორციელა შეტევა მტრის კავალერიაზე. როდესაც მტერმა დადევნება დაიწყო, ფულვიუსმა გამოიყენა ჩასაფრებული ძალები და მტერი დაამარცხა (175).

გამარჯვების მოპოვებაში სასარგებლო და აუცილებელი იყო სხვადასხვა ეშმაკობის გამოყენება. მაგალითად, მტრის წინაშე მყოფი ზოგიერთი სარდალი თავის მებრძოლებს აძლევდა მტრის დროშის მსგავს დროშებსა და რაზმს ამ დროშით გზვნიდა საკუთარ მიწებზე, მტერი თვლიდა, რომ დამხმარე ძალა გამოჩნდა მის დასახმარებლად და იწყებდნენ მოძრაობას მათთან შესაერთებლად, რაც საბოლოო ჯამში მტრის ძალების დაქსაქსვასა და მათ დამარცხებას იწვევდა. ასეთ მეთოდს წარმატებით იყენებდა ეპირის მეფე ალექსანდრე ილირიელებთან ბრძოლის დროს და სირაკუზელი ლეპტინესი კართაგენელების წინააღმდეგ (176). ზოგიერთი მხედართმთავარი კი ასეთ ხერხს მიმართავდა: შეგნებულად უგდებდა მტერს ხელში საქონლის ფარას, დიდი რაოდენობით საკვებსა და სასმელს. ამას კი შედეგად მოყვებოდა ხოლმე მტრის ნაყროვანება და სიმთვრალე, რაც მის ადვილად დამარცხებას უწყობდა ხელს. ეს ხერხი გამოიყენა ტამირისმა კიროსის წინააღმდეგ და ტიბერიუს გრაკხუსმა ესპანელებთან ბრძოლაში. ზოგიერთები კი უფრო „იოლ“ გზას ირჩევდნენ, წამლავდნენ ღვინოსა და საკვებს (177).

მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად გამოიყენებოდა აგრეთვე მტრისთვის ნაცნობი რომელიმე წეს-ჩვეულების მოულოდნელად შეცვლა. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი სარდალი, კერძოდ, კართაგენელი მაჰარბალი აფრიკელებთან ბრძოლისას მტრის მიახლოების შესახებ თავისიანებს ატყობინებდა ღამით - ცეცხლის

ანთებით, დღისით კი – ხშირი კვამლით. მან ბრძანება გასცა, განუწყვეტლივ მიეცათ ორივე ნიშანი ერთდროულად, როგორც კი მტერი გამოჩნდებოდა. მოახლოებულმა მტერმა ჩათვალა, რომ მისი გადაადგილება მოწინააღმდეგისთვის შეუმჩნეველი იყო; შედეგად მტერმა სრულად მოადუნა სიფხიზლე და მარცხი განიცადა (178).

მოწინააღმდეგის გამაგრებული პოზიციიდან გამოტყუების მიზნით მემნონ როდოსელმა მასთან გაგზავნა ჯარისკაცი, რომელიც ვითომ მტრის მხარეზე იყო გადასული. მან მოწინააღმდეგეს მიაწოდა ცნობა, რომ მათ ჯარში დაიწყო ამბოხება და მათმა დიდმა ნაწილმა უარი თქვა სამხედრო სამსახურის გაგრძელებაზე. მემნონმა მოაწყო მოჩვენებითი ამბოხება, მოწინააღმდეგემ გადაწყვიტა ამ ვითარების გამოყენება, მაგრამ სასტიკად დამარცხდა (179).

ბრძოლის დაწყების წინ ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოწინააღმდეგე არ მივიდეს უკიდურეს გამძვინვარებამდე. ეს კარგად ესმოდა იულიუს კეისარს. მან შეამჩნია, რომ უკან დახევის შეუძლებლობა გერმანელებს აიძულებდათ, თავგანწირვით ებრძოლათ. ამის გათვალისწინებით, მან გზა გაუხსნა გერმანელებს, რითაც შეასუსტა მათი აგრესიულობა, აირიდა ზედმეტი მსხვერპლი და მშვიდად დაედევნა მათ (180).

ერთხელ რომის კონსულმა ლუკულუსმა ბრძოლის დაწყების წინ შეამჩნია, რომ მისი ჯარის ნაწილი, მაკედონიური კავალერია მტრის მხარეზე გადავიდა. მან შეტევის დაწყების ბრძანება გასცა და ჯარისკაცებს

დაავალა, სწრაფად უკან მიჰყოლოდნენ მოღალატეებს. მოწინააღმდეგემ რომ დაინახა შეტევაზე გადასული ლუკულუსი, მანაც გამძვინვარებით შეუტია მაკედონელებს. ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ, ბრძოლა მიეღოთ და თავი დაეცვათ; გაქცეულებიდან ისინი უნებურად მამაც მებრძოლებად იქცნენ (181).

საერთო წარმატების მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანია, წინასწარ აიღო ის ქალაქი, რომელსაც არ ენდობი. ამ მხრივ არაერთი საინტერესო მაგალითი გვხვდება. გნეუს პომპეუსმა, რომელიც არ ენდობოდა კატინას მცხოვრებლებს, ქალაქს სთხოვა, რამდენიმე ავადმყოფი ჯარისკაცი მკურნალობის მიზნით შეეშვათ ქალაქში. ამ ფანდით მან საკმაოდ ძლიერი ძალა შეგზავნა ქალაქში და აიღო კიდეც.

ალექსანდრე მაკედონელმა, აზიაში ლაშქრობის დაწყებისას, თრაკიელების მხრიდან პრობლემები რომ არ ჰქონოდა, მათი ყველაზე წარჩინებული მოქალაქეები თავის ჯარში მაღალ სამხედრო თანამდებობებზე დანიშნა. ამ გზით თრაკიული არისტოკრატია დაიმორჩილა და მათი მხრიდან რაიმე მოსალოდნელი ან გაუთვალისწინებელი საფრთხეები გამორიცხა (182).

სამხედრო წარმატების მისაღწევად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა შენს მხარეზე მოწინააღმდეგის მომხრე ხალხების გადმობირება. ამის მაგალითი გვაჩვენა სციპიონმა ესპანეთში, რომელმაც მამას და ქმარს დაუბრუნა დატყვევებული შვილი და ცოლი. ამით მან, როგორც ღირსეულმა რომაელმა, იარაღის გარეშე დააჩქარა ესპანეთის დაპყრობა. იულიუს კეისარმა გალიაში მოჭრილი ხეებისთვის

ფული გადაიხადა, რათა ხის მასალა თავისი ბანაკის მოსაწყობად გამოეყენებინა. ამ ფაქტმა მას სამართლიანი ადამიანის სახელი შეუქმნა და მის მიერ შემდგომ დაპყრობებს შეუწყო ხელი (183).

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად გიამბეთ ყველაფერი, რაც შემეძლო, ახლა კი გადავალ ციხესიმაგრეთა და სხვა დამცავ ნაგებობათა დაცვაზე და, შესაბამისად, ალყის გამოყენების წესებზე.

ბატისტა: აღფრთოვანებულები ვართ თქვენი დახვეწილი, საქმიანი საუბრებით, რომლებიც შეუცვლელია. ჩვენ კვლავაც დიდი სიამოვნებით მოგისმენთ და მანამდე გთხოვთ, გვიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე: საომარი ოპერაციები უნდა გაგრძელდეს თუ არა ზამთარში, როგორც ამჟამად არის მიღებული, თუ მხოლოდ ზაფხულში და ზამთარში შეწყდეს სამხედრო აქტივობები, როგორც ეს ძველ დროში ხდებოდა?

ფაბრიციო: აი, რას ნიშნავს, როცა ადამიანი ჭკვიანურ კითხვას სვამს. მე შეიძლება ეს მნიშვნელოვანი თემა გამომრჩენოდა. ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ ძველები ჩვენზე უკეთესად და მეტი სიფრთხილით მოქმედებდნენ. თუ სამოქალაქო საკითხებში ჩვენ შედარებით ნაკლებ შეცდომებს ვუშვებთ, სამხედრო საქმეში პირიქით ხდება, თითქმის ყოველდღიურად გვაქვს ხარვეზები. ძალზე სახიფათოა ზამთარში ომი, თანაც შეტევაზე მყოფისთვის ის უფრო სახიფათოა, ვიდრე თავდაცვაზე მყოფთათვის (184). საქმე ძირითადად იმაშია, რომ სამხედრო დისციპლინის მთელი სიმკაცრე საჭიროა მხოლოდ იმისთვის, რომ ჯარი იყოს სრულ წესრიგში,

როდესაც ბრძოლის საათი დადგება. აი, ის ძირითადი მიზანი, რომლისკენაც უნდა მიილტვოდეს ნების-მიერი მხედართმთავარი, რადგანაც ბრძოლა ეს არის ომის მოგების ან წაგების ძირითადი, ზოგჯერ გადამწყვეტი ნაწილი.

ვისაც გააჩნია გამორჩეული დისციპლინა, ის იღებს მოწინააღმდეგეზე უპირატესობას და ახლოს არის გამარჯვებასთან. გარდა ამისა, სამხედრო საქმეში ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებას განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. მაგალითად, არასწორ ანდა უსწორმასწორო ადგილზე ჯარების მანევრირების ტემპი ნელდება. ასევე ძალზე უარყო-ფითად მოქმედებს საბრძოლო ოპერაციების დროს ყინვიანი ამინდები. უნდა გაგახსენოთ, რომ 1503 წლის ომში გარილიანოსთან ბრძოლაში ფრანგები დაა-მარცხა ზამთარმა და არა ესპანეთმა (185). (1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომში, რუსეთის მკაცრმა კლი-მატმა ზამთრის ბრძოლების მიმდინარეობისას სა-სიკვდილო დარტყმა მიაყენა ნაპოლეონ ბონაპარტეს ჯარებს – ა.გ.).

უკვე მოგახსენეთ, რომ შეტევაზე მყოფისთვის განსაკუთრებით არახელსაყრელია მძიმე კლიმატური პირობები. დაცვაზე მყოფ ძალას შეუძლია მისთვის ხელსაყრელ პოზიციაზე განლაგება და ამინდისგან შეწუხებული მტრის უკეთესად დახვედრა. ყინვისგან შეწუხებული, გათოშილი მტერი ნაკლებად ეფექტურ ძალას წარმოადგენს. ასე დაემართათ ფრანგებს და დაემართება ყველას, ვინც მკაცრ ზამთარში განა-

ხორციელებს ფხიზელ მოწინააღმდეგეზე შეტევას. ამიტომ ყველა ჭკვიანი სარდლის ვალია, წინააღმდეგი იყოს ზამთრის სამხედრო ოპერაციისა. რომაელები მაქსიმალურად ერიდებოდნენ ბრძოლებს ზამთარში, განსაკუთრებით, მაღალ მთიანეთში და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, განსაკუთრებით, ცუდი ხილვადობისას და ყველა იმ ვითარებაში, სადაც მათ სამხედრო ხელოვნებას ხელი შეეშლებოდა. მე მგონი პასუხი ამ შეკითხვაზე საკმარისია. ახლა კი გადავიდეთ ციხესიმაგრეთა დაცვასა და საალყო ხელოვნებაზე.

თავი VII

ფაბრიციო: პირველ რიგში საჭიროა იმის ცოდნა და გათვალისწინება, რომ ქალაქსა და ციხესიმაგრეს სრულყოფილებას სძენს მაღალი დონის არქიტექტურა და ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შესაბამისი გარემო (186). ციხესიმაგრის აგება განსაკუთრებით მომგებიანია, თუ მშენებლობის სავარაუდო ადგილთან ახლოს მდებარეობს მდინარე, ტბა ან ჭაობი, მანტუისა და ფერარის მსგავსად, ანაც აგებულია კლდეზე ან მაღალ მთაზე ისე, როგორც მონაკოსა და სან-ლეოში.

ამავე დროს თუ სიმაგრეები აგებულია მაღალ ადგილზე და მისადგომადაც ადვილია, ისინი ზოგადად სუსტ სიმაგრეებად ითვლებიან, განსაკუთრებით ადვილია მისი განადგურება თანამედროვე ზარბაზნებისთვის. სიმაგრის აგების დროს მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს კედლების აშენება ტეხილი ხაზის ფორმით, რაც მტერს ციხის აღებაში შეუშლის ხელს (187). თუ კედელი მაღალია, კარგი სამიზნეა საარტილერიო ცეცხლისთვის; თუ დაბალია, მაშინ ადვილდება მისი აღება. თუ ციხის კედლების ირგვლივ წყლის არხებია ციხეზე დაწოლის შესაკავებლად, მრავალრიცხოვან მტერს შეუძლია მისი ამოვსება, რაც ხელს შეუწყობს ციხის აღებას.

მიმაჩნია, თუმცა შეიძლება მცდარიც იყოს ის მოსაზრება, რომ ამ საფრთხეების გათვალისწინებით უმჯობესია მაღალი კედლების აგება და წყლის არხების გაყვანა კედლების შიგნით და არა გარედან.

ძალიან მაღალი კედლები ციხესიმაგრეს იცავს არტი-ლერიისგან და ზემოდან მეციხოვნეთა გამუდმებული თვალთვალი მტერს არხების მიწით ამოვსების საშუალებას არ მისცემს.

ციხესიმაგრის კედლებზე კოშკები ერთმანეთის-გან 200 წყრთის მანძილით უნდა იყვნენ დაშო-რებულნი. რაც შეეხება წყლის არხებს, ყოველ 200 წყრთაში უნდა იყოს ზარბაზნებით აღჭურვილი კაზემატი (ფრ. Casemate-სამხედრო-თავდაცვითი, მი-წისქვეშა ან მიწისზედა ნაგებობა – ა.გ.), რომელიც გაანადგურებს ყველას, ვინც ეცდება არხში ჩასვლას. მსხვილკალიბრიანი ზარბაზნები, რომლებიც ქალაქს იცავენ, თავსდება კედლებს შიგნით და ისინი შესა-ბამისად კეტავენ არხს. გარე კედლების დასაცავად უმჯობესია მცირე და საშუალო სიდიდის ზარბაზ-ნების გამოყენება.

თუ მტერი დაიწყებს ციხესიმაგრეზე შეტევას, მას შეაკავებს მაღალი გარე კედელი. არტილერიის გამო-ყენების შემთხვევაში მტერმა გარე კედლების დანგ-რევა უნდა დაიწყოს. მაგრამ ამით ისიც ზარალდება, რადგანაც კედელი ნგრევას იწყებს იმ მხარეს, საიდანაც სროლა ხორციელდება და იწყება ქვების ინტენსიური ცვენა, აქედან გამომდინარე, შემტევი ძალის წინ წაწევა ძნელდება. ამ დროს რჩება გამო-სავალი – არხის ამოშრობა, რომელიც არ არის მარტივი შესასრულებელი; ჯერ ერთი, არხი არის განიერი და ღრმა და მეორეც, სროლისა და ნგრევის შედეგად ჩამოყრილი ლოდები გადაადგილების პრობლემას ქმნიან. ამიტომაც, ციხესიმაგრე ჩემი შემო-თავაზებული წინადადების მიხედვით უნდა აიგოს, რათა მაქსიმალურად მიუდგომელი იყოს მტრისთვის.

ბატისტა: ჩვენი ციხესიმაგრე ხომ უფრო ძლიერი იქნება, თუ შიდა თხრილების პარალელურად თხრილებს ამოვთხრით კედლის გარეთაც?

ფაბრიციო: რა თქმა უნდა, უკეთესია, მაგრამ თუ მხოლოდ ერთ თხრილზეა საუბარი, უმჯობესია მისი შიდა მხარეს გაკეთება.

ბატისტა: თქვენ როგორ თხრილს ანიჭებთ უპირატესობას, წყლით სავსეს თუ მშრალს?

ფაბრიციო: ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგალითად, წყლით სავსე თხრილი ხელს უშლის მის ქვეშ ხვრელის გაყვანას. მიუხედავად ამისა, პირადად მე უპირატესობას მივანიჭებდი მშრალ თხრილს იმიტომ, რომ ის უფრო უსაფრთხოა. იყო შემთხვევები, როდესაც წყლით სავსე თხრილები ზამთარში გაიყინა და მტრის მიერ ქალაქის აღებას შეუწყო ხელი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პაპ იულიუს მეორის მიერ მირანდოლას ალყაში მოქცევა (188).

ქალაქის დამცველებს მე ყოველთვის ვურჩევ ერთს: არ ააგონ ცალკეული ბასტიონები მთავარი კედლის გარეთ. ციხესიმაგრის მშენებლებს ამავე დროს ვურჩევ, ციხის შიგნით არ მოაწყონ გამაგრებული ნაგებობები, სადაც მოწინავე კედლის დანგრევის შემდეგ უნდა განთავსდეს გარნიზონი. მოწინააღმდეგე ყოველთვის შეძლებს მის აღებას. დღევანდელ დღეს აზრს კარგავს წვრილი ნაგებობების დაცვა, მით უმეტეს, თუ ისინი მოქცეული არიან არტილერიის ცეცხლის ქვეშ. შესაბამისად, ბასტიონების აღება შეიძლება იქცეს ციხესიმაგრის საბოლოო აღების დასაწყისად. როდესაც გენუელები აღსდგნენ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკოს წინააღმდეგ, მათ

ბორცვებზე აღმართეს რამდენიმე ბასტიონი, რომელიც მტერმა იგდო ხელთ; ამას შედეგად მოჰყვა მთელი ქალაქის აღება (189).

ახლა განვიხილოთ მეორე რჩევა. მე ვამტკიცებ, რომ ყველაზე დიდი ხიფათი ციხესიმაგრის დაცვის დროს ეს არის მასში ისეთი ნაგებობის არსებობა, სადაც შეგიძლია უკან დახევის დროს გამაგრდე პირველი მიწა-ყრილის დაკარგვის შემდეგ. თუ ჯარისკაცები თავის გადარჩენას ეცდებიან და ამ დროს თავდაცვით ზღუდეებს მტერს დაუთმობენ, ამ შემთხვევაში თავს ვეღარ დაიცავენ და ამ დანაკარგმა შეიძლება მთლიანი ციხესიმაგრის დაკარგვა გამოიწვიოს. შემიძლია კიდევ ერთი მაგალითი მოგიყვანოთ: გავიხსენოთ ფორლის ციხესიმაგრის აღება, სადაც გრაფინია კატარინა ცდილობდა პაპ ალექსანდრე VI-ის ვაჟისგან, ჩეზარე ბორჯასგან თავის დაცვას, რომელიც ფრანგ მეომრებს ედგა სათავეში. ციხეში იყო ბევრი ნაგებობა, სადაც შეიძლებოდა უკან დახევის დროს თავის შეფარება. იქ იდგა ციტადელი, რომელიც ციხესიმაგრისგან თხრილით იყო გამოყოფილი და მასზე ასაწევი ხიდი იყო გადებული. ციხესიმაგრე იყოფოდა 3 ნაწილად, რომელიც წყლის არხებით იყო ერთმანეთისგან განცალკევებული და ხიდებით იყო შეერთებული. ჰერცოგის არტილერიამ ერთ-ერთი ნაწილის კედელს ბზარი გაუჩინა, სადაც დიდი ხვრელი გაჩნდა. ციხის კომენდანტმა ჯოვანი დი კაზალემ არც კი სცადა ამ დაზიანებული ადგილის დაცვა და სამხედრო ძალა გადაიყვანა სხვა ნაგებობებისკენ. ჰერცოგის ჯარისკაცებმა უპრობლემოდ შეაღწიეს ამ ხვრელით ციხის ძირითად ნაწილში, ხელთ

იგდეს ხიდები და მთლიანად დაეუფლნენ ციხე-სიმაგრეს (190).

ასე დაეცა თითქოსდა აუღებელი ციხესიმაგრე, რასაც ხელი შეუწყო ორმა მიზეზმა: 1) მასში ბევრი იყო უსარგებლო შიდა ნაგებობა; 2) ცალკეულ ნაწილებს არ ჰქონდათ ტექნიკური საშუალება, დროულად და დამოუკიდებლად აეწიათ ხიდები. ცუდად აგებულმა ციხესიმაგრემ და კომენდანტის უნიჭობამ დაღუპა მამაცი გრაფინია, რომელმაც გადაწყვიტა მტრის წინააღმდეგ ბრძოლა და ეს მაშინ, როდესაც ვერ გაბედეს ამ მტერთან შერკინება ვერც ნეაპოლის მეფემ და ვერც მილანის ჰერცოგმა (191). მართალია, გრაფინიამ ვერ მიაღწია გამარჯვებას, სამაგიეროდ, მას მოუპოვა დიდი ავტორიტეტი, რაც გამოიხატა მისდამი მიძღვნილ სახოტბო ლექსებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ მე გადავწყვეტდი ციხესიმაგრის აგებას, მას აუცილებლად შემოვავლებდი მყარ კედლებს თხრილებთან ერთად. ციხის შიგნით განვათავსებდი მხოლოდ საცხოვრებელ, დაბალ ნაგებობებს, რომლებიც ცენტრში მყოფ კომენდანტს ხელს არ შეუშლიდა, სრულად გაეკონტროლებინა შიდა სივრცე და სიტუაციის გამწვავებისთანავე მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. თითოეულ ჯარისკაცს ჩავაგონებდი, რომ კედლებისა და თხრილების დაკარგვა ციხის დაღუპვას გამოიწვევდა. შიდა თავდაცვითი ოპერაციების დროს მე საშუალებას მივცემდი ციხის თითოეულ ნაწილს, დამოუკიდებლად აეწია და გამოეყენებინა ხიდები.

ბატისტა: თქვენ ბრძანეთ, რომ ჩვენს დროში შეუძლებელია წვრილი ნაგებობების ეფექტური

დაცვა. მე კი მსმენია, რომ რაც უფრო მცირე სიდიდისაა ნაგებობა, მით უფრო ადვილია მისი დაცვა.

ფაბრიციო: დღეს გასათვალისწინებელია არტილერიის დამანგრეველი ძალა, რომელიც ძველ დროში არ არსებობდა. ამავე დროს მხოლოდ ერთი მიწაყრილისა და კედლის არსებობა ძალიან დიდი შეცდომაა. ჩვეულებრივ, ბასტიონს არ გააჩნია ორმაგი მიწაყრილი და ამიტომაც სწრაფად ხდება მისი დაცემა (მე ვიყენებ სიტყვა „ჩვეულებრივს“, რადგანაც დიდი მასშტაბის შემთხვევაში ეს უკვე იქნება ციხესიმაგრე).

ამიტომაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უარი ვთქვათ ამგვარ ბასტიონებზე; სამაგიეროდ, უნდა გავამაგროთ ციხესიმაგრეში შესასვლელი რაველინებით (192), რომლის დროსაც შეუძლებელი იქნება მასში პირდაპირი შესვლა ან გამოსვლა. რაველინი ჭიშკრისგან გამოყოფილია თხრილითა და ასაწევი ხიდით და კარი ამავე დროს დაცულია ჩამოსაწევი გისოსებით, რომლის უკანაც შესაძლებელია ჯარისკაცების დამატებითი ჩასაფრების მოწყობა, რათა მტერს არ მიეცეს სიმაგრეში შეჭრის საშუალება. ეს გისოსები ძველ დროში სპეციალურად ამ დატვირთვით გამოიყენებოდა (193). საქმე იმაშია, რომ ამ დროს არ შეიძლება ასაწევ ხიდებზე ან ჭიშკარზე დაყრდნობა, რადგანაც ისინი ამ დროს სავსეა გაქცეული და პანიკაში ჩავარდნილი ადამიანებით.

დაცვისთვის გამოყენებული უნდა იყოს მძიმე ასაწევი კარი, რომლის შესაბამისმა სისქემ უნდა შეაკავოს და ხელი შეუშალოს ზარბაზნის ჭურვებს.

ბატისტა: მე მინახავს მასიური კარი, რომელიც გერმანიაში მზადდება რკინის ძელებისგან და

გისოსების ფორმა აქვს. მაინტერესებს, რომელია უკეთესი?

ფაბრიციო: კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ძველი ეპოქის სამხედრო მიღწევები მთელ მსოფლიოშია აღიარებული და დაფასებული მაშინ, როდესაც იტალიაში ისინი საერთოდ მივიწყებულია. თქვენ შეიძლება გახსოვდეთ, თუ როგორი სუსტი იყო ჩვენი ციხესიმაგრეები მანამ, სანამ შარლ VIII-მ არ ილაშქრა იტალიაში 1494 წელს (194). ციხის კედლების კბილანების სისქე შეადგენდა არა უმეტეს ნახევარ წყრთას, სათოფურები და ამბრაზურები მზადდებოდა გარედან წვრილი და შიგნიდან ფართო ფორმისა. ასეთი წესით დამზადებული წვრილი კბილანები და თხელი ამბრაზურები ადვილად ნადგურდებოდა.

ჩვენ ფრანგებისგან ვისწავლეთ მსხვილი და მყარი კბილანების დამზადება. ფრანგებს სამხედრო საქმეში ბევრი კარგი რამ გააჩნიათ, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევდით და ვერ ვაფასებდით. როცა ჩვენი გისოსებია ჩამოშვებული, თქვენ შეგიძლიათ დადგეთ მის უკან, მაგრამ ვერ მიაყენებთ ზიანს მოწინააღმდეგეს, რომელიც ძალიან სწრაფად ანადგურებს მტერს ცეცხლითა და მახვილით. და პირიქით, ამ მიზნით თუ გამოვიყენებთ სქელ კარებს, რომელსაც გისოსების ფორმა აქვს, თქვენ შეძლებთ თავდაცვას შუბებითა და სხვა დამცავი იარაღით, რომლებსაც გისოსებს შორის ნახვრეტებში გამოიყენებთ.

ბატისტა: იტალიაში მე დავაკვირდი კიდევ ერთ უცხოურ წესს, კონკრეტულად კი ლაფეტის ისეთ მოწყობილობას, სადაც ბორბლის ღეროები დაქანებულია საფეხურისკენ. მე მაინტერესებს იმის ცოდნა, თუ რატომ კეთდება ეს. ჩემი აზრით, ლაფეტის

ბორბლები უფრო მტკიცეა, თუ მათი დამაკავშირებელი ღეროები ჩამაგრებულია შვეულად, მსგავსად ჩვენ მიერ გამოყენებული ჩვეულებრივი ბორბლებისა.

ფაბრიციო: არ იფიქროთ, რომ უარვყოფ ჩვეულებრივ ნიმუშს ანდა ვამტკიცებ იმას, თითქოს ფრანგები ამას გარეგნული ეფექტისთვის ამზადებენ. სადაც საჭიროა სიმტკიცე, იქ სილამაზეს ყურადღება არ ექცევა. საქმე იმაშია, რომ ფრანგული ლაფეტების ბორბლების გამძლეობა და სიმყარე ჩვენზე უკეთესია. ვეცდები ახლავე აგიხსნათ. როდესაც ლაფეტი მოძრაობს ორთვალა საზიდარზე, ის ან სწორედ მიდის ან იხრება რომელიმე მხარეს. თუ ის სწორად მოძრაობს, მისი სიმძიმე გადანაწილებულია ბორბლებს შორის თანაბრად და ამიტომაც განსაკუთრებული გადატვირთვა მათ არ სჭირდებათ; როდესაც ლაფეტი გადახრილია, მთელი სიმძიმე გადადის მის ერთ ბორბალზე. თუ ღეროები ჩამაგრებულია შვეულად, ისინი შეიძლება ადვილად გადატყდეს, რადგანაც დახრილია ბორბალთან ერთად და სიმძიმეც არათანაბრად ნაწილდება.

ამრიგად, საზიდრის ჩვეულებრივი ბორბალი უფრო მყარადაა, თუ ლაფეტის გადაადგილება ხდება პირდაპირი მიმართულებით და ტვირთი თანაბრად არის განაწილებული; თუ ლაფეტი გადახრილია და სიმძიმე ერთ ბორბალზე მოდის, ისინი (ბორბლები) შესაბამისად უფრო სუსტად გამოიყურებიან. სრულიად განსხვავებულია ფრანგული ლაფეტები თავიანთი დახრილი ღერძებით, რადგანაც მთელი ტვირთის სიმძიმე მოდის ერთ ბორბალზე, ღერძები თავიანთი დახრილი მდგომარეობის გამო შესაბამი-

სად იჭიმებიან ან სწორდებიან და უფრო უკეთესად უძლებენ მთელ სიმძიმეს.

ახლა დავუბრუნდეთ ქალაქებსა და ციხესიმაგრეებს. ჭიშკრის უკეთ დასაცავად და ასევე მტრის გამოხდომების მოსაგერიებლად და ციხესიმაგრეში ჯარების უკან შესაყვანად ფრანგები იყენებენ კიდევ ერთ მეთოდს, რომელიც, ჩემი აზრით, იტალიაში საერთოდ არ გამოუყენებიათ; ასაწევი ხიდის ბოლოში ამაგრებენ 2 ბოძს; თითოეული მათგანის შუა ნაწილში დამაგრებულია მოძრავი კოჭი, რომლის ნახევარიც ჰკიდია ხიდის თავზე. მოძრავი კოჭების გარეთა ნაწილები შეერთებულია წვრილი ძელებით, რომლებიც ქმნიან გისოსებს. შიდა მხრიდან მათი მხარეები ერთმანეთთან ჯაჭვით არიან მიმაგრებული. თუ ხიდი გარედან უნდა ჩაიკეტოს, უშვებენ ჯაჭვს და აგდებენ გისოსებს, რომელიც ჩამოვარდნის დროს კეტავს შესასვლელს. პირიქით, თუ ხიდის გახსნა გსურს, ჯაჭვი იჭიმება, გისოსებს სწევენ ისეთ სიმაღლეზე, რაც საჭიროა ქვეთის ან მხედრის ციხეში შესასვლელად. ამის შემდეგ მალევე იკეტება და პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება ასაწევი ხიდი.

ჩვეულებრივ, ეს მოწყობილობა ჩამოსაწევ კარზე უკეთესია, რომელიც პირდაპირ ეცემა, ასე რომ მას შეიძლება ყოველთვის შეუყენო რაიმე, მაშინ როდესაც ფრანგული გისოსების მოძრაობის შეჩერება, რომლებიც არაპირდაპირ ეცემა, მოწინააღმდეგეს არ შეუძლია. მისი ციხის მშენებლებმა უნდა დაიცვან ყველა ეს წესი. გარდა ამისა, ციხიდან 1 მილის მანძილზე არ უნდა იყოს არც ხნული, არც მშენებლობა, არამედ ირგვლივ უნდა იყოს ღია ველი ბუჩქის, ბორცვის, ხისა და სახლის გარეშე, რათა მომხვდურმა ვერ შეძლოს

შენიღბვა. ყურადღება მიაქციეთ, რომ ციხის გარეთა თხრილები და ზვინულები, რომლებიც ადგილმდებარეობის დონეზე უფრო მაღლაა, უფრო ასუსტებენ ციხესიმაგრეს. მიწაყრილი, ერთი მხრივ, იცავს მისადგომებს მოალყეებისგან, მეორე მხრივ, ვერ აჩერებს მათ წინააღმდეგ მომართულ საალყო იარაღის მოქმედებას, რადგანაც ისინი ადვილად ინგრევიან.

ახლა გადავიდეთ ციხესიმაგრის შიდა წესრიგზე. ბევრს არ ვისაუბრებ იმაზე, რომ აუცილებელია საკვებისა და შეიარაღების საკმარისი მარაგი. ყოველთვის უნდა ეცადო, რომ უხვად მოამარაგო შენი ჯარი და ამავე დროს ხელი შეუშალო მოწინააღმდეგეს საკვების მარაგის ხელში ჩაგდებაში, ამიტომაც უნდა განადგურდეს საკვებისა და პირუტყვის ის რაოდენობა, რომელსაც სიმაგრეში ვერ შეიტან (195). ციხესიმაგრის კომენდანტი მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს წესრიგისა და დისციპლინის დაცვას, რათა ყველამ იცოდეს და შეასრულოს თავისი მოვალეობა. ქალები, მოხუცები, ბავშვები და ავადმყოფები უნდა იმყოფებოდნენ სახლებში, რათა ახალგაზრდა მამაკაცებს ხელი არ შეუშალონ სამხედრო მოვალეობის შესრულებაში. ციხის გარნიზონი რამდენიმე ნაწილად იყოფა, ზოგი მათგანი უნდა განლაგდეს კედლებთან, კარებთან და სხვა მნიშვნელოვან ადგილებთან, რათა არანაირ უწესრიგობას არ ჰქონდეს ადგილი. ზოგიერთი რაზმი მზადყოფნაშია, რათა მიიღოს შესაბამისი დავალება და დაუყოვნებლივ დაიწყოს მოქმედება.

ყურადღება მიაქციეთ კიდევ ერთ საინტერესო დეტალს: ქალაქის ალყისა და დაცვის დროს მტერს წარმატების იმედი აქვს, თუ იცის, რომ იქ მცხოვრებ

მოსახლეობას საერთოდ არასდროს უომია. როგორც ხშირად ხდება, ქალაქის დანებებას ხელს უწყობს შიში ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საკუთარი ძალების ბრძოლისუნარიანობას გამოსცდიდეს. აქედან გამომდინარე, გარე ძალა ყოველთის ცდილობს, შიში და პანიკა დათესოს ქალაქის მოსახლეობაში. ალყაში მოქცეული მხარე კი უნდა ცდილობდეს ყველაზე სახიფათო ადგილებში სულით ძლიერი ადამიანები განათავსოს. სიმაგრეზე მოიერიშეთა პირველი შეტევის წარუმატებლობა ალყაში მოქცეულების სიმამაცესაც აძლიერებს.

ციხესიმაგრის დასაცავად ძველი დროიდან იყენებდნენ სხვადასხვა სახეობის იარაღს, მაგალითად, ბალისტას, ონაგროს, არბალეტს, შურდულს, მშვილდისარს (ა.გ.). ციხესიმაგრის ალყისთვის კი იყენებდნენ: ტარანს, მოძრავ საალყო კოშკს, კატაპულტას, ტრაბუკოს, ქვემეხს, ტოლენოს, კუს (196). დღესდღეობით ამ იარაღებიდან მხოლოდ ზარბაზანი მოქმედებს, რომელიც გამოიყენება როგორც ალყისთვის, ასევე თავდაცვისთვის.

ახლა კი დეტალურად მივყვეთ ციხესიმაგრის აღების საკითხს. ალყაში მოქცეულებს ორი ძირითადი საფრთხე ემუქრებათ: შიმშილი და მოწინააღმდეგის იერიში. ამ დროს მოწინააღმდეგე უნდა დავარწმუნოთ, რომ საკვების მარაგი საკმარისზე მეტი გვაქვს (რომც არ გვქონდეს). შიმშილის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ალყის შემორტყმამდე საკვებით მომარაგება რაც შეიძლება სწრაფად. მარაგის ამოწურვის შემდეგ ციხის მცველები ზოგჯერ მიმართავდნენ მოულოდნელ ეშმაკობებს, რათა მოკავშირეებისგან მიეღოთ საკვები. ეს არც ისეთი რთული იყო,

განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ალყაშე-მორტყმულ ქალაქს მდინარე ორ ნაწილად ჰყოფდა. მაგალითად, ჰანიბალის მიერ რომაული ციხესიმაგ-რის კაზილინუმის ალყის დროს რომაელები, რომ-ლებსაც არ ჰქონდათ სამდინარო გზით სხვა საკვების მიწოდების საშუალება, წყალში ყრიდნენ ბლომად კაკალს, რომელიც დინებას უპრობლემოდ მიჰქონდა ციხის გარნიზონამდე. მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც ალყაში მოქცეულები ცდილობდნენ, მტერი დაერწმუნებინათ, რომ მათ კვლავაც სერიოზული მარაგი ჰქონდათ და შიმშილი არ ემუქრებოდათ. მტერს საკვებს უყრიდნენ ქალაქის მიწაყრილს იქით, გარდა ამისა, კარგად მაძღარ ხარს გაუშვებდნენ გარეთ. თუ მტერი მას დაკლავდა, დარწმუნდებოდა, რომ კუჭი სავსე ჰქონდა საკვებით და ჩათვლიდა, რომ ხანგრძლივი ალყითა და, შესაბამისად, შიმშილით მოწინააღმდეგის დამარცხება გაუჭირდებოდა (197).

გამოჩენილი მხედართმთავრები, რომლებიც ალყას ხელმძღვანელობდნენ, სხვადასხვა სამხედრო ეშმაკობებს მიმართავდნენ. მაგალითად, ფაბიუსმა კამპანიის მცხოვრებლებს ნება დართო, დაეთესათ ხორბალი, რათა შემდეგ ნაწილი მას მიეღო. ამ პროცესში კი, ვითომცდა ხორბლის საკითხზე ყურად-ღების გადატანის გამო, ადვილად აღწევდნენ ქალაქის ხელში ჩაგდებას. დიონისიოსი რეჯოს ალყის დროს „მოელაპარაკა“ ალყაში მოქცეულებს, რომ მზად იყო მათთან შეთანხმებისთვის, რომ მოლაპარაკებების დროს ის მათ საკვებით მოამარაგებდა. ამ შემთხვევა-შიც მხოლოდ ყურადღების გადატანასთან გვაქვს საქმე, შედეგად ქალაქი მტერმა იგდო ხელთ. ალექსანდრე დიდმა ლევკადიის აღების წინ მის

ირგვლივ მყოფი ყველა ციხესიმაგრე აიღო, რის შედეგადაც აიძულა ყველა გარნიზონი, გადასულიყო ლევკადიაში, სადაც ხალხმრავლობის გამო ურთუ-ლესი ვითარება შეიქმნა და შიმშილის გამო ქალაქი დანებდა (198).

რაც შეეხება შეტევას, ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი შტურმი. რომაელები ქალაქებს თითქმის ყოველთვის პირველივე შეტევისთანავე იღებდნენ და შეტევას ყველა მხრიდან ერთობლივი დარტყმით ახორციელებდნენ. ამ მეთოდს ლათინურად ეწოდე-ბოდა: **aggredi urbem corona** (199) ანუ „შეტევის გვირგვინი“. ასეთი შეტევა მოაწყო სციპიონმა ახალ კართაგენთან (კარტახენა-ა.გ.) ესპანეთში (200). ამავე დროს, თუ პირველი შეტევა მოგერიებულია, ქალაქის აღება ძალზე რთულდება და თუ მტერი მაინც მოახერხებს ქალაქში შეჭრას, ქალაქის მცველებისთვის ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული, მთავარია, ისინი არ დაიბნნენ. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ქალაქში შეჭრილ მეომრებს უკან დაუხევიათ და საერთოდაც დამარცხებულან (201). ალყაში მოქცეულებმა ამ დროს უნდა დაიკავონ მნიშვნელოვანი ადგილები სახლებისა და კოშკების ყველაზე მაღალ წერტილებში და ზუსტი დამიზნებით გაანადგურონ მტრის ჯარისკაცები. ციხის დაუფ-ლების მიზნით ქალაქში შესული მტერი ორ მეთოდს იყენებდა: ისინი კარს უღებდნენ ციხის გარნიზონს, რათა გაქცეულიყვნენ, ანდა ადგილობრივებს უცხა-დებდნენ, რომ ყველას, ვინც იარაღს დაყრიდა, სი-ცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ, ხოლო ვინც იარაღით დახვდებოდა, მათ დახოცავდნენ. ეს მეთოდიც საბო-ლოო გამარჯვების მოპოვებას უწყობდა ხელს (202).

და ბოლოს, გეტყვით, რომ ქალაქის აღება ყველაზე სწრაფად ხდება მოულოდნელი შტურმის შედეგად. მანამდე მოსახლეობამ ზუსტად არ უნდა იცოდეს მოწინააღმდეგის ჯარის ადგილსამყოფელი. უფრო ზუსტად კი ჯარები ისეთ მანძილზე უნდა გყავდეს განლაგებული, რომ ქალაქის მოსახლეობამ ირწმუნოს – შენ არ აპირებ მათზე თავდასხმას ანდა შენ არ შეგიძლია ამის გაკეთება შეუმჩნევლად მანძილის სიშორიდან გამომდინარე. თანამედროვე მაგალითად მე მოვიყვან ვალენტინოს ჰერცოგს, ჩეზარე ბორჯას. თავისი ჯარებით ნოჩერასთან დაბანაკებულმა, მან თავი მოაჩვენა ქალაქის მცხოვრებთ, რომ თითქოსდა აპირებდა კამერინოზე გალაშქრებას, ამ დროს მოულოდნელად შემობრუნდა ურბინოსკენ და ერთ დღეში იგდო ხელთ ქალაქი (203).

ალყაში მყოფნი ყოველთვის უნდა ელოდნენ მტრისგან ნებისმიერ მახესა და სამხედრო ეშმაკობას. მაგალითად, დომიციუს კალვინიუსმა, რომელმაც ალყაში მოაქცია ერთ-ერთი ქალაქი, ასეთ ხერხს მიმართა: ის ყოველდღე გარს უვლიდა ქალაქის კედლებს დიდი ძალებით. მოსახლეობამ ჩათვალა, რომ ის მხოლოდ ავარჯიშებდა მეომრებს და დამშვიდებით უყურებდნენ მათ. დომიციუსმა როგორც კი იგრძნო, რომ მოწინააღმდეგემ სიფხიზლე მოადუნა, მაშინვე გადავიდა შეტევაზე და ქალაქიც აიღო (204).

ზოგიერთი მხედართმთავარი, როდესაც გაიგებდა, რომ ალყაში მყოფი ქალაქისკენ მიდიოდა დამხმარე ძალა, გადაცმულ თავის ჯარისკაცებს შეაგზავნიდა მათ რიგებში, რომლებიც მათთან ერთად შედიოდნენ ქალაქში და ადვილად ახერხებდა მის აღებას, მხედართმთავართა ნაწილი კი ხელთ იგ-

დებდა ხოლმე ფურაჟირებს და თავიანთ ჯარისკაცებს აცმევდნენ მათ ტანსაცმელს, შედეგად ჯარისკაცები შედიოდნენ ციხესიმაგრეში და თავიანთ მეომრებს უღებდნენ ციხის კარს. კიმონ ათენელმა ერთხელ ტაძარი გადაწვა, რომელიც ქალაქის კედლების გარეთ მდებარეობდა. ქალაქის მოსახლეობამ გადაწყვიტა ხანძრის ჩაქრობა, ამ დროს კი ქალაქი მტრის ხელში აღმოჩნდა (205).

ზოგიერთი მხედართმთავარი ციხეების აღების კიდევ უფრო განსხვავებულ მეთოდს იყენებდა. მაგალითად, სციპიონი აფრიკის ომის დროს, როცა აპირებდა კართაგენელთა ციხეების აღებას, ჯერ ემზადებოდა შეტევისთვის და მერე უკან იხევდა, თითქოსდა ვერ რისკავდა იერიშის დაწყებას, „ვაითუ დამარცხებულიყო“. ჰანიბალმა ეს რეალობად მიიჩნია და, რიცხობრივი უპირატესობის მიღების მიზნით, ერთ წერტილში მოუყარა თავი ციხეების გარნიზონებს და გადაწყვიტა საბოლოო დარტყმის მიყენება. სციპიონმა, როგორც კი ეს შეიტყო, თავისი მოკავშირის – მასინისას ჯარები მოულოდნელად დაძრა ფაქტობრივად დაცარიელებული ციხეებისკენ და ისინი თითქმის უბრძოლველად ჩაიგდო ხელში (206).

პიროსმა, რომელიც ებრძოდა ილირიელებს, ალყა შემოარტყა ილირიის დედაქალაქს, რომელსაც ძლიერი გარნიზონი იცავდა. მან თავი მოისაწყლა და თითქოსდა თავის წარმატებაში დაეჭვებულმა, მოულოდნელად დაიძრა სხვა სიმაგრეებისკენ, ილირიელები კი ხაფანგში გაებნენ. მათ დამხმარე ძალები გაგზავნეს იმ ციხეების გადასარჩენად. ამით მათ იმდენად შეასუსტეს დედაქალაქის დაცვა, რომ პიროსმა სწრაფად ჩაიგდო ქალაქი ხელში (207).

ზოგიერთი მხედართმთავარი ქალაქის აღების მიზნით სასმელ წყალს წამლავდა და მდინარეს კალაპოტს უცვლიდა. ზოგჯერ ალყაში მყოფნი ქალაქს თმობდნენ მაშინ, როდესაც მათ დასაშინებლად ვრცელდებოდა დეზინფორმაცია, თითქოსდა მათი ჯარები დამარცხდნენ. ძველი მხედართმთავრები ცდილობდნენ ქალაქის აღებას მოღალატეების გამოყენებით და მოსახლეობის მოსყიდვით. ზოგიერთი კი თავისი რიგებიდან ციხეში შეაგზავნიდა „მტრის მხარეზე გადასულ“ მეომრებს, რომლებიც ახერხებდნენ „ქალაქში ნდობის მოპოვებას“ და ამით ეხმარებოდნენ თავისიანებს. ზოგიერთი მხედართმთავარი ამ გზით იღებდა ინფორმაციებს დაცვის განლაგების შესახებ. ზოგიერთი კი ალაყაფის კარებთან გააჩერებდა ოთხთვალას „შემთხვევით“ და შემდეგ იჭრებოდა ქალაქში (208).

როდესაც ჰანიბალმა ერთ-ერთ რომაულ ციხესიმაგრეს შემოარტყა ალყა, დაარწმუნა ადგილობრივი მცხოვრები, მის მხარეზე გადასულიყო. ეს პიროვნება ღამით გამოდიოდა ციხიდან ვითომდა „სანადიროდ“, რასაც იმით ხსნიდა, თითქოს დღისით მტრის ეშინოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ის ქალაქში დაბრუნდა სამხედრო რაზმთან ერთად, რომლებმაც დახოცეს დარაჯები და კართაგენელებს ციხის კარი გაუღეს (209).

ქალაქის აღების ეფექტური მეთოდი იყო აგრეთვე ე.წ. მოჩვენებითი ალყის მოხსნა. ასე მოიქცა მაგალითად, ათენელი ფორმიონი, რომელმაც ჯერ გააპარტახა ქალკედონელთა მიწები, შემდეგ კი მიიღო მათი ელჩები და „მათთვის სასარგებლო“ რჩევები

მისცა. ამით მან მოადუნა მოწინააღმდეგის სიფხიზლე და ქალაქს ადვილად დაეუფლა (210).

ალყაში მყოფნი ყურადღებით უნდა აკვირდებოდნენ მოსახლეობაში ყველა საეჭვო პირს. ასეთი ადამიანები არა მარტო შიშით, არამედ ქველმოქმედებითაც უნდა გადმოიბირო. მაგალითად, მარცელიუსმა იცოდა, რომ ნოლას მოქალაქე ლუციუს ბანციუსი ჰანიბალის მომხრე იყო, მაგრამ მასთან იმდენად კეთილგანწყობილი ურთიერთობა დაამყარა, რომ მტრიდან მეგობრად აქცია (211).

როცა მტერი ალყაშემორტყმულ ციხეს ალყას ხსნის და უკან იხევს, ალყაში მყოფნი ამ დროს უფრო ფხიზლად და ფრთხილად უნდა იყვნენ, ვიდრე ალყის შემორტყმისას. ციხის მცველთა შეცდომა ძირითადად ორი სახისაა: ისინი ან ძალიან აზვიადებენ თავიანთი ციხის შეუვალობას, ანდა ექცევიან მტრის ხლართებში, რომელიც ახორციელებს ყალბ და ხმაურიან ე.წ. თავდასხმას ერთი კონკრეტული მხრიდან, რეალური შეტევა კი წარმოებს სულ სხვა მხრიდან, თანაც თითქმის აბსოლუტურ სიჩუმეში (212). აქედან გამომდინარე, ალყაში მოქცეულებმა განსაკუთრებული სიფხიზლით უნდა აკონტროლონ დღისით და ღამით ყველა დეტალი და ამ მიზნით ასევე გამოიყენონ შინაური ძაღლები, რომლებსაც თავიანთი ყნოსვის ორგანოებით მტრის დაფიქსირება შეუძლიათ. არა მხოლოდ ძაღლებს გადაურჩენიათ ესა თუ ის ქალაქი, იყო შემთხვევა, როცა ბატებმა გადაარჩინეს რომი, როდესაც გალებმა ალყა შემოარტყეს რომის კაპიტოლიუმს.

ალკიბიადემ სპარტელების მიერ ათენის ალყაში მოქცევის დროს გადაწყვიტა, დარწმუნებულიყო

მცველების სიფხიზლეში და მკაცრი სასჯელის შიშით ბრძანება გასცა, რომ ღამით, როდესაც ცეცხლს აანთებდა, ყველა დარაჯს იგივე უნდა გაეკეთებინა. ათენელმა იფიკრატემ მოკლა ჩაძინებული დარაჯი და შემდეგ განაცხადა, რომ მან იგივე მდგომარეობაში დატოვა ის, რა მდგომარეობაშიც მას დახვდა (213).

ალყაში მოქცეულები მოკავშირეებთან სხვადასხვანაირად ამყარებენ კავშირს: წერილს წერენ არა ასოებით, არამედ ციფრებით და აგზავნიან სხვადასხვა საშუალებებით: მათ მალავდნენ მახვილის ქარქაშში, პურში, ძაღლის საყელურში, რომელიც შიკრიკს ახლდა, სხეულის ფარულ ნაწილებში. ზოგიერთი წერილს წერდა ჩვეულებრივი ასოებით, ხოლო ხაზებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანს წერდა სხვა სახის მასალით, რომელიც შესამჩნევი ხდებოდა ტექსტის დანამვის ან ქაღალდის გათბობის შედეგად. ეს იყო დახვეწილი და უსაფრთხო მეთოდი, რადგანაც ამგვარად გაგზავნილი წერილის შინაარსის მიმართ არ შეიძლებოდა რაიმე ეჭვი გაჩენილიყო.

საიდუმლო შეტყობინებებისთვის შესაძლებელია არაერთი სხვადასხვა სახის საშუალების გამოყენება. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები, რომ გაცილებით ადვილია გარედან წერილის შეგზავნა ციხეში, ვიდრე ალყაშემორტყმული ციხიდან გარეთ გამოგზავნა. გარედან შესაძლებელია აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამოყენებით მაც-ნეს შეგზავნა, რომელიც მოახერხებდა წერილის შეტანას (214).

ახლა დავუბრუნდეთ სხვა საკითხს, კონკრეტულად კი თანამედროვე ალყასა და თავდაცვას. დავუშვათ, თქვენ მოხვდით ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში, რომელსაც შიგნით არ გააჩნია თხრილები. თუ

თქვენ გინდათ, მოწინააღმდეგეს ხელი შეუშალოთ, რომელიც ციხის აღებას ცდილობს საარტილერიო ცეცხლით, ამ დროს თქვენ უნდა გათხაროთ ციხის შიგნით თხრილი, რომლის სიგანეც უნდა იყოს არანაკლებ 30 წყრთა. ამ დროს ამოთხრილი მიწა უნდა გადაიყაროს შეტევის მიმართულებით, რათა ამრიგად შეიქმნას დამატებითი, შემაკავებელი მიწაყრილი. ეს სამუშაო რაც შეიძლება სწრაფად უნდა შესრულდეს და იმ დროისთვის, როდესაც ციხის კედლების ჩამოშლა დაიწყება, თხრილის სიღრმემ უნდა მიაღწიოს არანაკლებ 5-6 წყრთას. თხრილს ორივე მხრიდან უნდა კეტავდეს კაზემატები (215).

ეს მეთოდი ამგვარი თავდაცვითი ნაგებობების აგებისა გამოიყენებოდა პიზელების მიერ თქვენი ჯარისკაცების ალყაში მოქცევისას. ციხის ძლიერი კედლები აკავებდა მტრის შემოტევას და თიხიან ნიადაგზე ძალიან ხელსაყრელი იყო მიწაყრილებისა და სხვა დაბრკოლებების მოწყობა. მათ რომ არ ჰქონოდათ ეს უპირატესობა, აუცილებლად დამარცხდებოდნენ (216). ამიტომაც ყოველთვის სჯობს ჩაატარო ეს სამუშაოები გაცილებით ადრე და გათხარო დამცავი თხრილები მთელი ქალაქის ირგვლივ. და ეს იმიტომ, რომ თუ თავდაცვითი სისტემა სრულ მზადყოფნაში გაქვს, მშვიდად დაელოდები მტერს. ძველ დროში ქალაქებს იღებდნენ აგრეთვე მიწისქვეშა გვირაბების გათხრის გზით და მისი გამოყენებით შედიოდნენ ქალაქში, ასე მოხდა, მაგალითად, ვეის აღების დროს (217). ზოგჯერ ხვრელი გაჰყავდათ ციხის კედლების ქვეშ და ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მათი დანგრევა (218). მეორე მეთოდი უფრო მიღებულია ჩვენს დროში და

მისი საშუალებით ირკვევა, რომ სიმაგრე, რომელიც აშენებულია მაღლობ ადგილზე, სხვებზე უფრო სუსტია; და თუ მათ ქვეშ გათხრილ გვირაბში ჩავდებთ დენთს, არა მხოლოდ კედლები, არამედ მთელი ციხე ნაწილებად დაიფშვნება.

ამის წინააღმდეგ შეიძლება ბრძოლა ველზე მდებარე ციხის კონსტრუქციით. ამ დროს გასათვალისწინებელია ციხის ირგვლივ მდებარე ღრმა თხრილი. მტერი მისი გადალახვის მცდელობისას შეიძლება შეეჯახოს მიწისქვეშა წყლებს, რაც, თავის მხრივ, თხრილების გათხრისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. თუ გვიწევს ისეთი ციხესიმაგრის დაცვა, რომელიც მაღლობ ადგილზე მდებარეობს, ამ დროს ერთადერთი საშუალება არის რაც შეიძლება უფრო ღრმა ჭის ამოთხრა, საიდანაც შესაძლებელი იქნება მოწინააღმდეგის მიერ გათხრილი გვირაბებიდან თავის დახსნა. მეორე საშუალებაა შემხვედრი გვირაბის გათხრა; თუ იცი მოწინააღმდეგის გვირაბის მიმართულება, შეგიძლია ხელი შეუშალო მტრის სამუშაოებს. ამ დროს გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად გამოცდილ მტერთან გაქვს საქმე.

ალყაში მყოფთათვის განსაკუთრებით საშინელია მტრის მოულოდნელი თავდასხმა მაშინ, როდესაც მათი მებრძოლები ისვენებენ, მაგალითად, შეტევის მოგერიების შემდეგ, ასევე გუშაგების შეცვლის წინ, გამთენიისას ან ნისლში, ცუდი ხილვადობისას, აგრეთვე საკვების მიღების ან დასვენების დროს. ციხეების უმრავლესობა ამგვარი ფაქტორების გათვალისწინებით აიღეს და პირიქით, ალყაში მყოფნი არაერთგზის განადგურებულან გარნიზონის მოულოდნელი გამოხდომებით. ამიტომაც ამ დროს

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ორივე მხრიდან, ამის გამო ჯარის ნაწილი ყოველთვის საბრძოლველად უნდა იყოს მზად. აღსანიშნავია, რომ ციხის ან ბანაკის დაცვა ძალზე რთულდება ჯარის დანაწევრების შემთხვევაში. ამ დროს მტერს შეუძლია მთელი ძალებით დაგესხას თავს ნებისმიერი მხრიდან. ამიტომაც შენ უნდა დაიცვა შენი ხაზები ყველა მიმართულებით; ამ დროს მტერი მთელ ძალებს იყენებს შენ წინააღმდეგ მაშინ, როდესაც შეგიძლია მას მხოლოდ გარკვეული ნაწილი დაუპირისპირო.

ციხეში მყოფი ძალა შეიძლება განადგურდეს, ანდა მათ შეიძლება მოახერხონ, მაქსიმუმ, მტრის შეტევის მოგერიება. ეს აიძულებდა გამოცდილ მხედართმთავრებს, თავზეხელაღებული გამოხდომით გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ, რაც მათ გაამარჯვებინებდა მრავალრიცხოვან მტერზე ბრძოლაში. ასე მოიქცა, მაგალითად, მარცელიუსი ნოლასთან ბრძოლის დროს (219) და კეისარი გალიაში.

კეისარს, რომელიც ციხესიმაგრეში იყო გამაგრებული, კარგად მოეხსენებოდა, რომ თუ ის გააგრძელებდა ციხესიმაგრეში ყოფნას, აუცილებლად დაიღუპებოდა. ამიტომაც მან გახსნა ციხის ერთ-ერთი ჭიშკარი, ამ ადგილას მოუყარა თავი მთელ ჯარს და ისეთი აგრესიულობითა და სისწრაფით გამოიჭრა ციხიდან, რომ გალებმა ამ ძლიერი მასის შეკავება ვერ შეძლეს და სრული მარცხი განიცადეს (220).

ალყაში მყოფთა სულის სიმტკიცე ხშირად აშინებდა შეტევაზე მყოფ მოწინააღმდეგეს და აიძულებდა გამარჯვებაში ეჭვის შეტანას. პომპეუსსა და კეისარს შორის სამოქალაქო ომის დროს კეისრის

არმია ნახევრადმშიერი იყო. ამ დროს პომპეუსს მიუტანეს ბალახისგან გამომცხვარი პური, რომლითაც იკვებებოდნენ კეისრის ჯარისკაცები. პომპეუსმა აკრძალა მისი ჩვენება ჯარისკაცებისთვის, რათა მათ თავი უხერხულად არ ეგრძნოთ, როცა ნახავდნენ და მიხვდებოდნენ, თუ როგორ მოწინააღმდეგესთან ჰქონდათ საქმე, რომლებიც ასეთი უხარისხო საკვებით იკვებებოდნენ (221).

როცა რომაელები ჰანიბალს ებრძოდნენ, მათ ღირსეულად და ამაყად ეჭირათ თავი. მიუხედავად იმისა, რომ რომაელები კატასტროფის პირას იყვნენ მისულნი, რომის დედაქალაქს კი დიდი საფრთხე ემუქრებოდა, რომაელებმა სულის სიმტკიცე შეინარ-ჩუნეს: არანაირი სისუსტე მათ არ გამოუჩენიათ და არ უთხოვიათ დაზავება ჰანიბალისთვის. კაპუასაც კი, რომელიც რომაელების ალყაში იმყოფებოდა, არც კი უცდია მისი მოხსნა (222).

ის, რაზეც მე თქვენ საკმაოდ გესაუბრეთ, მინდა ახლა მოკლე წესების სახით ჩამოგიყალიბოთ და წარმოგიდგინოთ. ვფიქრობ, ეს გარკვეულწილად საჭირო იქნება მათთვისაც, ვისაც არ ხვდა პატივი, მონაწილეობა მიეღო ჩვენს საუბრებში.

აი, ეს წესებიც:

- **ყოველივე ის, რაც სასარგებლოა მტრისთვის, საზიანოა შენთვის; ყოველივე ის, რაც სასარგებლოა შენთვის, საზიანოა მტრისთვის.**
- **იმას, ვინც ომის დროს მოწინააღმდეგეს უფრო ფხიზლად ადევნებს თვალს და უფრო გულმოდ-გინედ წვრთნის თავის ლაშქარს, ნაკლები საფრთხე ემუქრება და შეუძლია გამარჯვების უფრო მეტი იმედი ჰქონდეს.**

- არასდროს შეიყვანო ჯარისკაცები ბრძოლაში მანამ, სანამ არ დარწმუნდები,რომ მათ სჯერათ საკუთარი ძალებისა და მტრის შიში არა აქვთ.
- არასდროს დაიწყო შეტევა მანამ, სანამ არ დარწ-მუნდები, რომ ჯარისკაცებს გამარჯვების სჯერათ.
- უმჯობესია, მტერი დაამარცხო შიმშილით, ვიდრე მახვილით, რადგანაც გამარჯვება ზოგჯერ უფრო მეტად იღბალს მოაქვს, ვიდრე სიმამაცეს.
- საუკეთესო ჩანაფიქრია ის, რომელიც მტრისთვის დაფარულია, სანამ მას შეასრულებ.
- ბუნება იშვიათად შობს მამაცებს. ისინი მეტწილად წვრთნისა და განსწავლის შვილები არიან.
- ომში დისციპლინა სისწრაფეზე მნიშვნელოვანია.
- თუ მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილი შენს მხარეზე გადმოვა და შენი ერთგული გახდება, ეს შენს უდიდეს წარმატებად ჩათვალე.
- მოღალატე უფრო ასუსტებს მოწინააღმდეგეს, ვიდ-რე ბრძოლის ველზე დაღუპული ჯარისკაცები; თუმცა ახალ მეგობრებთან მტრის მხარეზე გადა-სულის სახელი საეჭვო რეპუტაციისაა, ხოლო ყოფილ მეგობრებთან – საძულველი.
- როცა საბრძოლოდ განალაგებ ჯარებს, უკეთესი იქნება მოწინავე პოზიციაზე ძლიერი რეზერვის განლაგება, ვიდრე სხვადასხვა მიმართულებებზე ჯარისკაცების გადანაწილება და ფრონტის გაჭიმვა.
- ძნელია დაამარცხო ის მოწინააღმდეგე, რომელმაც კარგად იცის თავისი და მოწინააღმდეგის ძალები.
- ნებისმიერი მოულოდნელობა ჯარს აშინებს, ის თანდათანობით გულგრილი ხდება ყოველივე შეჩ-ვეულისადმი. ამიტომაც ასწავლე და გაიანი შენს ჯარს ახალი მტერი წვრილ-წვრილი შეტაკებებით

მანამდე, სანამ ჯარისკაცებს გადამწყვეტ ბრძოლაში ჩართავდე.

- ვინც უწესრიგოდ მისდევს დამარცხებულ მტერს, იქითკენ მიისწრაფვის, რომ გამარჯვებულიდან დამარცხებულ ძალად იქცეს.
- ვინც არ ფიქრობს ჯარის მომარაგებაზე, ისე დამარცხდება, რომ მახვილის ამოღებას ვერც მოასწრებს.
- როდესაც ყურადღებით შეარჩევ ბრძოლის ადგილს, გაითვალისწინე, თუ რომელ ძალაზე უნდა გააკეთო გადამწყვეტი აქცენტი – ქვეითზე თუ კავალერიაზე.
- თუ გინდა გაიგო, დღისით შენს ბანაკში მტრის ჯაშუში ხომ არ შემოიპარა, უბრძანე – ყველა შევიდეს თავის კარავში.
- უნდა შეგეძლოს იმ გადაწყვეტილების შეცვლა, რომელიც გამოიცნო შენმა მოწინააღმდეგემ.
- უმრავლესობას ეთათბირე იმის შესახებ, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული; საბოლოო ვერდიქტი კი აუწყე მხოლოდ რჩეულებს.
- მშვიდობის დროს ჯარისკაცები შეაკავე შიშითა და სასჯელით, ომში კი ისინი გაამხნევე იმედითა და ჯილდოთი.
- კარგი მხედართმთავარი არ გადაწყვეტს ბრძოლის გამართვას, თუ მას არ აიძულებს აუცილებლობა ან ხელსაყრელი შემთხვევა.
- იფიქრე იმაზე, რომ მტერმა არ იცოდეს, თუ როგორი საბრძოლო წყობით აპირებ ბრძოლას.
- როგორიც არ უნდა იყოს შენი ჩანაფიქრი, პირველი ხაზის მებრძოლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, აუცილებლობის შემთხვევაში მეორე და მესამე რიგებს შორის უკან დახევისა.

- ბრძოლის დროს არ შეცვალო საწყისი საბრძოლო წყობა, თუ არ გინდა, არეულ-დარეულობა შეიტანო ჯარებში.
- მოულოდნელობასთან ბრძოლა რთულია, წინასწარ დაგეგმილთან და გათვლილთან - უფრო ადვილი.
- ხალხი, იარაღი, ფული და პური, აი, ომის სასიცოცხლო ძალა, მაგრამ ამ ოთხიდან უმთავრესია პირველი ორი, ვინაიდან ხალხითა და იარაღით ყოველთვის შეიძლება ფულისა და პურის შოვნა, მაშინ როდესაც მარტოოდენ ფულითა და პურით ვერც ხალხს იშოვნი და ვერც იარაღს.
- იარაღაყრილი მდიდარი – ღარიბი ჯარისკაცის საჩუქარია.
- შენს მებრძოლებს ასწავლე ნებიერი ცხოვრებისა და მდიდრული ტანსაცმლის ზიზღი.
- უცხოელი მოხალისენი არასოდეს ეკუთვნიან საუკეთესო ჯარისკაცების რიცხვს, პირიქით, ისინი არიან ქვეყნის ნაძირალები: თავზეხელაღებულნი, არაფრისმაქნისნი, აღვირახსნილნი, უღმერთონი, შინიდან გამოქცეულნი, მკრეხელნი, აზარტულ თამაშთა მოტრფიალენი, აი, ვინ არიან ეს მონადირენი. არაფერი ისე არ ეწინააღმდეგება ნამდვილი და მტკიცე მხედრობის სულს, როგორც ამნაირი ზნე-ჩვეულებები.
- ყველაზე უკეთესი ის არმიაა, რომელიც საკუთარი მოქალაქეებისგან არის შემდგარი და მხოლოდ ამ გზით შეიძლება ასეთი არმიის შექმნა.
- სამშობლოს სიყვარული ბუნებით თანდაყოლილი გრძნობაა, მხედართმთავრის სიყვარულს კი მისი ნიჭი განაპირობებს, რომელიც ამ შემთხვევაში ყოველგვარ ქველმოქმედებაზე უმჯობესია.

- **უნდა გქონდეს იმის უნარი, რომ ბრძოლის ველზე სწრაფად შეიცნო ხელსაყრელი ვითარება და დროულად ისარგებლო ამით. ეს ხელოვნება ყოველგვარ სხვა ხელოვნებაზე სასარგებლოა.**
- **ხელისუფალს არ უნდა ჰქონდეს სხვა მიზანი, სხვა საზრუნავი და არც სხვა ხელობა, გარდა ომისა, ვინაიდან მბრძანებელს მხოლოდ სამხედრო ხელოვნება შეშვენის...**
- **მოლაშქრეთა სიმამაცე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი სიმრავლე, მაგრამ ხელსაყრელი პოზიცია ზოგჯერ სიმამაცეზე უფრო სასარგებლოა და მომგებიანი...**

ასეთია ომებისა და სამხედრო ხელოვნების ის საფუძვლები, რომლებიც მე მსურდა თქვენთვის გამეცნო. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა ანტიკური ეპოქის სამხედრო ხელოვნებაზე, მათ ჩაცმულობაზე, სწავლებებზე, მაგრამ მე აღარ მიმაჩნია მათზე საუბარი საჭიროდ, რადგანაც თქვენ თვითონ ამას დამოუკიდებლადაც მოახერხებთ. ჩემს მიზანს კი შეადგენდა ყურადღების გამახვილება ძველ სამყაროზე იმ მიმართულებით, საითკენაც ჩვენს თანამედროვეობას უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინა და აღედგინა ანტიკური ეპოქის სამხედრო ხელოვნებიდან ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი.

ვიცი, რომ უფრო მეტი უნდა მესაუბრა კავალერიაზე, განმეხილა საზღვაო ბრძოლები, რამეთუ სამხედრო ძალაში თავმოყრილია სახმელეთო და საზღვაო ძალები, ქვეითი და კავალერია. რაც შეეხება საზღვაო საქმეს, მე ვერ გავბედავ ამ მხრივ თქვენი ყურადღების მიქცევას, რადგანაც მისი არაფერი

გამეგება. ამ საქმეში სიტყვის თქმის უფლება აქვთ გენუელებსა და ვენეციელებს, რომელთაც ამ მხრივ დიდი გამოცდილება და წარმატებები გააჩნიათ. რაც შეეხება კავალერიას, მე შემოვიფარგლები იმით, რაც უკვე გიამბეთ, რადგანაც, სხვებისგან განსხვავებით, ყველაზე ნაკლებად მათ დაკარგეს თავიანთი ღირსება. კარგი ქვეითი ჯარი კი ეს არის საერთო შეიარაღებული ძალების წამყვანი, ძირითადი ძალა. თუ კარგია ქვეითი ჯარი, ასეთივე იქნება კავალერიაც. ამასთან დაკავშირებით გირჩევთ, სახელმწიფომ გაითვალისწინოს კავალერიისთვის ცხენების რიცხვის ზრდა და ხელი შეუწყოს ჯიშიანი კვიცების შეძენას. მხოლოდ მეცხენეობის განვითარების ხელშემწყობებსა და ცხენების მფლობელებს მივცემდი უფლებას, ევლოთ აბრეშუმის ტანსაცმლით.

თქვენ ალბათ დაგაინტერესებთ, თუ რა თვისებებით უნდა იყოს გამორჩეული დიდი მხედართმთავარი. გიპასუხებთ მოკლედ – ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, მის გონებაში უნდა იყოს თავმოყრილი. მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ცოტაა, თუ ის თავის საქმეში არ არის შემოქმედი, რამეთუ გამომგონებლობის გარეშე არც ერთ სფეროში დიდ ადამიანს წარმატებისთვის არ მიუღწევია, მით უმეტეს, სამხედრო ხელოვნებაში.

თუმცა ისტორიაში ცნობილია არცთუ ისე მნიშვნელოვანი ეშმაკობები, რომლებსაც ხოტბა შეასხეს ისტორიკოსებმა. ისინი, მაგალითად, შეფასების ძირითადი შტრიხების გარდა, აქებენ ალექსანდრე დიდს იმის გამოც, რომ მან შეძლო, მარჯვედ შეენიღბა ჯარისკაცები ბანაკიდან გამოსვლისას. ცნობილია, რომ მან, საყვირით სიგნალის მიცემის ნაცვლად,

ბრძანება გასცა, მაღლა აეწიათ შუბებზე წამოცმული მუზარადები. მას აქებენ იმის გამოც, რომ ჯარისკაცებს უბრძანა, ბრძოლის დაწყებისას მოეყარათ მარცხენა მუხლი და ამ გზით უკეთესად მოეგერიებინათ მტრის შემოტევა. ამან ალექსანდრეს არა მარტო გამარჯვება მოუპოვა, არამედ ისე განადიდა, რომ მისადმი მიძღვნილ არაერთ ქანდაკებაში ამგვარ პოზაში გამოსახეს.

კოზიმო, თქვენ იცით ჩემი დამოკიდებულება ძველი სამყაროს სამხედრო ხელოვნებისადმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მათთვის ბრმად არასდროს მიმიბაძია, თუმცა მას მივუძღვენი ჩემი ცხოვრება. აქვე აღვნიშნავ, რომ ნებისმიერი, საქმიანი ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭიროა მომზადება, რათა ის სრულყოფილად შესრულდეს მაშინ და იმ დროს, როცა შესაფერისი მომენტი დადგება. თქვენ მე დიდ-ხანს მისმენდით და შეგიძლიათ, თვითონ განსაჯოთ, შევძელი თუ ვერა, თანამედროვე ჯარი ძველი სამყაროს შეიარაღებული ძალების პრინციპებზე დამეფუძნებინა. თქვენ უკვე იცით, რომ ამ აზრების ჩამოყალიბებაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვფიქრობდი და, რა თქმა უნდა, თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდია ჩემი სურვილი მისი განხორციელებისა. თქვენ უკვე შეგიძლიათ, შემაფასოთ. აქვე დავძენ, რომ, რა თქმა უნდა, ჩემი მხრიდან ამის ხორცშესხმის დიდი სურვილი ყო-ველთვის არსებობდა. ამისთვის ამავე დროს საჭიროა შესაბამისი გარემო, ვითარება. მსგავსი სამხედრო ოპერაციების შესრულება შეუზღუდავი რესურსების მქონე ხელისუფალთ შეუძლიათ, თუნდაც ისეთებს, რომლებსაც ძალუძთ საკუთარი მოქალაქეებით

დაკომპლექტებული 15-20 ათასი მეომრის გამოყვანა. სხვა შემთხვევაში კი ამის ნაკლები შანსი არსებობს.

სანამ საკუთარ აზრს ჩამოაყალიბებ, უნდა გაითვალისწინო, რომ მხედართმთავრები დიდებას აღწევენ ძირითადად ორი განსხვავებული გზით: ერთნი ეყრდნობიან კარგად გაწვრთნილ, შეიარაღებულ და უზრუნველყოფილ ჯარებს, რომელთა მეშვეობითაც აღწევენ დიდ წარმატებებს. ასეთები ძირითადად იყვნენ რომაელი მხედართმთავრები და სხვა სახელოვანი სარდლები, რომლებიც ეყრდნობოდნენ ასეთ ძალებს და წარმატებით მართავდნენ მათ. განსხვავებული ვითარება ჰქონდათ იმ სარდლებს, რომლებსაც მტერთანაც უნდა ებრძოლა და პარალელურად უნდა გარდაექმნა ან ხელახლა შეექმნა შეიარაღებული ძალები. ჩემი აზრით, ისინი უფრო იმსახურებენ შექებას, ვიდრე ის სარდლები, რომლებიც ძველ, გამოცდილ, მოწესრიგებულ არმიებს მეთაურობდნენ. ამიტომაც მეტი გულისყურით უნდა შევაფასოთ და შევაქოთ ისინი, ვისაც უფრო მეტი დაბრკოლების გადალახვა უწევდათ და შეეძლოთ. მათ შორის იყვნენ: პელოპიდასი და ეპამინონდასი, ტულუს ჰოსტილიუსი, ფილიპე II მაკედონელი, სპარსელთა მეფე კიროსი, რომაელი სემპრონიუს გრაკხუსი (223).

ნებისმიერმა მხედართმთავარმა ჯერ უნდა შექმნას თავისი შეიარაღებული ძალები და შემდეგ აწარმოოს ომები. ისინი შედეგს აღწევდნენ ნაწილობრივ სიბრძნით და ნაწილობრივ იმით, რომ არჩევდნენ საკმარისი რაოდენობის ხალხს, რომლებიც შეიძლებოდა გაეწვიათ სამხედრო სამსახურში. ვერც ერთი მათგანი, რაც არ უნდა გამორჩეული პიროვნება ყოფილიყო, ვერ შეძლებდა ვერაფერს, თუ მას

მოუწევდა, ემსახურა სხვა ქვეყანაში, უზნეო ადამიანებს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს წესიერი და კანონმორჩილი ადამიანი. იტალიაში არ არის საკმარისი, იყო მომზადებული ჯარის კარგი მეთაური. პირველ რიგში, შენ უნდა შეძლო მისი ჩამოყალიბება, რაც შეუძლიათ მხოლოდ ისეთ წარჩინებულებს, რომლებსაც გააჩნიათ დიდი სამფლობელოები მრავალრიცხოვანი მოსახლეობით და მერე ისწავლო მისი მართვა. მე მათ რიგებს არ მივეკუთვნები, რადგანაც ყოველთვის ვმეთაურობდი და შემიძლია ვუმეთაურო მხოლოდ სხვის მიერ შექმნილ ჯარებს, რომლებიც ჩემზე ნაკლებად იყვნენ და არიან დამოკიდებულნი.

თქვენ თვითონ განსაჯეთ, რამდენად არის შესაძლებელი ჩვენს სინამდვილეში ამ მხრივ მდგომარეობის გაუმჯობესება. შემიძლია კი მე დღეს ვაიძულო ჯარისკაცი, დამატებით ატაროს უფრო მძიმე იარაღი, გარდა 3-დღიანი საკვების მარაგისა და წერაქვისა, რაც მას ისედაც სატარებელი აქვს? როგორ ვაიძულო ისინი, გათხარონ სანგრები და ყოველდღიურად ვავარჯიშო სრული აღჭურვილობით, რათა მზად იყვნენ დიდი ომისთვის? როგორ უნდა მოვაშლევინო მათ აზარტული თამაშები, გარყვნილება, ღვთის გმობა და ყოველგვარი უწესრიგობა? ნუთუ შეიძლება ასეთი ადამიანები დაუმორჩილო დისციპლინას და მათში აღზარდო შეწყალებისა და პატივისცემის ისეთი განწყობა, როგორიც ჰქონდათ ძველ ჯარისკაცებს, რომ არ მოწყვიტონ შუაგულ ბანაკში აყვავებული ვაშლის ხეების ნაყოფი? (224). შემიძლია კი შევპირდე მათ ისეთ რამეს, რაც ჩაუნერგავს მათ ჩემდამი პატივისცემას, სიყვარულს ან

შიშს, როდესაც ომის დამთავრების შემდეგ ყველანი სხვადასხვა ქვეყნებში მიმოვიფანტებით?

როგორ შემიძლია, შევარცხვინო ადამიანები, რომლებიც აღიზარდნენ ღირსების ცნების გაგების გარეშე?რატომ უნდა მაფასებდნენ ისინი მე, როცა არც კი მიცნობენ? რომელი ღმერთებისა და წმინდანების წინაშე უნდა ვაიძულო ისინი, რომ დაემორჩილონ მათ? ფაქტი ერთია, რომ მათი უმრავლესობა შეურაცხყოფს ღვთაებებსა და წმინდანებს. შეიძლება ვენდოთ მათ მიერ დადებულ ფიცს იმათ წინაშე, ვისაც ისინი ბილწავენ? ვინც ღმერთებს დასცინის, ადამიანს როგორღა სცემს პატივს? ვიცი, რომ თქვენ მაგალითად მომიყვანთ შვეიცარიელებსა და ესპანელებს. გეთანხმებით, მათი მაგალითი უკეთესია, ვიდრე იტალიელებისა. მაგრამ თუ ყოველივეს გაითვალისწინებთ ჩემს მიერ ნათქვამიდან, განსაკუთრებით, რომელიმე არმიის სამხედრო წესრიგს, დასკვნა უფრო ცხადი და შემდეგნაირი იქნება: ისინი ძალზე შორს არიან ანტიკური ეპოქის სამხედრო ხელოვნების მწვერვალებიდან. რაც შეეხება შვეიცარიელებს, ისინი თავიანთი ბუნებით კარგი ჯარისკაცები არიან. ესპანელებს კი სათანადო პირობები აუცილებლობამ შეუქმნა. ისინი იბრძვიან სხვა ქვეყნებში, სადაც ან იმარჯვებენ ან კვდებიან, რადგანაც მათ სხვა გზა არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არ არის, რომ ისინი იქცნენ მამაც ჯარისკაცებად. თუმცა მათი სწავლება რთულდება ენობრივი ბარიერის გამო.

ახლა კი დავუბრუნდეთ იტალიელებს, რომლებმაც თავიანთ ხელისუფალთა არაგონივრული ქმედებით ვერ მიიღეს საჭირო, თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები, რითაც ისინი ესპანელებს გაუწევდ-

ნენ წინააღმდეგობას და მსოფლიოს დასაცინი არ გახდებოდნენ. რა თქმა უნდა, ამაში დამნაშავე ხელისუფლებაა და არა ხალხი. გინდათ, დარწმუნდეთ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში? დააკვირდით, რამდენი ომები დატყდა იტალიას თავს შარლ VIII-ის შემოჭრიდან დღევანდელ დღემდე. საერთოდ, ომები აძლიერებს მეომართა სამხედრო სულს, იტალიაში კი, რაც უფრო მასშტაბური და მკაცრი ომები მიმდინარეობდა, პირიქით – სახელი უტყდებოდათ მეთაურებსაც და ჯარისკაცებსაც. ეს აიხსნება იმით, რომ მიღებული სამხედრო გადაწყვეტილებები გამოუსადეგარი იყო, ახლის მიღება კი არავის შეეძლო.

დამიჯერეთ, იტალიური იარაღის დიდება აღდგება მაშინ, როდესაც გათვალისწინებული იქნება ყველაფერი, რაზეც მე თქვენ გესაუბრეთ. ეს ყველაფერი კი ხელისუფლების მოსაგვარებელია, თანაც მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობაზე დაყრდნობით. არც ერთი კარგი მოქანდაკე არ დაიწყებს ქანდაკების ძერწვას ქვის იმ ნატეხიდან, რომელიც სხვის მიერ არის ათვისებული. იგი აუცილებლად გამოიყენებს ხელუხლებელ ქვას. სანამ თქვენს იტალიელ ხელისუფალთ არ გადაუტანიათ ომები საკუთარ თავზე, რომელიც მათ ჩრდილოეთიდან ემუქრებათ, მანამდე მათ მიაჩნიათ, რომ მთავარია, ხელისუფალს შეეძლოს, დაწეროს მოქნილად შედგენილი მიმართვა ან ეშმაკური პასუხი, ბრწყინავდეს გონების გამჭრიახობით თავის საჯარო სიტყვაში, ახერხებდეს ლამაზად მოტყუებას, იყოს მორთული ოქროს სამკაულებით, იკვებებოდეს და იძინებდეს განსაკუთრებულ ფუფუნებაში, ეწეოდეს გარყვნილებას, ძარცვავდეს და ჩაგრავდეს ქვეშევრდომებს,

იტანჯებოდეს უსაქმურობით, უაზროდ არიგებდეს სამხედრო წოდებებს. ეს საცოდავი ადამიანები ვერც კი ამჩნევენ, რომ მტრის პირველივე შემოტევისთანავე მათ ნადავლად იქცევიან.

აი საიდან მომდინარეობდა ყველაფერი ის, რაც ჩვენ ვნახეთ 1494 წელს. ეს იყო არნახული შიში, მასობრივი გაქცევა და გამანადგურებელი მარცხი. ამის შედეგად იტალიის სამი ძლიერი სახელმწიფო რამდენჯერმე გაპარტახდა და გაიძარცვა (225).

მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაზე დიდი საშინელება. საქმე იმაშია, რომ, მიუხედავად ამისა, ხელისუფლება მაინც თვლემს და ძილბურანშია, ვერ აღიქვამს რეალობას. ამიტომაც ისინი არასდროს დაფიქრდებიან ანტიკური სამყაროს პერსონაჟთა გაბედულების მაგალითებზე, რომლებიც თავიანთი ქმედებებით ამტკიცებდნენ, პირველ ყოვლისა, სულიერ სიძლიერეს.

ალექსანდრე მაკედონელი, გაიუს იულიუს კეისარი, ჰანიბალი და ანტიკური სამყაროს სხვა სახელოვანი მხედართმთავრები ყოველთვის ავანგარდში იბრძოდნენ და მზად იყვნენ, სიცოცხლეც კი გაეწირათ. ამიტომაც ისინი ამ ქვეყნიდან წავიდნენ, როგორც ღირსეული პიროვნებები. მათ შეიძლება ვუსაყვედუროთ მხოლოდ ძალაუფლების გადაჭარბებული სიყვარული, თუმცა მათ არ გააჩნდათ ნიშნები თუნდაც უმნიშვნელო მოდუნებისა, ნებივრობისა ან გაუბედაობისა. ჩვენი ხელისუფალნი რომ ეცნობოდნენ მათი ცხოვრების ეპიზოდებს და იყენებდნენ მათ მაგალითებს, ისინი ალბათ შეცვლიდნენ თავიანთი ცხოვრების წესს და მასთან ერთად შეიცვლებოდა მათი და ქვეყნის ბედიც.

საუბრის დასაწყისში თქვენ პრეტენზიებს გამოთქვამდით მილიციის მიმართ, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ პრეტენზიები იმ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები, თუ თქვენ მათ მოაწყობდით ჩემი მითითებების შესაბამისად და დარწმუნდებოდით იმაში, რომ გამოცდილებამ არ გაამართლა. ახლა კი, როდესაც ისინი არ არიან უზრუნველყოფილნი და არ არიან გაწვრთნილნი ჩემი წესების შესაბამისად, რეალურად მათ უნდა ჰქონდეთ პრეტენზიები ჩვენს მიმართ, რადგანაც ჩვენ ვშობეთ ეს დღენაკლული და არაჯანსაღი არსება. ვენეციელებმა და ფერარის ჰერცოგმა, მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლეს ჯარების გარდაქმნა იმიტომ, რომ რეფორმა ბოლომდე ვერ მიიყვანეს; ამაში კი ისინი არიან დამნაშავენი და არა მათი მეომრები.

მე ვამტკიცებ, რომ ის იტალიელი ხელისუფალი, რომელიც პირველი დადგება ჩემს გზაზე, გახდება მთელი ქვეყნის გამაერთიანებელი. ამგვარი სახელმწიფო მიიღებს ისეთ, მაკედონიის მსგავს ქვეყანას, რომელსაც სათავეში ედგა ფილიპე II მაკედონელი, რომელმაც ისწავლა ეპამინონდისგან ჯარების შექმნის ხელოვნება, ჩამოაყალიბა ჯარისკაცთა წვრთნისა და სწავლების სათანადო წესები და შედეგად ისე გაძლიერდა, რომ სანამ ძველი საბერძნეთი დღესასწაულებისა და კომედიების ტრიუმფით წარმართავდა საქმიანობას, ფილიპემ რამდენიმე წელიწადში ხელთ იგდო ბერძნული პოლისები და საფუძველი ჩაუყარა ისეთ ძალაუფლებას, რამაც მის შვილს შეაძლებინა, ლამის მსოფლიოს მმართველობა.

ვინც ამ აზრებს აბუჩად აიგდებს, ის გულგრილია თავისი ხელისუფლებისა და ქვეყნისადმი. მე მიმაჩ-

ნია, რომ უფლება მაქვს, ბედს ვუჩიოდე, რადგანაც მას შეეძლო ჩემთვის ზურგი შეექცია, ანდა მოეცა საშუალება ცხოვრებაში ჩემი მიზნების განხორციელებისა.

სინიორებო, მე უკვე ხანდაზმული ადამიანი ვარ, თქვენ კი ახალგაზრდები ხართ და თუ დამიჯერებთ, თქვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეძლებთ, დაარწმუნოთ ხელისუფალნი, გახდეთ მათი სამხედრო მრჩევლები. თქვენ არ უნდა შეშინდეთ და ეჭვიც არ უნდა შეგეპაროთ, რადგანაც ჩვენი ქვეყანა შექმნილია იმისთვის, რომ მკვდრეთით აღადგინოს ყველაფერი, რაც გაქრა და ჩვენ ეს ვიხილეთ პოეზიის, ფერწერისა და ქანდაკების მაგალითებზე.

ასაკიდან გამომდინარე, მე უკვე აღარ მაქვს იმის საშუალება, რომ ვიკვებო მსგავსი იმედებით, მაგრამ თუ ბედი წარსულში დამაბრუნებდა, ძალიან მოკლე დროში მთელ მსოფლიოს ვაჩვენებდი ანტიკური სამხედრო ხელოვნების შეუფასებელ ღირებულებას. დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ მე შემეძლო ამეყვანა ჩემი ქვეყანა მაქსიმალურ სიძლიერემდე და ღირსეულად დამემთავრებინა ჩემი სიცოცხლე.

კომენტარები

წინასიტყვაობა

1. ლანდსკნეხტი (გერმ. Landsknecht – ხალხის მსახური), აღორძინების ეპოქაში ეწოდებოდა დაქირავებულ გერმანელ ქვეით ჯარისკაცს.
2. კონდოტიერი (იტალ. condotta – ხელშეკრულება სამხედრო სამსახურში დაქირავების შესახებ), XIV-XVI საუკუნეების იტალიაში ეწოდებოდა სამხედრო რაზმების მეთაურს.
3. ფრანსუა I, საფრანგეთის მეფე 1515-1547 წლებში, ვალუას დინასტიის წარმომადგენელი.

შესავალი

4. ლორენცო სტროცი (1523-1571), სიენას არქიეპის-კოპოსი, კარდინალი, ფლორენციელი ბანკირისა და კონდოტიერის ფილიპო სტროცი უმცროსისა და კლარიჩე მედიჩის ვაჟი.

თავი I

5. საუბრის დასაწყისში მაკიაველი ახსენებს შეხვედ-რების მასპინძელს კოზიმო რუჩელაის. ის იყო ცნობილი ფლორენციელი ელჩის ბერნარდო რუჩე-ლაის (1449-1514) შვილიშვილი. ბერნარდოს შექ-მნილია რუჩელაის ცნობილი ბაღები, სადაც თავ-მოყრილი იყო ხელოვნების ნაწარმოებები და იმართებოდა შემოქმედებითი შეხვედრები და

დისკუსიები. იქ მდებარეობდა ფლორენციის ნეოპ-ლატონიზმის აკადემია.

6. ფაბრიციო I კოლონა (1460-1520), პალიანოს პირ-ველი ჰერცოგი, კონდოტიერი, გენერალი. ებრძოდა ფრანგებს, მოგვიანებით დაინიშნა ესპანელთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად იტა-ლიაში. წარმოადგენს ნაწარმოების მთავარ პერსო-ნაჟს კოზიმო რუჩელაისთან ერთად.
7. აქ საუბარია კასტილიის, არაგონის, სიცილიისა და ნეაპოლის მეფე ფერნანდო I-ზე (1452-1516), რომელსაც „კათოლიკეს“ უწოდებდნენ. მან საფუძ-ველი ჩაუყარა ესპანეთის ჰეგემონობას ევროპაში.
8. იგულისხმება ფლორენციის ჰერცოგი, გენერალ-კაპიტანი ჯულიანო II დი ლორენცო დე მედიჩი (1479-1516), რომელიც მართავდა ფლორენციას 1513 წლიდან, მედიჩების დინასტიის რესტავ-რაციის შემდეგ.
9. კოლონა საუბრობს იმ დროზე, როდესაც რომს მართავდნენ ისეთი ჰუმანისტი პაპები, როგორე-ბიც იყვნენ ნიკოლო V (1447-1455) და პიუს II (1458-1464). ნიკოლო V (ერისკაცობაში ტომაზო პარანტუჩელი, ექიმის შვილი, შინა მასწავლებელი იყო ფლორენციელი ბანკირების სტროცისა და ალბიცის სახლებში. აღზევდა ევგენიუს IV-ის დროს. ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღე-ბის შემდეგ ცდილობდა ჯვაროსნული ლაშქ-რობის მოწყობას, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა ამ მოწოდების შედეგად იტალიური სახელმწიფოე-ბის უმრავლესობამ თავდაცვითი და შეტევითი ხასიათის კავშირი შეკრეს (ლოდის ლიგა, 1455). ნიკოლო V პირველი ჰუმანისტი პაპია. 1475 წელს

მან დააარსა ვატიკანის სამოციქულო ბიბლიო-
თეკა. პიუს II (ერისკაცობაში ენეა სილვიო დე
პიკოლომინი) ახალგაზრდობაში გართობის მოყ-
ვარული იყო. პროფესიით იურისტი წერდა ლექ-
სებს, თავისი დროის გამორჩეული დიპლომატი
და იმპერატორ ფრიდრიხ III-ის მდივანი იყო.
შემდეგ კი მისი ცხოვრება რადიკალურად
შეიცვალა; 1458 წელს პაპის ტახტზე ავიდა პიუს
II-ის სახელით. მთელი თავისი პონტიფიკატი
პიუს II-მ მიუძღვნა ჯვაროსნული ომის მომზა-
დებას ოსმალების წინააღმდეგ, რომლებმაც კონს-
ტანტინოპოლის აღების შემდეგ საფრთხე შეუქმ-
ნეს ევროპას. პაპმა უშუამდგომლა, შეარიგა და
შეიპირა ევროპის არაერთი მეფე-მთავარი ოსმა-
ლების წინააღმდეგ ომისთვის, რომლის მზადების
დროსაც (1464) იგი ანკონაში გარდაიცვალა მაშინ,
როდესაც ჯვაროსნების ერთი ნაწილი უკვე ჩამო-
სული იყო. ანტიოსმალურ კოალიციაში ევროპელ
მონარქებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართ-
ველი მეფეები: საქართველოს უკანასკნელი მეფე
გიორგი VIII (1446-1466) და ქართლ-იმერეთის
მეფე ბაგრატ VI (1466-1478). პიუს II-ისა და
გიორგი VIII-ის ურთიერთობა იმითაც არის საინ-
ტერესო, რომ პაპმა მეფის თხოვნით ქართველ
კათოლიკეთა პატრიარქად დანიშნა ლოდოვიკო
და ბოლონია. 1461 წელს პიუს II-მ დაწერა ცნო-
ბილი წერილი მეჰმედ II-ისადმი. პაპი ოსმალთა
იმპერიის დიდ არქიტექტორს მსოფლიო მონარ-
ქის გვირგვინს სთავაზობდა, თუკი ქრისტიანად
მოინათლებოდა. პიუსის კალამს ეკუთვნის ასევე
ორი კოსმოგრაფიული თხზულება: „De Europa“

და „De Asia“, რომლებსაც მოგვიანე ბით კოლუმბი იყენებდა.

10. კოზიმო საუბრობს ბერძენ ფილოსოფოსზე, დიოგენე სინოპელზე (ძვ. წ. 412-323), რომელიც აცხადებდა, რომ არაფერი ესაჭიროებოდა. მთელ საბერძნეთში მოგზაურობდა ყველაფრისგან თავისი განდგომის თვალნათლივ საჩვენებლად; ცხოვრობდა ღვინის ცარიელ კასრში და აბუჩად იგდებდა ბერძნულ ცივილიზაციას. ამის გამო მას „შეშლილი სოკრატე“ უწოდეს. დიოგენე „მსოფლიოს მოქალაქედ“ თვლიდა თავს. მისი ძირითადი მოთხოვნილებები აუცილებელ მინიმუმამდე იყო დაყვანილი: მოსასხამს სამოსელად და საწოლად იყენებდა, საკვებისთვის ერთი ჯამი ჰქონდა, სასმელისთვის კი თასი. ერთ დღეს პატარა ბიჭი ნახა, რომელსაც ოსპის მარცვლები პირდაპირ პურზე ედო და თავისი ჯამი გადააგდო, ხოლო როდესაც დაინახა, იგივე ბიჭი როგორ სვამდა წყალს ხელისგულიდან, თასიც გადააგდო. 90 წლის ასაკში დიოგენემ სუნთქვა შეიჩერა და ამგვარად მოიკლა თავი. თავისი ცხედრის შესახებ კი ასეთი რამ დაიბარა: „დაუმარხავად დააგდეთ ის ცხოველთა საჯიჯგნად, ანდა ორმოში ჩააგდეთ და ცოტა მტვერი მიაყარეთ ზემოდან“.

11. ამგვარი ე.წ. „კომპანიები“ იქმნებოდა ომის დამთავრებისთანავე დადებული თითოეული დაზავების შემდეგ, რომელსაც ხშირად ჰქონდა ადგილი დაპირისპირებულ მხარეებს შორის იტალიური ომების დროს. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია მეორე იტალიურ ომზე,

რომელიც მიმდინარეობდა საფრანგეთის მეფე ლუი XII-სა (1498-1515) და არაგონის (1479-1516), სიცილიისა (1468-1516) და ნეაპოლის (1504-1516) მეფე ფერდინანდ II არაგონელს შორის ნეაპოლის ხელში ჩასაგდებად (1499-1504) და ომის დასრულების 1504 წლის 31 იანვრის ზავის შემდგომ 4-წლიან პერიოდზე.

12. აქ მხედველობაში გვაქვს კართაგენის ცნობილი ომი მის წინააღმდეგ ამბოხებულ საკუთარ დაქირავებულ მეომრებთან (ძვ.წ. 241-238 წწ.), რომლებსაც მხარს უჭერდა აფრიკული ტომების ნაწილი. ამ ამბოხების გამოცდილება გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ შემდგომში კარ-თაგენელები დაქირავებულ არმიას უპირატესად იყენებდნენ აფრიკის საზღვრებს გარეთ: თავიდან ესპანეთში, ხოლო მოგვიანებით, მეორე პუნიკური ომის დროს – იტალიაშიც.
13. 1450 წელს ცნობილმა კონდოტიერმა ფრანჩესკო სფორცამ (1401-1466), რომელიც დაქორწინებული იყო მილანის ჰერცოგის ფილიპო მარია ვისკონ-ტის ერთადერთ ასულზე, ბიანკაზე, აიძულა მილანის სახალხო კრება, ქალაქის მმართველად აერჩიათ. ამ შემთხვევაში კოლონა მართალია, რადგანაც სფორცამ უგულებელყო მილანელთა თავისუფლება სამხედრო ძალის გამოყენების გზით.
14. მაკიაველი საუბრობს იმაზე, თუ როგორ უღა-ლატა მუციო ატენდოლო სფორცამ, ფრანჩესკოს მამამ, 1423 წელს ნეაპოლიტანის დედოფალს, ჯოვანა II-ს.
15. აქ იგულისხმება ბრაჩო და მონტონე (1368-1424) – კონდოტიერი, რომელიც ჯერ ნეაპოლიტანის

სამეფოს ემსახურებოდა, შემდეგ კი არაგონის მეფე ალფონსო V-ის (1416-1458) მხარეზე გადავიდა.

16. მარკუს ატილუს რეგულუსის (ძვ. წ. 256 წელს რომის კონსული) შესახებ ეს ლეგენდა შემოინახა რომაელმა მწერალმა ვალერიუს მაქსიმუსმა (ახ.წ. I ს.) თავის კრებულში: „ღირსსახსოვარი ფაქტები და გამონათქვამები“.
17. მაკიაველის მხედველობაში ჰყავს ძმების, რომაელი სახალხო ტრიბუნების ტიბერიუს და გაიუს გრაკხუსების მიერ ძვ.წ. 137-122 წლებში განხორციელებული რეფორმები.
18. რომის პირველი იმპერატორების ოქტავიანე ავგუსტუსისა (ძვ.წ. 27-14 წლები) და ტიბერიუსის (ძვ.წ. 14 – ახ.წ. 37 წლები) მიერ განხორციელებულმა სამხედრო რეფორმამ, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ გაიუს მარიუსმა, არმია სრულად და საბოლოოდ გახადა პროფესიული.
19. თავდაპირველად რომის არმიაში პრეტორიანელებს უწოდებდნენ იმ სამხედრო ნაწილებს, რომლებსაც ევალებოდათ მხედართმთავრების დაცვა. ოქტავიანე ავგუსტუსმა ეს სახელი უწოდა იმპერატორის გვარდიას, რომლის დისლოკაციის ადგილიც იყო რომში ან მის სიახლოვეს. ამ დროს პრეტორიანულ გვარდიაში ითვლებოდა 9 კოჰორტა 9 ათასი მეომრით. მოგვიანებით პრეტორიანელთა საერთო რიცხვმა 14 ათასს მიაღწია. ის გააუქმა კონსტანტინე დიდმა, როგორც „სახელმწიფო გადატრიალებისა და გარყვნილების ბუდე“ (325 წ.).
20. შესაძლოა აქ საუბარი იყოს 1512 წლის მოვლენებზე, როდესაც რომის პაპმა იულიუს II-მ (1503-

1513), რომელსაც არ ჰქონდა ფული ჯარის-კაცებისთვის ხელფასის გადასახდელად, გენერალ რამონ დე კარდონას ესპანური არმია ფლო-რენციას დაუქვემდებარა. იმავდროულად კოა-ლიციის სამსახურში, რომელიც იცავდა იულიუს II-ის ინტერესებს, აღმოჩნდა 18 ათასი შვეი-ცარიელი ჯარისკაცი.

21. მაკიაველი საუბრობს ე.წ. „ორდონანსულ ასეუ-ლებზე“ (15 ასეული), რომლებიც შექმნა 1445 წლის 26 მაისს საფრანგეთის მეფე შარლ VII-მ (1422-1461) ე.წ. „ორდონანსებით“ (ფრანგ. „ბრძა-ნება“). ეს იყო პირველი მუდმივი (პროფესიული) ჯარი, რომელიც საფრანგეთის მეფეს ემორჩილე-ბოდა. ასეულის პირადი შემადგენლობის რაო-დენობა იცვლებოდა ვითარების შესაბამისად: თითოეულ მათგანში შედიოდა 600 მხედარი, 100 შუბოსანი. ასეულის შტაბს მეთაურობდა კაპი-ტანი, მისი მოადგილე იყო ლეიტენანტი. ასეულს ჰყავდა 2 მედროშე და კვარტირმეისტერი. XVI საუკუნეში ეს ასეულები გაუქმდა.
22. კოლონას ოჯახს მამულები ჰქონდა პაპის ოლქის ტერიტორიაზე.
23. „მწერლები, რომლებმაც დაადგინეს სამხედრო წესები“ – ამ ფრაზაში მაკიაველი გულისხმობს რომაელ სამხედრო ისტორიკოსებსა და თეორე-ტიკოსებს: პუბლიუს ფლავიუს რენატუს ვეგე-ციუსსა (IV-V ს.ს.) („ტრაქტატი სამხედრო საქმის შესახებ“; 390-410 წლები) და სექსტუს იულიუს ფრონტინუსს (30-103) („სტრატეგემები“ ანუ „სამ-ხედრო ეშმაკობები“; 84-88 წლები). იგი ეყრდნო-ბოდა ამ თხზულებებს და მათგან ციტირებდა.

24. კოლონას მხედველობაში აქვს შვეიცარია და ზემო გერმანია; იქ შერჩეული ქვეითი მებრძოლები საუკეთესო ჯარისკაცებად ითვლებოდნენ.
25. აქ იგულისხმება ჯარისკაცების შერჩევის წესები, რომლებიც გადმოცემულია ვეგეციუსის „ტრაქ-ტატში სამხედრო ხელოვნების შესახებ“. 1. 3.
26. მაკიაველი საუბრობს მისი დაჟინებული თხოვ-ნის შედეგად სახალხო ლაშქრის (მილიცია) შემოღებაზე, რომელმაც 1512 წელს ვერ შეძლო დაბრუნებული მედიჩებისგან ფლორენციის დაცვა.
27. რეალურად, ვენეციელები ამ დროს სახმელეთო ძალებში იყენებდნენ ძირითადად რომანიოლებ-სა და შვეიცარიელებს; ფრანგი მეფეები დაბალ ფენებს უკრძალავდნენ იარაღის შეძენას. რომა-ნიოლებში იგულისხმებოდა რომანიის პრო-ვინციის (ფერარა, ბოლონია, რავენა, ფორლი) მცხოვრებნი.
28. მეორე იტალიური ომის (1499-1504) 1504 წლის საზავო ხელშეკრულებით, ნეაპოლიტანიის სამე-ფოს დაყოფაში მონაწილეობისთვის ვენეციამ მიიღო მნიშვნელოვანი ტერიტორიული „ნამატი“ თავის სამფლობელოებზე ლომბარდიაში, რომა-ნიასა და სამხრეთ იტალიაში.
29. სავარაუდოდ, მაკიაველის მხედველობაში ჰქონ-და ერთ-ერთი ეპიზოდი „კამბრეს ლიგის“ ომისა (1508-1516) ვენეციის წინააღმდეგ, როდესაც 1509 წლის ივნისში იმპერიის სამხედრო ძალებმა დაიკავეს ვიჩენცა. აქ ნახსენებ მარკიზში მაკია-ველი გულისხმობს მანტუას IV მარკიზს ჯან ფრანჩესკო II გონზაგას (1484-1519).

30. მაკიაველი საუბრობს პირველ პუნიკურ ომზე (ძვ.წ. 264-241), კონკრეტულად კი იმ დროზე, როდესაც რომაელებმა გარდატეხას მიაღწიეს მას შემდეგ, რაც შექმნეს საკუთარი ფლოტი.
31. სერვიუს ტულიუსი (ძვ.წ. 578-534 წწ.), რომის VI მეფე, რომელმაც გაატარა სამხედრო რეფორმა; მან ქონებრივი ცენზის მიხედვით დაუწესა სამხედრო ვალდებულება რომის მოსახლეობას, რომელიც 5 კატეგორიად დაჰყო. მათგან, ვისი ქონებაც 100 000 ასს (რომაული სპილენძის მონეტა, იწონიდა დაახლოებით 275 გრამს) აღემატებოდა, სერვიუსს უნდა ჩამოეყალიბებინა 80 ცენტურია, რომელთაგან 40 უნდა ყოფილიყო უფროსი ასაკის (46 წლიდან 60 წლამდე) და 40 - უმცროსი ასაკისა (18-45). საკუთარი თავი იარაღით მათ თვითონ უნდა უზრუნველეყოთ. ორი ცენტურია იარაღის გარეშე იყო, მათ მძიმე ტექნიკა (კედლის სანგრევი, ლოდსატყორცნი და სხვ.) უნდა მიეწოდებინათ დანარჩენი ცენტურიებისთვის. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ისინი, ვისი ქონებაც 75 000-დან 100 000 ასამდე იყო. მათგან, უფროსებისგან და უმცროსებისგან უნდა შემდგარიყო ოცი ცენტურია. მათი შეიარაღება უნდა ყოფილიყო პირველი კატეგორიის ცენტურიებისგან განსხვავებით ცოტა მსუბუქი. მესამე კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ისინი, ვისი ქონებაც 50 000-ს არ აღემატებოდა. მათგან ას ოცი ცენტურია უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომლებსაც მეორე კატეგორიის იდენტური შეიარაღება უნდა ჰქონოდათ. მეოთხე კატეგორიის ცენზი იყო 25 000 ასზე

მეტი. მათგან ას ოცი ცენტურია უნდა შექმნილიყო. მათ შეიარაღებაში მხოლოდ შუბი უნდა ჰქონოდათ. მეხუთე კატეგორიის ცენზი 11 000 ასი იყო. მათ 35 ცენტურია უნდა შეექმნათ. მეომრებს მხოლოდ ლოდსატყორცნები უნდა ჰქონებოდათ.

32. როგორც რომაელი ისტორიკოსი და მხედართმთავარი სექსტუს იულიუს ფრონტინუსი (30-103) გვაუწყებს („სტრატეგემები“, IV. 1.3.), ეპირისა (ძვ.წ. 306-272) და მაკედონიის (ძვ.წ. 288-272) მეფე პიროსმა ერთ პიროვნებას, რომელიც მისთვის ჯარისკაცებს აგროვებდა, ასე მიმართა: „შენ შეარჩიე ახოვანები და მე მათ სიმამაცეს მივანიჭებ“. რაც შეეხება რომის რესპუბლიკის უდიდეს სახელმწიფო მოღვაწესა და მხედართმთავარს, მარადიულ დიქტატორს (ძვ. წ.100 – ახ. წ.44) იულიუს კეისარს, თავის „ჩანაწერებში“ ის არაერთგზის უსვამდა ხაზს მეომრისთვის ფიზიკური ძალის უპირატესობის საჭიროებას.

33. ვეგეციუსი, ტრაქტატი „სამხედრო ხელოვნების შესახებ“ I. 6,7.

34. იხ. ვალერიუს მაქსიმუსის კრებული „კეისართა ცხოვრების აღწერა“, თავი „ორი მაქსიმინუსი“, 5.6.

35. ეს საკითხი შედარებით ბუნდოვნად აქვს განხილული მაკიაველის და უფრო მეტ გარკვევას მოითხოვს. ძველ რომში არსებობდა 3 სახის ტრიბუნის თანამდებობა (სახალხო ტრიბუნი, სამხედრო ტრიბუნი კონსულის ძალაუფლებითა და სამხედრო ტრიბუნი). სახალხო ტრიბუნის ინსტიტუტი ძვ. წ. 494 წელს შემოიღეს. ტრიბუნის ფუნქცია იყო პლებსის უფლებების დაცვა. ფაქ-

ტობრივად, ეს იყო სახალხო დამცველი. ტრიბუ-ნების არჩევა ხდებოდა ყოველწლიურად კომიციაზე. თავდაპირველად ირჩევდნენ ორ ტრიბუნს, ხოლო დროთა განმავლობაში მათი რაოდენობა გაიზარდა. ტრიბუნები ხელშეუხებ-ლები იყვნენ და სარგებლობდნენ ვეტოს უფლე-ბით. მათ შეეძლოთ ვეტოს დადება ასევე ერთმა-ნეთის საქმიანობისთვის. რომის ადრეულ რეს-პუბლიკაში ძვ. წ. 444 – ძვ. წ. 367 წლებში სამხედრო ტრიბუნების არჩევა ხდებოდა კონსუ-ლების ნაცვლად კონსულის ძალაუფლებით. მათი რიცხვი 3-დან 8-მდე მერყეობდა. რესპუბლიკის გვიანდელ პერიოდში სამხედრო ტრიბუნი (tribuni militum) ხელმძღვანელობდა ლეგიონს. იმპერიის ეპოქაში სამხედრო ტრიბუნის ფუნქცია დაქ-ვეითდა და ლეგატზე დაქვემდებარებული აღ-მოჩნდა. ლეგიონში იყო ერთი სამხედრო ტრი-ბუნი სენატორებიდან და 5 მხედრებიდან. ტრი-ბუნების რაოდენობა იყო უფრო ნაკლები კო-ჰორტების რაოდენობასთან შედარებით (მაკიავე-ლისთან „კოჰორტას“ შეესატყვისება „ბატალიო-ნი“):10 კოჰორტაზე მოდიოდა 6 ტრიბუნი. კოჰორ-ტებს უფლება ჰქონდათ, ჰყოლოდათ საკუთარი მეთაურები ცენტურიონების რიცხვიდან. ამ თე-მასთან დაკავშირებით, მაგალითად, ვეგეციუსი წერდა: „დანარჩენი კოჰორტები იმყოფებოდნენ სამხედრო ტრიბუნების ან პრეპოზიტების (საიმ-პერატორო ადმინისტრაციის მეთაური) დაქვემ-დებარებაში“.

36. ამ შემთხვევაში მაკიაველი ეყრდნობა ძველ ბერძენ ისტორიკოსს პოლიბიოსს (ძვ. წ. III-II

საუკუნეები), რომელმაც თავის ნაშრომში "ისტორია" აღწერა ძვ. წ. 220 - ძვ.წ. 146 წლის მოვლენები რომის რესპუბლიკაში და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. იგი „ისტორიაში“ ამტკიცებს, რომ რომში ჯარისკაცთა ხარისხობრივი შერჩევის ამგვარი სისტემა ძველი დროიდანვე არსებობდა. იხ. პოლიბიოსი. ისტორია. წგნ. VI. 20

37. მაკიაველი თავის თხზულებაში სამხედრო ძალის აღმნიშვნელ ძირითად ტერმინად იყენებს „მილიციას“. ლათინურად militia აღნიშნავს სამხედრო სამსახურს და ზოგადად ჯარს. ტერმინში ძირითადად მოიაზრება შეიარაღებულ მოქალაქეთა არარეგულარული რაზმები, იგივე სახალხო ლაშქარი, რომელიც იქმნებოდა ომის შემთხვევაში, იგივე არამუდმივი ჯარი.
38. იმ დროს ჯერ კიდევ გავრცელებული იყო ანტიკური წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ასურეთის იმპერიას (ძვ. წ. XIV – ძვ. წ. VII ს. ს.) თითქოსდა არ ახასიათებდა შინაგანი რყევები. რეალურად კი ასურეთის მმართველებს თავიანთი მხედართმთავრები და ჩინოვნიკები გადაჰყავდათ ერთი პროვინციიდან მეორეში, განსაკუთრებით, იმ რეგიონებში, სადაც თავმოყრილი იყვნენ ახლად გადასახლებული ხალხები. ასეთი ქმედებით ისინი ახერხებდნენ მოსალოდნელი ამბოხების განეიტრალებას.
39. რომაელი იმპერატორები, რომლებმაც მიაღწიეს სტაბილურობასა და ქვეყნის აყვავებას თავიანთი მმართველობის პერიოდში: ადრიანუსი (117-138); მარკუს ავრელიუსი (161-180); სეპტიმუს სევერუსი (193-211).

თავი II

40. ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „velites“, რაც ნიშნავს „ტილოს პერანგში გამოწ-ყობილს“.
41. რომის ლეგიონერთა შეიარაღების ამგვარი აღწერა ყოველთვის არ შეესაბამებოდა მათ კლასიკურ აღწერას, რომელსაც გვთავაზობდა პოლიბიოსი (VI. 22-23): ამ შემთხვევაში მაკიაველი გვთავა-ზობს საკუთარ კონცეფციას.
42. აქ მხედველობაშია მისაღები „hasta“, რომელიც უფრო მძიმე იყო, ვიდრე პილუმი. აქედან მიიღო სახელწოდება ლეგიონერთა ერთ-ერთმა ნაწილმა.
43. წყრთა ეწოდება ძველ ქართულ სიგრძის საზომ ერთეულს. სულხან-საბას განმარტებით უდრის ნახევარ ადლს, საშუალოდ, 50,6 სმ-ს. (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექ-სიკონი. თბ. მერიდიანი. 2011).
44. აქ მხედველობაშია მისაღები ე.წ. „მესამე მაკე-დონიური ომი“ (ძვ.წ. 171-168 წწ.), როდესაც დასკვნით ეტაპზე მაკედონიის მეფე პერსევსს (ძვ.წ. 213 - ძვ.წ. 166) წარმატებით ებრძოდა რომის ორგზის კონსული (ძვ.წ. 182 და 162 წწ.) ლუციუს ემილიუს პაულუსი, რომელმაც ბოლო მოუღო მაკედონიის სამეფოს.
45. ამ შემთხვევაში მაკიაველი ცდება; მაკედონელი სარისოფარები ატარებდნენ მრგვალ ფარებს.
46. მაკიაველი საუბრობს კვადრატულ კოლონებზე, რომლებსაც ბრძოლის ველზე აწყობდნენ მისი თანამედროვე შვეიცარიელი ჯარისკაცები.

47. პოლიბიოსი, „ისტორია“, VI. 25. პოლიბიოსი, ბერძენი ისტორიკოსი (ძვ. წ. 203 – გ. ძვ.წ. 120), რომელმაც თავის ნაშრომში "ისტორია" აღწერა ძვ.წ. 220 - ძვ.წ. 146 წლის მოვლენები რომის რესპუბლიკაში და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში.
48. ტიტუს ლივიუსი. „რომის ისტორია“, XXXVIII.13. ((ძვ. წ. 59 - 17) – რომაელი ისტორიკოსი, ავტორი 142 ნაწილისგან შემდგარი წიგნისა „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან“ (თანამედროვე ეპოქამდე მოღწეულია 35 ნაწილი).
49. ქვეითი მეომრები (ლანდსკნეხტები, შვეიცარიელები, ესპანელები) ასეთ მახვილებს იყენებდნენ იმის გამო, რომ ფარიკაობაში იმ დროს გადამწყვეტი იყო დარტყმა ჩხვლეტით და არა ჩეხვით: მხოლოდ ამგვარ ქმედებას შეეძლო მოწინააღმდეგის მუზარადისა და ჯავშნის გაპობა ორთაბრძოლაში.
50. ალებარდა (hallebarde) ეწოდება ძველებურ შვეიცარიულ ცივ, საჩხვლეტ და საჩეხ იარაღს, რომელსაც გრძელტარიანი შუბის ფორმა აქვს ცულის მსგავსი პირით. ქართულად შეესატყვისება ჩუგლუგი (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2006).
51. აქ იგულისხმება მეომრები, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ხელის ცეცხლსასროლი იარაღით – არკებუზებით.
52. მაკიაველი საუბრობს შვეიცარიის კონფედერაციაზე, რომელიც XIII საუკუნის ბოლოდან იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის ჰაბსბურგების წინააღმდეგ (მათ ავსტრიელი ჰერცოგების რანგში

მემკვიდრეობითი უფლებები ჰქონდათ შვეიცარიელთა ტერიტორიებზე).

53. მაკიაველის მხედველობაში აქვს საფრანგეთის მეფის შარლ VIII დე ვალუას (1470-1498 წწ.) ლაშქრობა იტალიაში 1494-95 წლებში, რასაც შედეგად მოჰყვა ე.წ. იტალიური ომები. საფრანგეთის არმიის რიგებში ირიცხებოდა შვეიცარიელთა რაზმი, აგრეთვე ლანდსკნეხტები (მათი საერთო რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 8 ათას მეომარს).
54. მაკიაველი აქ საუბრობს 1422 წლის 30 ივნისს კონდოტიერ ფრანჩესკო ბუსონე და კარმანიოლას (1390-1432 წწ.) არბედოსთან გამართულ ბრძოლაზე, რომლითაც მილანის ჰერცოგმა გამარჯვება მოიპოვა შვეიცარიის კონფედერაციაზე.
55. ამ დროს გავრცელებული ფრანგული სახელწოდება რაინდთა რეგულარული კავალერიისა.
56. აქ საუბარია გონსალო ფერნანდეს კორდობაზე (1453-1515 წწ.). ის იყო ესპანელი მხედართმთავარი და სამხედრო რეფორმატორი; ოლბიისა და სანტ-ანჯელოს თავადი, ნეაპოლის ვიცე-მეფე. მისმა სამხედრო წარმატებებმა XVI საუკუნის ესპანეთი აქცია ევროპის უძლიერეს სამხედრო სახელმწიფოდ. იყო პოზიციური ბრძოლების დიდი ტაქტიკოსი. მეორე იტალიური ომის (1499-1504) შედეგად განდევნა ფრანგები ნეაპოლის სამეფოდან.
57. ბარლეტა – აპულიის ქალაქი, რომელიც ალყაში მოაქციეს ფრანგებმა 1503 წელს, როდესაც ნეაპოლის სამეფოს დაშლის შემდეგ დაიწყეს სამხედრო მოქმედებები ესპანეთთან სასაზღვრო დავების

გამო. მთელი რიგი წარუმატებელი ბრძოლების შემდეგ (მათ შორის, ჩერინოლესთან) ფრანგები განდევნეს სამხრეთ იტალიიდან.

58. მიუხედავად რავენასთან განცდილი მარცხისა (1512 წელს), ქვეითი ძალების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოახერხა ორგანიზებული უკან დახევა.

59. პირველი ცნობები უნაგირის გამოყენებისა ფიქსირდება ძვ.წ. 700 წელს ასურეთის კავალერიის მიერ. VI საუკუნეში ჩინეთში გამოგონილი უზანგი ევროპაში ცნობილი გახდა VIII საუკუნის დასაწყისში, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა კავალერიის ბრძოლის ტაქტიკა და ხელი შეუწყო ჯავშნიანი კავალერიის გამოჩენას; უზანგი, როგორც საყრდენის გამოყენება, მხედარს საშუალებას აძლევდა, მოწინააღმდეგისთვის არა მარტო ეფექტური ჩეხვითი დარტყმები მიეყენებინა, არამედ მძიმე შუბიც უფრო სრულყოფილად გამოეყენებინა.

60. პლუტარქე (დაახლოებით 46-127 წწ.) ბერძენი ისტორიკოსი, ბიოგრაფი და ესეისტი). „პარალელური ბიოგრაფიები“, ლუკულუსი, 18. (ლუკულუსი ან ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსი (დაახლ. ძვ.წ. 117-56) – რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. ძვ. წ. 79 წელს იყო ედილი, ძვ.წ. 77 წელს – პრეტორი, ძვ.წ. 74 წელს – კონსული. თავი გამოიჩინა მითრიდატე VI-ის წინააღმდეგ ომში. განთქმული იყო სიმდიდრითა და არაჩვეულებრივი ფუფუნებით. მფარველობდა მეცნიერებსა და მხატვრებს. რომი დაამშვენა ბაღებითა და ბრწყინვალე სასახლეებით). აქ საუბარია ძვ.წ. 69 წელს

ტიგრანაკერტთან (თანამედროვე დიარბაქირი, თურქეთი) გამართულ ბრძოლაზე რომის რესპუბ-ლიკისა (სარდალი ლუციუს ლუკულუსი) და სომ-ხეთის ჯარებს (სარდალი ტიგრან II დიდი) შო-რის, სადაც სომხეთის არმიამ მძიმე მარცხი განიცადა.

61. პირველი ნაბიჯები საკუთარი იტალიური ქვეითი ძალების შექმნისა ეკუთვნის ესპანური წარმომავ-ლობის რომანიის ჰერცოგს ჩეზარე ბორჯას (1475-1507) და დაკავშირებულია იტალიური ომების დაწყებასთან. იტალიურმა ომებმა (1494-1559), რომლებიც რამდენიმე ეტაპად წარმოებდა იტა-ლიაზე ბატონობისა და ევროპაში ჰეგემონობის დასამყარებლად, იტალია საბრძოლო პოლიგონად აქცია საფრანგეთს, ესპანეთსა და საღვთო რომის იმპერიას შორის, რომელშიც დროდადრო ინგ-ლისი, რომის პაპი და იტალიის სახელმწიფოებიც მონაწილეობდნენ.

62. პართიის სამეფო (ძვ.წ. II ს. – ახ.წ. 226 წ.), სახელმწიფო, რომელიც დააარსეს ირანულმა ტომებმა, პართიელებმა ირანის, მესოპოტამიის, ავღანეთის ნაწილსა და ცენტრალურ აზიაში. ძვ. წ. 53 წლიდან იწყება მათი კონფლიქტები რომაე-ლებთან, რომლებიც პართიის დასავლეთ საზღვ-რებს ემიჯნებოდნენ. ამ დაპირისპირებებმა ვერ გამოავლინეს მათ შორის გამარჯვებული; თვით იმპერატორ ტრაიანეს მიერ 114-116 წლებში მესოპოტამიის დაპყრობაც კი ძალზე ხანმოკლე გამოდგა.

63. ძვ.წ. 60 წელს სამმა დამოუკიდებელმა და ძლიერმა პოლიტიკოსმა იულიუს კეისარმა, გნეუს

პომპეუსმა და მარკუს კრასუსმა შექმნეს პოლიტიკური კავშირი, რომელიც პირველი ტრიუმვირატის სახელით არის ცნობილი ისტორიაში. კრასუსი ამავე დროს იყო რომის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი. სხვადასხვა წყაროს ცნობებით, ის ფლობდა 200 მილიონ სესტერციუსს (ჟურნალ „ფორბსის“ 2008 წლის თებერვლის გამოშვების მიხედვით 169.8 მილიარდი დოლარი). დაიწყო დაპყრობითი ომი პართიის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და დაიღუპა თავის ჯართან ერთად კარასთან გამართულ ბრძოლაში. მარკუს ანტონიუსი (ძვ.წ. 83 – ძვ.წ. 30), ძველი რომის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, რომელმაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა რომის რესპუბლიკის იმპერიად გარდაქმნის პროცესში. რომის ტრიუმვირი, ორგზის კონსული, სახალხო ტრიბუნი. ანტონიუსი იულიუს კეისრის მხარდამჭერი იყო და მასთან ერთად იბრძოდა გალიის დაპყრობისა და სამოქალაქო ომის დროს. სანამ კეისარი საბერძნეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ესპანეთში პოლიტიკურ ოპონენტებს ანადგურებდა, ანტონიუსი იტალიას განაგებდა. ძვ. წ. 44 წელს კეისრის მკვლელობის შემდეგ, ანტონიუსი დაუკავშირდა კეისრის კიდევ ერთ თანამებრძოლს, მარკუს ემილიუს ლეპიდუსსა და კეისრის დის შვილიშვილსა და შვილობილს, ოქტავიანეს. ამ სამეულმა ჩამოაყალიბა სამხედრო ხუნტა, რომელიც ისტორიაში მეორე ტრიუმვირატის სახელითაა ცნობილი. ძვ.წ. 42 წელს, ფილიპის ბრძოლაში, ტრიუმვირებმა დაამარცხეს კეისრის

მკვლელები, ლიბერატორები და რესპუბლიკის მართვა-გამგეობა ერთმანეთში გაინაწილეს. ანტონიუსმა რომის აღმოსავლეთი პროვინციები მიიღო ეგვიპტის სამეფოს ჩათვლით, რომელსაც კლეოპატრა VII ფილოპატორი მართავდა. მას პართიასთან ომში რომის ჯარების მთავარსარდლობაც დაუმტკიცდა. ტრიუმვირებს შორის დაძაბული ურთიერთობა სუფევდა, რადგანაც თითოეული მათგანი უფრო დიდი პოლიტიკური ძალაუფლებისკენ ისწრაფვოდა. ძვ. წ. 40 წელს ანტონიუსსა და ოქტავიანეს შორის კინაღამ სამოქალაქო ომი დაიწყო. ანტონიუსი ოქტავიანეს დაზე, ოქტავიაზე დაქორწინდა. ამ ქორწინების მიუხედავად, ანტონიუსს სასიყვარულო ურთიერთობა აკავშირებდა კლეოპატრასთან, რომელმაც მას სამი შვილი გაუჩინა. ამან კიდევ უფრო გაამწვავა მისი ურთიერთობა ოქტავიანესთან. ძვ.წ. 36 წელს ლეპიდუსი ტრიუმვირატიდან გაამევეს, ძვ.წ. 33 წელს ანტონიუსსა და ოქტავიანეს შორის უთანხმოებამ კი საბოლოოდ დააპირისპირა ისინი ერთმანეთს. მათი მტრული დამოკიდებულება ძვ. წ. 31 წელს სამოქალაქო ომში გადაიზარდა, როდესაც ძვ.წ. 32 წელს რომის სენატმა, ოქტავიანეს მითითებით, ომი გამოუცხადა კლეოპატრას და ანტონიუსი მოღალატედ გამოაცხადა. მომდევნო წელს, ანტონიუსი ოქტავიანესთან გამართულ აქციუმის ბრძოლაში დამარცხდა. ის და კლეოპატრა ეგვიპტეში გაიქცნენ, სადაც თავი მოიკლეს. ანტონიუსის სიკვდილის შემდეგ ოქტავიანე რომაული სამყაროს უპირობო მმართველად იქცა. ძვ.წ. 27 წელს სენატმა მას *ავგუსტუსის*

ტიტულიც უბოძა, რითაც საბოლოოდ დასრულდა რომის რესპუბლიკის იმპერიად გარდაქმნის პროცესი, ოქტავიანე კი მისი პირველი იმპერატორი გახდა.

64. აქ ნახსენებია ძვ. წ. 58 წელს ბიბრაქტასთან გამართული ბრძოლა გალიაში, სადაც რომის ხუთგზის კონსულმა და მარადიულმა დიქტატორმა გაიუს იულიუს კეისარმა (ძვ.წ.100 – ძვ.წ.44) დაამარცხა ჰელვეტების ტომთა გაერთიანება, რომელსაც მეთაურობდა დივიკონი.

65. ამ შემთხვევაში მაკიაველი იმოწმებს ვეგეციუსის ნაშრომის „სამხედრო ხელოვნების შესახებ“ I ტომში მოცემულ სტრუქტურას. ეს უკანასკნელი ყურადღებას ამახვილებს ასევე ფიზიკურ ვარჯიშებზე (9-10), ფარიკაობასა და ბანაკის მოწყობის წესებზე (11-25), დისციპლინის დაცვაზე (26-27). პუბლიუს ფლავიუს რენატუს ვეგეციუსი, IV საუკუნის დასასრულისა და V საუკუნის დასაწყისის რომაელი სამხედრო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. 390-410 წლებში ოთხ წიგნად დაწერა ტრაქტატი „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, რომელიც რომის იმპერატორ თეოდოსიუს I-ს (347-395) მიუძღვნა. ვეგეციუსის ნაშრომი კომპილაციურია, შედგენილია დაკარგული რომაული წყაროების საფუძველზე და პირველი სისტემური ნაშრომია რომის სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

66. ვეგეციუსი. სამხედრო ხელოვნების შესახებ. 1, 18.

67. არბალეტი (ლათ. *arcaballista* ← *«arcus»* — რკალი და *«ballisto»* — ვისვრი) იგივე კონდახიანი მშვილდი, სასროლი იარაღის სახეობა, მექა-

ნიკური მშვილდ-ისარი. არბალეტი, როგორც წესი, ჩვეულებრივ, მშვილდ-ისარს ბევრად ჯობ-ნის სიზუსტესა და დარტყმის ძალაში, მაგრამ, სამაგიეროდ ჩამორჩება ამ უკანასკნელს სროლის რადიუსსა და სისწრაფეში. არბალეტის პირველი მოდელი ძვ.წ. V საუკუნეში შეიქმნა კუნძულ სიცილიაზე მდებარე ბერძნულ ქალაქ სირაკუ-ზაში. ჯვაროსნული ომების დროს არბალეტის ხმარება რეგულარულად დაიწყეს.

68. შესაბამისი პარალელები ვეგეციუსის ტრაქ-ტატთან „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, 1. 9-12.

69. მაკიაველი საუბრობს იმ გერმანულ და ფლანდ-რიულ ქალაქებზე, რომლებსაც მსგავსი სახალხო ლაშქარი გააჩნდათ.

70. ლათ. Caterva („ბრბო“) - ბარბაროსი ჯარისკაცების სამხედრო რაზმის რომაული სახელწოდება.

71. იხ. იოსებ ფლავიუსი, „იუდეველთა ომები“, III. 4. იოსებ ფლავიუსი (37-100 წლები) – ძველი ებრაელი ისტორიკოსი. აქტიურად მოღვაწეობდა იუდეის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იუდეველთა ომში (66-73 წ.წ.) რომის წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც მხედართმთავარი, შემდეგ რომაელთა მხარეზე გადავიდა და მმართველი დინასტიის – ფლავიუსების –პატივსაცემად ფლა-ვიუსი დაირქვა. იერუსალიმის გარემოცვისა და დანგრევის დროს, როგორც თარჯიმანი, რო-მაელთა ბანაკში იყო. შემდეგ რომში დასახლდა და რომის მოქალაქეობა მიიღო. აქვე დაწერა ისტორიული თხზულებები: „იუდეველთა ომები“, „იუდეის სიძველენი“, „იუდეის ხალხის ძველი წარმოშობის შესახებ. აპიონის წინააღმდეგ“ –

პოლემიკა I საუკუნის ეგვიპტელ მწერალ აპიონ-თან ან „ცხოვრება“. იოსებ ფლავიუსის თხზულე-ბები ძვირფასი წყაროა ძველი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის ხალხების ისტორიის შესას-წავლად.

72. ვარჯიში, რომლის დროსაც თითოეული მწკრივი მონაცვლეობით ხდება პირველი. ბრძოლის დროს ე.წ. „ლოკოკინა“ გამოიყენებოდა მსროლელთა ნაწილების მიერ, როგორც უწყვეტი ცეცხლის წარმოების საშუალება.

73. იგულისხმება პრინციპი, რომ სამხედრო კოლონას არავინ ჩამორჩეს და არ გაექცეს ბრძოლას.

74. ვეგეციუსი წერდა, რომ პირველ რიგში თითოეულ ცენტურიას ჰქონდა თავისი დროშა, რომელზეც ეწერა ცენტურიისა და კოჰორტის ნომრები (იქვე, II. 13). შემდეგ ის ამატებს: „იმის გარდა, რომ ფარის უკანა მხარეზე ეწერა მებრძოლის სახელი, ამას უკან ემატებოდა კოჰორტისა და ცენტურიის ნომრები. ძველი რომის არმიაში უმცროს ოფი-ცერს სიგნიფერს ევალებოდა კოჰორტის ან ლე-გიონის ემბლემის – სიგნუმის ტარება.

75. ყველა ეს წყობა მხოლოდ თეორეტიკოსების ნაწერებში იყო შემორჩენილი. სინამდვილეში კი მსროლელნი შეტევისას, მაგალითად, როცა მათ მოწინააღმდეგის კავალერია უტევდათ ან ჩამა-ლულნი იყვნენ პიკინერთა კოლონაში, ანდა მათ შეერეოდნენ ხოლმე, ზოგჯერ იძულებულნი ხდებოდნენ, ხოხვით ემოძრავათ შუბოსნების ქვეშ (ეს უკანასკნელი იყო გამონაკლისი და არა სავალდებულო წესი).

76. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, II. 21: „გარდა ამისა, ლეგიონში არიან მესაყვირეები და მებუკეები“.
77. ნინუსი – ძველბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, ასირიელთა ლეგენდარული მეფე, რომლისგანაც მომდინარეობს ასირიის იმპერიის ერთ-ერთი დედაქალაქის, ნინევიის სახელი. კიროს დიდი (ძვ.წ. 559-530 წლები) – აქემენიდების დინასტიისა და იმპერიის დამაარსებელი. არტაქსერქსე II (ძვ. წ. 404-359 წლები) – სპარსეთის მეფე, დაიპყრო ეგვიპტე, აღადგინა სპარსეთის გავლენა მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებზე. მითრიდატე ევპატორი (ძვ.წ. 117-63 წლები) – პონტოს ძლევამოსილი მეფე, სამჯერ შეებრძოლა რომს აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ჰეგემონობისათვის. მასინისა (ძვ.წ. 202-149 წლები) – ნუმიდიელ ტომთა, მასილიების მეფე, ძვ.წ. 206 წელს უღალატა ჰანიბალს და გადავიდა რომაელების მხარეზე, რითაც ხელი შეუწყო მათ საბოლოო გამარჯვებას მეორე პუნიკურ ომში. ნუმიდიის მეფე იუგურთა (ძვ.წ.117-104 წლები), წარუმატებლად ებრძოდა რომაელებს და ბოლოს რომაელთა ტყვეობაში დაასრულა სიცოცხლე.
78. აქ იგულისხმება აქემენიდური სპარსეთი.
79. ეტრუსკებთან ომის პერიოდი რომაელების მიერ ვეის ხელში ჩაგდებიდან (ძვ.წ. 404-396 წლები) 282 წლამდე. სამნიტები რომს დამორჩილდნენ სამი ომის შედეგად ძვ.წ. 343-290 წლებში. მოგვიანებით ისინი ემხრობოდნენ ჯერ ეპირის მეფე პიროსს, მოგვიანებით დიდ კართაგენელ მხედართმთავარს ჰანიბალს, ხოლო ძვ.წ. I საუკუნეში შეად-

გენდნენ მოხალისე მებრძოლთა უმრავლესობას, რომლებიც იბრძოდნენ რომაელების წინააღმდეგ ე.წ. „მოკავშირეთა ომების“ დროს.

80. აქ კოზიმო საუბრობს იტალიური ომების იმ პერიოდზე, როდესაც დაიშალა ნეაპოლიტანიის სამეფო, რომანიაში ცეზარე ბორჯას სახელმწიფოს მსგავსად.

81. საუბარია იმავე იტალიურ ომებზე. 1499 წელს ტორტონა ფრანგებმა აიღეს და დაარბიეს, ხოლო ბრეშია – გერმანიის იმპერატორის ჯარებმა 1509 წელს.

თავი III

82. ვენეციის რესპუბლიკაში (697-1797) ნებისმიერი საკითხის განხილვისას სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ინსტანციაში (დიდი საბჭო, სენატი, ათთა საბჭო) პირველ სიტყვას ყოველთვის აძლევდნენ ასაკით ყველაზე უმცროსს.

83. მაკიაველი საუბრობს რეფორმების შემდგომ რომის არმიის სტრუქტურაზე ძვ. წ. IV საუკუნეში, რომელიც მიეწერება მარკუს ფურიუს კამილუსს (ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, VIII. 8). მარკუს ფურიუს კამილუსი (ძვ.წ.446 – ძვ.წ. 365), რომის ხუთგზის დიქტატორი, ექვსგზის კონსულის ძალაუფლების მქონე სამხედრო ტრიბუნი, ოთხგზის ტრიუმფატორი, რომის მეორე დამაარსებლად წოდებული.

84. აქ მაკიაველი აღწერს შვეიცარიელთა საბრძოლო წყობას და არა მაკედონიურს. სინამდვილეში შვეიცარიელ ქვეითთა მოწყობის მანერის მიხედ-

ვით ხშირად აწყობდნენ რამდენიმე ბატალიონს (ისე, როგორც ფრანგები იყვნენ განლაგებული რავენასთან). მაგრამ ეს არ იყო დამოკიდებული ტაქტიკურ ჩანაფიქრებზე, იგი უფრო მეტად ეფუძნებოდა პიკინერთა პირადი შემადგენლობის რაოდენობას: თუ მათი რაოდენობა 6000-დან 8000-მდე იქნებოდა, ამ შემთხვევაში ბრიგადის შემადგენლობაში მყოფი ბატალიონი მოუქნელი ხდებოდა. საერთოდ კი ყველაფერი დამოკიდებული იყო მოწინააღმდეგის პოზიციასა და ადგილმდებარეობაზე.

85. შეიძლება მოიძებნოს გამონაკლისიც – მაგალითად, ჰერაკლეასთან გამართული ბრძოლა (ძვ.წ. 280 წ.), რომელშიც პიროსმა სასტიკად დაამარცხა რომაელები.

86. ასეთი ჯარი იყო ორი, ისევე, როგორც კონსულები, რომელთაგან თითოეული ინიშნებოდა იმ ორი პროვინციის მმართველად, რომლებიც იმ მომენტში წარმოადგენდნენ საომარ მოქმედებათა თეატრის ასპარეზს. აქედან გამომდინარე, შედარებით მეორეხარისხოვან დავალებებზე იგზავნებოდა არმია პროკონსულით ან პრეტორით სათავეში.

87. კვინტუს ფაბიუს მაქსიმუს ვერუკოსი, მეტსახელად „ზოზინა“, Cunctator-ად (შემაკავებელი) წოდებული (ძვ.წ. 275 – ძვ.წ. 203), რომაელი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი, ხუთგზის კონსული და ორგზის დიქტატორი. მისი სიტყვებით, ჰანიბალთან ბრძოლის ერთადერთი გზა იყო მის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარის თქმა. ძვ.წ. 217 წელს მიიღო დიქტატორობა, როდესაც

რომაელებმა მარცხი იწვნიეს ტრებიასთან და ტრაზიმენოს ტბასთან. მან ვერ გაბედა ჰანიბალ-თან შებრძოლება. მისმა მემკვიდრეებმა მარცხი განიცადეს ძვ.წ. 216 წელს კანესთან გამართულ ბრძოლაში.

88. ზარბაზნის ხელახლა დასატენად არცთუ მცირე დრო იყო საჭირო. ამიტომაც აქტიური შეტევები-სას საველე ქვემეხიდან გასროლა მხოლოდ ერთხელ ხდებოდა.

89. აქ საუბარია ძვ.წ. 38 წლის გაზაფხულზე მიმ-დინარე მოვლენებზე, როდესაც მარკუს ანტო-ნიუსის (რომის აღმოსავლეთ პროვინციების მმართველი) ლეგატმა პუბლიუს ვენტედიუს ბასუსმა გაანადგურა პართიელთა ჯარები, რო-მელსაც სარდლობდა პართიის მეფე პაკორ I (ძვ.წ.51-38). (პლუტარქე, „მარკუს ანტონიუსი“, 33-34). მარკუს ანტონიუსი (ძვ.წ.83 -ძვ.წ.30), ძველი რომის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე (ტრიუმვირი და სამგზის კონსული), რომელმაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა რომის რესპუბლიკის იმპერიად გარდაქმნის პროცესში.

90. ეს ბრძოლა მოხდა ძვ.წ. 58 წლის შემოდგომაზე ბიზანტიუმთან (ბეზანსონი), როდესაც რომაელე-ბი იულიუს კეისრის მეთაურობით ებრძოდნენ სვებებს, ძველ გერმანულ ტომთა გაერთიანებას არიოვისტის მეთაურობით და სადაც დამარცხდ-ნენ გერმანელები, არიოვისტი კი დაიღუპა (იულიუს კეისარი, „ ომი გალებთან“, 1.52).

91. აქ საუბარია ძვ.წ. 371 წელს ლევქტრასთან გამარ-თულ ბრძოლაზე, როდესაც თებელთა არმიამ

ეპამინონდასის მეთაურობით გაანადგურა სპარ-
ტელები.

92. ამ დროს ფრანგულ და ესპანურ არმიებში უკვე ჰქონდათ ლაფეტისთვის ორთვალები. მიუხედავად ამისა, იმდროინდელი ზარბაზანი ძალიან დიდი და მოუხერხებელი იყო მსგავსი მანევრებისთვის.

93. თუკიდიდე, „ისტორია“, V. 70; ჰეროდოტე, „ისტორია“, 1.17. თუკიდიდე (დაახლ. ძვ.წ. 465/460/455 -ძვ.წ. 400/395), ბერძენი (ათენელი) ისტორიკოსი, წარჩინებული და მდიდარი ოჯახის შვილი. „ისტორიის მამის“, ჰეროდოტეს, უმცროსი თანამედროვე. სოფისტების მოწაფე და მიმდევარი. თუკიდიდე იბრძოდა პელოპონესის ომში (ძვ.წ. 431-404). იყო სტრატეგოსი და ათენელთა ფლოტის მეთაური თრაკიის სანაპიროს დაცვისას. დამარცხების შემდეგ (სპარტელებმა მიიტაცეს ამფიპოლისი) ძვ.წ. 424 წელს, ათენელებმა იგი სამშობლოდან გააძევეს 20 წლით. ექსორიაქმნილი თუკიდიდე თავის მამულში – თრაკიაში შეუდგა თხზულების – „ისტორიის“ წერას. თხზულება შედგება 8 წიგნისგან და მოიცავს პელოპონესის ომების ისტორიას. ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (დაახლ. ძვ.წ. 484 – დაახლ. ძვ.წ.425), ძველი ბერძენი ისტორიკოსი, დასავლეთის კულტურაში საყოველთაოდ მოიაზრება, როგორც „ისტორიის მამა“. ის იყო პირველი ისტორიკოსი, რომელიც მასალას სისტემატურად აგროვებდა, ამოწმებდა მათ სიზუსტეს შეძლებისდაგვარად და ახარისხებდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრუქტურის მიხედვით. ჰერო-

დოტე ძირითადად ცნობილია ნაშრომით „ისტორიები“ (ბერძნ. ἱστορίαι, ძიებები, სიტყვა, რომელიც ლათინურმა ისესხა და დღევანდელი ისტორიის მნიშვნელობა შესძინა), რომლებშიც იკვლევს ძვ. წ. 490 და ძვ. წ. 480 წლების ბერძენ-სპარსეთის ომების წანამძღვრებს. ეს ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჰეროდოტე მასში იმ პერიოდის ცხოვრების ასპექტებსაც განიხილავს დაწვრილებით, რომლის შესახებაც სხვაგვარად მწირი ინფორმაცია გვექნებოდა. მასში ის ასევე აღწერს ხმელთაშუა და შავ ზღვებზე მოგზაურობის პერიოდში ნანახ ადგილებსა და ხალხებს. აღსანიშნავია, რომ ჰეროდოტეს ზოგიერთი ისტორია, სავარაუდოდ, სინამდვილეს არ შეესაბამება, მისივე განმარტებით, ის მხოლოდ გადმოსცემს იმას, რაც მოისმინა.

თავი IV

94. მაკიაველის მხედველობაში აქვს სიმაგრეების ის სისტემა, რომელიც გამოიყენა იულიუს კეისარმა თავისი არმიის დასაცავად გარედან თავდასხმებისგან, ალეზიის ალყის დროს (ძვ.წ. 52 წ.). იულიუს კეისარი, „ომი გალებთან“, VI L. 73-74.
95. ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, XII. 46; ფრონტინუსი, „სტრატეგემები“. 2.8. გაიუს მარიუსის ომები კიმბრების წინააღმდეგ (ძვ.წ. 101 წელი – იგულისხმება ვერცელის ბრძოლა). ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, I:2.9.
96. ბრძოლა მოხდა ჩერინოლასთან 1503 წლის 28 აპრილს; მასში უშუალოდ მონაწილეობდა თვით

ფაბრიციო კოლონა. ამ ბრძოლაში ესპანელების წარმატების მიზეზი გახდა ადგილმდებარეობა, სადაც ისინი დახვდნენ ფრანგების შემოტევას, ამას თან დაემატა მათ მიერვე სწრაფად შექმნილი თავდაცვითი ნაგებობები თხრილებისა და მიწაყრილების სახით.

97. ძვ. წ. 255 წელს კართაგენის ჯარებმა, რომელსაც მეთაურობდა დაქირავებული სპარტელი მხედართმთავარი – ქსანტიპა, ტუნეტთან (თანამედროვე ტუნისი) გამართულ ბრძოლაში გაანადგურა რომის ორგზის კონსულის მარკუს ატილიუს რეგულუსის რომის საექსპედიციო არმია. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“. 11.

98. ეს ბრძოლა მოხდა ძვ.წ. 208 წელს ბეკულასთან (თანამედროვე ბაილენი, ანდალუზიის რეგიონი), სადაც მეორე პუნიკური ომის (ძვ.წ. 218-201 წლები) მსვლელობისას რომის ორგზის კონსულმა და ესპანეთისა და აფრიკის პროკონსულმა პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელმა (უფროსი) დაამარცხა კართაგენელთა არმია, რომელსაც მეთაურობდა ჰანიბალის ძმა, ჰასდრუბალ ბარკა. იხ. ფრონტინუსი, სტრატეგემები. H. 3.4.

99. აქ საუბარია მეორე პუნიკური ომის (ძვ.წ. 218-201 წლები) მოვლენებზე, როდესაც ჰანიბალი თავს არიდებდა უშუალო შეჯახებას რომის იმ არმიასთან, რომელსაც მეთაურობდა რომის ხუთგზის კონსული და „იტალიის მახვილად“ წოდებული მარკუს კლავდიუს მარცელიუსი (ძვ.წ. 270-208 წლები); ჰანიბალი უპირატესობას ანიჭებდა მთაგორიან რელიეფსა და იქ ჩასაფრებების მოწყობას. ტიტუს ლივიუსი, რომის ისტორია. XXVIII.

100. ქვემოთ კოლონა აღწერს კართაგენისა (ჰანიბალი) და რომის (სციპიონ აფრიკელი) არმიებს შორის ზამასთან გამართულ ბრძოლას, რომელმაც გადაწყვიტა მეორე პუნიკური ომის ბედი (ძვ.წ. 203 წელი). ამ ბრძოლის წინ არმიების მოწყობის ყველა აღწერის წყაროს წარმოადგენს პოლიბიოსი („ისტორია“, XV. 9-11).
101. აქ საუბარია რომის მარადიულ დიქტატორ და ორგზის კონსულ ლუციუს კორნელიუს სულას (ძვ.წ. 138-78 წწ.) მიერ ჩატარებულ ოპერაციაზე პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის (ძვ.წ. 132-63 წლები) მხედართმთავრის, არხელაოსის წინააღმდეგ პირველი მითრიდატული ომის დროს. ძვ.წ. 86 წელს სულამ დაამარცხა არხელაოსი ქალაქ ქერონეასთან (ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XVI, 2.17.).
102. მარკუს მინუციუს რუფუსი (ძვ.წ. II ს.), რომის კონსული, რომელიც იბრძოდა ძვ.წ. 109 წელს დაკებისა (თრაკიელები) და სკორდისკების (გალების ნაირსახეობა) წინააღმდეგ. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, IX. 4.3.). მანიუს აცილიუს გლაბრონი, რომის კონსული ძვ.წ. 191 წლიდან, იბრძოდა სელევკიდების მეფის ანტიოქოს დიდის წინააღმდეგ (ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XIV. 4.4.). ძვ.წ. 102 წელს გაიუს მარიუსმა აკვასთან ბრძოლაში გაანადგურა ტევტონები (ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XIV.4.6.).
103. სპარსეთის მეფე კიროს დიდმა (დაახლ. ძვ. წ. 590 ან 576 – ძვ. წ. 530), აქემენიდების დინასტიის დამაარსებელმა, გადამწყვეტი ბრძოლის წინ ლიდიის უკანასკნელი მეფის, კრეზის (ძვ.წ. 560-

546 წლები) კავალერიის წინააღმდეგ ძვ.წ. 546 წელს წარმატებით გამოიყენა აქლემები (ფრონ-ტინუსი, „სტრატეგემები“, IX.4.12.). ეპირისა (ძვ.წ. 307-302; 296-272 წლები) და მაკედონიის (ძვ.წ. 287-284; 273-272 წლები) მეფე პიროსი მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში ხშირად იყენებდა სპილოებს. ფრონტინუსს ალბათ მხედველობაში აქვს ეპირის მეფის ყველაზე წარმატებული ბრძოლა ჰერაკლეასთან (ძვ.წ. 280 წ.), როდესაც მან პირველად დაამარცხა რომაელთა არმია რომის კონსულ პუბლიუს ვალერიუს ლევინუსის მეთაუ-რობით (ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XIV. 4.13.). თურქეთის ჯარებმა, რომლებიც შეიარა-ღებულნი იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღით, 1514 წელს ჩალდირანის ბრძოლაში დაამარცხეს ირანის ყიზილბაშ-შიიტთა კავალერია. ჰამილკარ ბარკა, ჰანიბალის მამა, ძვ.წ. 241-228 წლებში ეწეოდა დამპყრობლურ ომებს ესპანეთში მცხოვრები იბე-რების წინააღმდეგ (ფრონტინუსი, „სტრატეგე-მები“, II.4.16.).

104. ტულიუს ჰოსტილიუსი, რომის ლეგენდარული მეფე (ძვ.წ. VII ს.) (ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, IX. 7.1.). შემდგომი ორი მოვლენა უკავშირდება ლუციუს კორნელიუს სულას. პირველი მათგანი მოხდა სამოქალაქო ომის დროს იტალიის ტერი-ტორიაზე ძვ.წ. 83-82 წლებში (ვეგეციუსი, „სამ-ხედრო ხელოვნების შესახებ“, 2-3.). სახალხო ტრიბუნი და ესპანეთის პროკონსული კვინტუს სერტორიუსი, გაიუს მარიუსის თანამედროვე, რომელიც ებრძოდა სულას მომხრეებს ძვ.წ. 80-იან წლებში (ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, IX. 5.).

105. მაკიაველი საუბრობს ორხომენასთან გამართულ ბრძოლაზე, რომელიც გაიმართა ძვ.წ. 85 წელს პირველ მითრიდატულ ომში პონტოს სამეფოსა და რომის ჯარებს შორის, სადაც სულამ მოიპოვა გამარჯვება (ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XI. 8.12.). კონსული მარკუს ატილიუს რეგულუსი მეთაურობდა რომის არმიას, რომელიც ძვ.წ. 294 წელს შეებრძოლა სამნიტებს (იგულისხმება ბრძოლა ლუცერიასთან) (ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, X. 36; ფრონტინუსი, II. 8.11.). ფილიპე მაკედონელი, ალექსანდრე მაკედონელის მამა, მეფობდა ძვ.წ. 359-336 წლებში, ებრძოდა სკვითებს, რომლებიც ცხოვრობდნენ შავი ზღვის დასავლეთით მდებარე თანამედროვე დობრუჯას სტეპებში ძვ.წ. IV საუკუნის 40-იან წლებში.
106. მსგავს შემთხვევებს აღწერს ფრონტინუსი: „სტრატეგემები“, IX. 8.15.
107. ძვ.წ. 216 წელს, მეორე პუნიკური ომის დროს, კანესთან გამართული გრანდიოზული ბრძოლის ტრიუმფატორმა ჰანიბალმა განადგურებული რომის არმიის დარჩენილი მცირე ნაწილების დადევნების მაგივრად გადაწყვიტა მეომართა დასვენება. ეს იყო აშკარა შეცდომა. იგი ბრძოლის ველზე დარჩა მეორე დღესაც, როდესაც ალყაში მოაქცია ის რომაული ბანაკი, რომელიც პუნებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ აღებული. ანტიკურმა ავტორებმა შემოგვინახეს ფრაზა, რომელიც ეკუთვნის კართაგენელთა კავალერიის მეთაურს, მაჰარბალს: „ღმერთები ყველაფერს ერთად არ აძლევენ ადამიანს: ჰანიბალო, შენ ყოველთვის შეგიძლია გაიმარჯვო, ხოლო გამარჯვების გამოყენება კი არ

ძალგიძს...“ ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, XII.51.

108. გნეუს და პუბლიუს სციპიონები (ეს უკანასკნელი იყო მამა პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელისა) დაიღუპნენ ესპანეთში ძვ.წ. 212 წელს მეორე პუნიკური ომის დროს (ფრონ-ტინუსი, „სტრატეგემები“, XI. 10. 2.). გნეუს კორნე-ლიუს პუბლიუს სციპიონ კალვუსი, რომის კონ-სული (ძვ.წ. 222 წ.). მისი უმცროსი ძმა პუბლიუს კორნელიუს სციპიონი, რომის კონსული (ძვ.წ. 218 წ.) და ესპანეთის პროკონსული (ძვ.წ. 217-212 წ.წ.).

109. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XI. 13. 3.4.

110. ტიტუს დიდიუსი, რომის კონსული (ძვ.წ. 98 წ.) და ესპანეთის პროკონსული (ძვ.წ. 97-93 წ.წ.) ესპანეთში ებრძოდა კელტიბერებს. ზუსტი თარი-ღი ამ მოვლენისა დასადგენია. მაკიაველი აქ სიტყვასიტყვით გადმოგვცემს ფრონტინუსის პო-ზიციას („სტრატეგემები“, XI. 10. 1.).

111. აქ საუბარია ძვ.წ. 58 წლის მოვლენებზე (ბრძოლა მდ. არართან), როდესაც იულიუს კეისარმა დაამარცხა ჰელვეტები. იხ. კეისარი, „ომი გალებ-თან“, 1.12.

112. მაკიაველი მოგვითხრობს ფრონტინუსის „სტრა-ტეგემების“ მე-2 წიგნის შესავალზე (H.1.1-2). ბრძოლები შესაბამისად მოხდა ძვ.წ. 206 და 76 წლებში.

113. აქ მხედველობაშია მისაღები რომის ოთხგზის კონსულის პუბლიუს დეციუს მუსი უმცროსის (ძვ.წ. IV-III ს.ს.) ცნობილი საქციელი, რომელიც მამამისის მსგავსად, რომელსაც ასევე პუბლიუს დეციუსი ერქვა, ძვ.წ. 295 წელს გალების,

ეტრუსკებისა და სამნიტების წინააღმდეგ სენტი-ნუმთან გამართულ ბრძოლაში მსხვერპლშე-წირვის რიტუალის ჩატარების შედეგად შეეწირა რომის არმიას. მისი სიმამაცით აღფრთოვანე-ბულმა რომაელებმა გამარჯვება მოიპოვეს.

114. იხ. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XVII. 1.16.17. აქ დასახელებული მოვლენებია რომის მარადიუ-ლი დიქტატორის იულიუს კეისრის ბრძოლა გერმანელი ტომების, სვებების ბელად არიოვისტ-თან ძვ.წ. 58 წელს, რომელიც კეისრის გამარჯვე-ბით დასრულდა და რომის იმპერატორ ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს (69-79) ლაშქრობა ამბოხე-ბული იუდეის წინააღმდეგ ჩვ.წ. 70 წელს.

115. ვეგეციუსი „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, III. 26. ცნობები ომის ხელოვნების წესებზე.

116. მაკიაველი საუბრობს ბრძოლებზე მაკედონიის მეფე ფილიპე V მაკედონელსა (ძვ.წ. 221-179 წ.წ.) და რომის დიქტატორ, ორგზის კონსულ, საბერძ-ნეთისა და მაკედონიის პროკონსულ პუბლიუს სულპიციუმ გალბა მაქსიმუსს შორის მეორე მაკედონიური ომის დროს (ძვ.წ. 200-197წ.წ.). იხ. ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, XXXI. 39.

117. ეს შემთხვევა მოხდა ძვ.წ. 52 წელს მდ. ელა-ვერთან. იხ. კეისარი, „ომი გალებთან“, VII. 35.

118. კამბრეს ლიგის ომის დროს (1508-1516) ვენეციის წინააღმდეგ გამოვიდნენ ესპანეთის, სიცილიისა და ნეაპოლის მეფე ფერნანდო II არაგონელი (1479-1516), საფრანგეთის მეფე ლუი XII (1498-1515), რომის პაპი იულიუს II (1503-1513) და რომის საღვთო იმპერატორი მაქსიმილიან I (1508-

1519); 1509 წელს ანიადელოსთან გამართულ ბრძოლაში ფრანგებმა დაამარცხეს ვენეციელები.

119. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, H. 5.22. პოლიბიოსი, „მსოფლიო ისტორია“, III. 104-105.

120. ფრონტინუსი. H. 1.11. მაკიაველი გვთავაზობს მაგალითებს, თუ როგორც იქცეოდნენ ამ მხრივ რომის დიქტატორი და ოთხგზის კონსული კვინტუს ფულვიუს ფლაკუსი (ძვ.წ. III ს.), რომის მარადიული დიქტატორი და ხუთგზის კონსული იულიუს კეისარი (ძვ.წ. I ს.) და სხვა გამოჩენილი სამხედრო მეთაურები.

121. როგორც ცნობილია, ანტიკურ ეპოქაში ინდოეთში არაბეთის უდაბნოს გავლით ჩასვლა პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელი იყო განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურისა და უდაბნოს ქვიშის ქარების გამო. კოლონას მხედველობაში ჰქონდა ალექსანდრე მაკედონელის დაბრუნება ინდოეთიდან (და არა მისი ლაშქრობა ინდოეთში) ბაბილონში იმ უდაბნოს გავლით, რომელიც მდებარეობს ინდის შესართავსა და გედროსიის დედაქალაქ პურას შორის (თანამედროვე ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთი) ძვ.წ. 325 წელს. ეს ლაშქრობა აღწერა არიანემ („ალექსანდრეს ლაშქრობა“, VI. 22-26).

122. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, III.12.

123. სერტორიუსი საუბრობს თავის მეგობრობაზე ირემთან, რომლის შესახებაც ანტიკურ პერიოდში არაერთი ლეგენდა შეიქმნა. იხ. „სტრატეგემები“, I. 11.13. ლუციუს სულას შესახებ იხ. I. 11.11. (ძვ.წ. 83 წელს მომხდარი ბრძოლა კოლონის ჭიშკართან). „ფრანგი ქალწული“, რომლის შესახებაც საუბ-

რობს შარლ VIII. ეს არის ცნობილი ჟანა დ,არკი, იგივე ორლეანელი ქალწული (1412-1431), საფ-რანგეთის სახალხო გმირი, რომელიც ასწლიანი ომის (1337-1453) დროს, 1429-1430 წლებში ხელმ-ძღვანელობდა ფრანგი ხალხის ეროვნულ-განმა-თავისუფლებელ ბრძოლას ინგლისელთა წინააღ-მდეგ. 1428 წლის 12 ოქტომბერს ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს საფრანგეთის მეფის ხელში მყოფ უკანასკნელ ქალაქს მდინარე ლუარის ჩრდილოეთით – ორლეანს, რომლის დაცემაც გზას უხსნიდა მტერს სამხრეთისკენ. 1429 წლის 13 თებერვალს მამაკაცის ტანსაცმელში გამოწ-ყობილი ჟანა გაემგზავრა დოფინთან შინონის ციხეში.თავისი გონიერებითა და მოსაზრებუ-ლობით ჟანა დ'არკმა მეფის ნდობა დაიმსახურა და დაინიშნა საფრანგეთის ჯარების სარდლად. 29 აპრილს მან თავისი ჯარით გაარღვია ინგლი-სელების ალყა და ტრიუმფით შევიდა ორლეან-ში. 1429 წლის 8 მაისს ინგლისელებმა ალყა მოხსნეს ორლეანს. ინიციატივა ფრანგების ხელში გადავიდა. ჟანა დ'არკმა რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, აიღო ქალაქები ჟარჟო,ბო-ჟანსი და სხვა.1429 წლის 18 ივნისს პატესთან ბრძოლაში გაანადგურა ინგლისელთა არმია. ჟანა დ'არკს უბრძოლველად დანებდნენ ქალა-ქები ოსერი, ტრუა, შალონი, რეიმსი, სადაც 1429 წლის 17 ივლისს შარლ VII მეფედ აკურთხეს. ჟანას უდიდესმა პოპულარობამ შეაშინა მეფე, არისტოკრატია და უმაღლესი სამღვდელოება. მათ იგი მიიჩნიეს თავიანთ კონკურენტად და ფაქტობრივად, ჩამოაშორეს სამხედრო მოქმედე-

ბების ხელმძღვანელობას. 1430 წლის 23 მაისს კომპიენის კომენდანტის ღალატის გზით ტყვედ ჩაიგდეს ინგლისის მომხრე ბურგუნდიელებმა და 6 თვის შემდეგ დიდ თანხად მიჰყიდეს ინგ-ლისელებს. შარლ VII-მ არაფერი იღონა ჟანას დასახსნელად, ქალაქ რუანში მოწყობილ საეკლე-სიო სასამართლო პროცესზე (1431 იანვარი-მაისი) ჟანა დ'არკი „ჯადოქრად" და „მწვალებლად" სცნეს და რუანის ძველი ბაზრის მოედანზე კოცონზე დაწვეს. 1456 წლის 7 ივლისს ჟანა დ'არკი რეა-ბილიტირებულად გამოცხადდა, კათოლიკურმა ეკლესიამ კი 1920 წელს იგი წმინდანად შერაცხა. მისი ხსოვნის დღედ დაწესდა 8 მაისი, ორლეანის განთავისუფლების დღე – საფრანგეთის ერთ-ერთი ეროვნული დღესასწაული.

124. ამის შესახებ გვაუწყებს ქსენოფონტე თავის „საბერძნეთის ისტორიაში", როდესაც იგი აღწერს სპარტის მეფე აგესილაოს მეორის (ძვ.წ. 401-358 წ.წ.) პირველ ლაშქრობას მცირე აზიაში ძვ.წ. 396 წელს (იხ. III. 4. 19).

თავი V

125. მაკიაველი საუბრობს პოლიბიოსის ცნობის შესა-ხებ, თუ როგორ დატოვეს რომაელებმა თავიანთი ბანაკი. პოლიბიოსი. „ისტორია", VI. 40.

126. კარეს წყობის კლასიკური აღწერა. ქსენოფონტე, „ანაბასისი". III. 3.6. 19-23.

127. რეალურად, ჰანიბალმა მხოლოდ ერთხელ მოა-ხერხა კელტების სერიოზული წინააღმდეგობის

დაძლევა მდ. როდანუსის (რონა) გადალახვისას. პოლიბიოსი, ისტორია, III. 42-43.

128. ამ შემთხვევაში იგულისხმებიან თანამედროვე საინჟინრო ნაწილები.

129. ძმების გნეუს და პუბლიუს სციპიონების არმია განადგურდა და თვითონაც დაიღუპნენ ძვ.წ. 211 წელს. ჰანიბალის ძმა, ჰასდრუბალი ძვ.წ. თავისი ჯარებით ესპანეთიდან შეიჭრა იტალიაში და დაიღუპა მდ. მეტაურუსთან გამართულ ბრძოლაში (ძვ. წ.207 წ.), სადაც დამარცხდა რომის არმიასთან (სარდლები რომის დიქტატორი და კონსული მარკუს ლივიუს სალინატორი და კონსული და სამხედრო ტრიბუნი გაიუს კლავდიუს ნერონი).

130. მაკიაველის აზრით, მეთაურის მიერ გაცემული ბრძანება ცალსახად უნდა იყოს გამოკვეთილი და ჯარისკაცებმა ნათლად უნდა იცოდნენ მისი დანიშნულების შესახებ; მაგ., ბრძანება „უკან“, გაგებული უნდა იყოს, როგორც უკან დახევის ბრძანება.

131. რომაელი ჯარისკაცები ძირითადად იკვებებოდნენ ხორბლისგან დამზადებული კვერით, რომელსაც თვითონვე ფქვავდნენ ხელის წისქვილის საშუალებით. ნახირი იშვიათად უვარდებოდათ ხელში. ისინი ლაშქრობების დროს ხორცს ინახავდნენ გამომშრალი სახით და ასეთივე სახით იყენებდნენ საკვებადაც. რომის ლეგიონების სურსათის მარაგის რეზერვების შესახებ მონაცემები იხილეთ დელბრიუკთან: „სამხედრო ხელოვნების ისტორია“, ტ. I, ნაწილი VI, თავი II, ტ. II, ნაწილი IV. თავი IV.

132. კვესტორი იყო მაგისტრატი, რომელსაც უმაღ-ლესი რანგის ოფიცრის მოვალეობასთან ერთად ფინანსისტობაც ევალებოდა. ზოგჯერ კვესტო-რები ლეგიონებსაც მეთაურობდნენ. მეომრების ხელფასს განკარგავდა კოჰორტის მედროშე (ვეგე-ციუსი, „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, II. 20.).
133. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, II. 20.
134. ვეგეციუსი, სახედრო ხელოვნების შესახებ, III. 6,; ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, 1.2.7-8.
135. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, II. 5, ადგილი, სადაც მოცემულია სამხედრო ეშმაკობის მაგა-ლითები.
136. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, III.6.
137. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, IV. 2.
138. მაკიაველის ალბათ მხედველობაში აქვს მსგავსი მანევრი, რომელიც განახორციელა ლეგატმა სერტორიუს გირტულეისმა ძვ.წ. 79 წელს (აღწერა, იხ. ფრონტინუსი, V.4.8), რომელსაც ეს სჭირდებო-და არა მდინარის გადასალახად, არამედ სულას მრავალრიცხოვანი ჯარისგან თავის დასაღწევად.
139. ამ შემთხვევაში დასადგენია, თუ ვის გულისხ-მობს მაკიაველი; პირველი პუნიკური ომის კართაგენელ მხედართმთავარს ჰანონს, თუ იმავე სახელის მქონე პირს, რომელიც მოღვაწეობდა მეორე პუნიკური ომის დროს. მონათხრობი ჰანო-ნის შესახებ, რომელიც თითქმის ზეპირად წარ-მოსთქვა ზანობიმ, მოცემულია ფრონტინუსთან. სტრატეგემები, 1.5.27.
140. სპარტის მეფე – ნაბისი (მეფობდა ძვ.წ. 207-192 წლებში) ძვ.წ. 195 წელს შეეჯახა დიდ კოალიციას, რომელშიც შედიოდნენ: ახეის კავშირი, რომი,

როდოსი, პერგამონის სამეფო და ფილიპე მაკედონელი. ფაბრიციო კოლონა საუბრობს სპარტის წინააღმდეგ რომაელების წარუმატებელ იერიშზე, რომლის შემდეგაც მალე დაიდო საზავო ხელშეკრულება. ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, XXXIV, 39.

141. საუბარი ეხება ძვ.წ. 102 წლის მოვლენებს. სანამ გაიუს მარიუსი ტევტონებს ებრძოდა, მეორე კონსული კვინტუს ლუტაციუს კატულუსი ცდილობდა, შეეჩერებინა ალპებზე გადმომავალი კიმბრების შეტევა იტალიაზე. როდესაც ეს ვერ მოახერხა, იგი იძულებული გახდა, მოშორებოდა გერმანელების არმიას, რომლებიც ანადგურებდნენ მის ლეგიონებს. იხ. პლუტარქე, „მარიუსი“, 23 და ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, 1.5.3.

142. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, III. 7. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, 15.4; საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ გადავიდა ძვ.წ. 546 წელს მდ. ჰალისზე ლიდიის მეფე კრეზი.

143. ვეგეციუსი, „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, III.7.

144. აქ ნაგულისხმევია ზემოთ განხილული ძვ.წ. 52 წლის მოვლენები.

145. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, 1. 5. 10.

146. საუბარია რომის ორგზის ტრიუმვირზე, რომის კონსულზე, სახალხო ტრიბუნზე, კვინტუს მინუციუს თერმუსზე (ძვ.წ. III ს.). ტიტუს ლივიუსი („რომის ისტორია“, XXXV. 11.) და ფრონტინუსი. „სტრატეგემები“, 1. 5. 16. ამ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ძვ. წ. 193 წელს.

147. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XV. 3. 7. 13. 15, აგრეთვე პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, „ანტონიუსი“.

თავი VI

148. ვეგეციუსი მოგვითხრობს სამხედრო ბანაკის მოწყობის, ლაშქრობის ორგანიზაციისა და მდინარის გადალახვის წესების შესახებ. „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, III. 8.
149. პოლიბიოსი, „ისტორია“, VI. 42.
150. მაკიაველისეული ბანაკის მოწყობა ეფუძნება პოლიბიოსის მიერ აღწერილ რომაულ ბანაკსა („ისტორია“, VI. 32-34, 41) და ვეგეციუსის მსგავს ინფორმაციას („სამხედრო ხელოვნების შესახებ“, III. 8.).
151. პოლიბიოსი, „ისტორია“, VI. 42.
152. მაკიაველი ფაქტიურად საუბრობს საველე პირობებში ე.წ. „რონდელეიზე“, იგივე ნახევარწრიულ გამაგრებაზე, რომელიც ძირითადი თავდაცვითი სისტემიდან წინ იყო გამოწეული. აქედან უხსნიდნენ ფლანგურ ცეცხლს მოწინააღმდეგის შემტევ ძალას.
153. პოლიბიოსის აზრით, „ბანაკის გარე მხარეზე იმყოფება მსუბუქად შეიარაღებული ძალა, რომელიც იცავს მთლიან მიწაყრილს“ („ისტორია“, VI. 35).
154. მაკიაველი საუბრობს კონსულ კლავდიუს ნერონის მარშზე, რომელიც მან განახორციელა სამხრეთ იტალიიდან თავისი კოლეგის, მარკუს ლივიუს სალინატორის დასახმარებლად ძვ.წ. 207 წელს. ეს მარში ვერ შეამჩნია ვერც ჰანიბალმა,

რომლის წინააღმდეგაც მოძრაობდა ლუკანიაში ნერონი და ვერც ჰასდრუბალმა, რომლის არმიაც იმყოფებოდა პიცენაში.

155. სამხედრო სასჯელისა და დაჯილდოების რომაული სისტემა დეტალურად აქვს აღწერილი პოლიბიუსს („ისტორია“, VI. 37-39).

156. აქ საუბარია რომის კონსულ მარკუს მანლიუს კაპიტოლინუსზე, რომელმაც ძვ.წ. 392 წელს შეძლო გალებისგან კაპიტოლიუმის დაცვა. კამილუსის მიერ რომის განთავისუფლების შემდეგ მანლიუსი მიიჩნევდა, რომ მისი გმირობა დაივიწყეს და სათანადოდ ვერ შეაფასეს. მან დაიწყო თავის გარშემო პლებსის შემოკრება, ზოგი ვალებისგან იხსნა, ზოგს სხვა რამითაც დაეხმარა. მალე მან უკვე ღიად დაუწყო პლებეებს აჯანყებისკენ მოწოდება. ძვ.წ. 385 წელს სენატმა დიქტატორ ავლუს კორნელიუს კოსუსს მოახსენა მანლიუსის ქმედებების შესახებ. დიქტატორმა იგი მეორე დღესვე დაიბარა სასამართლოში. დიქტატორმა ბრძანა მანლიუსის დაპატიმრება, რითაც ამ უკანასკნელის პოპულარობა ხალხში კიდევ უფრო გაიზარდა. მისი მომხრეების შეთქმულება სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. მალე სენატი იძულებული გახდა, გაენთავისუფლებინა მანლიუსი, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. მანლიუსი მოუწოდებდა პლებეებს, არ ჩაწერილიყვნენ ჯარში და არ გადაეხადათ გადასახადები, საქმე იქამდე მიდიოდა, რომ პლებსი კიდევ ერთხელ დატოვებდა რომს. ძვ. წ. 384 წელს მანლიუსი ისევ დაიბარეს სასამართლოში, მას ბრალად მეფის ხელისუფლებისთვის ბრძოლა

ედებოდა ამჯერად, რაც რომში სიკვდილით ისჯებოდა. სასამართლო გაჭიანურდა, როგორც ფიქრობენ, იმის გამო, რომ იგი ტარდებოდა ისეთ ადგილას, საიდანაც კარგად ჩანდა კაპიტოლიუმი, რაც ბრალდების მხარეს აშკარად ხელს უშლიდა. საბოლოოდ გადაწყვიტეს, სასამართლო ქალაქგარეთ ჩაეტარებინათ, საიდანაც არ ჩანდა კაპიტოლიუმი. აქ უკვე ბრალდების მხარემ იმარჯვა და მარკუს მანლიუს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. იგი გადმოაგდეს ტარპეის კლდიდან, რომელზეც დგას კაპიტოლიუმი. სენატის დადგენილებით, მანლიუსების გვარში სახელი მარკუსი აიკრძალა (ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, VI. 14-20).

157. პოლიბიუსი, „ისტორია“, VI.21.

158. რეალურად სიტუაცია უფრო რთული იყო. ჩვენ ვიცით, რომ ძვ.წ. 134 წელს ესპანეთის ქალაქ ნუმანციის ალყის დროს, ქალაქის ხელში ჩაგდების მიზნით, რომის კონსულმა სციპიონ ემელიანუს აფრიკელმა (უმცროსმა) 2000 მეძავი გააძევა ქალაქიდან (ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, 57. „პერიოხე“).

159. პოლიბიუსი, „ისტორია“, VI. 40.

160. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, IV. 7. 1: „კეისარი ამბობს, რომ მტრის წინააღმდეგ იყენებს იმავე მეთოდს, რასაც ექიმთა უმეტესობა იყენებს სხეულით დამძიმებულთა წინააღმდეგ; უმჯობესია მათი დამარცხება შიმშილით, ვიდრე მახვილის გამოყენებით“.

161. აქ საუბარია ძვ.წ. 225 წლის მოვლენებზე, როდესაც გალების მრავალრიცხოვანი არმია (მეთაუ-

რები, გალების ტომთა გაერთიანებების ბელადები ანეროესტი და კონკოლიტანი) გადავიდა აპენინებზე. კლუზიასთან ახლოს მათ დაამარცხეს პრეტორის არმია, სამაგიეროდ, ტელამონასთან გამართულ ბრძოლაში ისინი გაერთიანებული რომაული არმიის (მეთაურები რომის კონსულები გაიუს ატილიუს რეგულუსი და ლუციუს ემილიუს პაპუსი) პირისპირ აღმოჩნდნენ და მძიმე მარცხი განიცადეს. რომაელებისა და მათი მოკავშირეების რიცხვი 150 ათას კაცს შეადგენდა.

162. ფაქტია, რომ მეორე პუნიკური ომის დროს მობილიზებულ რომაელთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე პირველი პუნიკური ომის პერიოდში. მაგალითად, ძვ.წ. 216 წელს კანასთან ბრძოლის წინ, რომაულ არმიებში იმყოფებოდა არანაკლებ 12-14 ლეგიონი, დაახლოებით, 70 ათასი მეომარი.

163. ვეგეციუსი, „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, III. 1. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, IV. 3.

164. აქ საუბარია ძვ.წ. 207 წლის მოვლენებზე, როდესაც რომის კონსულმა გაიუს კლავდიუს ნერონმა მეორე პუნიკური ომის დროს მეტაურუსთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხა ჰანიბალის ძმა – ჰასდრუბალ ბარკა (ჰასდრუბალი ბრძოლაში დაიღუპა).

165. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, 1.1. 12.13. აქ საუბარია რომის კონსულ და ესპანეთის პროკონსულ კვინტუს ცეცილიუს მეტელუს პიუსზე (დაახლ. ძვ.წ. 128-63), რომელიც ძვ.წ. 79 წელს ესპანეთში იბრძოდა სულას წინააღმდეგ ამბოხებული რომის

სახალხო ტრიბუნისა და ესპანეთის პროკონ-სულის კვინტუს სერტორიუსის წინააღმდეგ.

166. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, I,2.

167. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, I.2.6. გაიუს მა-რიუსი (ძვ.წ.158/157-86 წ.წ.) ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი რომაელი მხედართმთავარი და პო-ლიტიკური მოღვაწე, შვიდგზის კონსული (რე-კორდი), მათგან 5-ჯერ – ზედიზედ. სამხედრო რეფორმატორი, იუგურთას ომის (ძვ.წ. 112-105) ტრიუმფატორი,ორჯერ გაანადგურა კიმბრები და ტევტონები, რომლებიც ცდილობდნენ იტალიაში შეჭრას; რომაელებმა აღიარეს სამშობლოს მხსნელად.

168. ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, XXVI.17. ლუციუს კორნელიუს სულა (ძვ.წ.138 -78). ძველი რომის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთა-ვარი, „მარადიული დიქტატორი“ და ორგზის კონსული, მარიუსის დაუძინებელი მტერი, სისხ-ლიანი პროსკრიპციების ავტორი, პირველი რო-მაელი, რომელმაც ძალისმიერი გზით ორჯერ იგდო ხელთ „მარადიული ქალაქი“.

169. აქ საუბარია მეორე პუნიკური ომის დროს ცნობილ იმ ეპიზოდზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძვ.წ. 217 წლის ბოლოს, როდესაც ადრია-ტიკის ზღვის სანაპიროს გასწვრივ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჰანიბალი და ფაბიუს მაქსიმუსი. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან პოლიბიოსი („ისტორია“, XXVII. 93-94), ტიტუს ლივიუსი („რომის ისტორია“, XXVI. 16-17) და ფრონტინუსი („სტრატეგემები“, I.5.28).

170. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, I. 8. 1,2,7,8. პირველ შემთხვევაში (კვინტუს მეტელუსის

ეშმაკობა არ უნდა აგვერიოს მისი შვილის მეტელუს პიუსის ქმედებებში) საუბარია იუგურთას ომის მოვლენებზე, როდესაც რომის არმიას ხელმძღვანელობდა კონსული კვინტუს ცეცილიუს მეტელუს ნუმიდიკუსი (ძვ.წ. 107 წლამდე). მეორე შემთხვევაში კი საუბარია ძვ.წ. 217 წლის სამხედრო კამპანიაზე, როდესაც ჰანიბალს დაუპირისპირდა ფაბიუს მაქსიმუსი (ამ უკანასკნელმა კართაგენელების ქმედებების საპასუხოდ თავისი სამფლობელოები სახელმწიფო მფლობელობად გამოაცხადა. რაც შეეხება მესამე შემთხვევას, აქ საუბარია რომიდან გაძევებულ მხედართმთავარზე გნეუს მარციუს კორიოლანოსზე, რომელიც ვოლსკების მხარდაჭერით დაუპირისპირდა საკუთარ ქალაქს ძვ.წ. 489-488 წლებში. მეოთხე შემთხვევაში საუბარია ანტიოქოს დიდის სამეფო კარზე ჰანიბალის, როგორც სამხედრო მრჩევლის ყოფნის პერიოდზე. ჰანიბალი აპირებდა სელევკიდების არმიის რეფორმირებას, რისი მეშვეობითაც ფიქრობდა რომის დამარცხებას, მაგრამ რომაელებმა მოახერხეს სელევკიდების მეფესთან მისი ურთიერთობის გაფუჭება ძვ.წ. 192 წელს.

171. საუბარია ძვ.წ. 295 წლის მოვლენებზე, როდესაც მოღვაწეობდა რომის ხუთგზის კონსული და დიქტატორი კვინტუს ფაბიუს მაქსიმუს რულუსი (ძვ.წ.350-292). სენტინიუმთან გამართულ ბრძოლაში გაანადგურა სამნიტების, ეტრუსკების, გალებისა და უმბრების კოალიცია. ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, X. 27.

172. ეს ეპიზოდი მიეკუთვნება ტიტუს დიდიუსის წარმატებულ ომებს კელტიბერებთან ძვ.წ. 90-იან

წლებში. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, I. 8.5. ტიტუს დიდიუსი (ძვ.წ. II-I საკუნეები), ძველი რომის სახალხო ტრიბუნი, კონსული, ესპანეთის პროკონსული.

173. მაკიაველის არასწორად მოჰყავს მაგალითი: რეალურად კი ეს ფაქტი ამგვარად არის აღწერილი: „უკან დახეულმა, გემიდან ჩამოსვლისას ეს ფრაზა წინასწარმეტყველურად წამოიძახა: „შენ ჩემს ხელში ხარ, აფრიკავ!“ გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი (75-140 წლები), რომაელი ენციკლოპედისტი, ისტორიკოსი, მწერალი, იურისტი და ბიოგრაფი, ავტორი ნაშრომისა „12 კეისრის ცხოვრება“, წგნ. I., „ღვთაებრივი იულიუსი“, 59).

174. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, 11.1.10-X). პირველ შემთხვევაში მაკიაველი საუბრობს ე.წ. „მესენიურ ომებზე“. ალბათ აქ საუბარია პირველ ან მეორე მესენიურ ომებზე, რომლის დროსაც სპარტამ საკმაო ხნის განმავლობაში მოახერხა მესენიის ოკუპაცია (ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების მიჯნა). პავსანიუსი, „ელადის აღწერა“, წგნ. IV. მეორე შემთხვევაში საუბარია კეისარსა და პომპეუსს შორის სამოქალაქო ომის ეპიზოდზე, ძვ.წ. 49 წელს, იულიუს კეისარმა ალყაში მოაქცია და შიმშილითა და წყურვილით აიძულა დანებება პომპეუსის არმიას ესპანეთში. კეისარი „სამოქალაქო ომი“, 1.37-87.

175. იხ. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XV. 5.8. აქ ეტყობა, იგულისხმება პრეტორი კვინტუს ფულვიუს ფლაკუსი, რომელიც მოგვიანებით გახდა კონსული. იგი ძვ.წ.181 წელს იბრძოდა ესპანეთში

კელტიბერების წინააღმდეგ. ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, LX.30-32.

176. იხ. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XVII. 5. 10-11. ეპირის მეფე ალექსანდრე (ძვ.წ. III ს.), ცნობილი პიროსის ვაჟი, რომელმაც მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო სამეფო ტახტი. ლეპტინესი, სირაკუზის ტირანის დიონისე I-ის ძმა, რომელიც სირაკუზ-კართაგენის ომის დროს, ძვ.წ. 398-393 წლებში ხელმძღვანელობდა სირაკუზის ფლოტს.

177. იხ. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XV. 5. 3, 5, 12. ტამირისი-სკვითების დედოფალი, რომელმაც სპარსეთის მეფის კიროს დიდის არმია შეიტყუა უდაბნოში და გაანადგურა ძვ. წ. 529 წელს. (ჰეროდოტე, „ისტორია“, I, 204). ტიბერიუს სემპ-რონიუს გრაკხუსი, პროპრეტორი, რომელიც ძვ.წ. 179 წელს ესპანეთში იბრძოდა იბერების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვე-ვაში არსად ფიქსირდება ის ფაქტი, რომ სპარ-სელები და იბერები აღმოჩნდნენ მსხვერპლი ლოთობისა და ღორმუცელობისა. უკანასკნელ შემთხვევაში საუბარია კართაგენელ მხედართმ-თავარ მაჰარბალზე, რომელიც იბრძოდა ამბო-ხებული აფრიკელების წინააღმდეგ. მან საძილე საშუალება შეურია ღვინოს და მთელი ღვინის მარაგი მტერს დაუტოვა. ამის შემდეგ მან უპ-რობლემოდ იგდო ხელთ ძილად მივარდნილი მთვრალი აფრიკელები.

178. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, II. 5.16.

179. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, II. 5. 18. მემნონ როდოსელი (ძვ.წ. IV ს.) – სპარსეთის მეფის, დარიოს მესამის სამსახურში მყოფი ბერძენ

დაქირავებულ მეომართა მეთაური, რომელიც იბრძოდა ალექსანდრე დიდის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, ანტიმაკედონიური მოძრაობის ბელადი. უცნობია, ამ შემთხვევაში რომელ მოვლენაზეა საუბარი და საერთოდ, აქვს თუ არა მას რაიმე კავშირი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებთან.

180. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, II, 6. ამ შემთხვევაში მაკიაველი გვაწვდის ცნობას დასახელებული წიგნიდან: „კეისარი აპირებდა ალყაში მოქცეული გერმანელების გაშვებას, რომლებიც არნახული სიმამაცით იბრძოდნენ. ის მაშინ დაესხა მათ თავს, როდესაც მის მიერ განთავისუფლებული გერმანელები ალყიდან გადიოდნენ“.

181. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XV. 7. 8. სავარაუდოდ, აქ საუბარია ჩვენთვის უცნობ შემთხვევაზე III მითრიდატული ომის დროს, როდესაც ძვ.წ. 74-70 წლებში ლუკულუსი იყო აზიის პროკონსული.

182. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“. XVII. 11. 1-3. ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ იყო ვალერიუს პუბლიუსი და როდის მოხდა ეს შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იყო რომაელების მიერ ეპიდავრის ოკუპაციასთან. რაც შეეხება პომპეუს დიდის ეშმაკობას, ამას ადგილი ჰქონდა ალბათ მისი ესპანეთში ყოფნის დროს (ძვ.წ. 76-72 წწ. ხავეია-ქალაქი ესპანეთში). ამ გზით ალექსანდრე მაკედონელს აღმოსავლეთში ლაშქრობის წინ შეეძლო თავისთვის ერთგულ ძალად ექცია თრაკიელები ძვ.წ. 334 წელს.

183. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, XI. 11. 5,7. ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ გაანთავისუფლა სციპიონ აფრიკელმა ახალი კართაგენის (კარტა-

ხენა) აღების (ძვ.წ. 210 წ.) შემდეგ უცნობი ტყვე გოგონა, რითაც მან ადგილობრივი მცხოვრებნი მიიმხრო.

184. აღსანიშნავია, რომ სინამდვილეში ძველ რომაელთა ე.წ. „სეზონური ომები“, პირველ რიგში, დაკავშირებული იყო იმასთან, რომ რეგულარული არმიის შექმნამდე ყოველი ჯარისკაცი გლეხი იყო; ამიტომაც თითოეულ მათგანს დროის ნაწილი საოჯახო საქმეებისთვის უნდა დაეთმო.

185. გარილიანოს ბრძოლა გაიმართა 1503 წლის 29 დეკემბერს, ესპანეთის არმიასა (მეთაური გონსალო ფერნანდეს დე კორდობა) და საფრანგეთის არმიას შორის (მეთაური სალუცოს მარკგრაფი ლუდოვიკო II). ფრანგები მასში ჩაერთნენ გამოზამთრებისას, საველე პირობებში გამოფიტულნი, რამაც დააჩქარა მათი მარცხი.

თავი VII

186. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, IV წიგნის დასაწყისი: „ქალაქები და ციხესიმაგრეები ფლობენ გამაგრებულ ადგილებს, რომლებიც არიან ბუნებრივი ან ადამიანის ხელით შექმნილნი და ეს ყველაფერი მათ განსაკუთრებულ სიძლიერეს ანიჭებს“.

187. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, V.2.

188. რომის პაპის იულიუს II-ის ჯარებმა 1506 წელს ალყა შემოარტყეს მირანდოლას ციხესიმაგრეს. ამ დროს ჩეზარე ბორჯა აწარმოებდა ბრძოლებს რომანიის ხელში ჩასაგდებად. იულიუს II (ერისკაცობაში ჯულიანო დელა როვერე; 1443-1513 -

რომის პაპი 1503 წლის 1 ნოემბრიდან 1513 წლის 21 თებერვლამდე. პაპა და რჩევისას იულიუს კეისრის პატივსაცემად მიიღო სახელი იულიუს II), უაღრესად საინტერესო პონტიფექსი იყო. ხელოვნების დიდმა მეცენატმა ბევრი გააკეთა რომის გასამშვენიერებლად და პაპობის ინსტიტუტის გასაძლიერებლად. დონატო ბრამანტეს გეგმის მიხედვით ააგო წმინდა პეტრეს ახალი ტაძარი, სიქსტის კაპელა (სიქსტინა) მოახატვინა მიქელანჯელოს და სხვა. თავისი ექსპანსიური პოლიტიკით, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა, როგორც მთავარსარდალი, პაპის ოლქი აქცია ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ. პაპობის ისტორიაში იულიუს II შევიდა „მეომარი პაპის“ სახელით.

189. რავენასთან გამართულ ბრძოლაში (1512 წ.) საფრანგეთისა და ფერარას საჰერცოგოს ჯარებმა (მეთაური გასტონ დე ფუა) დაამარცხეს ესპანეთისა და პაპის ოლქის ჯარები (მეთაურები რამონ დე კარდონა და ფაბრიციო კოლონა). მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა ფრანგებმა მოიგეს, ისინი იძულებული გახდნენ, მთელი ჩრდილოეთ იტალია დაეტოვებინათ. ორი წლის შემდეგ, 1514 წელს საფრანგეთის ჯარებმა (სარდალი ლუი XII) ალყა შემოარტყეს გენუას და ძლევამოსილმა ფრანგულმა არტილერიამ მიწის პირისგან აღგავა გენუის სიმაგრე. ლუი XII დე ვალუა (1462 -1515), საფრანგეთის მეფე 1498-1515 წლებში. ვალუას დინასტიის ორლეანელთა შტოს წარმომადგენელი. შარლ V-ის შთამომავალი. შარლ VIII-ის მცირეწლოვნობის დროს

იგი ფეოდალური ოპოზიციის რიგებში იყო. 1488 წელს მეფის ჯართან აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ სამი წელი ტყვეობაში გაატარა. ახალგაზრდა შარლ VIII მეფის მიერ განთავისუფლებული გაჰყვა მას პირველ იტალიურ ლაშქრობაში (1494-1495 წწ.). გამეფდა შარლ VIII-ის სიკვდილის შემდეგ. პაპის ნებართვით გაეყარა პირველ ცოლს, ლუი XI-ის ასულს ჟანას და შეირთო შარლ VIII-ის ქვრივი ანა ბრეტონელი, რითაც განაგრძო საფრანგეთ-ბრეტანის უნია და ეს მხარე საფრანგეთს შემოუმტკიცა. მისმა რეფორმებმა სამეფოს ერთხანს სიმშვიდე და ეკონომიკური კეთილდღეობა მოუტანა. 1499 წელს განაახლა იტალიური ომები (1494-1559 წწ.).

190. კატარინა სფორცა იყო გალეაცო სფორცას ქალიშვილი, ფორლის ტირანის ჯიროლამო რიარიოს ქვრივი. რიარიო მოკლეს შეთქმულებმა 1488 წელს. კატარინამ ორჯერ გამოიჩინა თავი ფორლის ციხესიმაგრის დაცვის დროს; პირველად თავის ქმრის მკვლელების შეტევისგან იმავე 1488 წელს და მეორედ – ჩეზარე ბორჯასა და საფრანგეთის ჯარების თავდასხმის დროს 1499 წელს. მოგვიანებით ის ცოლად გაჰყვა ჯოვანი მედიჩის (შემდეგში რომის პაპი ლეო X). მათი შვილი იყო ცნობილი კონდოტიერი ჯოვანი დელე ბანდენერე მედიჩი.

191. საფრანგეთის ჯარებმა 1499-1502 წლებში განხორციელებული ლაშქრობების შედეგად გაანადგურეს მილანის ჰერცოგის ლოდოვიკო მოროსა და ნეაპოლის მეფის ფერნანდო II-ის ჯარები.

192. რაველინი (ლათ. *Ravelere* „გამოყოფა“) არის საფორტიფიკაციო ნაგებობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ციხესიმაგრის ცალკეულ უბნებს იცავს საარტილერიო ცეცხლისა და ქვეითი ჯარის შეტევისგან. პირველი რაველინები ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გამოჩნდა ჩრდილოეთ შოტლანდიაში და აქტიურად გამოიყენებოდა ინგლის-შოტლანდიის ომებში. შემდგომში შოტლანდიელთა ეს ინოვაციური გამოგონება ინგლისელებმაც გადაიღეს. ჭაბაშვილი მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ. : განათლება, 1989.

193. ვეგეციუსი, „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, IV.4.

194. აქ იგულისხმება საფრანგეთის მეფის შარლ VIII-ის ლაშქრობა, რომლითაც დაიწყო ე.წ. იტალიური ომები. სამხედრო მოქმედებები დაიწყო ნეაპოლიტანის სამეფოს წინააღმდეგ, რომლის მემკვიდრეობაზეც პრეტენზიას აცხადებდა საფრანგეთის სამეფო ხელისუფლება. შარლ VIII დე ვალუა, საფრანგეთის მეფე 1483-1498 წლებში. საფრანგეთის მეფე ლუი XI-ისა და მისი მეორე ცოლის, დედოფალ შარლოტა სავოიელის ვაჟი. მისი მცირეწლოვნების გამო 1483-1491 წლებში საფრანგეთს მისი და, რეგენტი ანა ვალუა მართავდა. ანას მმართველობისას ფრანგმა დიდგვაროვნებმა სცადეს ცენტრალური ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის დანაწილება, რაც ცნობილია შეშლილი ომის სახელით (1485-1488), თუმცა ანამ ისინი დაამარცხა და დააპატიმრა. 1491 წელს შარლი დაქორწინდა საღვთო რომის იმპერატორ მაქსიმილიან I-ის ყოფილ ცოლ ანა ბრეტანელზე. მასზე ქორწინების გამო შარლს მაქსიმილია-

ნისთვის ვრცელი ტერიტორიების დათმობა მოუხდა. ამ ქორწინების წყალობით ბრეტანი საფრანგეთს შეუერთდა. როგორც ნეაპოლის მეფე რენე I-ის შვილიშვილი, პრეტენზიას აცხადებდა ნეაპოლის მეფობაზე, რასაც 1494 წელს მოჰყვა იტალიური ომების დაწყება, რომლებიც 1559 წლამდე გაგრძელდა. შარლმა დროებით შეძლო ნეაპოლის ტახტზე ასვლა, თუმცა მალევე გამოაძევეს იტალიიდან. მისი უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, 1498 წელს შეწყდა ვალუას დინასტიის ძირითადი შტო და ლუი XII-ის სახით გამეფდა ვალუა-ორლეანების დინასტია.

195. ვეგეციუსი, სამხედრო ხელოვნების შესახებ, 7,10,11.

196. სასროლი მოქმედების იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა ქალაქის დასაცავად. ციხესიმაგრის ასაღებად კი გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის მოძრავი თავშესაფრები, რომელიც ემსახურებოდა უშუალოდ ქალაქის კედლებთან მებრძოლთა უსაფრთხო გადაადგილებას. მათი აღწერა იხილეთ ვეგეციუსთან, „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, IV. 14-23.

197. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, III. 14.2., 14. 1-5. ძვ.წ. 215 წელს ჰანიბალმა ალყა შემოარტყა კაზილინუმის რომაულ ციხესიმაგრეს, რომელიც ხანგრძლივი ალყის შედეგად იგდო ხელთ. ძვ.წ. 392 წელს გალების შემოსევის დროს ალყაშემორტყმულ რომის კაპიტოლიუმში მყოფი რომაელები პურით ხელში იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და ამით მათ აჩვენებდნენ, რომ საკ-

ვების მარაგი საკმაოდ ჰქონდათ და პრაქტიკულად შიმშილით დაღუპვა არ ელოდათ.

198. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, III. 4. 1,3,5. ძვ.წ. 215 წელს კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი ებრძოდა ჰანიბალის მხარეზე გადასულ კამპანიის მცხოვრებლებს. კვინტუს ფაბიუს მაქსიმუს ვეროკოსუსი (ძვ. წ. 275 - ძვ. წ.203), რომაელი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი, ხუთგზის კონსული და ორგზის დიქტატორი, უწოდეს შემკავებელი (Cunctator) მეორე პუნიკური ომის დროს მის მიერ სახელგანთქმული ტაქტიკის გამოყენების გამო, მისი სიტყვებით, ჰანიბალთან ბრძოლის ერთადერთი ტაქტიკური გზა მასთან არბრძოლაა. ძვ.წ. 388-387 წლებში სირაკუზის ტირანმა, დიონისე უფროსმა, იგივე დიონისე პირველმა (ძვ.წ. 431/430-367) ალყა შემოარტყა რეჯიოს და დაეუფლა მას. რაც შეეხება ალექსანდრეს მაგალითს, აქ საუბარია ეპირის მეფე ალექსანდრე მეორეზე (ძვ.წ. 272-255) (და არა ალექსანდრე მაკედონელზე), რომელიც მეფე პიროსის ძე იყო. ძვ.წ. 265 წელს იგი ცდილობდა კუნძულ ლევკადიისა და თანამოსახელე ქალაქის ხელში ჩაგდებას.

199. ლათ. „ქალაქების გვირგვინთან შეერთება“.

200. აქ საუბარია ძვ.წ. 210 წელს რომის ორგზის კონსულ და აფრიკის პროკონსულ სციპიონ აფრიკელის მიერ ახალი კართაგენის აღებაზე. პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელი (ძვ. წ. 235 - ძვ. წ. 183) — რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, წარჩინებული პატრიციული ოჯახიდან, მეორე პუნიკური ომის გმირი. წარმატებით იბრძოდა ესპანეთში კართაგენე-

ლების წინააღმდეგ. ძვ.წ. 204 წელს აფრიკაში გადასხა 30-ათასიანი არმია და გაანადგურა კართაგენელთა და ნუმიდიელთა ჯარები. კართაგენის ხელისუფლებამ იტალიიდან გაიწვია ჰანიბალი. ძვ.წ. 202 წელს ჰანიბალი და სციპიონი ერთმანეთს გადამწყვეტ ბრძოლაში შეხვდნენ ზამასთან. სციპიონმა გაიმარჯვა. სციპიონის განუზომელმა ავტორიტეტმა და ძალაუფლებამ შეაშფოთა რესპუბლიკელთა ბანაკი. მასში ერთპიროვნული ძალაუფლების მაძიებელი ტირანი დაინახეს და მის დასაკნინებლად ე.წ. „საქმეების შეკერვა“ დაიწყეს. შეურაცხყოფილმა სციპიონმა რომი მიატოვა და ლიტერნუმში, საკუთარ ვილაში გადავიდა სამუდამო საცხოვრებლად. იყო თავისი დროის ფრიად განსწავლული ადამიანი, ბერძნული ენისა და კულტურის დიდი მცოდნე და თაყვანისმცემელი.

201. ისე, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ძვ.წ. 272 წელს პიროსის არმიასთან, როდესაც იგი ებრძოდა მაკედონიის მეფე ანტიგონე მეორეს. მისი მოწინავე ნაწილები შევიდნენ ქალაქ არგოსში, თუმცა სიბნელის გამო პიროსმა ვერ შეძლო სპილოების დროული შეყვანა, რაც მათთვის საბედისწერო გამოდგა: გამთენიისას კონტრშეტევაზე გადავიდა როგორც ქალაქელების, ასევე მათ დასახმარებლად მოსული მაკედონელებისა და სპარტელების ჯარი. პიროსი ამ ბრძოლას შეეწირა.

202. მაკიაველი ფაბრიციო კოლონას პირით პრაქტიკულად სიტყვასიტყვით იმეორებს ვეგეციუსის ტრაქტატიდან „სამხედრო ხელოვნების შესახებ“ მეოთხე წიგნის 25-ე თავს.

203. აქ საუბარია 1502 წლის მოვლენებზე, როდესაც რომანიისა და ვალენტინოს ჰერცოგის, გონფალონიერისა და გენერალ-კაპიტნის ჩეზარე ბორჯას (1475-1507) წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, რომელსაც სურდა იტალიის გაერთიანება რომის პაპის (მამამისი ალექსანდრე VI) იურისდიქციის ქვეშ. შეთქმულებას სათავეში ედგა ორსინების გვარი. ამბოხებულთა შეუთანხმებელმა მოქმედებებმა ხელი შეუწყო მათ დამარცხებას. ჩეზარე ბორჯამ შეთქმულების ყველა მონაწილე სიკვდილით დასაჯა.

204. საუბარია რომის ორგზის კონსულ, აზიისა და აფრიკის პროკონსულ გნეუს დომიციუს კალვინიუსზე (ძვ.წ. I ს.), რომელიც 49 წელს მიემხრო გაიუს იულიუს კეისარს. იბრძოდა მაკედონიაში. აწარმოებდა ომს ბოსფორის მეფე ფარნაკე II-ის (ძვ.წ. 63-47წ.წ.) წინააღმდეგ, რომელთანაც განიცადა მარცხი ნიკოპოლის ბრძოლაში (ძვ.წ. 48 წ.), მონაწილეობდა კეისრის აფრიკულ კამპანიაში. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, III. 2.1.

205. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, 2.5, 7-9. კიმონ ათენელი (ძვ.წ. 504-450), ძველი საბერძნეთის მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, ბერძენ-სპარსელთა ომების მონაწილე, მილტიადეს ვაჟი, მონაწილეობდა სალამინისა და ევრიდემონტის ბრძოლებში. თემისტოკლეს განდევნის შემდეგ გახდა ათენის პოლიტიკური ლიდერი. ასეთი საშუალებით კიმონ ათენელმა აიღო ერთ ერთი ქალაქი მცირე აზიაში ბერძნულ-სპარსული ომების დროს (დაახლოებით ძვ.წ. 470

წელს). დიოდორე სიცილიელი, „ისტორიული ბიბლიოთეკა“, XI. 60.

206. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, III. 6.1. აქ საუბარია ძვ.წ. 202 წლის მოვლენებზე, რომელიც უშუალოდ ეხება ზამასთან გამართულ ბრძოლის წინ განვითარებულ მოვლენებს სციპიონსა და ჰანიბალს შორის.

207. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, III. 6.3. ძნელი სათქმელია, თუ რომელ წელს მოხდა ეს შემთხვევა. ფაქტია, რომ ის წინ უსწრებდა პიროსის იტალიურ ლაშქრობას (ძვ.წ. 280 წელს).

208. ფრონტინუსთან ამ მეთოდით ქალაქების აღებას ეძღვნება „სტრატეგემების“ მე-3 და მე-7 განყოფილებები.

209. ეს შემთხვევა მოხდა ძვ.წ. 212 წელს; ამ გზით ჰანიბალმა აიღო ქალაქი ტარენტუმი. ამას დეტალურად აღწერს პოლიბიოსი („ისტორია“, VIII. 26-33).

210. ფრონტინუსი. „სტრატეგემები“, XI. 1. ფორმიონი - ნიჭიერი ათენელი ფლოტის სარდალი პელოპონესის ომის პირველ ეტაპზე. რთულია იმის გაგება, თუ რომელ კონკრეტულ შემთხვევაზე საუბრობს ფრონტინუსი: ათენელების წინააღმდეგ აჯანყებაზე კუნძულ ევბეაზე (სადაც მდებარეობდა ქალაქი ქალკიდა), თუ ფორმიონის მიერ რომელიმე ქალაქის აღება, რომელიც მდებარეობდა ქალკედონის ნახევარკუნძულზე ათენის ექსპედიციის დროს ძვ.წ. 431 წელს.

211. აქ საუბარია მეორე პუნიკური ომის მსვლელობისას ძვ.წ. 215 წლის საბრძოლო ოპერაციაზე ქ. ნოლასთან. ამ ბრძოლაში ჰანიბალის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოლა რომის ხუთგზის კონ-

სულმა მარკუს კლავდიუს მარცელიუსმა (დაახლ. ძვ.წ. 270-208). ტიტუს ლივიუსი, „ისტორია“, XXII. 15-16.

212. ქალაქში სხვადასხვა მხრიდან მოულოდნელად შეჭრის მეთოდებს ეძღვნება ფრონტინუსის „სტრატეგემების“ მე-3 წიგნის მე-9 განყოფილება.

213. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, III. 12. 1-2. ალკიბიადე მეთაურობდა ათენის შეიარაღებულ ძალებს ძალზე მოკლე დროის განმავლობაში, ათენში დაბრუნების შემდეგ ძვ.წ. 410 წელს. ამავე დროს ძირითადად ის მეთაურობდა არა სახ-მელეთო ძალებს, არამედ ფლოტს. ფაქტია, რომ ეს ისტორია წარმოადგენს ერთ-ერთს იმ მრავალ-რიცხოვანი ეპიზოდებიდან, რომელიც ანტიკურ პერიოდში უკავშირდებოდა ამ უაღრესად უც-ნაურ პიროვნებას. იფიკრატი-დაქირავებულთა ერთ-ერთი ბელადი, რომელმაც შექმნა ქვეითი ძალის საგანგებო რაზმი პელტასტებისა (მსუბუქი ქვეითები, რომელთა დანიშნულება იყო მსუბუქი შუბების – დროტიკების ტყორცნა და ჰქონდათ ნახევარმთვარის ფორმის ფარები ანუ პელტები – ა.გ.), რომელიც კორინთოს ომის დროს ეხმარე-ბოდა მოკავშირეებს კორინთოს შენარჩუნებაში (ძვ.წ. 393-391 წლებში).

214. მაცნეს გაშვების ან მიღების მეთოდებს ეძღვნება მაკიაველის მიერ გადმოცემული ფრონტინუსის „სტრატეგემების“ მე-3 წიგნის მე-13 ნაწილი.

215. *კაზემატი (casemate) – სამხედრო*-თავდაცვითი ნაგებობა (მიწისქვეშა ან მიწისზედა), რომელიც განკუთვნილია არტილერიის ცეცხლისგან დასა-ცავად. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექ-

სიკონი: [3 ტომად] რედაქტორი ალექსანდრე ელერდაშვილი. თბ. 2006.

216. აქ საუბარია ომზე, რომელიც მიმდინარეობდა პიზასა და ფლორენციას შორის 1494-1509 წლებში. ფლორენციელებმა შეძლეს, თავიანთ მხარეზე მიემხროთ საფრანგეთის მეფის ლუი XII-ის (1492-1515) ჯარები, თუმცა კოალიციური ძალების მიერ 1500 წლის 7 ივნისს განხორციელებული შტურმი სრული კრახით დასრულდა.

217. ვეის ათწლიანი ალყის დროს (ძვ.წ. 406-396 წლებში) რომის ჩრდილოეთით მდებარე ეტრუსკების ქალაქების აღებისას რომის კონსულმა მარკუს ფურიუს კამილუსმა შეძლო წარმატების მიღწევა იმ გზით, რომ ქალაქის კედლების ქვეშ გაიყვანა თხრილები. როგორც ტიტუს ლივიუსი გვაუწყებს („რომის ისტორია“, V. 19-21), თხრილების გაყვანის სამუშაოები მიმდინარეობდა დღედაღამ, ექვს ცვლაში. რომაელებმა მიწისქვეშა გასასვლელები მიიყვანეს იუნონას ტაძართან, რომელიც უშუალოდ ციხესიმაგრის შუაგულში იმყოფებოდა.

218. ვეგეციუსი, ტრაქტატი „სამხედრო ხელოვნების შესახებ“, IV. 24.

219. ძვ.წ. 215 წელს რომის ხუთგზის კონსული მარკუს კლავდიუს მარცელუსი (ძვ.წ. 270-208) იცავდა ნოლას ჰანიბალისგან და ქალაქის კედლებთან გამარჯვებასაც მიაღწია. ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, XXIII. 16.

220. ძვ.წ. 52 წელს კეისარმა მოახერხა ვერცინგეტორიქსის არმიის ბლოკირება ქალაქ ალეზიასთან, თუმცა თვითონ აღმოჩნდა ბლოკირებული გალების დამხმარე ძალებისგან. როდესაც გალებმა

გადაწყვიტეს კეისრის წინააღმდეგ შეტევა და ქალაქიდანაც იერიშის მიტანა, კეისარმა ისარგებ-ლა მომენტით და თავისი ბანაკიდან შემოვლითი გზით გაგზავნა სარეზერვო ძალა 40 კოჰორტის შემადგენლობით, ტიტუს ლაბიენუსის მეთაურო-ბით, რომელმაც გაანადგურა ბარბაროსების დამხმარე არმია. კეისარი, „ომი გალებთან“, 69-90. ტიტუს ლაბიენუსი (ძვ.წ. 100 - ძვ.წ. 45) – ძველი რომაელი მხედართმთავარი, იულიუს კეის-რის ლეგატი გალიური ომების დროს. კეისრის უახლოესი თანაშემწე, მისი წარმატებების ერთ-ერთი ხელშემწყობი.

221. ეს მოხდა ძვ.წ. 48 წელს, როდესაც კეისრის არმია ადრიატიკის გადალახვის შემდეგ აღმოჩნდა მომარაგების ბაზისგან მოწყვეტილი და შიმში-ლობდა, თუმცაღა თანაბარი ძალით ებრძოდა რიცხობრივად აღმატებულ და მაძღარ პომპეუსის არმიას.

222. ფრონტინუსი, „სტრატეგემები“, X. 8. II.3. ძვ.წ. 211 წელს ჰანიბალი მივიდა რომის კედლებთან და ამით ფიქრობდა რომის იმ არმიის ყურადღების მიპყრობას, რომელსაც ალყა შემოერტყა კაპუასთ-ვის. თუმცა რომაელებს ფეხი არ დაუძრავთ კაპუადან და ჰანიბალს დაუწყეს დაცინვა. ტიტუს ლივიუსი, „რომის ისტორია“, XXVI. 7.11.

223. პელოპიდასი (ძვ.წ. 410-364) და ეპამინონდასი (დაახლ. ძვ.წ. 410-362) იყვნენ ბეოტიის კავშირის შეიარაღებული ძალების მხედართმთავრები, რო-მელმაც ბეოტიის კავშირსა და ფიბიელებს მოუ-ტანა ჰეგემონია საბერძნეთში ძვ.წ. IV საუკუნის 60-იან წლებში; აქ საუბარია რომის მესამე მეფე ტულიუს ჰოსტილიუსზე (ძვ.წ. 710-642), რომელ-

მაც თითქოს აღადგინა რომაული სამხედრო სულისკვეთება ნუმა პომპილიუსის ხანგრძლივი მშვიდობიანი მმართველობის შემდეგ; მაკედონიის მეფე ფილიპე II მაკედონელმა (ძვ.წ. 382-336) შექმნა მაკედონიური ფალანგა; კიროს II დიდი (ძვ. სპარს. Kūruš, დაახლ. ძვ. წ. 590 ან 576 – ძვ. წ. 530), სპარსეთის იმპერიის დამფუძნებელი, აქამენიდთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი. დაიპყრო მიდია და ორი ირანული სამეფო გააერთიანა. მეფობდა ძვ. წ. 559 წლიდან გარდაცვალებამდე. მისი მმართველობის პერიოდში იმპერიამ მოიცვა მთელი სამხრეთ-დასავლეთი აზია და ცენტრალური აზიის დიდი ნაწილი, ეგვიპტიდან და ჰელესპონტიდან დასავლეთით და მდინარე ინდუსამდე აღმოსავლეთით, შექმნა რა უდიდესი სახელმწიფო ისტორიაში. რაც შეეხება უკანასკნელ სახელს, აქ საუბარია რომის ორგზის კონსულ (ძვ.წ. 179 წელს) ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსზე (ძვ.წ. 220-150), რომელიც წარმატებით იბრძოდა ესპანეთში კელტიბერების წინააღმდეგ ან ოთხგზის სახალხო ტრიბუნ გაიუს სემპრონიუს გრაკხუსზე (ძვ.წ. 154/153-121), რომელიც ძვ.წ. 123 წელს ცდილობდა, თავისი კანონმდებლობით გაეთანაბრებინა რომის მოქალაქეთა უფლებები მოკავშირეებთან და, აქედან გამომდინარე, შესაბამისად გაეზარდა ადამიანთა რესურსები რომის შეიარაღებული ძალებისთვის.

224. ფრონტინუსი საუბრობს იმის შესახებ, რომ რომაელი მხედართმთავარი, რომის ლეგატი მარკუს ემილიუს სკავრუსი (ძვ.წ. II ს), რომელიც ძვ.წ. 102 წელს იბრძოდა კიმბრების წინააღმდეგ, იტყობი-

ნებოდა, თითქოსდა ვაშლის მდიდარი მოსავალი აღმოჩნდა ბანაკის ტერიტორიაზე და მეორე დღეს, როდესაც ჯარებმა დატოვეს აღნიშნული ტერიტორია, „ვაშლის ბაღები ხელუხლებელი დარჩა“. („სტრატეგემები“. IV. 3. 13.).

225. საფრანგეთის მეფე შარლ VIII დე ვალუას (1483-1498) სალაშქროდ მზადების შესახებ არსებული რეალური ცნობების მიუხედავად, ფრანგების გამოჩენა ალპებზე იტალიელებისთვის სრულ მოულოდნელობად იქცა და მათში მასობრივი პანიკა გამოიწვია. იტალიური ომების დროს გაიძარცვა ნეაპოლიტანის სამეფო, მილანის საჰერცოგო და რომის პაპის ოლქი. ფრანგებმა მიაღწიეს ვენეციისა და ფლორენციის სამფლობელოებსაც.

სქემები და ილუსტრაციები

ნიკოლო მაკიაველი
რიდოლფო გირლანდაიო , XVI ს.



ნიკოლო მაკიაველი,
სტეფანო უსი, 1894



მაკიაველის
საგვარეულო გერბი

მაკიაველის სახლი ფლორენციაში

ფლორენცია, სენიორიის მოედანი, XVIIIს.

ფლორენცია, პალაცო ვეკიო *არქიტექტორი არნოლფო დი კამბიო, 1299-1314*



მაკიაველის საფლავი სანტა კროჩეს ტაძარში, ინოჩენცო სპინაცი *XVIII ს. ფლორენცია*



გვიჩარდინი და მისი „იტალიის ისტორიის“ სატიტულო ფურცელი“



ნიკოლო მაკიაველი, ომის ხელოვნება
იტალიური გამოცემის გარეკანი (XV ს.)

მაკიაველის „მთავარი“ იტალიური გამოცემის გარეკანი

საფრანგეთის მეფე შარლ VIII
დევალუა (1483-1498)
მხატვარი ჟან პერეალი

რომის პაპი ალექსანდრე VI
(როდრიგო დე ბორჯა (ბორხა)
(1492-1503)
ქრისტოფანო დელ ალტისიმო, ფლორენცია



დონატო ბრამანტე და მის მიერ აგებული წმინდა პეტრეს ტაძარი რომში (1506-1514)

რომის პაპი ლეო X (ჯოვანი მედიჩი)
რაფაელი, 1518

ლუი XII დევალუას („ხალხის მამა“) (1498-1515)
შესვლა გენუაში
ჟან ბურდიკონი, 1508

მარჩელო ვირჯილიოს ქანდაკება
ანდრეა ფერუჩი (1522), ფლორენცია


ΠΟΛΥΒΙΟΥ
ΙΣΤΟΡΙΩΝ
ΤΑ ΣΩΖΟΜΕΝΑ.

POLYBII
HISTORIARVM
QVAE SVPERSVNT
CVM
NOTIS VARIORVM.

TOMVS TERTIVS
QVI CONTINET
EXCERPTA VALESII, FRAGMENTA
ET INDICES.

VINDOBONAE
APVD IOANN. PAVL. KRAVSIVM.
MDCCLXIII.

ძველი ბერძენი ისტორიკოსის
პოლიბიოსის (ძვ.წ. 203 -120)
„ისტორიის“ გარეკანი, 1763

BIBLIOTHECA
SCRIPTORVM GRAECORVM ET ROMANORVM
TEVBNERIANA.

IVLI FRONTINI
STRATEGEMATON
LIBRI QVATTVOR
EDIDIT
GOTTHOLDVS GVNDERMANN

LIPSIAE
IN AEDIBVS B. G. TEVBNERI
MDCCCLXXXVIII

რომაელი მწერლისა და მხედართ-
მთავრის სექსტუს იულიუს ფრონ-
ტინუსის (30 -103) ნაშრომის
„სტრატეგემების“ გარეკანი

სოდერინების საგვარეულო გერბი



PLUTARCH's
LIVES:
VOLUME the THIRD.
CONTAINING
TIMOLEON. ARISTIDES.
PAULUS EMILIUS. MARCUS CATO.
PELOPIDAS. PHILOPOEMEN.
MARCELLUS. T. Q. FLAMENIUS.
Tranſlated from the GREEK.
With NOTES Hiſtorical and Critical
From M. DACIER.
LONDON:
Printed for J. TONSON in the Strand.
M DCC XXVII.

1727 წელს ლონდონში გამოცემული პლუტარქეს
„პარალელური ბიოგრაფიები“

მცირე რომაული სიმაგრე იმპერიის ჩრდილოეთ
საზღვარზე, გერმანიაში
ამერიკელი მხატვარ-რესტავრატორის ბრაიან
დელფის ნახატი

იტალიის პოლიტიკური რუკა (XV ს.)



პართიის იმპერია (ძვ.წ. 250 - ახ.წ. 227), პოლიტიკური რუკა

ასურეთის სამეფო ძვ. წ. მე-9 - მე-7 საუკუნეებში,
პოლიტიკური რუკა

სანტ-ანჯელოს ციხესიმაგრე, იგივე ადრიანეს მავზოლეუმი,
რომი. 135-139წ.წ.
არქიტექტორი დეკრიანუსი

ქალაქ ლუკას ხედი

ბოლონიის პანორამა

კონიაკი, ვალუას ციხესიმაგრე, სადაც 1494 წლის 12 სექტემბერს დაიბადა საფრანგეთის მეფე ფრანსუა I ვალუა (1515-1547)

რუჩელაის ბაღი, ფლორენცია

სანტა კროჩეს ბაზილიკა
არქიტექტორი არნოლფო დი კამბიო, 1294-1385, ფლორენცია

ვიჩენცას პანორამა

ბარლეტას (აპულიის რეგიონი) ციხესიმაგრე
XI-XVII სს.

ტიგრანაკერტის ციხესიმაგრე. დიარბაქირი

ლა მოტას ციხესიმაგრე,
ვალიადოლიდი, ესპანეთი. XI ს.

ბრეშიას ციხესიმაგრე,
XIII-XVI სს.

მდ.რონა, ავინიონი, საფრანგეთი

კამერინოს ხედი

ფერარის ჰერცოგთა ციხესიმაგრე, XIV ს.
ბარტოლინო დე ნოვარა

ურბინოს ჰერცოგის სასახლე და მონასტერი

კაპუა, ამფითეატრი

რომის იმპერატორი პუბლიუს ელიუს ტრაიანუს ადრიანუსი (117-138)
ვენეციის არქეოლოგიური მუზეუმი

რომის იმპერატორი ლუციუს სეპტიმიუს სევერუსი (193-211)
უცნობი ავტორი, კაპიტოლიუმის მუზეუმი, რომი

მარკუს ლიციინიუს კრასუსი
რომის კონსული ძვ. წ.
70 და 55 წ.
სავარაუდო ბიუსტი, კოპენჰაგენის მუზეუმი

მითრიდატე VI ევპატორი დიონისე
პონტოს მეფე (ძვ.წ. 117-63)
ლუვრი



რომის ხუთგზის კონსულის
მარკუს კლავდიუს
მარცელუსის *(ძვ.წ. 270-208)*
ქანდაკება, კაპიტოლიუმის
მუზეუმი, რომი



ლუციუს კორნელიუს სულა,
რომის დიქტატორი
(ძვ.წ. 82-79)

რომის ხუთგზის კონსული
(ძვ.წ. 59,48,46,45,44 წლებში)
და მარადიული დიქტატორი
გაიუს იულის კეისარი
ნიკოლა კუსტუ, 1696, ვერსალი

ტიტუს ვესპასიანუსი, რომის
იმპერატორი (69-79 წწ.)

რომის კონსული
(ძვ.წ. 52, 55, 70 წწ.)
გნეუს პომპეუსი
სკულპტურა, XVII ს.,
ფლორენცია

რომის კონსული
(ძვ.წ. 204 და 194 წწ.)
სციპიონ აფრიკელი უფროსი
ბრინჯაოს ბიუსტი, ძვ.წ. I ს.
ნეაპოლის არქეოლოგიური
მუზეუმი

ძველი ათენელი
მხედართმთავრისა და
პოლიტიკოსის კიმონ ათენელის
(510-450 წწ.) ბიუსტი

პიროსი, ეპირისა და
მაკედონიის მეფე (318-272)
ფლორენცია, პალაცო პიტი, XVI ს.

კარდინალი ჯულიანო მედიჩი
(მოგვიანებით პაპი
კლემენტიუს VII, 1523-34)
სებასტიანო დელ პიომბო (1531)

რომის საღვთო იმპერატორის კარლ
V-ის (1500-1558) პორტრეტი
ტიციანი, 1550

რომის პაპი პიუს IV
ბართოლომეო პასაროტი, 1559

მანტუას მარკიზი ჯან
ფრანჩესკო II გონზაგა
(1466-1519)
უცნობი ავტორი, უფიცის
გალერეა, ფლორენცია

რომის შვიდგზის კონსული
გაიუს მარიუსი (ძვ.წ. 157-186)
კართაგენის ფონზე
ჯონ ვანდერლინი

ესპანელთა სარდალი გონსალო
ფერნანდეს დე კორდობა ფრანგების
მოკლული მეთაურის ლუის დე
არმანიაკის წინაშე
ჩერინოლას ბრძოლის შემდეგ
ფედერიკო დე მადრასო, 1835,
პრადო,მადრიდი

ჰანიბალის
ქანდაკება,
სებასტიან
შლოტცი,
1704, ლუვრი

ფილიპე II
მაკედონელი,
მაკედონიის მეფე
(ძვ.წ. 359-336)

ტიტუს ლივიუსი,
რომაელი
ისტორიკოსი
(ძვ.წ. 59-17)
უცნობი ავტორი ,
XIX ს-ის
გრავიურა

სკვითი მხედარი, ძვ.წ. VIII-VI სს. რეკონსტრუქცია

მეშურდულე

ჩეზარე ბორჯა
ალტობელო მელონე, 1500-1524

რომის მესამე მეფე ტულიუს ჰოსტილიუსი (ძვ.წ. 673-641)
გრავიურა, XVIII ს.

ფილიპო სტროცი
გუსტავო პლანერი,
1847

ლორენცო სტროცი
უცნობი ავტორი,
XIX ს.

ბერნარდო რუჩელაი
ფრანჩესკო ალეგრინი,
1786

ფაბრიციო I კოლონა
უცნობი ავტორი,
XVI ს-ის გრავიურა

რომის იმპერატორი
მარკუს ავრელიუს
ანტონინუსი (161-180)
უცნობი ავტორი,
კაპიტოლიუმის
მუზეუმი, რომი

იოსეპ ფლავიუსი
(37-100),
ძველი ებრაელი
ისტორიკოსი
პორტრეტის
რეკონსტრუქცია

ლუციუს ემილიუს პაულუსის ტრიუმფი
შარლ ვერნე, 1789

გნეუს დომიციუს კალვინიუსის მიერ
მოჭრილი მონეტა (ძვ.წ. 39 წ.)
მედალიონი, კოპენჰაგენის მუზეუმი, V-VI

მაკედონიის მეფე
პერსევსის (ძვ.წ. 179 -168)
ვერცხლის მონეტა,
მიუნხენის მუზეუმი

რომაელი სახალხო
ტრიბუნი
ტიბერიუს გრაკხუსი
(ძვ.წ. II ს.)
სავარაუდო გრავიურა,
„გამოჩენილ ადამიანთა
გამოსახულებების
კრებული“, ლიონი, 1553

სპარტას მეფე ნაბისი
(III-II სს.)
ვერცხლის მონეტა,
ბრიტანეთის მუზეუმი

ძველი სომხეთის მეფე
ტიგრან II დიდი
(ძვ.წ. 95-44 წწ.)
ვერცხლის მონეტა

მასინისა (238-148), ნუმიდიის
პირველი მეფე
მედალიონი, კოპენჰაგენის
მუზეუმი, V-VI სს.

ნინევიის მეფე ნინუსი
(ძვ.წ. XXII ს.)
გრავიურა, 1553

მაკედონიის მეფე ფილიპე V მაკედონელი (ძვ.წ. 221-179 წწ.)
ტეტრადრაჰმა, ვერცხლის მონეტა

რომაელ ლეგიონერთა ჭურჭლის
ნაკრები ლაშქრობისას
(რეკონსტრუქცია)

რომაელი ლეგიონერის ხელის
წისქვილი
(რეკონსტრუქცია)

ღვინის გადასატანი
რომაული ამფორა

არბალეტი, გერმანია, XVI ს.

ლანდსკნეხტი, გერმანელი
დაქირავებული ქვეითი
მეზრძოლი,
რესტავრაცია

გერმანელი ქვეითი
მეზრძოლი (IX ს.)

არკებუზით
შეიარაღებული
ესპანელი
მეზრძოლი
(XVII ს.)
რესტავრაცია

ალებარდით
შეიარაღებული
პაპის გვარდიელი

ალებარდი

შვეიცარიელი ქვეითი
მეზრძოლი (XV ს.)

პართიელთა მძიმე კავალერია
(კატაფრაქტოსები),

რომაელი ველიტი (ძვ.წ. IV ს.)

რომაელი ველიტი
(ძვ.წ. IV ს.)

სიგნიფერი – რომაელი მედროშე,
რესტავრაცია

ჰასტატები
რეკონსტრუქცია

პრინციპები
რეკონსტრუქცია

ტრიარი
რეკონსტრუქცია

რომაელი ლეგიონერი
(ძვ.წ. 100 წ.)

რომის იმპერიის ეპოქის
პრეტორიანელი მხედარი

დასავლეთევროპელი
მეარბალეტე

მილანის ჰერცოგი
ფილიპო მარია ვისკონტი
ქრისტოფანო დელ ალტისიმო,
1568

გონსალო ფერნანდეს დე კორდობა
ნიკოლო ნელი, 1568

ლუციუს ლიციინიუს
ლუკულლუსი
(ძვ.წ. 118-56) რომის კონსული ,
ძვ.წ. 74 წელი, მარმარილოზე
შესრულებული გრავიურა (XIX
ს.) *უცნობი ავტორი,*
ერმიტაჟი, სანქტპეტერბურგი

ბრეშიას ციხესიმაგრის სამხედრო მუზეუმის ექსპონატები

მაკედონური ფალანგა

ვენეციის რესპუბლიკის დიდი საბჭოს სხდომათა დარბაზი
იოზეფ ჰაინცი, 1678

შვეიცარიელი დაქირავებული მეომრების (მარცხნივ) ბრძოლა ლანდსკნეხტების წინააღმდეგ მარინიანოს ბრძოლაში (1515)
უცნობი მხატვარი (XVI ს.)

რომის ხუთგზის დიქტატორის მარკუს ფურიუს კამილუსის (ძვ.წ. 446-365) ტრიუმფი ფრანჩესკო სალვიატი (XVI ს.),
პალაცო ვეკიო, ფლორენცია

პუბლიუს ვენტედიუს ბასუსის ტრიუმფი
დანიელ ბიულერის წიგნის „ძალა და ერთგულება“ გარეკანი,
ბერლინი, 2009

რომაელი მესაყვირეები და ფლეიტისტები,
მ/ფ ბენ გური, 1959

კავალერისტი - მესაყვირეები (ძვ.წ. I ს.) ,
მ/ფ კლეოპატრა, 1963

ვერცელის ბრძოლა (ბრძოლა გაიუს მარიუსსა და
გერმანულ ტომთა კოალიციას შორის,
ძვ.წ. 101 წლის 30 ივლისი)
ჯოვანი ბატისტა ტიეპოლო, 1725-1729

სპარტელი მხედართმთავარი ქსანტიპი (ძვ. წ. III ს.)

მარკუს ატილიუს რეგულუსის (აფრიკის პროკონსული)
დაბრუნება კართაგენში
კორნელის ლენსი, 1791, ერმიტაჟი, სანკტ-პეტერბურგი

ზამასთან ბრძოლა
არისტა რომანო, XVI ს. პუშკინის სახელმწიფო მუზეუმი, მოსკოვი

ირანული საბრძოლო ეტლი ბორბლებზე დამაგრებული ბასრი მახვილით
რეკონსტრუქცია

ბრძოლა აკვასთან რომაელებსა და ტევტონებს შორის ძვ.წ. 102 წელს
რეპროდუქცია, XX ს.

იულიუს კეისარი და ჰელვეტების ბელადი დივიგო
კარლ ჯაუსლინი, XIX ს.

ვერცინგეტორიქსი და კეისარი
ლაინერ როელი,1899

კონსულ პუბლიუს დეციუს მუსის (უფროსი) სიკვდილი, ძვ.წ. 340
პიტერ პაულ რუბენსი, 1617

ანიადელოს ბრძოლა საფრანგეთსა და ვენეციის
რესპუბლიკას შორის1509 წლის 4 მაისს,
პიერ ჟოლივე, 1837

ალექსანდრე მაკედონელის შესვლა ბაბილონში
შარლ ლე ბრენი, 1664

ბრიტანელ ქვეითთა კარე ვატერლოოს ბრძოლაში
(1815 წლის 18 ივნისი) ფრანგული კავალერიის წინააღმდეგ
ელიზაბეტ ტომპსონი, 1875, მელბურნის ნაციონალური გალერეა

კარტახენას ხედი
მანუელ დელა კრუზი, 1786, მადრიდი

ძველი რომის ტრიუმვირისა (ძვ.წ. 43-33 წწ.) და სამგზის
კონსულის მარკუს ანტონიუსის შესვლა ეფესოში,
შარლ ჟოზეფ ნატუარი, 1741

რომაელი მხედართმთავარი გნეუს მარციუს კორიოლანოსი
(ძვ.წ. VI-V სს.)
ნიკოლა პუსენი, 1652-1653



ქვემეხი (XVII ს.)

ჟანა დ,არკი შარლ VII-ს კორონაციაზე
ჟან ოგიუსტ ენგრი, 1854



ჰასდრუბალ ბარკას ბიუსტი
(კარტახენა, ესპანეთი)

ქსენოფონტე
ძველი ბერძენი ისტორიკოსი
და მხედართმთავარი
(ძვ.წ. 430-356 წწ.)

ლიდიის მეფე კრეზი (ძვ.წ. 560-546)
კლოდ ვინიონი, 1629

მასაგეტების დედოფალი ტამირისი კიროსის
მოკვეთილი თავის წინაშე
რუბენსი, 1622

გარილიანოს ბრძოლა ფრანგებსა და ესპანელებს
შორის, 1503 წ.
ფელიქს ემანუელ ანრი ფილიპოტო, 1840

ფორლის გრაფინია კატერინა სფორცა
ლორენცო დი კრედი, 1481-83

საფრანგეთის მეფე შარლ VIII
დე ვალუა (1483-1498)
ჟან დე ტილეტი, XVI ს.

დატყვევებული იუგურთა
სულას წინაშე
გრავიურა. XVIII ს.

კიროს დიდი, აქემენიდური
სპარსეთის მეფე (ძვ.წ. 559-530)

ირანის შაჰი ისმაილი ჩალდირანის ბრძოლაში, 1513 წლის 23 აგვისტო, XVI ს.
ირანული მინიატურა

რომის ხუთგზის კონსული და ორგზის დიქტატორი (ძვ.წ. 220 წლებში) მაქსიმუს ფაბიუსი. იოზეფ ჰაგენაუერი 1773-80

რომაული ლეგიონის სამხედრო ბანაკი
რეკონსტრუქცია

რომაული სამხედრო ბანაკი, ახ.წ. I საუკუნე
რეკონსტრუქცია

ძველი საბერძნეთის სარდალი და პოლიტიკოსი ეპამინონდასი(ძვ.წ. 418-362) ბრძოლის ველზე
უილიამ რაინეი, 1910



ძველი რომის სამხედრო ძალის ორგანიზაციული სტრუქტურა
(ცენტურია-კოჰორტა-ლეგიონი)



არბედოს ბრძოლა (1422 წლის 30 ივნისი)
ბენედიქტ ჩახტლანი, 1470



რომის კაპიტოლიუმი (თანამედროვე მაკეტი)
რომის ცივილიზაციის მუზეუმი

მალტის წმინდა ლუსიენის ციხესიმაგრის (1610-12წწ.)
კაზემატები

რომაელთა საალყო ტექნიკა ავარიკის (გალების ქალაქი) ალყის დროს

რეკონსტრუქცია
აშშ-ის სამხედრო აკადემიის მუზეუმი



იულიუს კეისრის მიერ ალყაშემორტყმული გალების ქალაქი ალიზია, ძვ.წ. 52 წ.
ორმაგი ალყის ნიმუში (რესტავრაცია)



რომაული სამხედრო განლაგება „კუ“ (ლათ. Testudo)
ვაცლავ ჰოლარის გრავიურა (XVII ს.)

რომაული ლეგიონის წყობა, სქემა



რომაელ ახალწვეულთა სწავლება

ავლოსი – ძველბერძნული ორმაგი ფლეიტა

ციტრა – სიმებიანი საკრავი

კამეჩის რქისგან
დამზადებული
სასულე ინსტრუმენტი



ტოლენო
წახაზი

კაპუა, ამფითეატრი

კატაპულტა
რეკონსტრუქცია

ტრაბუკო
რეკონსტრუქცია



ბატალიონის მოწყობის სქემა
ვარიანტი



ბრიგადების საბრძოლო წყობა
სქემა, ვარიანტი

დიოდორე სიცილიელი, ისტორიის ბიბლიოთეკა
სატიტულო ფურცელი, 1746



კართაგენელთა საბრძოლო სპილოები შეტევისას
არსენ გვიმრაძე. კაცი, რომელიც ვერ იტანდა რომს – ჰანიბალი
თბ. , 2013, გარეყდა

სახელთა საძიებელი

ა

ანდრეა ფერუჩი (იტალიელი სკულპტორი) ... 361

ანეროესტი (გალების ბელადი) 337

ალტობელო მელონე (იტალიელი ფერმწერი) 375

არნო (მდინარე იტალიაში) 20

ანტიოქოსი (სელევკიდების მეფე) 249

ანჯელო ბრონზინო (იტალიელი მხატვარი) .. 15

არტაქსერქსე (სპარსეთის მეფე) 142, 316

არხელაუს კაბადოკიელი (პონტოს მხედართ-მთავარი) 187

ატილიუს რეგულუსი (აფრიკის პროკონსული) 322, 325, 337 387

ბ

ბართოლომეა (მაკიაველის დედა) 16

ბართოლომეო რუფინი (მაკიაველის მეგობარი) 33

ბარლეტა (აპულიის ქალაქი) 111, 308, 367

ბასკოლი (მედიჩების წინააღმდეგ შეთქმუ-ლების მეთაური) 37

ბატისტა დელა პალა (კოზიმო რუჩელაის მეგობარი) 66

ბერნარდო დი ნიკოლუ დი ბუონასენია (მაკიაველის მამა) 15,16

ბერნარდო, ლოდოვიკო, პიერო, გვიდო და ბართოლომეა (მაკიაველის შვილები) 31

ბერნარდო რუჩელაი (ფლორენციის ელჩი) 294, 378

ბიანჯო ბუონაკორსი (მაკიაველის მეგობარი) 32

ბლეზ პასკალი (ფრანგი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი) 46

ბოტიჩელი (იტალიელი ფერმწერი) 11

ბრაიან დელფი (ამერიკელი მხატვარ-რესტავრატორი) 363

ბრამანტე (იტალიელი არქიტექტორი) 344, 360

გ

გაიუს მარიუსი (რომის შვიდგზის კონსული) 73, 321, 324, 333, 338, 374

გაიუს სულპიციუს პატერკულუსი (რომის კონსული) 187

გალეაცო სფორცა (ფორლის გრაფი) 345

გალილეო გალილეი (იტალიელი ასტრონომი და ფიზიკოსი) 11, 59

გასტონ დე ფუა (ფრანგი მხედართმთავარი) .. 344

გნეუს დომიციუს კალვინიუსი (რომის კონსული) 377

გნეუს მარციუს კორიოლანოსი (რომაელი მხედართმთავარი) 339

გნეუს პომპეუსი (რომის სამგზის კონსული და ტრიუმვირი) 73, 372

გონსალო ფერნანდეს დე კორდობა (ესპანე-ლი სარდალი) 343, 382

დ

დანიელ ბიულერი (გერმანელი მწერალი)	385
დანტე (იტალიელი პოეტი და ფილოსოფოსი) ...	39, 45, 59
დეკრიანუსი (რომაელი არქიტექტორი)	365
დეციუს პუბლიუსი (რომის კონსული)	326, 390
დივიგო (ჰელვეტების ბელადი)	389
დიოგენე (ბერძენი ფილოსოფოსი)	68, 297

ე

ელიზაბეტ ტომპსონი (ბრიტანელი მხატვარ-ბატალისტი)	392
ეპამინონდასი (თებელი მხედართმთავარი) ...	287, 320, 354, 398
ეტრუსკები (იტალიაში, ეტრურიის ოლქში (თანამედროვე ტოსკანა, ლაციუმი, ემილია-რომანია...) მცხოვრები ხალხი	143, 249, 316, 327, 339, 353

ვ

ვაცლავ ჰოლარი (ჩეხი გრაფიკოსი და მხატვარი)	401
ვერცინგეტორიქსი (გალების ბელადი)	198, 222, 353, 390
ვესპასიანე (რომის იმპერატორი)	196, 327, 371

თ

თრაკია (ისტორიული რეგიონი, რომელიც მოიცავს სამხრეთ ბულგარეთს, ჩრდილო-აღმოსავლეთ საბერძნეთს და თურქეთის ევროპულ ნაწილს)	255, 320, 323, 342

თუკიდიდე (ბერძენი ისტორიკოსი) 178, 320

ი

იაკობ ბურკჰარდტი (შვეიცარიელი ისტორიკოსი) 29

იმოლა (ქალაქი იტალიაში, ბოლონიის რეგიონში) 33

ინოჩენცო სპინაცი. იტალიელი მოქანდაკე (XVIII ს.) 358

იოზეფ ჰაგენაუერი (ავსტრიელი სკულპტორი) 397

იოზეფ ჰაინცი (გერმანელი მხატვარი) 383

იოსებ ფლავიუსი (ებრაელი ისტორიკოსი) .. 127, 314, 315, 376

ისმაილი (ირანის შაჰი ისმაილ I) 397

იუგურთა (ნუმიდიის მეფე) 142,249,316,338,339,396

იულიუს კეისარი (რომის მარადიული დიქტატორი) 92, 163, 196, 291, 319, 321, 328, 389, 390

იულიუს II (რომის პაპი) 24, 78, 299, 300, 327, 343, 344

იფიკრატე (ათენელი მოქალაქე) 276, 352

კ

კაზილინუმი (ქალაქი კამპანიაში) 270, 347

კამერინო (ქალაქი ცენტრალურ იტალიაში) ... 272, 368

კამპანია (პროვინცია იტალიაში) 270, 348

კარლ V (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი) 52, 54, 56, 57, 59, 373

კარლ ჯაუსლინი (შვეიცარიელი მხატვარი) .. 389

კასტრუჩო კასტრაკანი (კონდოტიერი) 50,51

კატარინა სფორცა (ფორლის გრაფინია) 345, 396

კელტიბერები (პირენეის ნ/კუნძულზე მცხოვრები ხალხები, რომლებსაც კელტური და იბერიული გენეტიკური ფესვები ჰქონდათ) 326, 339, 341, 355

კვესტორი (კონსულის თანაშემწე) 215, 332

კვინტუს ლუტაციუს კატულუსი (რომის კონსული) 221, 333

კვინტუს სერტორიუსი (სახალხო ტრიბუნი) 324, 338

კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი (რომის დიქტატორი და კონსული) 158, 318, 348

კვინტუს ფულვიუსი (რომის კონსული) 328, 340

კვინტუს ცეცილიუს მეტელუსი (რომის კონსული) 249, 337, 338, 339

კიმბრები (ძველი გერმანელი ტომები) 321, 333, 338, 355

კიმონ ათენელი (ბერძენი მხედართმთავარი) 273, 350

კიროსი (სპარსეთის მეფე) 142, 189, 253, 287, 316, 323, 341, 355, 396

კლავდიუს ნერონი (რომის კონსული) 238, 246, 248, 331, 334, 337

კლემენტიუს VII (რომის პაპი) 38, 54, 55, 56, 57, 59, 373

კლეოპატრა (ეგვიპტის დედოფალი) 312, 386

კლოდ ვინიონი (ფრანგი მხატვარი) 395

კოზიმო რუჩელაი (მაკიაველის მეგობარი) 47, 64, 294, 295

კოლა დი რიენცო (იტალიელი პოლიტიკოსი) 45

კოლონა ფაბრიციო (კონდოტიერი) 295, 298, 323, 333, 376

კონკოლიტანი (გალების ბელადი) 337, 387

კორნელიუს სციპიონი (რომის კონსული) 183, 322, 326, 348

კრეზი (ლიდიის მეფე) 323, 333, 395

ლ

ლაინერ როელი (ფრანგი მხატვარი) 390

ლამბუაზი (რუანის არქიეპისკოპოსი) 24

ლა მოტა (ციხესიმაგრე ესპანეთში) 367

ლეო X (რომის პაპი) 35, 37, 47, 49, 55, 345, 360

ლეონარდო და ვინჩი (იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე, გამომგონებელი, არქიტექტორი) 11

ლეპტინესი (სირაკუზის მეფე) 253, 341

ლოდოვიკო მორო (მილანის ჰერცოგი) 19, 345

ლორენცო ბრწყინვალე (იტალიელი
პოლიტიკოსი და მეცენატი) 10,18,19,35

ლორენცო დი კრედი (იტალიელი ფერმწერი) .. 396

ლორენცო მედიჩი (ფლორენციის გენერალ-
კაპიტანი და ჰერცოგი) 35, 36, 38

ლორენცო სტროცი (კარდინალი) 294, 376

ლუი XII (საფრანგეთის მეფე, ვალუას
დინასტიიდან, 1498-1515) 24, 298, 327,
344, 347, 353,
361

ლუიჯი ალამანი (იტალიელი პოეტი,
კოზიმო რუჩელაის მეგობარი) 52, 66

ლუკა კაპონი (მედიჩების მოწინააღმდეგე,
პოლიტიკოსი) 37

ლუკრეცია (რომის პაპ ალექსანდრე VI-ის
უკანონო შვილი) 16

ლუციუს აფრანიუსი (პომპეუსის სარდალი) 252

ლუციუს ბანციუსი (ნოლას გავლენიანი
მოქალაქე) 275

ლუციუს ემილიუს პაპუსი (რომის კონსული) .. 337

ლუციუს ემილიუს პაულუსი (რომის
კონსული) 105, 306, 376

ლუციუს კორნელიუს სულა (რომის
დიქტატორი) 187, 323, 324,
338, 371

ლუციუს ლუკულუსი (რომის კონსული) 310

ლუციუს მარციუსი (რომის კონსული) 192

ლუციუს მეტელუსი (დიქტატორი) 246

ლუციუს მინუციუსი (რომის კონსული) 223

მ

მაზაჩო (იტალიელი ფერმწერი) 11

მანიუს აცილიუს გლაბრონი (რომის კონსული) 323

მანლიუს კაპიტოლინუსი (რომის კონსული) 240, 335

მარგარიტა (მაკიაველის და) 17

მარიეტა დი ლოდოვიკო კორსინი (მაკიავე-ლის მეუღლე) 31

მარკუს ავრელიუსი (რომის იმპერატორი) 101, 305

მარკუს ანტონიუსი (რომის კონსული და ტრიუმვირი) 115, 224, 311, 319, 392

მარკუს კრასუსი (რომის კონსული, ტრიუმვირი) 115, 246, 310

მარკუს მარცელიუსი (რომის კონსული) 185

მარკუს პეტრეიუსი (პომპეუსის სარდალი) 252

მარკუს რეგულუსი (რომის კონსული) 183

მარკუს ტულიუს ციცერონი (რომის კონსული და ფილოსოფოსი) 16,40

მარკუს ფურიუს კამილუსი (რომის დიქტატორი) 317, 353

მარჩელო ვირჯილიო ადრიანო (მაკიაველის მეგობარი) 32

მასინისა (ნუმიდიის მეფე) 142, 273, 316, 377

მატონი (კართაგენელთა დაქირავებული მეომარი) 72

მაქსიმილიან I (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი) 24, 53, 327, 346

მაქსიმინუსი (რომის იმპერატორი) 94, 303

მაჰარბალი (კართაგენელი სარდალი) 254, 325, 341

მედიჩები (უმდიდრესი გვარი იტალიაში, რომლის წარმომადგენლებიც XV-XVIII საუკუნეებში იყვნენ რომის პაპები და ფლორენციის მმართველები) 10, 18, 20, 22, 23, 34, 35, 36, 37, 38, 47, 49, 50, 51, 55, 57, 58, 59, 60, 295, 301

მემნონ როდოსელი (დარიოსის ბერძენი სარდალი) 254, 341

მითრიდატე VI (პონტოს მეფე) 142, 309, 316, 323, 370

მინუციუს რუფუსი (რომის კონსული) 187, 323

მირანდოლა (ქალაქი ჩრდ. იტალიაში) 261, 343

მიქელანჯელო (იტალიელი მხატვარი, სკულპტორი, არქიტექტორი) 11, 48, 59, 344

მონტესპერტოლი (ქალაქი იტალიაში, ტოსკანის რეგიონში) 13

ნ

ნაბისი (სპარტას მეფე) 221, 332, 377

ნაპოლეონ I ბონაპარტე (საფრანგეთის პირ-
ველი იმპერატორი) 44

ნიკოლა კუსტუ (ფრანგი სკულპტორი) 371

ნიკოლა პუსენი (ფრანგი მხატვარი) 393

ნიკოლო ნელი (იტალიელი მხატვარი) 382

ნინუსი (ნინევიის მეფე) 142, 316, 377

ნოვარა (ქალაქი იტალიაში, პიემონტის
რეგიონში) 6

ნოლა (ქალაქი იტალიაში, კამპანიის
რეგიონში) 275, 279, 351, 353

ნოჩერა (ნოჩერა – ინფარიორე – ქალაქი
იტალიაში, კამპანიის რეგიონში) 272

ნუმიდია (ანტიკური ეპოქის ოლქი ჩრდი-
ლოეთ აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ
სანაპიროზე, სადაც სახლობდნენ ნუმიდიე-
ლები) 224, 316, 349

ო

ოვიდიუსი (რომაელი პოეტი) 39

ონაგრო (გვიან რომაული ქვის სატყორცნი
მანქანა) 269

ოტო (მაკიაველის ძმა) 17

ოქტავიანე ავგუსტუსი (რომის იმპერატორი) 299

პ

პავსანიუსი (ძველი ბერძენი მწერალი და
გეოგრაფი) 340

პალაცო ვეკიო (ფლორენციის მთავარი მოედანი)	19, 20, 34, 358
პასკუალე ვილარი (იტალიელი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი)	18
პელოპიდასი (ძველი ბერძენი მხედართმ-თავარი)	287, 354
პერსევსი (მაკედონიის მეფე)	105, 306, 377
პიერო არდინჩელი (რომის პაპ ლეო X-ის პირადი მდივანი)	47
პიერო მედიჩი (ფლორენციის მმართველი)	10,19
პიერო სოდერინი (ფლორენციის რესპუბლი-კის მმართველი 1498-1512 წლებში)	10, 33,34
პიერ ჟოლივე (ფრანგი მხატვარი და ლითოგრაფი)	391
პიონერი (ლათ. გზისგამკვალავი. პირი, რომელმაც შეაღწია შეუსწავლელ ქვეყანაში და დასახლდა იქ)	208
პიროსი (ეპირისა და მაკედონიის მეფე)	92, 189, 244, 273, 303, 316, 318, 324, 341, 348, 349, 351, 372
პიტერ პაულ რუბენსი (ფლამანდიელი მხატვარი)	390, 395
პიუს IV (რომის პაპი)	60, 373
პიცენიუმი (ძველი რომის ერთ-ერთი რეგიონი)	238

პოლიბიოსი (ბერძენი ისტორიკოსი) 40, 304, 305, 306, 307, 323, 328, 330, 331, 334, 338, 351, 362

პრადო (მუზეუმი მადრიდში) 374

პრეტორიანელები (რომის იმპერატორის გვარდია) 77, 299

პრიმავერა (მაკიაველის და) 17

პრიორი (წინამძღოლი)..... 13

პროსპერო კოლონა (კარდინალი)..... 51

პუბლიუს ვენტიდიუს ბასუსი (რომის კონსული) 162, 319, 385

პუბლიუს ფლავიუს რენატუს ვეგეციუსი (რომაელი მწერალი და სამხედრო თეო-რეტიკოსი) 8, 300, 313

ჟ

ჟანა დ,არკი (საფრანგეთის ეროვნული გმირი) 329, 394

ჟან დე ტილეტი (ფრანგი მხატვარი) 396

ჟან ოგიუსტ ენგრი (ფრანგი მხატვარი) 394

ჟან პერეალი (ფრანგი მხატვარი) 359

რ

რავენა (ქალაქი იტალიაში, ემილია-რომანიის რეგიონში) 111, 145, 309, 318, 344

რამონ დე კარდონა (ესპანელი გენერალი)	300, 344
რაფაელი (რაფაელო სანციო, რენესანსის ეპოქის იტალიელი ფერმწერი და არქიტექ-ტორი	11, 360
რიდოლფო გირლანდაიო (იტალიელი მხატვარი)	357
რომის კაპიტოლიუმი (ერთ-ერთი რომის 7 ბორცვიდან, რომელზეც მდებარეობდა იუპი-ტერის ტაძარი, სადაც ტარდებოდა სენატის და სახალხო კრების სხდომები)	275, 347
რომის საღვთო იმპერია (გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია X-XIX საუკუნეებში)	6, 10,54
რომის სენატი (საკანონმდებლო ხელისუფლება ძველ რომში)	74, 312
რონა (მდ. საფრანგეთში)	331, 368

ს

სავონაროლა (იტალიელი ბერი და პოლი-ტიკოსი)	10,16, 19,20,21,58,
სამნიტები (უძველესი იტალიელი ხალხი)	143, 195, 249, 316, 325, 327, 339
სანტა კროჩე (ეკლესია და პანთეონი ფლორენციაში)	366, 358
სანტი დი ტიტო (იტალიელი მხატვარი)	15
სებასტიანო დელ პიომბო (იტალიელი ფერმწერი)	373
სებასტიან შლოტცი (ფრანგი სკულპტორი) ...	374

სემპრონიუს გრაკხუს ტიბერიუსი (რომის
კონსული) 287, 341, 355

სეპტიმუს სევერუსი (რომის იმპერატორი) 305

სერვიუს ტულიუსი (რომის მეფე) 91, 302

სექსტუს იულიუს ფრონტინუსი (რომაელი
მხედართმთავარი და ისტორიკოსი)..... 300, 303, 362

სიგნიფერი (მედროშე) 315, 380

სინიორია (მმართველობის ორგანო ფლო-
რენციაში) 12,21,22,23,24,
25,26,27,34

სინიორიის მდივანი (მეორე კანცელარიის ანუ
სამდივნოს მდივანი) 21,23,32

სირაკუზა (ქალაქი და ნავსადგური კუნძულ
სიცილიაზე) 253, 314, 341,
348

სკვითები (ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში
მცხოვრები ძველირანული ტომები) 191, 325, 341

სპარტა (ლაკედემონი) (ძველი ბერძნული
პოლისი (ქალაქ-სახელმწიფო) 69, 89, 340

სპენდიონი (კართაგენის დაქირავებულ
მეომართა მეთაური) 72

სტეფანო უსი (იტალიელი მხატვარი) 357

სციპიონ აფრიკელი (რომის კონსული) 73, 322, 323,
326, 342, 348

ტ

ტამირისი (მასაგეტების დედოფალი) 253, 341, 395

ტაციტუსი (რომაელი ისტორიკოსი) 40

ტევტონები (ძველი გერმანული ტომები) 188, 323, 333, 338, 389

ტიბერისი (მდ.იტალიაში) 121

ტიბულუსი (რომაელი პოეტი) 39

ტიგრან II (სომეხთა მეფე) 310, 377

ტიგრანაკერტი (ძველი სომხური ქალაქი, ტიგრან II სამეფოს დედაქალაქი) 309, 367

ტიტუს დიდიუსი (რომის კონსული) 192, 249, 326, 339, 340

ტიტუს ლაბიენუსი (რომაელი მხედართმ-თავარი) 354

ტიტუს ლივიუსი (რომაელი ისტორიკოსი) 18, 40, 44, 47, 104, 106, 307, 317, 321, 322, 325, 326, 327, 333, 336, 338, 339, 341, 352, 353, 354, 374

ტიციანი (იტალიელი ფერმწერი) 373

ტოლენო (საალყო იარაღი) 269, 403

ტორტონა (ქალაქი ჩრდ. იტალიაში) 145, 317

ტოსკანა (რეგიონი ცენტრალურ იტალიაში, დედაქალაქი ფლორენცია) 12, 60,96

ტრიუმფი (მხედართმთავრის უმაღლესი ჯილ-დო რომში, რაც გულისხმობდა გამარჯვებუ-ლის საზეიმო შესვლას დედაქალაქში) 239, 317, 338, 384, 385, 376

ტულუს ჰოსტილიუსი (რომის III მეფე) 287

უ

უილიამ რაინეი (ბრიტანელი მხატვარი და ილუსტრატორი) 398

ფ

ფაენცა (ქალაქი ცენტრალურ იტალიაში) 54,55

ფარნაკე II (პონტოსა და ბოსფორის მეფე) 350

ფედერიკო დე მადრასო (ესპანელი ფერმ-წერი) 374

ფელიქს ემანუელ ანრი ფილიპოტო (ფრანგი ფერმწერი) 395

ფერარა (ქალაქი იტალიაში, ემილია-რომანიის რეგიონში) 259, 292, 301, 344, 368

ფილიპე II მაკედონელი (მაკედონიის მეფე, ალექსანდრე დიდის მამა)..... 190, 287, 292, 355, 374

ფილიპე V მაკედონელი (მაკედონიის მეფე) 198, 327

ფილიპო მარია ვისკონტი (მილანის ჰერცოგი) 109, 298, 382

ფილიპო სტროცი (ფლორენციელი წარჩინებული) 61, 294, 376

ფლორენციის რესპუბლიკის კანცლერი (სი-ნიორიის პირველი კანცელარიის მდივანი) 21

ფორლი (ციხესიმაგრე და ქალაქი რომანიის პროვინციაში) 262, 301, 345

ფორმიონი (ათენელი სარდალი) 274, 351

ფრანსუა I ვალუა (საფრანგეთის მეფე) 7, 294

ფრანჩესკო ალეგრინი (იტალიელი ფერმწერი) 376

ფრანჩესკო გვიჩარდინი (იტალიელი ისტორიკოსი და დიპლომატი) 11, 54, 55, 56

ფრანჩესკო გონზაგა (მანტუას მარკიზი) 301, 373

ფრანჩესკო დე სანკტისი (იტალიელი ისტორიკოსი) 46

ფრანჩესკო ვეტორი (სინიორიის პირველი კანცელარიის მდივანი), მაკიაველის მეგობარი 34,35

ფრანჩესკო პეტრარკა (იტალიელი პოეტი და ჰუმანისტი, რენესანსის ეპოქის ერთ-ერთი ინიციატორი) 39,45

ფრანჩესკო სალვიატი (იტალიელი ფერმწერი) 384

ფრანჩესკო სოდერინი (მაკიაველის მეგობარი) 33

ფრანჩესკო სფორცა (კონდოტიერი) 72, 298

ფრანჩესკო ტარუგი (ფლორენციის მეორე კანცელარიის მდივანი) 58

ფრენსის ბეკონი (ინგლისელი ფილოსოფოსი) ... 60

ქ

ქრისტოფანო დელ ალტისიმო (იტალიელი ფერმწერი) 382

ქსანტიპი (სპარტელი მხედართმთავარი) 183, 322, 387

ქსენოფონტე (ბერძენი ისტორიკოსი და მხე-
დართმთავარი) 330, 394

შ

შარლ VIII (საფრანგეთის მეფე) 10, 19, 265, 290, 308, 329, 344, 345, 346, 356, 359, 396

შარლ ვერნე (ფრანგი ფერმწერი) 376

შარლ ლე ბრენი (ფრანგი ფერმწერი) 391

ჩ

ჩეზარე ბორჯა (რომანიის ჰერცოგი) 24, 33,43,53, 262, 272, 310, 343, 345, 350, 375

ც

ციტრა (სიმეზიანი საკრავი) 178, 402

ძ

ძანობი ბუონდელმონტი (ფლორენციელ
შეთქმულთა მეთაური) 47,52

წ

წმინდა ლუსიენის ციხესიმაგრე (მალტა) 400

წმინდა პეტრეს ტაძარი (რომი, ვატიკანი) 344

ჯიროლამო რიარიო (ფორლის ტირანი) 345

ჯოაკინო როსინი (იტალიელი
კომპოზიტორი) 59

ჯოვანა (ნეაპოლიტანის დედოფალი) 72, 298

ჯოვანი ბატისტა ტიეპოლო (იტალიელი ფერმწერი) 386

ჯოვანი დელე ბანდენერე მედიჩი (კონდოტიერი) 345

ჯოვანი დი კაზალე (ფორლის კომენდანტი) 262

ჯოვანი მედიჩი (კარდინალი) 35, 345, 360

ჯონ ვანდერლინი (ამერიკელი მხატვარი) 374

ჯულიანო მედიჩი (კარდინალი) 373

ჯულიანო მედიჩი (ფლორენციის მმართველი) 38, 49, 295

ჰ

ჰანიბალი (დიდი კართაგენელი მხედართმთავარი) 88, 182, 185, 186, 191, 193, 197, 198, 199, 208, 238, 243, 248, 249, 270, 273, 274, 275, 280, 291, 316, 318, 319, 322, 323, 324, 325, 330, 331, 334, 337, 338, 339, 347, 348, 349, 351, 353, 354, 374

ჰანონი (კართაგენელი მხედართმთავარი) 220, 221, 332

ჰასდრუბალ ბარკა (კართაგენელი მხედართ-მთავარი, ჰანიბალის ძმა) 322, 337, 394

თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო
განათლების სარდლობა

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი

დოქტრინების განვითარების ცენტრი

ნიკოლო მაკიაველი

ომის ხელოვნება

თარგმანი, წინასიტყვაობა, „მაკიაველი და მისი ეპოქა“,
კომენტარები, სქემები, ილუსტრაციების ჩამონათვალი და
სახელთა საძიებელი ისტორიის დოქტორის, პროფ.

არსენ გვიმრაძის

ქართული გამოცემის რედაქტორი: ისტორიის დოქტორი,
პროფესორი,
თადარიგის პოლკოვნიკი
არჩილ ჩაჩხიანი

სამხედრო კონსულტანტი: პოლკოვნიკი კახაბერ ჭაფოძე

რედაქტორი: ქეთევან ოსეფაიშვილი

სტილისტი: თინათინ პავლიაშვილი

დამკაბადონებელი: მარინა კაზარიანი

ტექნიკური რედაქტორი: სოციალური მეცნიერებების
დოქტორი, პოლკოვნიკი
ნოდარ ხორბალაძე

თბილისი
2023